

ჯერომ სელინჯერი
კლდის პირზე,
ჭკავის ყანაში...

ჯერომ სელინჯერი
კლდის პირზე, ჭვავის ყანაში...

ინგლისურიდან თარგმნა გია ჭუმბურიძემ

1.

ისე, თუ მართლა ჩემი ამბის გაგება გინდათ, არ დამიწყით ახლა — სად დაიბადეო, შენი საცოდავი ბავშვობა სად გაატარეო, მშობლები კიდე რას საქმიანობდნენ შენამდგომად და საერთოდ, მთელი ეს ბაზარი დევიდ კოპერფილდის სტილში... მართალი გითხრათ, სულაც არ მეპიტნავება ამ ძველმანებში ქექვა. ჯერ ეს ერთი და გული მერევა ამეებზე, მერე კიდე, ჩემებს აქეთ თავისი დაემართებოდათ, მათზე როდემდე რაღაც-რაღაცეების მოყოლა. ეგეთი რამეები მაგრა გულზე ხვდებათ, მამაჩემს განსაკუთრებით. არა, ისე არა უშავთ რა — კაი ტიპები არიან და რამე, ოღონდ ძაან ბუტიები და უცბად იქუშებიან ყველაფერზე. ბოლო-ბოლო, არც იმას ვაპირებ ახლა მთელი ჩემი CV ჩამოგიკაკლოთ — უბრალოდ მოგიყვებით, რა სიბრიყვეც გადამხდა თავს ამ შობა-ახალწლებზე, სანამ ის რაღაც ჭირი მეტაკვბოდა და აქაურობას მოვაკითხავდი ჯანზე მოსასვლელად. დიბის ხო უკვე ველაყბე და იმაზე მეტი ან თქვენ რა უნდა გითხრათ, დიბი კიდე ჩემი ძმია და ამბავი. ლამის ყოველ კვირა ჩამოდის ჩემს სანახავად — ჰოლივუდი რა ისე შორია როდემდე ამ დამპალი ადგილიდან — და იმ თვეში იქნებ სულაც მომამშოროს აქაურობას. იაგუარით დაგრიანებს ჩვენი დიბი, მაგარი რამეა, მოცუცქნული და საათში 200 კმ-ით. მაგისტრის არაფერია. რა მოხდა მერე, სულ რაღაც \$4.000 თუ ჟვლიპა, მეტი ხო არა. თანაც ფული ახლა ჩეჩქივითა აქვს დიბის. აბა ის იყო კარგი, გამოუსვლელად როდემდე სახლში და ნაღდ მწერლობას ჩემულობდა? ერთი კი მართლა კარგი რამის წიგნი გამოუვიდა, ის მოთხრობები — „გადამალული ოქროს თევზი“ ერქვა. იმათგან საუკეთესოც ეგ იყო — პატარა ბიჭი როდემდე ოქროს თევზს დაითრევს და ცალი თვალითაც არავის ანახებს, აქაოდა საკუთარი ფულით, ნაღდზე მაქნაყიდიო. ლამის ჩემი დამემართა. ახლა ჰოლივუდშია ჩვენი დიბი, ასე ვთქვათ, დახურდავდა. თუკი რამეა უვარგისი ამქვეყნად, სწორედ ეგ სულელური სერიალებია. ახლა არ მითხრათ, არაო.

მოდით რა, იმ დღიდან დავიწყებ, პენსის პრივილეგირებულ სკოლას რო დავადე და წამოვედი. ეგ ეიჯერსთაუნშია, პენსილვანიის შტატში, ეგება და გაგიგიათ კიდევ. ბოლო-ბოლო, მაგათ რეკლამას ყოველ მეორე ფერად ჟურნალში ნახავთ, თანაც გაშლილ გვერდზე – ცხენს მომჯდარი ვილაც დაზმანული პიჟონი რო ქვის ღობეს ევლება, თითქოსდა პოლოს თამაშის გარდა პენსიში მეტი საქმე არც არაფერი ქონდეთ. მამა უცხონდათ, ცხენი წამლად არ მინახავს იმ არემარეში. თანაც რეკლამას მუდამ ერთი და იგივე რალაცა აწერია: „1888 წლიდან მოყოლებული, ჩვენს სკოლას მხოლოდ სავსებით ჩამოყალიბებული, უდრეკი ხასიათის, საღად მოაზროვნე ახალგაზრდები ამთავრებენ!“ ბლა-ბლა-ბლა... ცარიელი სიტყვების ბლაცუნი! იქაც იგივე ყალიბებია, რაც ნებისმიერ სხვა სკოლაში. ჩემდათავად, არც გაუდრეკავი შემხვედრია იქ ვინმე და არც საღი აზრის პატრონი. ჰა და ჰა – იქნებ ერთი-ორი. ეგეც ბევრია. და ისინიც იმთავითვე ეგეთები თუ მოვიდნენ პენსიში. ასეა თუ ისე, შაბათი დღე იყო და სექსონ-ჰოლის გუნდთან გვექონდა მორიგი შეხლა. ეგ ისედაც ერთი რამის ამბად ითვლებოდა იქა, და სემონის ბოლო მატჩის წაგება ხო მთლად თავის მოჭრას უდრიდა მოკლედ, ან გამარჯვება, ან სიკვდილი! მახსოვს, დღის სამი საათი იქნებოდა, რალაც ეშმაკად მაინცადამაინც თომსენის გორაზე ავძვერი, სადაც ერთი დაფეხვილი ზარბაზანი უდგათ, ჯერ კიდევ კოლონიების ჯანყიდან შემორჩენილი და ხელისგულივით მოჩანს საფეხბურთო მოედანიცა და ზედ წინდაუკან უთავბოლოდ მორბენალი ემჭეპეებიც¹. ტრიბუნებს კარგად ვერც ვხედავდი, მხოლოდ ჩვენების ღრიანცელი მესმოდა, აკი მთელი სკოლა იქ იყო, ჩემ გარდა – სექსონ ჰოლე-

¹ მურტალი ჯანების პატრონი (მოძვ. სლენგ.).

ლების მეჩხერი წამოძახილები კი კანტიკუნტად თუ აღწევდა ჩემამდე, რადგან სტუდენტების გუნდებს გასვლებზე მხოლოდ მთლად თავგადაკლული ფანები თუ დაყვებიან ხოლმე.

გოგოები ამ სანახაობას დიდად არ ეტანებიან. თუმცა ისიც ითქვას, სტადიონზე თითო გოგოს შემოყვანის უფლება მხოლოდ უფროსკლასელებს ქონდათ. თქვენ რაც გინდათ ისა თქვით, და დიდი საზიზღარი წეს-კანონები კი შემოიღეს, ღმერთმანი. რა მოხდა ისეთი, არ შეიძლება კაცი ხანდახან გოგოების მარაქაში გაერო, თუნდაც მხოლოდ სულელურად ფხუკუნებდნენ და ცხვირ-სახოცებს აფრიალებდნენ და რაღაც ეგეთები? აი, ის სელმა თერმერი — ჩვენი დირექტორის ქალიშვილი — სულ იქ იყო ხოლმე წამოსკუპული, მატჩს არ გააცდენდა, მაგრამ რად გინდა — მაგნიარებზე გული არ მიმდიოდა. ისე, ხასიათებით ურიგო გოგო არ იყო — ერთხელაც ეიჯერსთაუნიდან მოვდივარ ავტობუსით და გვერდიგვერდ აღმოვჩნდით, დავეკონტაქტე და თითქოს მესიმპათიურასავით. ოღონდ ცხვირი კი ნამეტანი გრძელი ქონდა, ფრჩხილებიც ძირამდე დაკვნეტილი და მკერდზეც კაბის ქვეშ იმდენი რაღაცა ამოედო, მაგ ზომისა ნაღდად ვერ ექნებოდა. რაღაცნაირად შემეცოდა კიდევ. უფრო კი ის მომეწონა, ტვინი რომ არ გამიბურღა თავის პრაფესორა მამიკოზე ლაქლაქით. იქნებ სულაც აზრზე იყო, რა ხვითოც ჰყავდა. თომსენის გორადან კიდევ იმიტო ვადევნებდი თვალს თამაშს, რო სტადიონზე არ მიმესვლებოდა: სწორედ იმ დღის ჩამოსული ვიყავი ნიუ-იორკიდან, იმ ჩემის ცოდვით სავსე მოფარიკავეთა გუნდთან ერთად. ვილაცამ და რატომღაც გუნდის კაპიტნად ამირჩია — ბედი არ გინდა... მაკბარნის სკოლას უნდა გაფჯიბრებოდით, ოღონდ შეხვედრა ჩაიშალა. რატო და იმიტო, რო მთელი ჩვენი აღჭურვილობა მეტროში დამრჩა. წამდაუწუმ კედელზე გაკრულ სქემას ვაშტერდებოდი, ემანდ ჩვენი სადგური არ გამომრჩეს-მეთქი; მერე სულ ამებნა თავგბა და ამიტომაც იყო, დროზე ადრე, სამის ნახევარზე დავ-

ბრუნდით პენსიში. მაღლობის მაგივრად, გუნდი სრული შემადგენლობით გამებუტა და მთელი გზა სიტყვა არ გადმოუგდიათ ჩემთვის. დიდი მაბალო ხალხია, ღმერთმანი.

მეორე მიზეზი კიდევ ის იყო, ბებერი სპენსერისათვის უნდა შემეველო გამოსათხოვებლად. ეგ ჩვენი ისტორიის მასწავლებელია, გრიპი შეეყარა და ვიფიქრე, იქნება შობის არდადეგებამდე ველარც ვინახულო-მეთქი. იმან კიდევ წერილი აფრინა ჩემთან — მინდა გნახო, სანამ შინ გაემგზავრებოდეთ. იცოდა, პენსიში დამბრუნებელი აღარ ვიყავი.

აი, მაგის თქმა კი დამავიწყდა თქვენთვის. საქმე ისაა, უკვე გამოგდებულიც ვიყავი. უკან დასაბრუნებელი პირი არც მქონდა — ოთხი საგანი ჩავაფლავე და რა ვიცი, ჯანდაბა... რამდენჯერმე გამაფრთხილეს, ყურები გამოიფხიკეო — განსაკუთრებით მაშინ მომდგნენ, შუა სემესტრში, როცა მშობლები ჩამომივიდნენ უფ. თერმერთან ბჭობის გასამართად. მაგრამ რა გინდა რა — ფეხებზე დავიკიდე და გულზეც მომეშვა. ოღონდ ეგ იყო, საბოლოოდ მაინც გამომაპანღურეს. საზოგადოდ, გარიცხვები მეტად ხშირია პენსიში: მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის იბრძვიან, ნამდვილად. ახლა, დეკემბერი იყო და იმ დედაიმასქნებულ გორაზე ისე ციოდა, როგორც დედაბრის უბეში. მე კიდევ მარტო ანორაკი მქონდა წამოღებული და არც ხელთათმანები და არც არაფერი. წინა კვირას საკუთარი ოთახიდან ამწაპნეს ჩემი ჯილა აქლემისბეწვიანი ქურთუკი თავის ხელთათმანებიანად. რამე რო იყოს, ეს ჩვენი პენსი ბაცნებითაა სავსე. ვითომ სულ ნარჩევი მდიდარი კაიოჯახიშვილები არიან, მარა რად გინდა: რაც უფრო ძვირიანია სკოლა, მით მეტი ბაცანა ხვდება იქ, მე გეუბნებით. მოკლედ, ვზივარ ამ ნაშთის ძველის დიდებისა თანა, თამაშს თვალს ვადევნებ და კაკლები მეთოშება. ისე, ცოდვა გამხელილი ჯობია და თამაში სულ ქინძზე მეკიდა, უფრო რაღაც გამომშვი-

დობების ამბავში ავბლაცუნდი იქ. რამე რო იყოს, რამდენი სკოლა და საცხოვრებელი ადგილი გამომიცვლია, თავში აზრადაც არ მომსვლია გუდ-ბაი მაი ლავ, გუდ-ბაი და ეგეთები — უბრალოდ, როცა მიდიხარ, უნდა გრძნობდე რო რაღაცას ტოვებ. თორე მერე უარესია.

გამიმართლა. სულ უცაბედად ისეთი რამე მომაგონდა, წამში გავიზარე — მართლა საბოლოოდ ვითესებოდი იქიდან. გამახსენდა, მე და რობი ტიჩენერი და პოლ ქემბელი რო ვბურთაობდით სკოლის შენობის წინ... არა უშავს ბიჭები იყვნენ, ეს მეორე — ტიჩენერზე ვამბობ — განსაკუთრებით. სადილობის დრო იყო და მალე ჩამობნელდა კიდევ, ოღონდ ჩვენ რა გვეტაკა ეგეთი — ბოლოს უკვე ხეირიანად ბურთსაც ველარ ვარჩევდით სიბნელეში, მაგრამ მაინც ვერ ვეშვებოდით. მოგვიწია. იმ ჩემის ბიოლოგიის მასწავლებელმა, ბ-ნმა ზამბესიმ გამოყო თავი ფანჯარაში და დაშლა გვიბრძანა. აი, ეგეთი პატარა რამე გავახსენდება და თითქოს ვიღაცა აქეთ გემშვიდობებაო. ესეც საკმარისი იყო ჩემთვის — გამოვტრიალდი და მოხუცი სპენსერის სახლისაკენ დავეშვი. ენტონი-უეინ-ავენიუმზე ცხოვრობდა, სტუდენტალაქის გარეთ.

თომსენის გორადან ჩამოვძუნძულდი და ქუჩას რო მივადექი, მერეღა მოვიბრუნე სული. სიმართლე გითხრათ, სუნთქვა ვერა მაქვს რიგზე დაყენებული. ანკი საიდან მექნება, გაქანებული მწვეველი ვარ. ანუ ვიყავი. აქ მაგაზეც ამაღებინეს ხელი. მეორეც კიდე, მთელი მტკაველით ავიწონე შარშან. ალბათ ეს ოხერი ტუბერკულოზიც მაგიტო შემეყარა და ახლა აქ ამოვყავი თავი — ამ სულელური სისხლის ანალიზების აღებებითა და მთელი ამბებით. სხვა მხრივ სავსებით ჯანმრთელი ვარ, რა მიჭირს.

მერე ისევ დავგაზე — ღმერთმა უწყის რატო. უბრალოდ, მსიამოვნება ეტყობა, თავის გაწვალება. ქვაფენილი მთლად მოყინული იყო და კინაღამ მოვჯექი. მერე კიდე, ქუჩა რო გადავჭერი, ისე მომეჩვენა თითქოს გავქრი-მეთქი... გეუბნებით, რაღაც გარეკილი დღე

იყო, უმზეო, თოში, საღამოც ეგეთივე და ეტყობა, რამდენი ქუჩას გადახვიდოდი, იმდენი უნდა მოგჩვენებოდა რო ქრები... მერე იყო და კარი კინალამ ჩამოვიღე რეკვით. სიცვისაგან ყურები მეწვოდა უკვე და თითებსაც ძლივს ვამოძრავებდი. „მიდი, მიდი!“ — ვიძახდი გუნებაში, — „გააღეთ რა ვინმემ ეს დასაწვავი კარი!..“ როგორც იქნა, თვით ქალბატონმა სპენსერისამ ინება ჩემი შიგ შეშვება. მოახლე და რამე ეგეთები მაგათ არ იციან — ასე ვთქვათ, ფულში არ იხრჩობიან სამაგისოდ.

„ჰოლდენ!“ — ხელები გაასავსავა ქ-ნმა სპენსერმა. — „რა კარგია რომ მაინც შემოგვიარე! შემო, შემო, სულ გაყინულხარ!“ მგონი მართლა გაუხარდა ჩემი დანახვა. ასე მგონია.

წამსვე დერეფანში ვდურთე თავი. „როგორ გიკითხოთ, მისის სპენსერ?“ — ვეკითხები. „ბატონი სპენსერი როგორაა?“

„ჯერ ეგ რაღაცა გაიძრე“, — მეუბნება. ჩემი შეკითხვა მგონი არც გაუგია. ცოტას წაიყრუებდა, ხომ იცით. ანორაკი იქვე ჩამოკიდა, კედელზე. მე კიდე ზრდილობისათვის თმებზე გადავისვი ხელი, ვითომდა წესრიგში მოსაყვანად. არადა, მუდამ სალდათურად, მოკლემზე მაქ აკრეჭილი და სავარცხელიც არასოდეს მიხმარია. „როგორ ბრძანდებით, მისის სპენსერ?“ — დავეკითხე ისევ, ოღონდ ამჯერად უფრო ხმამაღლა, იქნება და ახლა მაინც გაეგონა. „მშვენივრად, ჰოლდენ, მე — მშვენივრად. შენა?“ — ისე მეკითხება, კოჭებში ეტყობა, ბებერმა სპენსერმა უკვე ჩაუკაკლა ჩემი გარიცხვის ამბავი. „რა მიჭირს, — ვეუბნები. — მისტერ სპენსერი რასა იქმს? კაცურად გაუძლო გრიპს?“

„კაცურად კი არა... მართლა დიდი ბავშვივით იქცევა, მეტი არაფერი. თავის ოთახშია. შედი, შედი, რა გერიდება.“

2.

ორივეს თავ-თავისი ოთახი ჰქონდა და რამე. სადღაც სამოცდაათს მიკაკუნებულნი კი იქნებოდნენ, თუ მეტი არა. ოღონდ თავისას მაინც იღებდნენ ამ ცხოვრებისაგან, ბებრუცანები უძახე შენ. ცუდად არ გამიგოთ – უბრალოდ, რაც მეტს ფიქრობ სპენსერისთანა ხალხზე, მით უფრო გიჩნდება იმის ჭია, ნეტა რისთვის და რატო ცხოვრობს ამ ქვეყანაზე. სულ დაფეხვილივით გამოიყურებოდა, ველარც წელში იხრებოდა ხეირიანად და როცა კლასში, დაფასთან, ცარცის ნატეხი გამოუსხლტებოდა ხოლმე თითებიდან, წინა რიგში ვიღაც უნდა ამდგარიყო, აელო და მიეწოდებინა. ძაან მძიმე ამბავია, მე თუ მკითხავთ. ოღონდ ეგეცაა, თუ ზედმეტად არ მიიტანდი გულთან, არც ისე ცუდად აწყობილი ცხოვრება ჰქონდა, რამე რო იყოს. ერთხელაც მე და კიდე რამდენიმე ბიჭი დაგვპატიჟა ცხელი შოკოლადის საწრუპავად და თან ნავახოს ტომის ქალების ხელით მოქსოვილი ერთი გაცრეცილი საბანი გვაჩვენა – ბებერ სპენსერსა და მის ცოლს იელოუსთოუნის ეროვნულ ნაკრძალში დაუთრევიათ ვიღაც ინდიელისაგან. ზედ ეტყობოდა, ძაან-ძაან ამაცობდა ნავაჭრით. აი, სწორედ მაგაზე ვამბობ: ვიღაცა ცას გამოკვრებული ბებრუხანა გგონია, ცალი ფეხი სამარეში უდგასო ფიქრობ, ის კიდე იაფად ნაშოვნ ჭრელ საბანს შეჭხარის. პაწია ცხოვრებისეული სიამოვნებანი.

კარი მოღიავებული ჰქონდა, ოღონდ მე მაინც დავაკაკუნე – ისე, ზრდილობისათვის. თვითონ ტყავის დიდ სავარძელში იჯდა, სწორედ იმ საბანში გამოფუთული. ირიბად გამომხედა. „შენა ხარ, კოლფილდ? შემო, მანდ რას დაყუდებულხარ!..“ მუდამ ასეთი ხაფიხმით გელაპარაკებოდა კლასგარეთ. ზოგჯერ უკვე ნერვებზეც მოქმედებდა. შევაბიჯე და წამსვე ვინანე, აქ რამ მომიყვანა-მეთქი. ეთლენთიქ მანსლის ფურცლავდა, გარშემო სულ წამლის შუშები და კოლოფები ქონდა შემოწყობილი, სუნი კიდე ისეთი იდგა, როგორც

დანტიის კაბინეტში. დამთრგუნავი სანახაობა იყო. ავადმყოფების მონახულება ისედაც არ მენატრება გულზე, ბებერ სპენსერს კიდე ის თავისი დაფხავებული, ფერგადასული ხალათი შემოეცვა და მთლად საიმქვეყნოდ გადადებულს გავდა. საერთოდ არ მიყვარს, მოხუცი ხალხი რო პიჟამებსა და საბანაო ხალათებში დაიბმანება. ჩავარდნილი მკერდი მოუჩანთ და გაძვალტყავებული ფეხები. ზღვისპირას და ეგეთ ადგილებში კიდე — ავადმყოფურად უმბეური ცვილისფერი კანი. „გამარჯობათ, სერ,“ — ვეუბნები, „თქვენი წერილი მივიღე. დიდი მადლობა.“ აკი გითხარით უკვე, თვითონ მომწერა — დამემშვიდობე, სანამ არდადეგებზე წახვალ, იქნებ მეტი ველარც გნახო. „წერილის გამოგზავნა აბა რა საჭირო იყო, ჩემითაც გინახულებდით.“

„ერთი აქ ჩამოჯექი“, — მოხუცმა ლოგინის კიდეზე მიათითა. დაჯექი. „გრიპის საქმე როგორაა, სერ? ვერაა კარგი ამბავი.“ „ჩემო კარგო, მე აწი კარგად თუ ვიგრძნობ თავს, ესე იგი დროა ექიმს გამოვუძახო“, — მეუბნება. მერე საკუთარ ენამახვილობაზე ლამის ჩაბჟირდა. როგორც იქნა, თავს კონტროლი გაუწია, წელში გაიმართა და მეუბნება: „ფეხბურთზე რატომ არა ხარ? მეგონა დღეს დიდი რამ თამაში იყო.“

„არი, როგორ არა. მეც ვიყავი. სულ ახლახანს ჩამოვედი ნიუ-იორკიდან, მოფარიკავეებთან ერთად.“ ღმერთო, ქვასავით საწოლი ქონდა.

უცბად მოიღუშა. ვიცოდი, ასეც იზამდა. „მაშ, გვტოვებ, არა?“ — მეკითხება.

„დიახ, სერ. მგონი ეგრეა.“

როგორც წესი და რიგია, თავის ქნევას მოჰყვა — ღრმა სინანულის გამოსახატავად. ოღონდ ეგეთი გაშმაგებული თავის კანტური სხვა ვინმეს შეძლებოდეს, ჩემს დღეში არ მინახავს. ან თუ თავისას ფიქრობდა რაღაცას, ან სულაც სიბერემ უწია და ჟამი-ჟამ აზრზეც არ იყო, რას შვებოდა.

„რადღოქტორმა თერმერმა — რა მინდაო? გავიგე, დიდხანს შერჩენილხარ მის კაბინეტში.“

„კი, ეგრე იყო. ორი საათი მაინც მაყურყუტა თავისთან.“ „მერე, რა გითხრა?“

„ასეო, ისეო, ხომ იცი, ცხოვრება თამაშიაო და მთელი ამბავი. მერე კიდე, ამ თამაშის წესები ყველამ უნდა დაიცვასო. წყობიდან არ გამოსულა, უბრალოდ ჭკუას მარიგებდა, თავის ჭკუაში. ხომ გესმით.“

„ეს კი მართალი უთქვამს, ხომ იცი. ცხოვრება მართლა თამაშია და წესებიც უნდა დაიცვა.“

„ვიცი, როგორ არა.“

თამაში არა, ის კიდე... გავკარი ეგეთ თამაშს... თუ არჩევანი შენგეა და მაგრებში მოხვდი — ხო კაი, თუ არადანი გერგო და კაცი არა გყავს მხარში ამომდგომი, მაშინ რაღას შვები? რაღა დაგრჩენია? ჩემი ფეხები.

„თერმერმა უკვე შეატყობინა შენს მშობლებს?“ — მოხუცი სპენსერი მეკითხება.

„მითხრა, ორშაბათს ვაპირებ მივწერო.“

„შენ ჯერ არაფერი მიგიწერია?“

„არა, სერ. ოთხშაბათს ჩავალ და ბარემ თვითონ ვეტყვი.“ „მერე, გაუხარდებათ გკონია?“

„რა გითხრათ... მაგრა არ ესიამოვნებათ“, ვეუბნები. „უკვე მეოთხე სკოლას ვიცვლი.“ ახლა მე მოვყევი თავის ქნევას. ვაქნევ და ვაქნევ. „ასეა“, — ვამბობ. ვამბობ და ვამბობ. „ასეა და...“ — სამჯერ თუ ოთხჯერ მაინც გავიმეორე. არ ვიცი, სიტყვების მარაგი არ მყოფნის თუ მართლა ბავშვურად ვიქცევი ხოლმე ხანდახან. მაშინ თექვსმეტი წლისა ვიყავი, ახლა უკვე ჩვიდმეტის, მაგრამ ზოგჯერ მაინც ბავშვითა ვარ. მაზალო რამეა, ღმერთმანი, — მეტრა ოთხმოცდაათს ვუწევ და თმაშიც ჭაღარა მაქ გარეული. მართალს გეუბნებით — მარჯვენა საფეთქელი სულ გადათეთრებული მაქვს. ბავშვობიდან ასე

ვარ. არადა თორმეტი წლისასავით ვიქცევი ხოლმე. ყველა მაგას არ მეუბნება? მამაჩემი კიდე განსაკუთრებით. სადღაც მართლები არიან, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე. ხალხს კიდე გონია, როგორც იმათი თვალი ხედავს, ყველაფერი ისეა ამ ქვეყანაზე. მე, ჩემდათავად, მეტი დარდი არა მაქ, ოღონდ ხანდახან კი მართლა გულს მიწყალებენ ხოლმე ასაკის შესხენებით. ბოლობოლო, ხომ გითხარით, არც მთლად ეგრეა-მეთქი საქმე — ზოგჯერ მთლად ზრდასრულივით ვიქცევი, ოღონდ ხალხი ამას ვერც ამჩნევს. საერთოდ, ხალხი რას ამჩნევს რო?

მოხუცი სპენსერი თავის კანტურს განაგრძობდა, ოღონდ ყველა სიკეთესთან ერთად, ახლა ცხვირის ჩიჩქნასაც მოჰყვა. ეტყობა იფიქრა, მარტონი ვართ და არა უშავსო. მე რა, მაგრამ მაინც უსიამოა, კაცი რო ასე გამოშტერდება.

მერე უცბად ასეთი რამ დააბრეხვა, სიტყვასიტყვით: „პატივი მქონდა შენი მშობლები გამეცნო, დოქტორ თერმერს რომ ეწვივნენ გასასაუბრებლად. ღირსეული ხალხია, მე და ჩემმა ღმერთმა“. „დიახ, სერ. არიან, კი. ნამდვილად.“ აი ეს მესმის. ღირსეული ხალხი. ასეთი რამის გაგონებაზე სულ პრუწუნი მინდება. აზრზე მოდით, რა გამოთქმები არ მოსდით ხოლმე თავში. ყალბეყალბი. ანაზდად ბებერმა სპენსერმა ისეთი სახე დაიყენა, თითქოს რაღაცა ძაან ბრძნული და ჩემთვის სასიკეთო მოაფიქრდაო, სავარძელშიც გაიჯგიმა და იმ თავის ეთლენთიქ მანსლის წამოავლო კიდეც ხელი, ოღონდ სულ ტყუილად. მეტი რომ ველარაფერი იღონა, ჟურნალი მოისროლა ლოგინისაკენ, მაგრამ ააცილა. სულ ერთი ბეწოთი, მაგრამ მაინც ააცილა. წამოვდექი, მუხლზე დავიფერთხე და ლოგინზე დავდე. აი, მაშინ უკვე მიღალატასავით ნერვებმა და აქედან დროზე უნდა დავახვიო-მეთქი, გავიფიქრე კიდეც, რადგან აშკარად რაღაც დიადი შეგონების გამოფრქვევას ეპირებოდა. დიდი ამბავი. მაგას კიდე გაუძლებდა

კაცი, ოღონდ ამ წამლების სუნმა და ბებერი სპენსერის დაფხავებუ-
ლი ხალათის, და დალაქავებული პიჟამის, და გაცრეცილი სახის ყუ-
რებამ მომიღო ბოლო. გუმანმა არ მიმტყუნა. „მაინც რა გემართება,
ყმაწვილო?“ მეკითხება მკაცრად. „რამდენი საგანი გქონდა ამ სე-
მესტრში ჩასაბარებელი?“

„ხუთი, სერ.“

„და რამდენში ჩაგჭრეს?“

„ოთხში.“ საკუთარ უკანალს ცოტათი ადგილი მოვუნაცვლე.

ამისთანა ჩაქვავებულ ლეიბზე ჯერ არ ვმჯდარვარ, ღმერთმანი.
„ინგლისური უპრობლემოდ ჩავაბარე“ — ვეუბნები. „ბოლო-ბოლო
მთელი ეს ბეოვულფები და ლორდ რენდალები ჯერ კიდევ ვუტონის
სკოლაში დავამულამე. პრინციპში, ბევრი აღარც არაფერი მქონდა
საზუთხი, მართო თემები უნდა მეწერა შიგადაშიგ.“

არც კი მისმენდა. ასე ჩვეოდა ხოლმე, წესიერად არც გისმენდა,
რას ეუბნებოდი.

„სრული უვიცი იყავი და იმიტომაც ჩაგჭერი ჩემს საგანში.“ „გასა-
გებია, სერ. რა გასაკვირია, სხვა რა უნდა გექნათ.“ „სრულიად არა-
ფერი, ანუ ვერც ვერაფერი“. მერე ისევ დაამატა: „სრული უვიცი, დი-
ახ“. აი ეს მაგიჟებს — კაცს ეთანხმები და ის მაინც თავისას მიერეკე-
ბა. ახლა მესამედ დაატრიალა: „დიახ, სრული. საერთოდ მეეჭვება,
ისტორიის სახელმძღვანელო ერთხელ მაინც გადაგეშალოს ამ მე-
ოთხედში. როგორა?.. სიმართლე მითხარი.“ „ერთი-ორჯერ კი გა-
დავხედესავით“, — ვეუბნები. არ მინდოდა გული ტკენოდა.

ისტორიის საგანი მაგისტრის ყველაფერი იყო.

„მაშ, გადახედესავით, არა?“ — სიტყვას მიბრუნებს, თან ძაან დამ-
ცინავად. „აბა ერთი თქვენი საგამოცდლო ნაშრომი მიბოძეთ... ეგე-
რაა, თაროზე.“

აი ეს კი ნაღდად წელს ქვემოთ დარტყმა იყო, მაგრამ რა მექნა —
ავდექი და მოვუტანე. მერე ისევ იმ ქვის საწოლზე ჩამოვჯექი. აბრზე

არა ხართ, როგორ ვნანობდი — რა გამომშვიდობებობანა და ეგეთები ამიტყდა-მეთქი.

ბებერი სპენსერი კიდე ისე აზიზად ატრიალებდა ხელში ჩემს რვეულს, თითქოს გამხმარი ფუნა ყოფილიყოს ან რამე ამდაგვარი. „მაშ ასე, ეგვიპტელებს ჩვენ ნოემბრის ოთხსა და დეკემბრის ორ რიცხვს შორის ვეცნობოდით. თქვენ, ყმაწვილო, თავად აირჩიეთ ეს თავისუფალ თემად. ახლა, გნებავთ თქვენი ნააზრევი წავიკითხოთ?“ „არც ისე, სერ. თუ წინააღმდეგი არ იქნებით.“

„ვიქნები, როგორ არ ვიქნები!“ — და მოჰყვა და მოჰყვა. ახლა მაგას რაღა გააჩერებდა — საზოგადოდ, თუკი ნაღდი მასწავლებელი რამეს ამოიჩემებს, თავისას ყოველთვის გაიტანს.

„ძველი ეგვიპტელები თეთრკანიანთა უძველესი რასა იყო და ჩრდილო აფრიკაში სახლობდნენ. აფრიკა კიდე, მოგეხსენებათ, უდიდესი კონტინენტია აღმოსავლეთ ნახევარსფეროში.“

მე კიდე უნდა ვმჯდარიყავი და მთელი ეს აბდაუბდა მესმინა. მაგარი დარტყმა კი გავუშვი, ღმერთმანი.

„ეს მეგვიპტელნი მრავალმხრივ საინტერესონი არიან ჩვენთვის დღევანდელი გადასახედიდან. თანამედროვე მეცნიერებას ჯერაც ვერაფრით აუხსნია, რა კომპონენტებს იყენებდნენ ისინი თავიანთი მკვდრების შესაფუთად ისე, რომ საუკუნეების განმავლობაში გვამები არ ღპებოდა და არც არაფერი. გამოცანა ესე ნამდვილი გამოწვევაა XX საუკ. მეცნიერთათვის.“

კითხვა შეწყვიტა და რვეული გადადო. უკვე ალაღად მეჯავრებოდა ეს კაცი. „ნაშრომი ესე, ასე ვთქვათ, აქ მთავრდება“. დაცინვას კაცი არ მოუკლავს, მაგრამ უკვე ხანმოთეული ადამიანისაგან ამგვარი რამის მოსმენა მაინც ნამეტანი იყო. „მაგრამ არის

კიდევ ერთი პატარა მინაწერი, თუ გახსოვს, ფურცლის ბოლოში.”
„მახსოვს, როგორ არა.” – ვეუბნები, თან ძაან სწრაფად, იქნება და
მაგის წაკითხვისაგან მაინც შეიკავოს-მეთქი თავი. გაგიგიათ?! იშტა-
ზე იყო მოსული. ისევ გადაშალა:

ღრმად პატ. მისტერ სპენსერ!

(დაყენებული ხმით კითხულობდა, მთელი გრძობით) სულ ესაა
რაც მაგ მეგვიპტელების თაობაზე გამიგია. ვერც მაინცადა-მაინც
დავინტერესე საკუთარი თავი, თუმცა თავად თქვენი ლექციები
უდავოდ საინტერესო იყო, ვაღიარებ. ნიშანს თუ არ დამიწერთ, გუ-
ლი არ გამიტყდება, რადგან მაინც ყველაფერში ჩამჭრეს, ინგლისუ-
რის გარდა.

სრული პატივისცემით და ა. შ.

ჰ. კ.

ახლა ისეთი სახით გადადო ის ოხერი რვეული, თითქოს პინ-
გპონგში ან რამე ეგეთში მოეგოს ჩემთვის ნაძლევი. ნაღდად არა
მგონია, როდისმე მაინც მოვახერხო და ეს შეცოდება შევუნდო. თვი-
თონ მაგას რო დაეწერა ეგეთი სიბრიყვე, მე ხო ნაღდში არ წავუკით-
ხავდი. თანაც ეგეთი თვითკმაყოფილი სახით. ბოლო-ბოლო, ეგ მი-
ნაწერიც სწორედ იმიტო გაუუკეთე, გულში ხინჯად არ ჩარჩენოდა
ჩემი ჩაჭრის ამბავი.

„ახლა, აქეთ ხომ არ მადანაშაულებთ თქვენი ჩაჭრის გამო, ყმაწ-
ვილო?” – მეკითხება.

„არა, რას ბრძანებთ! ეგ რამ გაფიქრებინათ, სერ?” – ერთი ეგ
„ყმაწვილო” მაინც რო ვერაფრით მოიშალა...

ისევ სცადა ლოგინზე გადმოეგდო ჩემი ნაცოდვილარი და ისევ
ააცილა, ცხადია. ისევ ავდექი და ისევ ისე ავიღე და ისევ იმ ჟურნალს
ზემოდან დავადე. მაგარი მოსაბეზრებელია ყოველ ორ-სამ წუთში
ერთი და იგივეს კეთება.

„არა, შენ მაინც რას იზამდი ჩემს ადგილას?“ – მეკითხება. „ალაღად მითხარი, ყმაწვილო.“

აი, ხომ ხედავთ, მართლა ეკლად ესობოდა ეგ ჩემი გარიცხვა. ეგონა, თავისი წილიც ედო ამ ამბავში. ხოდა მეც ავიქაფე ენა: ასე და ისე-მეთქი, მართლა ბრიყვი ვარ და უმადური, თქვენს ადგილას ყველა ეგრე მოიქცეოდა-მეთქი; საზოგადოდ, ხალხი ჯეროვნად ვერც აფასებს პედაგოგის მძიმე შრომას, და ა. შ. და ა. შ. მოკლედ, მოვხსენი გუდას პირი.

ცირკი ის იყო, ერთს ვამბობდი და სულ სხვა რამე კი მიტრიალებდა თავში. მე ხომ ნიუ-იორკიდან ვარ და ახლა იმას ვფიქრობდი, სენტრალ-პარკში, სამხრეთ მხარეს რო ტბაა, თუ გაყინული დამხვდა და მაშინ იქაური იხვეები რაღას იზამენ-მეთქი. საერთოდ, ვერც ვერასოდეს გამეგო, როგორ უნდა ეცხოვრათ იხვეებს გაყინულ ტბაზე. იქნება და ვინმე ჩამოუვლიდა ხოლმე ფურგონით, ერთიანად წამოკრეფდა და ან ზოოპარკში წაასხამდა ან სადმე. ან იქნებ სულაც სადმე მიფრინავდნენ, ცხელ ქვეყნებში.

მოკლედ, კარგად გამოვძვერი. აქეთ ბებერ სპენსერს ვაბოლებდი, იქით იხვეებზე ვფიქრობდი. მაბალო რამეა. დიდი ტვინის ჭყლეტა სულაც არაა საჭირო, როცა ვინმე მასწავლებელს ელაპარაკები; ოღონდ ერთი ცუდი ზნე სჭირთ – უცბად შეგაწყვეტინებენ ხოლმე, სულ რომ არ მოელი, მაშინ.

„და ახლა რა გუნებაზე ხართ, ყმაწვილო, ერთი ეგ მითხარით?“ „გარიცხვის ამბავზე მეუბნებით?“ – თან თავში გამკრა, იქნებ ეგ ძვალტყავა მკერდი მაინც დაიფაროს, ვერაფერი სანახავია-მეთქი. „თუ სწორად გავიგე, არც ვუტონის სკოლაში გაკლდა პრობლემები და არც ელკტონ-ჰილში. ეგრეა?“ – დამცინავ ტონს ვილა ჩივის, ახლა უკვე რაღაც გესლიანადაც კი ჩამეკითხა.

„ელკტონში დიდი არაფერი, ასე ვთქვათ, საკუთარი ნებით წამოვედი იქიდან.“

„მერედა რატომაო, შეიძლება ვიკითხოთ?“

„აბა რა გითხრათ, გრძელი ამბავია, მოყოლაც კი გამიჭირდება, სერ“. — მიდი ახლა და აუხსენი ამას, რატომ და რისთვის. მაინც ვერ გაიგებს. არაა მაგის საქმე. მთავარი კი ის იყო, ელკტონ-ჰილის სკოლა რო სულ ტრაკილოკიებით იყო სავსე. ეგაა მთელი ამბავი. ერთი გენახათ, რას იტყლარტებოდნენ! მაგათი დირექტორი, ვინმე ბატონი ჰაასი კიდე იმისთანა გოთვერანი ვინმე იყო, მაგის სწორი ცხოვრებაში არავინ შემხვედრია. ამ ჩვენს მოხუც თერმერზე ათჯერ უარესი. კვირაობით მოსანახულელებლად ჩამოსულ მშობლებს სათითაოდ ჩამოუვლიდა ხოლმე და თავისებურად აბოლებდა. მაგრამ თუკი ვინმეს მეტისმეტად ხანშიშესული ან ნამეტანი უბრალოდ ჩაცმული ან ეგეთის ვინმე მოაკითხავდა, მტრისას! ორ თითს გაუწვდიდა ჩამოსართმევად და მერე იქვე ვინმე სხვას გაუბამდა საათიან ლაყაფს, ამათ კიდე ზედაც აღარ შეხედავდა, თუნდაც მართლა მისთვის ჰქონოდათ რამე სათქმელი. აი, ეგეთებს ვერ ვიტან. მაჟრიალებს მაგათი შემყურე. ელკტონ-ჰილშიც სწორედ მაგიტო აღარ დამედგომებოდა.

ბებერმა სპენსერმა კიდე მითხრა რაღაც, მაგრამ წესიერად ვერც გავიგონე, იმ ჩემისა ჰაასზე ვფიქრობდი. „რა ბრძანეთ, სერ?“ — ჩავეკითხე.

„გული მაინც სულ არაფერზე გწყდება? პენსიდან წასვლაზე გეუბნები.“ „რამე რო იყოს, კი, როგორ არა... ოღონდ ჯერ მთლად ამრზე ვერ მოვსულვარ, ალბათ. ან იქნებ დროა საჭირო, რაღაცის დაკარგვა რო მართლა შეიგრძნო. ახლა მხოლოდ ოთხშაბათი დღე მიტრიალებს თავში, სახლში რო ჩავალ. ცოტათი მართლა წავიშტერებ, ეტყობა.“

„გინდა მითხრა, საკუთარი მომავლის ამბავი საერთოდ არ განადვლებს, ყმაწვილო?“

„კი, როგორ არა — ცოტათი როგორ არ მანადვლებს, ოღონდ...“ — აქ კი ძაან-ძაან ჩაფიქრებული სახე მივიღე, — „როგორ გითხრათ და, არც მთლად იმდენად.“

„ეგ დროც მოვა, ნახავ თუ არა“, — ბებერი სპენსერი მეუბნება. „ოღონდაც გვიან იქნება თითზე კბენანი.“

დამიწყო ახლა. სულ არ ჩამომწერა ცხოვრებაში?

„ალბათ ეგრეც იქნება, სერ. მართალი ხართ.“

„მინდა ყურები გამოიბერტყო, ყმაწვილო... მინდა ჩემდაწილად მაინც დაგეხმარო რამით. მართლა მინდა.“

უნდოდა, კი. ვინ ამბობს, არაო. ოღონდ გაღმით ის იყო და გამოღმით მე.

„მესმის, სერ. მაგდენი კი მესმის.“ — ვეუბნები. „მადლობა დიდი. მართლა მადლობელი ვარ თქვენი.“ მერე ლოგინიდან წამოვიწიე, მართლა აღარ შემეძლო იმ ხრეშზე ჯდომა. „ახლა კი უნდა დაგემშვიდობოთ, სერ. მთელი ჩემი რამეები სპორტდარბაზში დავტოვე. უნდა წამოვიღო და ჩავლაგდე. დროა უკვე.“ ქვეშ-ქვეშ გამომხედა და ისევ თავის კანტურს მოჰყვა, ღრმააბროვნად. უცაბედად მართლა შემეცოდა, მაგრამ არც იქ დარჩენა შემეძლო მეტხანს — მთელი ეს გაღმა-გამოღმა ყოფნა და ყოველ ჯერზე მაგის მიზანსაცდენილი რაღაცეების იატაკიდან აკრეფა და დაფხავებულდალაქავებული ხალათი მაგის გაძვალტყავებულ-ჩავარდნილ მკერდზე და წამლების ქოთი და რა ვიცი, კიდე რა არა...

„იცით, სერ... ჩემზე ნუ იღარდებთ.“ — ვეუბნები. „მართლა გეუბნებით, როგორმე ვუშველი თავს. უბრალოდ, ახლა ეგეთ დინებაში ვარ მოხვედრილი. ყველა ხვდება ხოლმე რაღაც დინებაში და თვითონ უნდა გამოაღწიოს იქიდან.“

„არ ვიცი, აბა... არ ვიცი რა გითხრა.“

კარგი რა. რა უნდა მითხრა იმისთანა. „ასეა, სერ. დარწმუნებული იყავით,“ — ვეუბნები. „თითოჯერ ყველას წაუსცდება ხოლმე ფეხი. ჩემზე კი ნუ სწუხართ.“ — ლამის იყო, მხარზე მოვუთათუნე ხელი. „აბა, კარგად მეყოლეთ, სერ.“

„ცხელი შოკოლადი მაინც დაგველია, ჰა? ცოლს გავძახებ...“ „ვე-
ლარ მოესწრება, სერ... უნდა წავიდე. დიდი მადლობა ყველაფრის-
თვის.“

ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს, კაცურად. თუმცა ამაზე ნაღ-
ვლიანი გამომშვიდობება ჯერ არავისთან მქონია.

„ერთი-ორ სიტყვას მაინც მოგწერთ ხოლმე, სერ. თქვენ კი თავს
გაუფრთხილდით, დიდი ვერაგი რამეა ეგ გრიპი.“

„კარგად მენახე, ჰოლდენ.“

კარი რომ გამოვიხურე და დერეფანში გავედი, რაღაც კი მომაცა-
ხა ისევ იმ ხაფი ხმით, მაგრამ კარგად ვერ გავარჩიე. ალბათ აბა, შენ
იცო, ან რამე ამდაგვარი. ეგეთ რამეს ჩემს დღეში არ მივაცახებ ვინ-
მეს ზურგში. რო დაუფიქრდე, ამაზე იდიოტური რა სიტყვა უნდა და-
უგდო კაცს.

3.

ჩემისთანა ქოსატყუილა არავინ გენახოთ — საშინელებაა, ღმერთმანი. ქუჩის იქითა მხარეს რო გადავდიოდე რამე ჟურნალის საყიდლად და ვიღაცამ მკითხოს, საით გაგიწევიაო, ჭკუა კი არ დამიშლის ვუთხრა — ოპერაში-მეთქი. ნორმაში ზის ახლა ეს? ბებერი სპენსერიც როგორ დავასიაბანდე — სპორტ-დარბაზში ვარ გასავლელი-მეთქი... რა მრჯიდა?

პენსიში სწავლისას, ვინმე ოსენბერგერის სახ. ახალ საერთო საცხოვრებელში მედო ბინა. უფროს-უმცროსკურსელები იქ ერთად ვიყავით გამწესებული. მე უმცროსკურსელებში ვირიცხებოდი, ჩემი მეწყვილე კი უფროსკურსელი იყო. ეს ოსენბერგერიც თავის დროზე პენსიში სწავლობდა თურმე. მერე დამკრძალავი ბიურო გახსნა და ოხრად ფული იშოვა; მერე ამაზე არ გაჩერდა და მთელ შტატს მოაფინა თავისი ბიუროები. რა გინდა, რა — მოგიკვდა ვინმე, გადაუხდი ხუთ დოლარს და არაფრის დარდი არა გაქვს, ბ-ნი ოსენბერგერის ხალხი მიხედავს ყველაფერს. მაგარი ბიზნესია. ტომარაში თუ უკრავს თავს მიცვალებულებს და მდინარეში გადაუძახებს ხოლმე — არ ვიცი, ოღონდ ეტყობა, სინდისის გასარეცხად მშობლიურ სკოლასაც გადმოუგდო რაღაცა, ამათაც კიდე აიღეს და მთელ შენობას დაანათლეს მაგისი სახელი. საფეხბურთო სეზონის გახსნაზეც გვეწვია — საკუთარი, გრძელბე-უგრძესი კადილაკით ჩამობრძანდა, ჩვენ კიდე აქეთ-იქით ჩამოგვამწკრივეს და სულ ვაშა-ვაშა გვაძახებინეს, ალტაცების ნიშნად. ეგ არაფერი, ოღონდ მეორე დღეს კი დილაუთენია შეგვყარეს ეკლესიაში და ბ-ნმა ოსენბერგერმა სეფე-სიტყვა წარმოთქვა — ასე, ხუთსაათიანი, მეტი არა. ჯერ ოცამდე რაღაც უკბილო ანეკდოტს მოგვიყვა — აქაოდა, მეც ერთი უბრალო ბიჭი ვარ, თქვენთანო. ვინაა მაგის მჭამელი... მერე კიდე დაიწყო მარა რა

დაიწყო — მეო, იძახდა, როცა ცუდ დღეში ჩავვარდებოდი, არასოდეს მცხვენოდა მუხლებზე დავმდგარიყავი და მელოცაო. თქვენც გეუბნებით — პირდაპირ ღმერთს აღუვლინეთ თქვენი თხოვნა და მოგეგებათო. ალაგობრივ. ბებია უცხონდა. დაგვაბოლა რა, თავის ჭკუაში. მერე ხო მოყვა და მოყვა — იესო ჩვენი ძმაა, დღეყოფელ უნდა გაანდოთ თქვენი ზრახვებით; მე თვითონო — პირდაპირ ასე თქვა — მანქანის საჭეს რო ვუზივარ, მაშინაც იესოს ვესაუბრებიო. აი, მანდ კი ლამის გავთავდი: ერთბაშად წარმოვიდგინე, ეგ გაქსუებული ნაბიჭვარი რო მეოთხეში აგდებს სიჩქარეს და თან მაცხოვარს შესთხოვს — შემეწიე, იქნება ცოტა მეტი მკვდარი გამომიგზავნო ჩემს ბიუროებშიო...

ამ ვაიქადაგების შუაწელს კიდე არა უშავდა რა — ის იყო, საკუთარ თავს გადასწვდა უფ. ოსენბერგერი — რა ჯიგარი ვინმე ვარ, რა გამტანი, რა სიტყვაკაცო — და ამ დროს ამ ჩემის ცოდვით სავსემ, ერთმა ჩემმა თანაკურსელმა, ვინმე ედგარ მარსალამ არ ბუთქა გვარიანი?! არა, ეგ მარსალა რო ბრიყვია და ეგეთი რამე ტაძარში არ უნდა მოგივიდეს, ეს ერთია და მაგრა რო გაართყა მომენტში — ეგ კიდე მეორე! თან ისეთი ხია, ლამის გუმბათი აწია ჰაერში... როგორღაც მოახერხა ხალხმა და ხარხარი არავის ატყდომია, ღირსპატივსაცემმა უფ. ოსენბერგერმაც წაუყრუა, მაგრამ ბებერი თერმერი, დირექტორი, იქვე ეჯდა გვერდით, კათედრაზე და იმან კი იცოცხლე, მშვენივრად გაიგონა ყველაფერი. ღმერთო, რა სახე დაკერა! ცხოვრებაში არ დამავიწყდება. მაშინ ხმა არ გაუღია, ოღონდ მეორე დღეს რაღაც კლასგარეშე მეცადინეობა მოიგონა, მთავარ კორპუსში შეგვყარა ყველა და მიუშვა ლაგამი. რა გააჩერებდა. ასეო და ისეო, მე თქვენ გიჩვენებთ სეირსო, ეკლესიაში რომ ბავშვი ამას იკადრებს, პენსის სკოლაში იმას როგორ დაედგომებაო და მისთანანი. ბევრი ველრიჯეთ ედი მარსალას, რას არ შევპირდით, მაგრამ ეგ ამბავი იქვე, თერმერის დამუნათების დასტურად ველარაფრით გავამეორებინეთ. რაღაც ხასიათზე ვერ იყო. ახლა ხო აზრზე ხართ, ვინ ჩემის

ოსენბერგერის სახ. საერთო საცხოვრებელშიც ვსახლობდი პენ-სიში სწავლისას...

მოკლედ, ბებერი სპენსერისაგან არაქათგამოცლილმა სწორედ იმ ჩემს ოთახში შევაბიჯე და ძაანაც მეამა რო მთელ სართულზე სიჩუმე იდგა — ავი ფეხბურთზე გაკრეფილიყვნენ ყველანი, და გათბობა კიდე ჩართული დარჩენოდათ. ეს რაღაც მყუდროებასავით იყო რო მეამა, თორე სხვა რა. მერე ანორაკი გავიძრე, პერანგის საყელოც შევიხსენი და იმ დღეს ნიუ-იორკში ნაყიდი ქუდი ჩამოვიფხატე თავზე. ასე ვთქვათ, სანადირო ქუდი იყო, კვასკვასა წითელი, წინა მხარეს ჩამოგრძელებული. ეს უამინდობაში თვალების დასაცავად, ალბათ. მაღაზიის ვიტრინაში დავალივერე, მეტროდან რო ამოვედით და სწორედ მაშინ აღმოვაჩინე — მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა ვაგონში არ დამიტოვებია?! ბრაზიან გულზე ვიყიდე, სულ ერთ დოლარად. ქუდი უკუღმა მოვიტრიალე კეფაზე — ცოტა გოიმურად კი გამოვიყურებოდი, მაგრამ მაინც ასე უფრო მომწონდა. თავი ჩემია, ბოლო-ბოლო — როგორც მინდა, ქუდს ისე დავიხურავ. მერე წიგნი ავიღე და სავარძელში ჩავეშვი. სულ ორი სავარძელი გვედგა ოთახში: ერთი მე მეკუთვნოდა, მეორე — ჩემს მეწყვილეს — უარდ სტრადლეიტერს. გვერდებზე სახელურები სულ ჩაპრესილი ქონდათ, იმიტო რო ყველას ზედ უსწორდებოდა ჩამოსკუპება, მაგრამ მაინც არა უშავდა, ჯიგრულად რამ ჩასაჯდომი ავეჯი იყო.

ის წიგნი კიდე ბიბლიოთეკიდან გამომყვა, შეცდომით. სულ სხვა რამ გამოვიწერე და სხვა მომცეს; მე კიდე ვერაფერი შევნიშნე, რატომღაც. შავი აფრიკიდან ერქვა, ვიღაც აიზეკ დაინისენისა იყო. მეგონა, რამე ტვინის საჭყლეტი იქნებოდა, მაგრამ სულაც არა უშავდა რა, მშვენივრად იკითხებოდა. მე, ჩემდათავად, დიდი ვერაფერი ნაკითხი ვინმე ვარ — ჩემი უპირველესი საყვარელი მწერალი ჩემი ძმა დიბია, და მერე რინგ ლარდნერი. სწორედ დიბიმ მისახსოვრა დაბადების დღეზე რინგ ლარდნერის წიგნი, ზედ

პენსიში ჩემი გამგზავრების წინ. მაგარი სკეტჩები იყო შიგ და ერთი მოთხრობაც ვიღაც საგზაო პატრულზე — იმას ერთი ცეტი გოგო შეუყვარდება, ვისაც რომ სულ სადღაც აგვიანდება და მუდამ დიდი სიჩქარით დაჭენაობს ტრასაზე, ოღონდ პოლიციელი კი უკვე ცოლიანია, და ეგაა მთელი საქმე. მერე ის გოგო რაღაცას შეასკდება და დაილუპება, იმიტო რო წყნარ ტარებაზე აცრილი იყო. ლამის ცრემლებად დავიღვარე. ყველაზე უფრო კი ისეთი წიგნები მომწონს, შიგადაშიგ სასაცილო რამეებიც როა გარეული. კლასიკასაც ვკითხულობ, აბა რა — აი, მაგალითად, შინმობრუნებული², ანდა ვთქვათ, წიგნები ომებზე, ან დეტექტივები, მაგრამ ამეებზე დიდად არ ვგიჟდები. წიგნი ისეთი უნდა იყოს, რო ჩაათავებ, გინდა რო მაგის დამწერი შენი გადაბმული ძმაკაცი იყოს და როცა გინდა დაურეკავ, თუნდაც შუალამისას და შენს გემოზე ებაზრები. თუმცა ეგეთები მაინც ცოტაა. ამ ვიღაც აიბეკ დაინისენს კი გადაურეკავდა კაცი, და რინგ ლარდნერსაც, რაღა თქმა უნდა, ოღონდ დიბიმ მითხრა, ეგ უკვე გაღმაა გასული, მარილზეო... ამ ზაფხულს კიდე სამერსეტ მოემის ის წიგნი წავიკითხე — ადამიანურ ვნებათა ბორკილები. რას ერჩი. ოღონდ მაგასთან დარეკვა უბურშიც არ მომსვლია. რატო — არ ვიცი. უბრალოდ, ის ტიპი არ არი, ვისთან დალაპარაკებაც მომინდებოდა, ეგაა და ეგ. ისევ ჰარდი მირჩევნია. ის იუსთეიშა ვეი³ მართლა ერთის რამე ჰყავს გამჩენს. ასე იყო თუ ისე, ჩემი ახალი ქუდი დავიკოსე თავზე, სავარძელში მოვკალათდი და აფრიკაზე წიგნი გადავშალე. ერთი პირი უკვე წაკითხულიც მქონდა, ოღონდ რაღაც-რაღაც ადგილები მინდოდა გადამეკითხა. ის იყო, 2—3 გვერდი გავიარე და უცბად მესმის, ვიღაცა გამოდის საშხაპედან. გახედვაც არ დამჭირვებია — მივხვდი, ვინც იქნებოდა: რობერტ ეკლი, მეზობელი ოთახიდან. ორ ოთახზე თითო შხაპი გვექონდა, და ეგ ჩემისა დღეში ათჯერ მაინც შემობლაყუნდებოდა ხოლმე ჩვენსას. ჩემს გარდა ეგ ეხლა

² ინგლისელი მწერლის, ტომას ჰარდის რომანი (1878).

³ ტ. ჰარდის რომანის გმირი ქალი.

ერთადერთი იქნებოდა ალბათ, ვინც ფეხბურთზე არ წასულიყო. საერთოდ არსად არ დადიოდა. მაგარი უცნაური ვინმე — ოთხი წელი გაატარა პენსიში, უფროსკლასელი ეთქმოდა უკვე და მაინც ყველა პირდაპირ ეკლის ეძახდა. მის მეწყვილეს, ჰერბ ჰეილისაც კი თავში არასოდეს მოსვლია ბობი ან ეიკი დაეძახა მისთვის. ეგ თუ ოდესმე მაინც დაოჯახდა, დარწმუნებული იყავით, ცოლიც ეკლიო — ასე გაძახებს. ერთი აყლაყუდა ვინმე იყო და სულ ჩაყვითლებული კბილებით დაიარებოდა. ერთხელაც არ მინახავს კბილებგახეხილი. სასადილოში კიდე ყველაფერს ერთად იყრიდა პირში და ყველა სიკეთესთან ერთად, სახეც სულ ფერიჭამიებით ქონდა დაწერტილი, ხასიათიც — შესაფერისი და გაიკვირვებთ ახლა, რალაც მთლად გულზე თუ ვერ მეხატებოდა!

ზურგის ტვინით ვგრძნობდი, კარის ღრიჭოდან იჭყიტებოდა — ჩითავდა, სტრადლეიტერი თუ იყო სადმე ახლომახლოში. სტრადლეიტერს ვერ იტანდა, არაფრით შემოვიდოდა, ეგ თუ შინ იყო. საერთოდ, ვის იტანდა, რო?

ახლა კი დრო იხელთა, შემოვიდა და დამადგა თავზე. „გაუ“, — მეუბნება, ოღონდ ჯარისკაცული შემართებით კი არა, უფრო მსოფლიო სევდით შეპყრობილის ხმით. სულ ასე გესალმებოდა — აქაოდა; არ იფიქრო, შენი ნახვა გამიხარდაო. ისეთ სიფათს დააწყობდა ხოლმე, თითქოს კარი შეეშალა და ისე მოჰყვა ამ გაუგებრობაში.

„გაგიმარჯოს, თუ გინდა.“ — ვეუბნები, ოღონდ თავიც კი არ ამიწევია, ისე. ეკლისთანებს თუ თავი გაუყადრე, მერე მეყოლე ვარდივით — მთლად არარაობად ჩავთვლიან. არა, აზრს კი არ შეიცვლიან შენზე — უბრალოდ, უფრო სწრაფად ჩამოგწერენ და ეგაა.

მერე ოთახში ბოდიალს მოჰყვა. ზანტად, ვითომ გულსგარეთ აიღებდა რალაც ნივთს, დახედავდა, ვითომდა ფიქრებში ძაან-ძაან ღრმად წასული, სულ სხვა ადგილას დადებდა... მოკლედ,

ნერვებზე თამაშობდა. „მაგრა იფარაკავეთ?“ — მეკითხება. სულ ფეხებზე არ კიდია? უბრალოდ, უნდა რო კითხვა შემაწყვეტინოს და ხასიათში ჩამისვაროს და რამე... „მოვიგეთ?“ — ისევ მეკითხება. „არავის არაფერი არ მოუგია,“ — ვეუბნები. თავაუწევლად. „ეგ როგორ?“ — შანსი არაა, აუცილებლად ორჯერ უნდა მათქმევინოს სათქმელი. ეგეთი უჭირავს.

„არავის მოუგია-მეთქი, ხომ გითხარი.“ მაინც გავხედე — ერთი ვნახო, რას უტრიალებს იმ ჩემს თაროს-მეთქი. იმ გოგოს სურათს დაცქეროდა, ვისთანაც ნიუ-იორკში დავიარებოდი, სალი ჰეიესი ერქვა. ერთი ხუთიათასჯერ მაინც ექნებოდა ეგ ფოტო თითებში ნატრიალები. და მერე ყოველთვის უადგილო ადგილას დებდა. ძალით მიშვებოდა, თავს დავდებ.

„როგორ თუ არავის მოუგია?“ — მეკითხება ისევ. „ეგ რანაირად?“

„ჩვეულებრივად,“ — ვეუბნები. „მთელი ჩვენი ბარგი-ბარხანა მეტროში დამრჩა.“ თან თვალს ვარიდებ.

„მეტროშიო?! მოკლედ, მიაკარგე — ეგრეა?“

„მხარი გვეცვალა. ყოველ წუთს ადგომა და იმ რუკის ჩითვა მიხდებოდა. ტვინი ამიდულდა.“

ზედ თავზე მადგა და სინათლეს მიჩრდილავდა. „მისმინე“, — ვეუბნები, — „ერთსა და იმავე ადგილს უკვე მეთექვრთჯერ ვკითხულობ.“ ეკლის გარდა სხვა ნებისმიერი მიმიხვდებოდა გადაკრულ ნათქვამს, მაგრამ მასთან ეგეთები არ გადიოდა. „როგორ ფიქრობ, გადაგახდევინებენ?“ — მეკითხება.

„კარგი რა — სულ ქინძზე მკიდია. ისე, ჩემი ეკლი-ბიჭი, იქნებ სადმე მაინც ჩამოგედო უკანალი, აქეთ მადლობელი დაგრჩებოდი. მეფარები, ვერა ხედავ?“ ვერ იტანდა, ბიჭის თუ დაუძახებდი, რადგან თვითონ თვრამეტი წლისა იყო და მე — თექვსმეტის. მეუფროსებოდა, თავის ჭკუაში.

არც კი განძრეულა. ეგეთებს მაგრა უჭირთ ადგილი მოიცვა-
ლონ, თუკი თხოვ, რომ სინათლეზე არ მოგეფარონ. ბოლო-ბო-
ლო კი გაიწევიან, ოღონდ დრო ჭირდებათ. მოსაფიქრებლად.

„მაგას რას კითხულობ?“ — მეკითხება, რას ერჩი.

„წიგნია, რა.“

არ დაიბარა, დაიხარა და ყდას ქვემოდან შეავლო თვალი.

„ვარგა რამედ?“

„რავი, რა გითხრა. აი მაგალითად, ეს ადგილი იმდენჯერ გა-
დავიკითხე, ნაღდად ველარ ამოვიგდე თავიდან.“ — მწარე ენა კი
მაქ, როცა მინდა, მაგრამ რა მერე — შეაყარე კედელს ცერცვი.
მაგისტანებზე არა ჭრის. ისევ ოთახში ბორიალს მოჰყვა და ხან
სტრადლეიტერის ნივთებს იღებდა ხელში, ხან ჩემსას. მოკლედ,
ფარ-ხმალი დავყარე, წიგნი იატაკზე დავდე და ეკლის უთავბო-
ლო მიმოსვლას ვადევნებდი თვალს. აბა მაგისტანა მასტი რო
დაგიდის ოთახში, რის წამკითხავი ხარ. შანსი არაა.

ვგრძნობ, ამ ნიუ-იორკიდან მგზავრობამაც სულ მომითავა
ხელი და უცბად ისეთი მთქნარება ამიტყდა, ლამის იყო ყბა ავი-
ხიე. სხვა რა ჩარა მქონდა, გამოსათხიზლებლად რაღაც სისულე-
ლეების კეთება დავიწყე: ჯერ იყო და ის ჩემი სანადირო ქუდი
წალმა შემოვიტრიალე თავზე, მერე თვალებზე ჩამოვიფხატე და
საერთოდ ველარაფერს ვხედავდი. „დედაო ღვთისავ!“ მოვრთე
მოთქმა-გოდება, „სულ დავბრმავდი! თვალისჩინი წამერთვა,
მგონი...“

„სულ გარეკე?“ — მეკითხება.

„მარტო არ დამტოვო!.. მომეცი ხელი...“

„მორჩი რა! რას ბავშვობ?“ — ეკლი მეუბნება. მე კიდე ჩემსას
მივერეკები: „ეს რა უკუნი ჩამოწვა უცებ! ხელი, ხელი მომეცი...“
ვმაიმუნობ, რაღა თქმა უნდა — კარგად ვიცი, ეგეთ რამეებზე მან-
დრაჟში ვარდება ჩვენი ბიჭი ეკლი, მაგრამ ყოველთვის რაღაც

სადისტურ გრძნობებს მიღვიძებდა ხოლმე ეგ ჩემისა. ეგეთი ხასიათი ქონდა. ბოლოს მაინც მოვრჩი, ქუდი შევიბრუნე და მოვეშვი. „ესა ვისია?“ — მეკითხება ისევ. მყესების დამცავი სამუხლე ეჭირა ხელში. ეგრე იცოდა, წარამარა რაღაცას დაავლებდა ხოლმე ხელს. ვეუბნები, ეგ სტრადლეიტერისაა-მეთქი. ხოდა იმანაც სტრადლეიტერის ლოგინზე მოისროლა. აბა თავის ადგილას ხომ არ დადებდა — გეკადრებათ?

მერე მივიდა და სტრადლეიტერის სავარძლის სახელურზე ჩამოჯდა. სავარძელში არასოდეს ჩაბრძანდებოდა, მაინცადამაინც სახელურზე უნდა მჯდარიყო. „ეგ ქუდი სად დაიადე?“ — მეკითხება. ვითომდა ძაან აინტერესებდეს.

„ნიუ-იორკში. არ მითხრა, მომწონსო.“

„რა მიეცი?“

„დოლარი.“

„გაუყვლეფიხართ და ეგაა.“ ახლა ფრჩხილების გამოწმენდას მოჰყვა, ასანთის ღერით. მაგარი ვინმე იყო, ღმერთმანი: კბილებგამოუხეხავი და ყურებგამოუწმენდავი დაიარებოდა, ფრჩხილებს კი უფრთხილდებოდა. ალბათ ფიქრობდა, ეგრე უფრო დახვეწილად გამოვიყურებო. მერე ისევ ჩემს ქუდს მიაგო პატივი: „ეგეთი ქუდით ჩვენში ირმებზე სანადიროდ დავდივართ.“ ძაან ამბავი კი მამცნო, ნამდვილად. — „ეგ ირმებზე სანადირო ქუდია.“

„რახან შენ იტყვი.“ მოვიხადე და აქეთ-იქიდან შევათვალეერე. მერე ხელის გაწვდენაზე დავიჭირე, ცალი თვალი მოვჭუტე და ისე გავხედე, თითქოს რამეს ვუმიზნებდი. „ხალხზე სანადირო ქუდია,“ — ვეუბნები. „ადამიანებზე სანადიროდ დავდივარ ამ ქუდით.“

„გარიცხვის ამბავი იციან შენებმა?“ — გადავიდა დაუკრეფავში. „ა-რაა.“

„ეგ სტრადლეიტერი კიდე სად გადაიკარგა?“

„თამაშზეა. თან სტრელი აქ ერთ გოგოსთან.“ — ვთქვი და ისევ მთქნარება ამიტყდა. უკვე ძაან ჩამოცხა ოთახში და ეგეც მიბიძგებდა ნანუნებისკენ. საერთოდ, ეგრე იყო მიღებული პენსიში: კლასებში გოგოვად და საძინებელ ოთახებში — გხუთავდნენ. „დიდ არს სტრადლეიტერი.“ — ეკლი ამბობს. — „მაკრატელი არა გაქ სადმე ახლოში?“

„არა. უკვე ჩაუბარგდი.“

„იქნებ ამოალაგო? მართო მაკრატელი მჭირდება, ერთი ფრჩხილი დამრჩენია მოსატრელი,“ — მეუბნება. ეგეთია. სულ ქინძვე ჰკიდია, შენ რა ჩაალაგე და რა არა.

გაგიკვირდებათ, მაგრამ მაინც წავედი ამოსალაგებლად.

ოღონდ კარადა რო გამოვადე, სადაც საკვოიაჟი მქონდა შეჩურთული, ჯერ სტრადლეიტერის ჩოგანი მომხვდა თავში — მძიმე რამე იყო, ხისგან გამოთლილი. კინაღამ გავცოფდი. ლამის იყო, ეკლი მიმეხრჩო. ეგ კიდე იდგა და ხვიხვინებდა ცხენივით. მაგარი იუმორის გრძნობა ქონდა — კაიფში ვარდებოდა, თუკი ვინმეს რამე მოხვდებოდა თავში. „მაგარი ხუშარა ვინმე ხარ, ეკლი-ბიჭი,“ — ვეუბნები. — „გინდა მენეჯერად დაგიდგე? რადიოში გამოგიყვან. სიცილით დახეთქავ ხალხს.“ ბოლო-ბოლო, ის წყეული მაკრატელიც ამოვიღე, მივეცი და ისევ სავარძელში ჩავასკდი. მერე ვხედავ, ერთს კი არა, ათივე ფრჩხილს იჭრის. „იქნება და მაგიდასთან გექნა?“ — ვეუბნები. „მერე ერთიანად მოხვეტავდი. ახლა გინდა შენს მოჭრილ ფრჩხილებზე ფეხშიშველამ ვიარო ამალამ?“ ყურიც არ გაუპარტყუნებია. მართლა იდიოტური მანერები აქვს. ნამდვილად. „ეგ სტრადლეიტერის ნაშა ვინდაა?“ — მეკითხება. სტრადლეიტერს დასანახად ვერ იტანს, მისი გოგოები კი აინტერესებს. „რა ვიცი. რა იყო რო?“

„ისე გეკითხები. ვერ ვიტან მაგ ძაღლის გაგდებულს. სუფთა პიდერია.“

„რას მეუბნები. იმას კიდევ მზე ამოსდის შენზე. მარტო შენ გხედავს და მზეს. სწორედ ასე მითხრა.“

„ძან ცხვირაბზუებული ვინმეა. დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე.“ — ეკლი მეუბნება. „ვერ ვიტან ეგეთებს.“

„მე კიდევ რატო უნდა აგიტანო, ძირს რო მიყრი საკუთარ ფრჩხილებს? მაგიდასთან დაიჭერი-მეთქი, არ გითხარი?“

ახლა მისი გაგიკვირდებათ და, მართლა მიუჯდა მაგიდას.

ოღონდ ისე რა, სასხვათაშორისოდ. მაგისთანას ყურში თუ არ ჩაყვირე, საერთოდ ფეხებზე დაგიკიდებს.

ერთხანობა კიდევ შეეცქეროდი მის ამ მუშაკობას, მერე ისევ მომაწვა რაღაც და ვეუბნები ისევ: „სტრადლეიტერზე იმიტო ხარ აღრენილი, მაშინ რო გითხრა — კბილებს ხანდახან გახეხვა უნდაო. ვერაფერი ხუმრობასავით კი გამოუვიდა, მაგრამ გუნებაში სულაც არ უნდოდა შენი წყენინება — უბრალოდ იფიქრა, შენთვისვე იქნებოდა უკეთესი, მართლა რო გამოგეხეხა კბილები, ხანდახან მაინც.“ „ვიხეხავ! ხანდახან კი არა, ძალიანაც ხშირად.“

„სიბანდობ. აზრადაც არასოდეს მოგსვლია,“ — ვეუბნები. ოღონდ ზიზღით არ მითქვამს, პირიქით — სადღაც სიბრაღულსავითაც კი ვგრძნობდი მის მიმართ, ღმერთმანი. კაცმა თქვას, ვის რაში ესიამოვნება თუ ეტყვი — კბილები გაქვს გასახეხიო. „სტრადლეიტერს კიდევ რა უჭირს, სხვას ჯობია,“ — ვეუბნები. — „უბრალოდ, არ იცნობ. ეგაა და...“

„მე კიდევ გეუბნები, პიდერია ნამდვილი. ძალღიშვილი.“

„კარგი, ვთქვათ ეგრეა, მაგრამ ბევრ რამეში მართლა ჯიგარია, ნამდვილს გეუბნები. ვთქვათ და, სიტყვაზე ვამბობ, სტრადლეიტერს რო პერანგი ეცვას ან რამე, შენ რო ძან-ძან გევასება — იცი, რას იზამს? — შეიძლება შეიძლება-მეთქი, გეუბნები — სულაც გაიხადოს და გაჩუქოს. მართლა. თან ისე კი არა, ხალხში — აიღებს და ლოგინზე დაგიგდებს, ან რამე ეგეთი. ოღონდ დაგიადებს კია, ნაღდად.“

„დიდი ამბავი,“ — ეკლი მეუბნება. — „მაგის ფული მომცა, იქნებ მეც ეგრე მოვქცეულიყავი.“

„არა, ეგრე არ იზამდი.“ — თავი გავაქნიე. — „არაფრით არ იზამდი, ეკლი-ბიჭი. შენ რო კიდე ფულიც გქონოდა, მთლად...“ „მორჩი ამ ბიჭის ძახილს! დებილი მამაშენის ტოლა მაინცა ვარ!“

„ნაღდად რო არა ხარ.“ გეუბნებით, ხანდახან მართლა და ტვინის ქერვა სჩვეოდა, ოღონდ კი რამეზე მოეყოლებინა, რომ თვითონ თვრამეტი წლისაა უკვე, თქვენ კიდე ყველანი — თექვსმეტის, და ჭკუაზე გადაგიყვანდა კაცს.

„მორჩი-მეთქი ამ...“

სწორედ ამ დროს კარი გაბრაახუნდა და სტრადლეიტერი არ შემოჯლიგინდა ოთახში? ყოველთვის ასე შემოვარდებოდა ხოლმე, დაფეთებულივით. სულ რაღაც დიდზე-დიდ საჩქარო საქმეებში იყო ხოლმე გახვეული. მეცა და დამიდა კისერში — ვითომ მომესალმა, რა, ისე, ჯიგრულად. „მისმინე,“ — მეუბნება, — „ამ საღამოს გადიხარ სადმე?“

„ჯერ არ ვიცი. რა იყო, რო? ეგ თოვლი საიდან?“ — მხრებზე სულ ფითქინა თოვლი ეყარა.

„გარედან. ისე ბარდნის, მიდი-მოვდივარ. მეც მაგაზე გეუბნები ანორაკს არ მასესხებ?“

„ჯერ ის მითხარი, მოვიგეთ?“ — სიტყვას ბანზე ვუგდებ.

„ჯერ მარტო ერთი ტაიმი ითამაშეს. ჩვენ კიდე ვითესებით. მოგვწყინდა. ბოლო-ბოლო, მომცემ ანორაკს თუ არა? ჩემი რაღაცით დავითხვარე, ხვალ გავწმინდავ.“

„ილღიებში არ გაგიძლებს,“ — ვეუბნები. — ორივე მხარეს გაირღვევა.“ მე და ეგ ერთი სიმაღლის ვიყავით, ოღონდ ჩემზე ერთიორად მძიმე მაინც იქნებოდა, ღმერთმანი.

„არაა, გავუფრთხილდები.“ — კარადას ეცა და გამოაღო. „როგორა ხარ, ეკლი-ბიჭი?“ — მუდამ ეგეთი თავაზიანი იყო,

ბლეფზე. ოღონდ სალამს კი მაინც ყველას ყოველთვის ასწრებდა.

ეკლიმ რაღაცა ჩაიბურტყუნა. სალამზე არ უპასუხია, ოღონდ არც მთლად ხმა არ ამოედო, ეგეც არ შეეძლო. უბრალოდ, ვერ გაბედავდა. მერე მე მეუბნება: „წავედი ახლა. კარგად მენახე.“ „კარგად.“ ეკლის წასვლა ეკლად ჯერ არავის დასობია გულზე. სტრადლეიტერი კი დაზმანვას განაგრძობდა. „იქნება ერთი სიფთაზე გამეპარსა კიდევც... ჰა, რას იტყვი?“ — მეუბნება. მართლა ძაან სწრაფად ეზრდებოდა წვერი. ხანდახან დღეში ორჯერაც კი იპარსავდა.

„მერე, სტრელი რომელზე გაქ?“ — ვეკითხები.

„უკვე მელოდება.“ — კისერზე პირსახოცმოხვეული შევარდა სააბაზანოში. სულ ასე იცის ხოლმე. შიშველი ტორსით უყვარს მარიაჟობა. მაგარი აღნაგობა მაქვსო, ამტკიცებს. ისე, კი აქვს, უნდა ვადიარო. ნამდვილად.

4.

საქმე არაფერი მქონდა და მეც უკან მივყევი, სანამ ის პარსვაში იქნება, ენას მოვიქავებ-მეთქი. მაგრა ცხელოდა და ფანჯრებიც სულ დაიორთქლა. სტრადლეიტერი ინდოეთის ჰანგებს უსტვენდა, თან იპარსავდა. მაგრა უსტვენდა – ვერასოდეს ვერ არტყამდა ბგერას, მაგრამ მაინც სულ ისეთ მელოდიებს ირჩევდა, საერთოდ რო ძნელი დასასტვენია – ინდოეთის ჰანგები თუნდაც, ანდა მკვლელობა მეთაე ავენიუზე... ჭკუაზე გადაგიყვანდა.

აკი გითხარით უკვე, ეკლი ხო მაგარი ფეთხუმი ვინმე იყო, მაგრამ არც სტრადლეიტერი გახლდათ ნაკლები, თავისებურად. ყოველთვის მშვენივრად გამოიყურებოდა, ოღონდ ერთი გენახათ მაგის საპარსი – ძველი, დაჟანგულტარიანი, ზედ მიმხმარი ქაფითა და თმით. მე მგონი, არც არასოდეს გაუწმენდია. ისე, ყოველთვის მაგრა გამოიყურებოდა-მეთქი, ხომ გითხარით, ოღონდ ეგ – როცა მოწესრიგდებოდა, თორემ ისე ეგეც იყო, რა... უბრალოდ, საკუთარ თავზე გახლდათ შეყვარებული. ნაღდად სჯეროდა, ქვეყნის აქეთა მხარეს მაგის მჯობნი არ დაიძებნებოდა. შესახედად მართლა არა უშავდა – ისეთი იყო, სკოლის ალბომში ჩაკრულ სურათს რო დაინახავ და იკითხავ – აი, ეს ბიჭი ვინ არიო. პენსიში ოხრად იყვნენ მაგაზე კარგი შესახედავები, მაგრამ ალბომში სწორედ რო მაგას მიაქცევდა ყველა ყურადღებას. სხვებს ან ცხვირები უგრძელდებათ ფოტოებზე, ან ყურები უპანტურებთ, ან რამე ეგეთი. ეგ მე მკითხეთ. საკუთარ თავზე გამომიცდია.

„მისმინე,“ – სტრადლეიტერი მეუბნება უცებ, – „ერთ თხოვნას არ შემისრულებ? ვალში ჩამითვალე.“

„მაინც რას?“ — ვეკითხები უხალისოდ. სულ ეგრე იცის ხოლმე. ყელამდე ვალებშია. კაცი რო თავის თავში იქნება შეყვარებული, ასე ჰგონია, სხვებსაც იგივე სჭირთ მის მიმართ. ვითომ ერთი სული აქვთ, ოღონდ მოემსახურონ. ბებია უცხონდა.

„სალამოს გადიხარ სადმე?“ — ვატყობ, თავისას აწვება.

„რა ვიცი. ეგება გავიდე, ეგება — არა. შენ რა გადარდებს?“ „ერთი ას გვერდამდე მაქვს წასაკითხი ისტორიაში, ორშაბათისთვის. მაგრა მომხვდება, თუ ვერ მოვასწარი“. — თავს მაცოფებს „შენ კიდე რა მოგივა, ინგლისურში თავისუფალი თემა დამიწერო? სულ პატარა რამე. ორივეს ნაღდად ვერ ვასწრებ, ხო გესმის.“

აი, სერიო თუ გინდა... სასაცილოა, სატირალი რო არ იყოს. ნამდვილად.

„დაიცა, აზრზე მოდი — მე სკოლიდან მრიცხავენ, შენ კიდე თემა გინდა გაგიშანსო? გააფრინე?“ — ვეკითხები.

„ვიცი, ვიცი. მერე მე რა დავაშავე. გეუბნები, მაგრა მომხვდება-მეთქი. ძმაკაცი არა ხარ? რამე გამიხერხე.“

კარგა ხანს ხმა არ გავეცი. ინერვიულოს, არ აწყენს. ცოტა მოუხდება კიდევ.

„თემა რაზე იყოს?“ — ვეკითხები.

„რაზეც გაგიხარდება. ნებისმიერი რამის აღწერაო. ოთახი გინდა, სახლი, ან რამე ეგეთი — თვითონაც იცი მაგათი ამბავი. ოღონდაც აღწერთი იყოსო.“ თან ამთქნარებს ეგ ჩემისა. რა გინდა რო ქნა — კაცი გეხვეწება ვითომ, თემა დამიწერე ინგლისურშიო და თან ამთქნარებს...

„ოღონდ ზედმეტიც არ მოგივიდეს — იმ ნაბიჭვარ ჰართცელს მაგარი ვინმე გონიხარ ინგლისურში და თან აზრზეა, ჩემი მეწყვილე რომ ხარ. ცოტა მძიმეები აურიე და რამე...“

როგორია?! კიდე აქეთ მასწავლის, მძიმეები სად და როდის დავსვა. ვითომდა მხოლოდ მაგ სასვენნი ნიშნების გამო უხურებდნენ

საქმეს. თორე რა, რამე რო იყოს, თვითონაც დაწერს — ვინძლო ჩემზე უკეთესად. აი, ამაშიც ეკლის გავდა: ერთხელაც ეკლის გვერდით აღმოვჩნდი კალათბურთის მატჩზე. მაშინ ჩვენებს მაგარი ვინმე ყავდათ — ჰოუი კოილი, ბურთი თითქოს ხელზე ქონდა მიბმული და სამქულიანებსაც პირდაპირ ცენტრიდან აგდებდა; ეს ეკლი კიდე სულ ერთიდაიგივეს იმეორებდა თუთიყუშივით — ზედმიწევნით საკალათბურთო აღნაგობა აქვსო. ხო გესმით? მეტი ვერაფერი გაიმეტა. აი, ამისთანა ჭიპხიებს ვერ ვიტან.

ახლა, ეს დავალება ხო ავიკიდე, ახია ჩემზე, ახლა რა ვქნამეთქი, ვფიქრობ. მოწყენილობისაგან თეფ-დანსის კაკუნს მოვყევი — ისე, თავის შესაქცევად, თორე რომელი კოტონ-კლაბის მოცეკვავე მე ვარ. თან იატაკზეც მეტლახი იყო დაგებული და რომელიღაც მუსიკალური ფილმის გმირად წარმოვიდგინე თავი. მთელი ეს მიუზიკლები ჩირადაც არ მიღირს, ოღონდ მუსიკალური ნომრების ბაძვა კი მიყვარს. სტრადლეიტერი ერთხანს თვალს მადევნებდა სარკეში, თან იპარსავდა. მე კიდე მაყურებელი მჭირდებოდა — სუფთა ეგზიბიციონისტი ვარ, თავი ნუ მომიკვდება.

„მე — მამისერთას, გუბერნატორი მამაჩემი სცენაზე ასვლას მიკრძალავს!“ — მოვრთე ყვირილი, — „სურს, კვლავ ოქსფორდის გზას გამიყენოს — მე კი თეფ-დანსი ჯიგარში მიზის!“ თანდათან როლში შევიჭერი: „სეზონის გახსნაა და ვისკით გალემილ წამყვან ბალერონს ვინლა შეცვლის? მე, რა თქმა უნდა! აგერ არა ვარ — ძაღლისგაგდებულ გუბერნატორის ოქსფორდგაგდებული სისხლი და ხორცი!..“ სტრადლეიტერს პირი ყურებამდე ქონდა გახეული. ხანდახან მაგასაც ეწვევა ხოლმე რაღაც იუმორის გრძნობასავით... „ეგ ქუდი სად დაიადე?“ — მეკითხება. აქამომდე ჩემს თავზე ეგეთი არაფერი ენახა.

სუნთქვა მაინც აღარ მყოფნიდა, საცაა ქოშინი ამივარდებოდა და მოვრჩი მასხარაობას. ქუდი მოვიხადე, იმ დღეს ერთი მეათეჯერ მაინც შევათვალიერე აქეთ-იქიდან. „ნიუ-იორკში, ამ დილით. მოგწონს?“ „მაგარია“. გულს მიკეთებდა, აშკარად. მერე იქვე დაამატა: „მისმინე, იმ ოხერ თემას დამიწერ? ნაღდში მინდა ვიცოდე“. „რავი, თუ დრო მექნა... თუ არ მექნა და რა მექნა?“ — ვლადობ. მერე დავჯექი ისე ვეკითხები, სასხვათაშორისოდ: „ვინ გოგოს ხვდები? ისევ იმ ფიცჯერალდს?“

„ა-არ-ა, რა ხანია მოვრჩი იმასთან.“

„მერე, მაგას მიმალავდი?! მე გადმომილოცე, რა იქნება! ნაღდი ჩემი ტიპია.“

„ვინ გიშლის მერე... ოღონდ შენზე უფროსი როა, რას შვები?“ უცბად — ხანდახან ჭკუა კი არ მომეკითხება, გეუბნებით — სტრადლეიტერს ვეცი და ნახევარნელსონი ჩავუტარე. თუ აზრზე არა ხართ, გეტყვით — ეგ ჭიდაობის ილეთია ერთგვარი, მეტოქეს უკნიდან ხვევ მკლავს ყელზე, მეორე ხელით კეტავ და ახრჩობ. ღმერთმანი, სუფთად ჩავკლიტე.

„მორჩი შე იდიოტო! გამეჭრება!..“ — მართლა დაფეთდა, ხუმრობა იქით იყოს. მე კიდე მაგრა გამისწორდა თუ რა იყო, მთლად დავანელსონე და დავჯექესავით, ძაან თეატრალურად: „ძმაო ჩემო, დაიხსენ თავი მარწუხთაგან ჩემთა!“

„უ-უხ შენი!..“ სამართებელი დააგდო, მკლავში ჩამებლაუჭა და უცებ, ერთი მკვეთრი მოძრაობით გაითავისუფლა თავი. ჯანზე იყო, მე კიდე მაშინაც უკვე აღარაფრად ვვარგოდი. „მორჩი ახლა,“ მეუბნება. თან ისევ საპარსს დაავლო ხელი. ლამისაა კანი გადაიდღლიზოს.

„ბოლო-ბოლო, თუ ფიცჯერალდი არა, ვინლა დარჩა?“ — ვეკითხები. — „არ მითხრა, ის კუკლა ფილის სმიტი თუ სმაიტიო.“ „არა. მაგასთან თითქოს რაღაცა კი გაიჩითა, მაგრამ მერე არაფერი. ეს კიდე

ბად თაუს გოგოსთან ერთად ცხოვრობს ოთახში,.. დაიცა, ახლა გამახსენდა — გიცნობს.”

„ვინ მიცნობს,” — გავიკვირვე ალაღად, — „ეგ დარტყმული ბად თაუ?”

„გოგოზე გეუბნები.”

„არ გადამრიო. მაინც რა ქვია?” — ცოტა არ იყოს, დავინტრიგ-დი. „დაიცა... ჰო, ჯინ გელეხერი.”

ლამის დავეცი.

„ჯინ გელეხერი” — ვეუბნები. „ვიცნობ, კი. შარშანწინ ჩვენ გვერდით სახლობდა. ვეება დობერმანი ყავდათ. სწორედ მისი წყალობით გავიცანი. ჩვენს ებოში შემორბოდა ხოლმე... დობერმანს ვგულისხმობ.”

„სინათლეზე ნუ მიდგეხარ, ცოტა გვერდზე ვერ გაიწევი?” — მაწყვეტინებს.

მე კიდე მაგრა ავვარდი. მართლა.

„ახლა სადაა? ჩავალ და გამარჯობას მაინც ვეტყვი. სად გიცდის — ჰოლში?”

„აბა სად.”

„როგორ მოხდა რომ გამიხსენა? ისევ ბრინ-მორშია? არადა, მეგონა შიპლის კოლეჯს არჩევდა. ჩემზე რა გითხრა?” — ადგილს ველარ ვპოულობდი, მართლა-მართლა.

„რა მახსოვს?! შეეშვი რა, ჩემს პირსახოცს.” — სტრადლეიტერი მეუბნება. ვერც შევამჩნიე, მის იდიოტურ ნაქსოვ პირსახოცს რო ვგრეხდი ხელში.

„ჯინ გელეხერი. უყურე შენ?” — ვერაფრით მომენელებინა. „იესო მაცხოვარო, რას არ გაიგებ კაცი!..”

ბ-ნი სტრადლეიტერი ახლა თმის გელს ისვამდა თავზე. ჩემს გელს, რაღა თქმა უნდა.

„ცეკვაზე დადიოდა,” — ვეუბნები. — „ბალეტი და რამე. ყოველ-დღე ორ-ორ საათს ვარჯიშობდა, ნებისმიერ ამინდში. მაგრა კი

წუხდა, ვაითუ ფეხები დამეკუნთოსო. შაშს ვეთამაშებოდი ხოლმე ხშირად.”

„რასა-რასაო?!“

„შაშს. უცნაური ჩვევა ქონდა — გამსვლელ ქვებს აგროვებდა და არასოდეს იყენებდა. ზურგში ჩამოამწკრივებდა ხოლმე. ეგრე ევა-სებოდა და რა ექნა — ერთ ხაზზე ჩაწყობილი.“

სტრადლეიტერს ხმა არ გაუღია. ამისთანა რამეები განა ვის რაში აინტერესებს.

„დედამისი კიდე იმავე კლუბის წევრი იყო, რაც ჩვენ,” — ვეუბნები — „მე იქ გოლფის ბურთებს ვუგროვებდი ხალხს, ჯიბის ფული რო მე-შოვა. დედამისსაც გავეყვი რამდენჯერმე. ვერაფერი მოთამაშე იყო. ცხრა ლუზის გავლას ერთი ასსამოცდაათ დარტყმას მაინც ანდომებ-და.“

სტრადლეიტერს სულ ფეხებზე ეკიდა. ახლა თავის სათაყვანო კუ-ლულებს ილაგებდა.

„უნდა ჩავიდე და ისე, მოვიკითხო მაინც.“

„მერე, აქ რას უდგეხარ?“

„ახლავე ცოტა აზრზე მოვიდე.“

ახლა დალაგებულის დავარცხნა დაიწყო. ჩემი სავარცხლით, ცხადია.

„მშობლები გაცილებულები იყვნენ. მერე დედამისი ვილაც ლოთს გაყვა.“ — ჩემსას მივერეკები, — „ერთი ძვალტყავა ვინმე იყო, თან ბანჯგვლიანი. კარგად მახსოვს. ერთთავად შორტებში დაიარე-ბოდა. ჯენი ამბობდა, მგონი სცენარისტიყო თუ რაღაც ეგეთი, მაგ-რამ ჩემ დროს მხოლოდ სვამდა ან რამე დეტექტივს თუ უსმენდა რა-დიოში. ხანაც კიდე მთლად შიშლიკანა დატასაობდა სახლში — ჯე-ინის დასანახად.“ „როგორაო“? — ამან კი მართლა დააინტერესა სტრადლეიტერი. ეროტიკის განხრით დიდ ცნობისმოყვარეობას იჩენდა ყოველთვის. ნაბიჭვარი.

„მართლა ცუდი ბავშვობა ჰქონდა. მართალს გეუბნები.“

ეგ კი სულაც აღარ ანალვლებდა სტრადლეიტერს. ეროტიკის ჩარჩოებში ვერა ჯდებოდა.

„არა, მართლა უნდა ჩავიდე და გამარჯობა ვუთხრა...“

„ჩადი მერე, ვინ გიშლის?“ — სტრადლეიტერი მეუბნება.

ფანჯარასთან მივედი, მაგრამ ისე იყო დაორთქლილი, არაფერი ჩანდა. „რალაც განწყობაზე ვერა ვარ.“ — ვეუბნები. ეგეთი რამისთვის მართლა ცოტა სხვა ხასიათზე უნდა იყო კაცი. თუ გესმით, რის თქმაც მინდა. „დარწმუნებული კი ვიყავი, შიპლის კოლეჯს აირჩევდა...“ ცოტა ხანს კიდევ ვიბორიალე წინ და უკან. „თამაში თუ მოეწონა?“ — ვეკითხები ანაზდად.

„რა ვიცი. ალბათ კი.“

„გითხრა, შამს როგორ მეთამაშებოდა, ან რამე?“

„თუ ძმა ხარ, რა უნდა ეთქვა, ერთხელ შევხვდი“ — სტრადლეიტერი მეუბნება. როგორც იქნა მოლამაზდა და თავისი რაღაცეებიც ისევ ისე შეყარა თაროზე.

„დაიცა, მოკითხვა გადაეცი, იზამ?“

„ადვილი სამსახურია.“ — მეუბნება, თუმცა კი მეეჭვება, საერთოდ გავახსენდე. ეგეთებს საკუთარი თავის მეტი არაფერ ახსოვთ. სტრადლეიტერი ოთახში გაბრუნდა, მე ერთხანობა კიდევ ვიყურეუტე საშხაპეში, ჯეინზე ვფიქრობდი. მერე მეც შევედი. რალა თქმა უნდა, ახლა დიდი სარკის წინ იზმანებოდა. მაგისნაირები ნახევარ სიცოცხლეს, მგონი, სულაც სარკის წინ ატარებენ. სავარძელში ჩავჯექი და თვალს ვადევნებდი მის წალმა-უკულმა ტრიალს.

„ხო არ ეტყვი რო გამომავდეს?“ — ვეკითხები.

„არა, რაში მჭირდება.“

აი ეს ერთი კარგი თვისება კი ჰქონდა უარდ სტრადლეიტერს: მისთვის წარამარა ყველა წვრილმანის ახსნა არ გჭირდებოდა. ამაში ნამდვილად არ გავდა ეკლის. იქნებ იმიტომაც, არც არაფერი რო არ ანალვლებდა მაინცდამაინც. სწორედ მაგიტომ. ეკლი

კიდე ყველაფერში ბოლომდე უნდა გარკვეულიყო, რა მოასვენებდა. ჩემი ანორაკი გადაიცვა და გაიბრიქა. ეპატარავა, ვატყობ. „თუ ღმერთი გწამს, აქვე ნუ დაფხრიწავ. სულ ერთი-ორჯერ მეცვა.“

„გაუძლებს. ჩემი სიგარეტები სად ჯანდაბაშია?“

„თაროზეა.“ არასოდეს ახსოვდა, რას სად დებდა. აილო და ჩემს ჯიბეში ჩაიღო. ჩემი ანორაკის ჯიბეში-მეთქი, უნდა მეთქვა. თავზე ისევ შემოვიტრიალე ქუდი — ისე, გაუაზრებლად. მგონი უკვე ტიკებიც დამეწყო-მეთქი, გავიფიქრე. „მისმინე, საით აპირებთ?“ — ვეკითხები. — „უკვე დაპატიჟე სადმე?“

„ნიუ-იორკისკენ გავუტევთ, თუ დრო გვექნა. მხოლოდ ათის ნახევრამდე დაეთხოვა. ეგეც არი, რა.“

ძაან-ძაან გამიტყდა, როგორ და რანაირადაც თქვა. „აზრზე არ არი, რა მომხიბლავი, გულიანი და კაიდროისმტარებელი ნაბიჭვარი ხარ, თორე ნაღდად დილის ათის ნახევრამდე დაეთხოვებოდა.“ — ვეუბნები იქედნურად.

„მართალი ხარ, ხო იცი.“ — სტრადლეიტერი მეუბნება. მაგისიანებს ეგრე ადვილად რას ააგდებ. ძაან წარმოდგენები აქვთ საკუთარ თავზე. „შენ კიდე იმ თემას მიმიხედე,“ — მეუბნება. — „ძაან თავსაც ნუ მიაკლავ, ოღონდ კარგად აღწერე. მოსულა?“

ხმა არ გამიცია. რა აზრი ქონდა. მხოლოდ კარებში მივაძახე — „კითხე ერთი, გამსვლელ ქვებს ისევ ისე თუ აწყობ-თქო.“ „დარდი გაუშვი.“ — თავისმოუბრუნებლად გადმომიგდო, ოღონდ ნაღდში ვიცოდი, არც გაახსენდებოდა. მერე შემოსასვლელი კარი გაიჭახუნა და გაქრა.

ერთი ნახევარი საათი მაინც ვიჯექი სავარძელში, გაუნძრევლად. ჯეინზე ვფიქრობდი, სტრადლეიტერთან მის ურთიერთობაზე და რა ვიცი. ვგრძნობდი, გარეკვას არაფერი მაკლდა. ხო გითხარით, ერთიკაბეა გადაგებული ეგ სტრადლეიტერი-მეთქი.

სად იყო, სად არა ახლა — ისევ ეკლი არ შემოვლავუნდა?

ცხოვრებაში მაგ რეგენის ნახვა ასე არ გამხარებია. გულს გადამაცოლებინებს-მეთქი, გავიფიქრე.

სადილობამდე იყურყუტა, ყველა მიყოლებით დალანძდა, თან ცხვირს იქექავდა. ცხვირსახოცი არც გახსენებია. იქნებ არც ქონდა, რამე რო იყოს, მაგის ხელში ცხვირსახოცი არც არასოდეს მინახავს.

5.

შაბათობით „განსაკუთრებული“ სადილი გვექონდა ხოლმე. განსაკუთრებული კი იმითი იყო, მწვადებს გვირიგებდნენ. ათას დოლარს ჩამოვალ, ეგ ბებერი თერმერის მოფიქრებული თუ არ იყოს: კვირაობით ბლომად მშობლები ჩამოდინან თავიანთი განსწავლული შვილიკოების მოსანახულებლად და იმანაც იაზრა — თუ იკითხავდნენ, გუშინ რა გქონდათ სადილადო და მწვადებით, რო უპასუხებდნენ, ძაან კმაყოფილი დაურჩებოდა ყველა. მაგარი რამეა. მაგარი-მეთქი, პირდაპირი მნიშვნელობით ვამბობ. საკუთარი ხელით გალესილი ყამა უნდა გეტარებინა იმ ხორცის დასაჭრელად. ამას კიდევ კანმიმჭკნარ პამიდვრებს შემოუწყობდნენ ხოლმე გარშემო და ჩარობად კიდევ იმისთანა ნამცხვარს, ეკლის გარდა პირსაც ვერავინ აკარებდა.

გარეთ რო გამოვედით, მერე კიდევ არა უშავდა: ბლომად თოვლი დაედო და ჯერაც ბარდნიდა. მართლა გულმოსაფხანი რამე იყო იქაურობა და ჩვენც მეტი რა გვინდოდა რა — ავტეხეთ ერთი გუნდაობა, დატკეპნილზე სრიალი და რა ვიცი. ბავშვობაში გადავვარდით, მოკლედ.

პაემანი მე არ მქონდა ვინმესთან და არაფერი, ხოდა მეღ ბრასარდს შევეუთანხმდი, მოჭიდავეთა გუნდიდან — ეიჯერსთაუნის ავტობუსს მოვახტეთ, იქ თითო დიდრონი ჰამბურგერი დავიადოთ და რამე კინოსაც ჩავუსხდეთ-მეთქი. ოთახებში უაზროდ ჯდომას კიდევ ეგ ჯობდა. მერე მეღს ვკითხე, ეკლიც რო წავიყოლოთ, რას იტყვი-მეთქი. ვიცოდი, ის ჩემისა შაბათ საღამოობით ოთახში იჯდა ხოლმე ბაიყუშივით და საკუთრ თავს თუ გაუბამდა მასლაათს, თორე სხვა ვინ გაუჩერდებოდა. „მე რა, — მეღი მეუბნება, — ოღონდ ვერაფერი კარგი აზრია. ვინ ჩემი ფეხებია ეგ ეკლი...“ მოკლედ, ვატყობ — საბრალო ეკლი არც ამას ეხატება გულზე ოღონდ ზმანების გამოსაცვლელად რო შევიარე, მაინც გავძახე — კინოში ხომ არ წამოხვალ-

მეთქი. თავიდან პასუხიც არ იკადრა, ეგრე იცის ხოლმე, მერე თავი შემოყო მხოლოდ და ის მკითხა, კიდე ვინ მოდისო, ეგრე იცის — ღდინში უნდა ჩაგყვეს, ყველაფერი გაარკვიოს... ზღვაში რო იხრჩობოდეს და ნავით მიადგე საშველად, ჯერ ალბათ იმას იკითხავს, ნიჩბებს ვინ უზისო. ვეუბნები, მე და მელ ბრასარდი მივდივართ-მეთქი. „ეგეც კარგი რამის ვინმეა...“ — მეუბნება. „კარგი, ჰო. დამაცადე ერთ წუთს.“ ისე ამბობს, თითქოს აქეთ მიკეთებდეს სიკეთეს.

ლამის მთელი საათი დაჭირდა ჩასაკოხტაპრუწებლად. მაგისი საცოდაობის ყურება რო მომბებრდა, ფანჯარა გამოვადე და ერთი პეშვი თოვლი დავაგუნდავე. კარგი თოვლი იყო, მშრალი. ჯერ ქუჩის იქითა მხარეს დაყენებულ მანქანას ვუმიზნებდი, მაგრამ მერე გადავიფიქრე: ძაან ზიზიად გამოიყურებოდა, სულ ფაფუკი თოვლი ედო ზედ. მერე წყლის საქაჩი ამოვიღე მიზანში, ოღონდ ისიც მეტისმეტად ლამაზად დათოვლილი მეჩვენა და საერთოდ შევეშვი, ფანჯარა მივხურე, ოთახში დავიწყე ბოლთის ცემა და თან გუნდას ვათამაშებდი ხელში. ამ თოვლისგუნდიანა ჩავჯექი მერე ავტობუსში, ოღონდ კონდუქტორმა გადამაგდებინა ფანჯრიდან. ვუთხარი, სულაც არ ვაპირებ ვინმეს კისერში ჩავუგდო-მეთქი. ვინ დაგიჯერა, ძაან უნდო გახდა ხალხი. ნამდვილად.

ბრასარდსა და ეკლისაც ეგ ფილმი ნანახი ქონდათ, ხოდა რაღა დაგვრჩენოდა — სამივემ ორმაგი ჰამბურგერები ავიღეთ და თითო ხელი ავტომატებზეც ვითამაშეთ. მერე ისევ პენსის ავტობუსს დავაჯექით და წამოვედით უკან. ფილმის დარდი არა მქონდა — მაინც რაღაც კომედია იყო — კერი გრანტით მთავარ როლში და ეგეთები. თან კიდე ისიც გამახსენდა, შარშან სწორედ მაგათთან ერთად ვიყავი ერთხელ კინოში და ცხენებივით ხვიხვინებდნენ რაღაც სისულელეებზე. გმადლობთ, აღარ მინდა.

ოთახებში ცხრა საათისთვის დავბრუნდით. ბრასარდი ჰოლში ჩამოგვრჩა, ბრიჯის გიჟი იყო და იფიქრა, ამ შაბათ საღამოს

ვინმეს შევიაძხანაგებო. ამ ჩემის ეკლიმ კიდე რატომღაც მაინცადა-
მაინც ჩემს ლოგინზე მოიკალათა, თან თავისი დაჭმული სახე ჩემს
ბალიშში ჩარგო და მოყვა და მოყვა როგორ წააწვინა ვიღაც გოგო
შარშან სადღაც ბარდებში. ერთი ათჯერ მაინც ექნებოდა მოყოლი-
ლი, თანაც ყოველ ჯერზე სულ სხვადასხვანაირად ხდებოდა მთელი
ეს ამბავი: ხან ბიძაშვილისაგან ნათხოვარ ძველ შევროლებში, ხან
ვითომ ბუნების წიაღში და ხან სად — მახოლებდა, რალა თქმა უნდა.
ნაღდი ცელკა იყო. ისიც მეეჭვება, საერთოდ თუ დაუსრესავს ვინმე.
ბოლო-ბოლო, მეც ამომვიდა ყელში და პირდაპირ მივახალე —
სტრადლეიტერისათვის თემა მაქ დასაწერი და მაგრა მიშლი-მეთქი
ხელს. ძლივს აითრია წელი.

ეგ ჭირი რომ მოვიშორე, მერე პიჟამა-ხალათსა და ფლოსტებში
გამოვეწყვე, ის ჩემი სანადირო ქუდიც დავიკოსე თავზე და საქმეს
მივხედე.

ოღონდ ეგ იყო, ვერაფრით წარმოვიდგინე, რა ოთახი ან რა სახ-
ლი უნდა ამეწერა, სტრადლეიტერზე მოსარგებად. ან საერთოდ რა
იდიოტიზმია ეგეთი რამეების აღწერა. მერე მეც ავიღე და ჩემი ძმის,
ელი კოლფილდის ბეისბოლის თათმანზე მოვყევი. მაგარი რამე
იყო, ღმერთმანი. მართალს გეუბნებით. ელი ცაცია გახლდათ —
თათმანიც ძაან უცნაურად გამოიყურებოდა და ეს კიდე არაფერი —
მთელ ზედაპირზე, შიგნით და გარეთ, ჯიბესა და სათითურებზეც სულ
ლექსები ქონდა წაწერილი, მწვანე მელნით. როცა შეტევაზე არავინ
იყო, იდგა და ლექსებს კითხულობდა. ახლა ცოცხალი აღარაა. სის-
ხლის გათეთრება გაქვსო, დაუსვეს დიაგნოზი და ისიც საავადმყო-
ფოში გარდაიცვალა, 1945 წლის 18 ივლისს. მაშინ მეინის შტატში
ვცხოვრობდით მთელი ოჯახი, ერთად. ორი წლით ჩემზე უმცროსი
იყო და ჩემზე ათჯერ ტვინიანი. თან ნიჭიერიც იყო — მისი მასწავლებ-
ლებისაგან დედაჩემს სულ დასტა-დასტა წერილები მოსდიოდა — რა
კარგი შვილი გყავთ, ერთი სიამოვნებაა ასეთი ბავშვის ყოლა კლას-

შიო. მოვალეობის მოხდის გამო კი არ წერდნენ — რასაც ფიქრობდნენ, მართლა იმას ამბობდნენ. მერე კიდევ, ძაან-ძაან კეთილიც იყო, არასოდეს გაბრაზდებოდა ვინმეზე, ყოველ შემთხვევაში, გულში ბოღმას არასოდეს ჩაიდებდა. წითურები ნევრასტენიკები არიანო, გამიგია, იმას კიდევ მთლად ცეცხლი ეკიდა თავზე, მაგრამ მშვიდზე-მშვიდი ხასიათი ქონდა. არა, იცით როგორი თავცეცხლა იყო? ერთხელ გოლფში ვვარჯიშობდი, მოედანზე და ისეთი გრძობა მქონდა, ჩემს უკან სადღაც ხანძარი გაჩნდა-მეთქი. მოვტრიალდი და ელი არა დგას მოშორებით? მე მიყურებდა. ძაან საყვარელი ვინმე იყო. სადილზე უცბად რაღაცა გაახსენდებოდა და ისეთი გულიანი სიცილი აუვარდებოდა ხოლმე, ლამის სკამიდან გადმოვარდნილიყო. მე კიდევ ცამეტი წლის ვიყავი მაშინ, და ფსიქოთერაპევტთან მიპირებდნენ წაყვანას. ეს იმიტო რო ერთხელაც ყველა ფანჯარა ჩავლექე გარაჟში. რას ერჩი, იქნება და მართლებიც იყვნენ. იმ ღამით, როცა ელის ამბავი გავიგე, გარაჟში მეძინა და უცბად გამეღვიძა, მივადექი და ყველა ფანჯარა ჩავამსხვრიე შიშველი ხელით. იმ ზაფხულს მანქანის მისაბმელი ვაგონიც გვეყენა ეზოში, იმის ფანჯრების ჩატეხვაც მინდოდა, მაგრამ თითების ფალანგები დავიჩინე და შევეშვი. დიდი სისულელე მომივიდა რა თქმა უნდა, ოღონდ მაშინ აზრზე არ ვიყავი რას ვშვებოდი და თქვენც ხო აზრზე არა ხართ, ელი ვინ იყო. ხანდახან მარჯვენა ხელი ახლაც წამომტკივდება ხოლმე, წვიმიან ამინდში და რამე, და მუშტსაც ველარ ვკრავ ხეირიანად, მაგრამ ეგ რაში მენაღვლება რა — ქირურგი მაინც არ გამოვა ჩემგან და მუსიკოსი...

მოკლედ, სტრადლეიტერის თავისუფალი თემა ეგეთი გამოვიდა — ძამიკო ელის ბენისბოლის თათმანი. ხო, ის არ მითქვამს — მუდამ თან რო დამქონდა ყველგან, ახლაც საკვოიაჟიდან ამოვიღე და მთელი ლექსები გადმოვწერე, მხოლოდ სახელი შევუცვალე რო ვერავის აელო ეჭვი, თითქოს ეს სტრადლეიტერის კი არა,

ჩემი ძმა იყო. ძაანაც კი არ მეხალისებოდა, რამე რო იყოს, მაგრამ უკეთესიც ვერაფერი მოვიფიქრე. მთელი საათი მივახარჯე, იმიტო რო სტრადლეიტერის მანქანაზე ვბეჭდავდი, ის კიდე წარამარა იჭედებოდა. ჩემი კიდე წინა დღეს ვათხოვე ერთ ტიპს, ქვედა სართულიდან.

თერთმეტის ნახევარი იქნებოდა, საქმეს რო მოვრჩი. ჯერ რა დროს ძილი იყო, და მეც ფანჯარაში გავყავი თავი – ისე, ტყუილად. აღარ თოვდა, ოღონდ აქა-იქ გაიგონებდი, ვილაცა მანქანის დაძვრაზე რო ჯახირობდა. და რა თქმა უნდა, შიგადაშიგ ეკლის ხვრინვა ფარავდა ყველაფერს. არვიცი, იმასაც ფანჯარა ქონდა ღია თუ რა იყო, ოღონდ თავისი ჰაიმორიტის გამო ძილში საშინელი ხვრინვა იცოდა. ისე, მართლა შეგეცოდებოდა ეგ უბედური – რა გინდა რო მაგას არ ჭირდა – ეს გაჭედილი ცხვირიო, ეს ჩამპალი კბილებიო, ფერიჭამიებიო, ფრჩხილებზე სოკოო და რა ვიცი...

6.

ისე, ზოგიერთი რამე რატომღაც მართლა ძნელად გამახსოვრდება კაცს.

ახლა აზრზე ვერ მოვდივარ, სტრადლეიტერი როლის დაბრუნდა იმ თავისი პაემანიდან. საერთოდ არ მახსოვს რას ვაკეთებდი, მისი ფეხების ბრაგუნი რო გავიგონე კიბეზე. იქნებ ჯერ კიდევ ფანჯარაში მქონდა თავი გაყოფილი — ნაღდად არ მახსოვს. ჩემი დარდი მქონდა. ეგრე ვიცი ხოლმე, როცა რამეს ამოვიჩემებ და მადარდებსსავით. ახლა კი მართლა მადარდებდა ეგ ამბავი. მაგ ნაბიჭვარს რამდენჯერმე გავყევი პაემანზე — ისე, გავუსწორე და კარგად ვიცი, რასაც გეუბნებით. ხეპრეა ნამდვილი.

მოკლედ, კიბეებზე არაფერი იყო დაგებული და სულ ბრაგაბრუგი გაუდიოდა, ეგ რო ამოდიოდა ხოლმე. მე კიდე ან ფანჯარაში ვიხედებოდი მაშინ, ან სავარძელში ვიჯექი, ოღონდ რომელში — ჩემსაში თუ იმისაში — აქამდე აზრზე არა ვარ. არ მახსოვს და მომკალი თუ გინდა.

შემოჯლიგინდა და მოჰყვა წუწუნს, რა ძალღური თოში სიცივე იყო გარეთ. „ხალხი სადაა? მორგს გავს აქაურობა.“ — მეუბნება უცბად. „ხალხი ციხეშია,“ — ფიქრში ვეპასუხები და ხმას არ ვიღებ. უხსენი ახლა ამას, რო შაბათი საღამოა და ყველა გაკრეფილია ან საკუთარ სახლებში ძინავთ. თვითონ არ იცის, რო? მერე გახდა დაიწყო. ჯეინზე სიტყვა არ დაუძრავს. მეც არაფერი ვუთხარი. ეგლა მაკლდა. მარტო ის მითხრა, კარგი ანორაკია, ძაან გამომადგაო. კარადაშიც კი ჩამოკიდა, საკუთარი ხელით.

როგორც იქნა, პერანგს რო იხდიდა უკვე, მერეღა მკითხა — იმ ოხერი თემის საქმე როგორააო. ვეუბნები, ლოგინზე გიდევს-მეთქი. მივიდა და ფურცვლა დაუწყო, თან შიშველ მკერდზე ითათუნებდა ხელს. ეგრე იცოდა ხოლმე — გაგიჟებამდე უყვარდა სა-

კუთარი თავი. უცხად, მომიტრიალდა და მიყურებს გაშტერებული: „შიგა გაქ, ჰოლდენ?! ეს რაღაც ბეისბოლის ხელთათმანი საიდან გამოთხარე?..” „რას უჩივი?” — ვეკითხები ცივად.

„რა რას ვუჩივი?! გითხარი, ან ოთახი ან სახლი ან რამე ეგეთი იყოს-მეთქი!”

„შენ თქვი, აღწერითი იყოსო. რა მნიშვნელობა აქ, რას აღწერ?” „გიჟი ხარ, შე ჩემისა...” — მართლა გაბრაზდა, ლამის ჭკუაზე აღარ იყო. — „ახია, სკოლიდან რო გაგრიცხეს. მართალს გეუბნები. ყველაფერს უკუღმა აკეთებ, ნორმალურად არაფრის კეთება არ შეგიძლია. გიჟი ხარ ნამდვილი.”

„კეთილი და პატიოსანი. მაიტა აქ.” — მივედი, ხელიდან გამოვდღლიზე ფურცლები და სულ ნაკუწებად ვაქციე.

„აი, ეგ რაღა იყო?” — მეკითხება.

ყურიც არ შემიბერტყავს — ჯერ ნაფხრეწები გადავუძახე ნაგვის ყუთში, მერე ლოგინზე გავითხლაშე და სიგარეტს მოვუკიდე. ოთახებში მოწევა სასტიკად იყო აკრძალული, მაგრამ ღამით შეგეძლო, თუ გინდოდა. სუნს მაინც ვერავინ იკრავდა. მე კიდე სტრადლეიტერს ვაცოფებდი — საერთოდ ვერ იტანდა, ვინმე თუ არღვევდა დადგენილ წესსა და რიგს. თვითონ ხომ აზრადაც არ მოუვიდოდა საძინებელში მოწევა. მე კიდე სულ ფეხებზე მეკიდა. ერთხანობა არც ერთი ხმას არ ვიღებდით. მერე ისევ მე ვეკითხები: — „რატო შეგაგვიანდათ? აკი ათის ნახევრამდეო?” რაღაც ჩაიბურტყუნა თავისთვის. მზად ვიყავი, ადგილზე მიმეხრჩო.

„ნიუ-იორკამდე თუ ჩააღწიეთ მაინც?”

„რა მინდოდა ნიუ-იორკში, ათის ნახევრამდე რა უნდა მოგვესწრო?”

„ესე იგი, ვერ ივარგე...” — ვეუბნები.

როგორც იქნა, შემომხედა. „იცო რას გეტყვი,” — მეუბნება, — „მოწევა თუ გინდა, დერეფანში გადი. მე აქ კიდე რამდენიმე წელი უნდა ვიყურყუტო.”

ახლა ეგ მადარდე-მეთქი, გავიფიქრე. მერე მისკენ შევტრი-
ალდი და რასა ვხედავ — ახლა ეგ არ იჭრის ფრჩხილებს? თანაც
ფეხზე. მოკლედ, მაგარი ხალხი დადიოდა პენსიში. მაგარი ჰი-
გიენური. ან ფრჩხილებს იჭრიდნენ, ან ცხვირებს იქექავდნენ ან
კიდევ რა ვიცი რას.

„მოკითხვა გადაეცი?“

„კი.“

შანსი არაა, — ვფიქრობ ჩემთვის. — ტყუის.

„მერე, რა გითხრა? შაშის თამაშზე კითხე რამე?“

„არა. ეგეთი არაფერი მიკითხავს. შენ რა — გგონია შაშის სა-
თამაშოდ მეცალა?“

აუუ, როგორ ვერ ვიტანდი! ბოლმა მალჩობდა.

„თუ ნიუ-იორკში წასასვლელი დრო არ გქონდათ, აბა სად
ჯანდაბაში იყავით?“ ძაან კი ვცდილობდი, ხმაში მანინც არ დამ-
ტყობოდა რამე. გული რაღაც ცუდს მიგრძნობდა.

ის კიდევ ფრჩხილების დაჭრას მორჩა, რატომღაც რაღაცა კაი
ხასიათზე დადგა და ახლა საცვლების ამარა დატანცაობდა
ოთახში, ვითომ საკუთარ ჩრდილს ებოქსავებოდა.

„მორჩი რა,“ — ვეუბნები. — „თუ ნიუ-იორკამდე ვერ ჩააღწიეთ,
აბა სად ჯანდაბაში იყავით აქამდე?“

„მანქანაში. ედ ბენკის დავაწერე.“

ედ ბენკი კალათბურთის მწვრთნელად იყო პენსიში. სტრად-
ლეიტერს მაგრა ელოლიავებოდა, რადგან მის გარდა რიგიანი
ცენტრი არც ყავდა. ამიტომაც აძლევდა ხოლმე მანქანის გასა-
ღებს. საერთოდ, წესი არ იყო, სტუდენტებს მასწავლებლის მან-
ქანით ეგრიალათ, მაგრამ ეგენი მაგრა უგებდნენ ერთმანეთს.
ყველა სკოლაში ეგრეა — სპორტზე გადაგებული ნაბიჭვრები ერ-
თმანეთს უჭერენ მაზს. „მერე, ქენი რამე? ამოიდე ლაჯებში?..“ —
ხმა უკვე აშკარად მიკანკალეობდა.

„აბა-აბა! ეგ რა ცუდ სიტყვებს ხმარობ, ბიჭი? გინდა ახლა ტუჩებში მოგცხო?“

„ჰო თუ არა?“

„როგორც იტყვიან ხოლმე — ეგ უკვე ტექნიკის საქმე იყო.“ მერე რა მოხდა, ეგეც ძაან ბუნდლოვნად მაგონდება. მგონი ისე ავდექი ლოგინიდან, ვითომ მართლა დერეფანში ვაპირებდი გასვლას, მერე კი მოვუტრიალდი და დავუქანავე ჟანგიან ყბაში. ოღონდ კარგად ვერ მოვდე — დაყვინა და ყურბე გავუცაცუნე მხოლოდ. ეტკინებოდა, არც უმაგისობაა, მაგრამ ხომ გახსოვთ, მუშტსაც ვერ ვკრავ დი ბოლომდე და...

მერე, როგორც მახსოვს, იატაკზე ვეგდე და ხელებს მიგრეხდა. „რა გჭირს?!“ — მიყვიროდა, სახე კიდე მთლად ახლადმოხარშულ კიბოს მიუგავდა.

„შემეშვი, შე ნაბიჭვარო,“ — ვუყვირი, ის კიდე არ მიშვებდა. კიდევაც კარგი, თორემ იქნებ კბილებითაც ვწვდენოდი ყელში. კიდე რას ვეუბნებოდი, რა მახსოვს. მგონი იმას რო ფეხებზე ეკიდა ვისთან სად გაგორდებოდა და ისიც არ იცოდა, გოგოს ჯეინი ერქვა თუ ჯინი და ეს ყველაფერი იმიტო რო ერთი უბრალო რეგვენი ხეპრე ვინმე იყო და, მაგარი დამპალი...

აი, ამაზე კი სულ გადაირია და მემუქრებოდა, კისერს მოგინგრევო. მოკლედ, ვიყავით ერთ ამბავში. მერე ერთხანს გავჩერდით და ვეუბნები, ხელი გამიშვი-მეთქი.

„რო გაგიშვა, მოკეტავ?“

ხმა არ ამომიღია.

თავი გამანება და მეც წამოვდექი, ზღაბვნით. მკლავი მაგრა მტკიოდა, ზედ იდაყვში. „დიდი რეგვენი დამპალი ვინმე ხარ,“ — ვეუბნები.

„მოკეტე!“

„ვითომ რატო?“ — ვეკითხები. ოღონდ ლამის დავიხრჩო ყვირილით. — „აი ეგა გჭირთ ყველა დამპალ რეგვენ ნაბიჭვარს — ლაპარაკი არ შეგიძლიათ. დაწყობილად სიტყვას ვერ აბამთ სიტყვაზე, და სხვისიც არ გესმით. დამპალი რეგვენი ნაბიჭვარი!“

აი აქ კი ისეთი დამიქანავა, ისევ იატაკზე გავწეე. არ მახსოვს, გამთიშა თუ რა იყო, ოღონდ არა მგონია — ეგ კინოებშია, ერთი დარტყმით რო თიშავენ ერთმანეთს. სისხლი კი ბლომად გადმომივიდა ცხვირიდან. თავი რო ავწიე, ზემოდან დამცქეროდა, ხელში კიდე პირსახოცი ეჭირა. ნაბიჭვარი.

„რატო არ გაჩერდები, როცა გეუბნებიან, მოკეტელო?“ — რაღაც შეცვლილი ხმით მეუბნება. ეტყობა მაგრა დაშინდა, ემანდ კეფა ხომ არ ჩაიტვრიაო. მართლა შეშინებულს გავდა.

წამოდგომა აღარც მიცდია. ვიწეე და სტრადლეიტერს დედამამის სულს ვუტრიალებდი. წაღმა-უკუღმა. ჭკუაზე არ ვიყავი. „დაიცა,“ — მეუბნება. — „ჯერ წადი, ცხვირ-პირი მოიბანე. გესმის, რას გეუბნები?“

მე კიდე ვეუბნები, წადი და საკუთარი სიფათი მოიბანე-მეთქი. გზაზე კიდე ჩვენი მეგობრის ცოლი შეგხვდება და შანსი არ გაუშვა ხელიდან, იმასაც მიაწეე-მეთქი. სამოცდაათ წელს მიტანებული მაინც იქნებოდა, საცოდავი. მოკლედ, რაღაც სისულელეებს ვროშავდი, რაც კი ენაზე მომადგებოდა. ჭკუაზე არ ვიყავი-მეთქი, გეუბნებით. მერე გავიგონე, კარი გაიჯახუნა და კიბეზე დაეშვა, ბრაგაბრუგით. მაგარი აღრენილი კი იქნებოდა, ნაღდად.

მაშინლა ავდექი. საწოლის ქვეშ შეგორებული ჩემი სანადირო ქუდი გამოვათრიე, ისევ უკუღმა ჩამოვიფხატე და საშხაპეში გავედი, სარკეში ჩასახედად. ნაღდი ღმერთოშენმიშველე სახე მქონდა — სულ სისხლში მოთხვრილი და არც ჩემს ხალათ-პიჟამას ადგა კარგი დღე. ჯერ შემეშინდასავით, მაგრამ მერე მართლა გამისწორდა: ნახიშტარს ვგავდი. ცხოვრებაში ორჯერ თუ

მიჩხუბია, და ორივეჯერ გვარიანად მბეთქეს. ვერა ვარ ძალიან ძვე-
ლი ბიჭი. ნაღდი პაციფისტი ვარ, რამე რო იყოს.

მერე ვიფიქრე, ამ ბრახაბრუხში ეკლის რა დააძინებდა-მეთქი და
მასთან გავედი — ვნახო ერთი, ჩემზე ჭკვიანურს რას აკეთებსმეთქი.
იშვიათად თუ შევიხედავდი ხოლმე ეკლის ოთახში — ისეთი მოუწეს-
რიგებელი ქონდათ იქაურობა და მძალე სუნი იდგა მუდამ.

ვხედავ, წევს. ოღონდ ნაღდში რო არ ძინავს. „ეკლი?“ — ვუძახი. — „გლვიძავს?“

„შენ წარმოიდგინე.“

გვარიანად ბნელოდა ოთახში, რაღაცას წამოვედე და კინალამ ისევ დავასკდი იატაკს. „რას ფოთიალობ?“ — ეკლი მეკითხება. მე კიდევ კედელზე ვაფათურებ ხელებს, ჩამრთველს ვეძებ. „შენ რაღას აკეთებ მანდ?“ — ვეკითხები ბრიყვულად.

„რას უნდა ვაკეთებდე, შენი ჭკუით? ერთხელ მაინც მინდოდა დროზე დაძინება, მაგრამ ამ ზოოპარკში რას დაიძინებ... რა ჩხუბი იყო, არ იცი?“

„სინათლე სადაა?“ — ვეკითხები.

„რა ეშმაკად გინდა?.. ეგერაა, შენ მარჯვნივ.“

მადლობა ღმერთს, ვიპოვე და ჩავრთე. ეკლიმ თვალები მოიჩრდილა ხელით.

„ეგ რა გჭირს!“ — მეკითხება. სისხლის დანახვაზე ცუდად ხდება ეგ ჩემისა.

„სტრადლეიტერს წავეკინკლავე.“ — ვეუბნები. მერე იატაკზე დავჯექი ფეხმორთხმით. სკამი და სავარძელი მაგათ მაინც არასოდეს ედგათ ოთახში. არ ვიცი, რას ერჩოდნენ. „მოიხედე აქეთ,“ — ვეუბნები, — „უარზე ხარ, კანასტა⁴ წავითამაშოთ?“ ვიცოდი, მაგრა ევასებოდა. „შეჩემა, სისხლი გდის, ვერა გრძნობ? სველი ტილო მაინც დაგედო.“

„შეჩერდება, სად წავა. ერთ ხელ კანასტაზე რას იტყვი?“ „გიჟია ეს ოხერი!.. კანასტა არა, ისა კიდევ. რომელი საათია, აზრზე თუ ხარ?“

„არც იმდენი. სადღაც თორმეტამდე იქნება.“

⁴ ბანქოს თამაშია ერთგვარი, არგენტინიდან მოდის.

„ჰო, რა თქმა უნდა — შენთვის ეგ არაფერი, მე კიდევ დილაუთენია საკვირაო მესაზე უნდა ვიყო... მაინც, რა განხუბებდათ?“ „გრძელი ამბავია, ეკლი. რაში გაინტერესებს.“ საკუთარი ამბები ჩემს დღეში არ გამიჩვეია მასთან. სტრადლეიტერზე უარესი ბრიყვი იყო და იმიტომ. სტრადლეიტერს ათი ქულით უსწრებდა. — „მისმინე, დღეს აქ დავიძინებ, ელის ლოგინში. ხვალ საღამომდე ხო მაინც არ ჩამოვა?“ — კარგად ვიცოდი, ყოველ შაბათ-კვირაზე შინ მიემგზავრებოდა ხოლმე.

„საიდან უნდა ვიცოდე? მე კი არ მახარებს ანგარიშს.“ — ეკლი მეუბნება.

ამაზე ავვარდი: „რას ნიშნავს საიდან? როდის ჩამოსულა რო?!“ „და ამიტომ გინდა ახლა მის ლოგინზე დაგაწვინო?“

ამან მთლად მომიღო ბოლო. „მაგარი ვინმე ხარ, ეკლი,“ — ვეუბნები — „ნამდვილი ჯენტლმენი და ჭეშმარიტი არისტოკრატი.“ „რას გეტყვი, იცი...“

„ერთი ღერი სიგარეტი მაინც გექნება,“ — ვეუბნები. — „ახლა არ მითხრა, არაო.“

„საიდან უნდა მქონდეს... შენ ის მითხარი, რა განხუბებდათ?“ — ეკლი მეკითხება, მეათეჯერ. მაგარი ცნობისმოყვარეა.

„შენ გამო დავცხეთ ერთმანეთს,“ — ვეუბნები.

„რაო?!“

„კი, ეგრე იყო. შენს ღირსებას ვიცავდი. იმ ძალისგაგდებულმა სტრადლეიტერმა თქვა, ეკლი ერთი უღირსი ვინმეაო. ამას შევარჩენდი?“

მართლა ავარდა, მგონი. — „ეგრე თქვა? ზუსტად ეგრე?“ — მეკითხება.

ძლივს გავაგებინე, ვიხუმრე-მეთქი. მერე წავედი და ელის ლოგინზე მივეგდე. ღმერთო, რა მურდლად ვგრძნობდი თავს! ყელში მქონდა ყველაფერი ამოსული.

„ყარს აქაურობა. წინდებს ხანდახან მაინც ვერ ჩაუშვებ გასარეცხად?“ – ვეუბნები.

„არ მოგწონს და გზაც დამილოცნია,“ – მეუბნება. – „მაგ ლაქლაქს იქნებ სინათლე გამოგერთო.“

ბატონი ბრძანდები-მეთქი, ვუთხარი, ოღონდ მაშინვე არ ჩამიქრია. ვიწექი, ჯეინზე ვფიქრობდი და რა ვიცი, კიდევ რაზე. ნერვებს ვითხლეშავდი, მასა და სტრადლეიტერს რო წარმოვიდგენდი იმ სქელტრაკა ედ ბენკის მანქანაში. ლამის მეშვირა ფეხი და ფანჯრიდან გადავმხტარიყავი. თქვენ სტრადლეიტერს არ იცნობთ, მე ვიცნობ. პენსის ბიჭების უმრავლესობა მხოლოდ ენას იქავეებს – სად, როდის და ვინ იხმარეს ვითომ, სტრადლეიტერი კი მართლა გამკეთებელია. ყოველ შემთხვევაში, ორ მაგის გოგოს პირადად ვიცნობდი. რატო მოიტყუებდნენ.

„ეკლი-ბიჭი, თქვენს მრავალფეროვან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე ხომ ვერ გვეტყოდით ორიოდ სიტყვას?“ – გადავძახესავით. „ერთ-ორ თბილ სიტყვას მართლა გეტყოდი, ოღონდ ხვალ მესაზე უნდა ვიყო. ადრიაანად.“

მეც ავდექი და სინათლე ჩავაქრე. განისვენოს მშვიდად⁵. „რას შვები, მართლა ელის ლოგინში აპირებ ჩაწოლას?“ – მეკითხება. მაგარი მასპინძელი იყო, ნამდვილად.

„რა ვიცი, ვნახოთ. შენ დაიძინე.“

„ელი რომ მოვიდეს და ვილაცა მასტი დახვდეს თავის ლოგინში...“ „მორჩი ბაზარს. აქ მაინც რა დამაძინებს – თქვენი წრეგადასული სტუმართმოყვარეობით ხომ ვერ ვისარგებლებ. თანაც ბოროტად.“

ხუთ წუთში ხვრინვა ამოუშვა. მე კიდევ ვიწექი სიბნელეში და მართლ იმას ვცდილობდი, ჯეინზე და სტრადლეიტერზე აღარ მეფიქრა. ოღონდ, შანსი არ იყო. აზრზე ვიყავი, როგორ აბამდა

⁵ Requiescat In Pace (ლათ.) – კათოლიკური სულთათანას დამაგვირგვინებელი სიტყვები.

ხოლმე გოგოებს და ახლა სწორედ ეგ მიფრთხოვდა ტკბილ ძილს. ერთხელ წყვილი-წყვილზე წავეყვი, ისევ მაგ ედი ბენკის მანქანით, და სტრადლეიტერი უკან იჯდა თავის ნაშიანად, ჩვენ კიდე წინ. მესმოდა, მაგრა კერავდა; თან ისე, შემპარავად. ძაან კარგი და პატიოსანი და წესიერი ბიჭის როლში იყო შესული, თაფლნარევი ხმით უხსნიდა, ჩემისთანა სუფთა გულის მეორე არ დადისო. ლამის ჩაგბჟირდი ის კიდე, ის გოგო, სულ ერთსა და იგივეს იმეორებდა — „არ გინდა, გთხოვ, მართლა, არგინდა, ნუ...“ მერე კიდე ის შმაშუნიანი სიჩუმე ჩამოწვებოდა ხოლმე მანქანაში... მაგრა უხერხულად ვგრძნობდი თავს. არა მგონია, იმ ღამეს მართლა გამოსვლოდა რამე, ოღონდ მაგრა ახლოში კი იყო მიზანთან, დამიჯერეთ.

სანამ ასე ვიწექი და ტყუილად ვცდილობდი არაფერზე არ მეფიქრა, სტრადლეიტერიც დაბრუნდა. გავიგონე, კარი გააღო და ოთახში შევიდა. მერე ფანჯარა გამოაღო. სუფთა ჰაერის გიჟი გახლდათ ეგ ჩემისა. ცოტა ხანში სინათლევ გამორთო. საერთოდ არ დაინტერესებულა, სად ვიყავი და როგორ ვიყავი.

სრული სიჩუმე ჩამოწვა. ერთ მანქანასაც კი არ გაუვლია სადმე ისეთი მარტოობა ვიგრძენი, ლამის იყო ეკლი წამომეგდო ლოგინიდან.

„ეკლი...“ — წავიჩურჩულე, სტრადლეიტერს რო არაფერი გაეგო. არც ეკლის გაუგია რამე.

„ეკლი!“ — თქვენც არ მომიკვდეთ, ღრმა ძილით ეძინა.

„ეკლი, შე...“ — აი, ახლა კი გაიგონა.

„რას გადამეკიდე?!“ — მეუბნება. — „რატო არ გძინავს?“ „დაიცა. შენ ის მითხარი, მონასტერში რო ბერად აღიკვეცო, რამეა საჭირო?“ — ერთხანობა ეს მქონდა აკვიატებული, ახლა გამახსენდა. — „აუცილებლად კათოლიკე უნდა იყო?“

„აბა, არ უნდა იყო? ვირო, ამისთვის გამაღვიძე?“

„კარგი, ხო. თავისუფალი ხარ. მაინც აზრი არა აქვს. მე რო მონასტერში წავიდე, წამში აირევა იქ ყველაფერი. ან ჩემი ბედი რო ვიცე, ყველანი გამოშტერებული ბებრები აღმოჩნდებიან ან რამე...“ ეგა ვთქვი და ეკლიმ ლამის ისკუპა ლოგინიდან. „იცი რას გეტყვი,“ — მეუბნება, — „ჩემზე რას ლაპარაკობთ, სულ ფეხებზეც მკიდა, ოღონდ ჩემს რწმენას თუ შეეხები...“

„დაშუშდი,“ — ვეუბნები. — „ვის რაში ადარდებს შენი სარწმუნოება.“ მერე წამოვდექი და კარისაკენ გავემართე. ამ სიბრყველში ყოფნა აღარ შემეძლო. ოღონდ გზად შევჩერდი, ეკლის ხელი დავიადე და მაგრად ჩამოვართვი, გულიანად. წამსვე უკან გამომგლიჯა. „ვითომ რაო, მაგით რა მინდაო?“ — ეკლი მეკითხება.

„არც არაფერი. უბრალოდ, მადლობა მომიხსენებია, ეგეთი ვინმე რომ არსებობ,“ — ძაან გულწრფელი ხმით ვეუბნები. — „ჯვრის ტუბი ხარ, ეკლი. ნამდვილად.“

„ვაი შენს პატრონს. საკუთარ თავს მიხედო, გირჩევნია.“ ყური აღარ დამიგდია, რას ბურღლუნებდა. კარი გამოვიხურე და დერეფანს გავუყვი.

მთელ შენობაში ან ყველას ეძინა, ანდა შაბათ-კვირას საკუთარ სახლებში იყვნენ გაკრეფილები — ისეთი სიჩუმე იდგა, გულზე გაწვებოდა ლამის. კართან კოლინოს ცარიელი კოლოფი ეგდო და მეც მეტი რა საქმე მქონდა — გავკარი და გამოვკარი ფეხი. ერთი პირობა — მელ ბრასარდს ხო არ შევუარო, ვნახო რას შვება-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. მერე უცებ თავში მხია: რაც ნაღდში მჭირდებოდა ახლა, ეს პენსიდან ათესვა იყო. უკანმოუხედავად. არ გავკარი იმ ოთხშაბათს თუ რაღაცაა?! რა ძალა მადგა — წავიდოდი ნიუ-იორკში, ერთ უბრალო, იაფფასიან სასტუმროში ავიღებდი ნომერს და ვიქნებოდი იქ ოთხშაბათამდე, ცოტა დროსაც გავატარებდი და მერეღა გავემგზავრებოდი სახლში — დასვენებული და ნერვებდაწყნარებული. რამე რო იყოს, ჩემი გარიცხვის თაობაზე ბებერი თერმერისაგან შეტყობინებას ჩვენები

სამშაბათ-ოთხშაბათამდე მაინც ვერ მიიღებდნენ, ხოდა მეცლია, კარგად გადაეხარშათ ეს ამბავი. რა მრჯიდა, მაინცადამაინც იქ ვყოფილიყავი, წერილს რო გახსნიდნენ? ხომ იცით დედების ამბავი, ნერვიული ხალხია. თავიდან ინერვიულებს, მერე დაწყნარდება. ეგრეა. ბოლო-ბოლო, ჩემს ნერვებსაც ხო უნდოდა ცოტა მოფრთხილება? ღმერთმანი, მეც გადაღლილი ვიყავი, განა არა.

მოკლედ, ეგრე გადავწყვიტე. მერე ჩემს ოთახში მივბრუნდი, სინათლე ავანთე და ხუთ წუთში ჩაცმულიც ვიყავი და ჩალაგებულის. ისე, ყველაზე სწრაფი ჩამლაგებელი ვარ მსოფლიოში, რო იცოდეთ. ოღონდ დედაჩემის გამოგზავნილმა ციგურებმა კი ცოტათი ისევ გამიფუჭა ხასიათი. ახალთახალი ციგურები იყო და უცებ წარმოვიდგინე, როგორ შედის დედაჩემი სპორტული საქონლის მაღაზიაში, გამყიდველს ათას სულელურ შეკითხვას აძლევს და მერე მაინც ჰოკეის ციგურებს ყიდულობს, სარბოლის მაგივრად. ოღონდ გული კი მაინც დამწყდა — გამომიგზავნა და გამომაგდეს კიდევ. რას იზამ, ეგრეა.

მერე დავჯექი და ფული დავითვალე. ზუსტად არ მახსოვს, საკმარისად კი მქონდა. ბებიჩემმა გამომიგზავნა სულ რაღაც ერთი კვირით ადრე. მაგარი ბებია მყავს — ცოტა ერეკება, დაბერდა უკვე, მაგრამ ყოველ დაბადების დღეზე მიგზავნის ფულს. ოღონდ რატომღაც ჰგონია, რომ ეს დღე წელიწადში ოთხჯერ მაქვს თუ ხუთჯერ... მოკლედ, ფული კი მქონდა, მაგრამ ფული ზედმეტი არასოდეს არ არი-მეთქი, გავიფიქრე და ფრედრიკ ვუდრაფთან ჩავედი — აი იმასთან, ჩემი საბეჭდი მანქანა რო ვათხოვე. გავალვიძე და ვეკითხები, რამდენს მომცემ მაგაში-მეთქი. ჯიბესქელი ვინმე იყო, ეგ ვუდრაფი. ჯერ იუარა, მაგისთანა ჯართი რაში მჭირდებაო, მაგრამ მერე მაინც დაი-ტოვა. ოთხმოცდაათი დოლარი მინდოდა გამომერთმია და ოცად კი მივეცი. კიდე აქეთ უკმაყოფილო დამირჩა, რაღა ღამით დამადექი თავზეო.

მერე, ყველაფერს რო მოვრჩი, იმ ჩემს ორად ორ საკვოიაჟს დავავლე ხელი, კიბეზე გადმოვდექი და ღამის იყო, ცრემლი მომაწვა

თვალზე. აზრზე კი არა ვარ, რატო. ხოდა ის ჩემი ალისფერი სანადირო ქუდი ისევ ისე უკუდმა მოვირგე თავზე, პირი დავაფჩინე და მთელი ხმით დავჭყვივლე: „ბრიყვებო ყველა ქვეყნისა, იძინეთ მაგრად!“ თავს მოვიჭრი, მთელ სართულზე თუ არ დამეფეთები-ნოს ყველა სწავლამოწყურებული ტრაკილოკია მძინარე ვირიშვილი. მერე კი უკანმოუხედავად დავგაბე. ვილაც ნაბიჭვარს კიდე თხილის ნაჭუჭები დაეყარა კიბეზე და ცოტაც იყო, კისერი არ მოვიტეხე.

8.

ტაქსის გამოსაძახებლად მეტისმეტად გვიანი იყო, ასე რომ სადგურამდე ფეხით ვიბლაყუნე. ძაან ბევრიც არ მქონდა გასავლელი, ოღონდ თოში ღამე იყო, თან თოვლა და თან ეს ორი საკვლიაჟი ხომ წარამარა მედებოდა ფეხებში. ახლა ისიცა ვთქვათ, სტრადლეიტერის დაადებული ტუჩი რო მქონდა გამსკდარი, ცხვირიც შემისივდა და მოკლედ, რა... კარგი სანახავი ვიყავი. მარტო ქუდმა გამისწორა — გადმოსაშვები საყურეები ქონდა და მაგრა მათობოდა. სხვა-რა — კაციშვილი არ ჭაჭანებდა გარეთ და რაში მანაღვლებდა, როგორ გამოვიყურებოდი.

განრიგსაც კარგად გავარტყი — სულ ათიოდე წუთი მომიწია ლოდინი და მატარებელიც ჩამოდგა. მანამდე ცოტათი ცხვირ-პირი მაინც მოვიწმინდე ახალი თოვლით — ემანდ ხალხი არ დამეფრთხო კუპეში. საერთოდ, მატარებლით მგზავრობა სულ არ მიტყდება. თან თუ ღამეა და ფანჯრებში სიბნელე, შიგ კიდე გაჩახახახებულია ყველაფერი. თან რო თბილა და თან ყავას, სენდვიჩებსა და ჟურნალებსაც გთავაზობენ. თითო ლორიან სენდვიჩს და ერთი ოთხ ჟურნალს მაინც ვიღებ ხოლმე. ვზივარ მერე და ვკითხულობ რაღაც სისულელეებს. თან ასწორებს, კვადრატულყბიანი და თმაშევერცხლილი ვინმე ბიჭი ჯეიმში რო ქალებს აბამს და ყველას ან ლინდა ჰქვია ან მარსია ან რამე ეგეთი და ერთი სული აქვთ, ყალიონი გაუწყონ და მიართვან. ოღონდ ამჯერად მათი თავი არა მქონდა. ვიჯექი ჩემთვის და არაფერზე არ ვფიქრობდი. მარტო ქუდი მოვიხადე და ჩავიტენე კიბეში.

აი სწორედ მაშინ იყო, ტრენტონის სადგურზე, ის ქალი რო ამოვიდა და პირდაპირ ჩემკენ გამოაჭრა. ლამის მთელი ვაგონი ცარიელი იყო, მაინც ჩემ გვერდით არჩია დაჯდომა. დიდი ჩანთა ეჭირა ხელში, მკერდზე კიდე ყვავილები ქონდა მიბნეული, თითქოს წვე-

ულებიდან ბრუნდებაო. ჩანთა, რა თქმა უნდა, გასასვლელში დატოვა, გამვლელ-გამომვლელს რო ფეხი კარგად წამოეკრა, ალბათ იმიტო... 40—45 წლის თუ იქნებოდა, კარგი შესახედი. აი, ეგეთებზე ტვინი მეკეტება. მართლა-მართლა. სექსი აქ არაფერ შუაშია — თუმცა როგორ არა, ნაღდად რო შუაშია, ოღონდ იმის თქმა მინდა, უბრალოდ ეგეთები თითქოს უფრო მხიბლავენ ხოლმე, რაღაცნაირად. და ჩანთებსაც ხო მუდამ გასასვლელში ტოვებენ, შანსი არაა. ჰოდა, ვიჯექით ასე, გუგულებივით და უცბად მეუბნება: „მაპატიეთ, მაგ ჩანთებზე პენსის ემბლემა გაქვთ დაკერებული?“ ჩემ საკვლიაჟს მიჩერებოდა.

„ნამდვილად,“ — ვეუბნები მთელი ზრდილობით. ერთ ჩანთაზე მართლა მქონდა. დიდი სისულელე კი გამიკეთებია, ღმერთმანი. „მართლა პენსიში სწავლობთ?“ — მეკითხება. რბილი ხმა ქონდა, ტელეფონისტ გოგოებს რო აქვთ, რაღაც იმდაგვარი.

„კი, ეგრეა“ — ვეუბნები.

„არა, მართლა? იქნებ ჩემს შვილსაც იცნობდეთ — ერნისტ მაროუს, ისიც პენსიშია!“

„ვიცნობ, როგორ არა. ერთ კლასში ვართ.“

არა ბიჭო, არ ვიცნობ. ერნი მაროუ ყველაზე დიდი ძაღლიშვილი ნაბიჭვარი იყო იმ დამპალ პენსიში. მეორე ეგეთს სხვაგანაც ვერ იპოვიდი იოლად. საშხაპედან რო გამოვიდოდა, დერეფანში ყველა შემხვედრ უმცროსკლასელს სველ პირსახოცს უტყაპუნებდა ტაკოზე. ეგეთი ბიჭი იყო ჩვენი ერნი.

„ეგ რა მითხარით!“ — თუმცა თვითონ ეს მაზალოდ არ გამოსვლია, რაღაც სასიამოვნო ტიპი იყო, თავისთავად. „ჯერნის უნდა ვუთხრა, თქვენ რომ შეგხვდით. და როგორ ვუთხრა, რა გქვიათ?“ „რუდოლფ შმიდტი,“ — ვეუბნები. ეგ ჩვენი დარაჯის სახელია. „მოგწონთ კენსიში?“ — მეკითხება.

„ცუდი რადაა. მთლად სამოთხე ვერ არის, ვერ მოგატყუებთ, ოღონდ ბევრ სხვას კიდევ სჯობია.“

„ჩემი ერნი კიდე ჭკუას კარგავს მაგ სკოლაზე.“

„ვიცი, ჩემთვისაც უთქვამს,“ — ვეუბნები. მერე მოვხსენი გუდას პირი და მივაცარე, ნაღდი კლასის დამრიგებელივით: „ერნის ადაპტაციის შესანიშნავი უნარი აქვს, ძალიან კარგად ეგუება გარემო პირობებს. ძალზე კონტაქტურია. იცით, თავის ადგილს ყოველთვის პოულობს.“

„მართლა ასე ფიქრობთ? გეხვეწებით, ყველაფერი მითხარით, არაფერი დამიმალეთ!“ — მართლა დაინტერესებული ჩანდა, არ მსახიობობდა.

„რა მაქვს დასამალი? მშვენიერი ყმაწვილია,“ — ვეუბნები. ამ დროს ხელთათმანები წაიძრო და ერთი გენახათ, რა ქვები უბრჭყვიალებდა თითებზე!

„ფრჩხილი მოვიტეხე, მანქანიდან რომ გადმოვდიოდი,“ — მეუბნება და მიღიმის. მშვენიერი ლამაზი სასიამოვნო ღიმილი ქონდა, ღმერთმანი. ხალხის უმეტესობა ან საერთოდ არ იღიმება, ან რალაც დაღრეჯილი რამე გამოსდით. „მე და მამამისს ხანდახან ძალიან გვადარდებს ერნის ამბავი,“ — მეუბნება. — „ხანდახან გვეჩვენება, რომ მაინცადამაინც კარგად ვერ ეწყობა თავის ტოლებს.“ „ანუ, რას გულისხმობთ?“

„როგორ გითხრათ... მეტისმეტად მგრძნობიარეა. სხვა ბიჭებთან უჭირს ხოლმე ურთიერთობა. ხანდახან მეტისმეტად სერიოზულად აღიქვამს ყველაფერს. იცით, მის ასაკში...“ — და აქ ერთი ღრმად ამოიოხრა.

ზედმეტად მგრძნობიარე ბრძანებულა, ერთი სიტყვით. ეგ რა მითხარით, ქალბატონო. არადა, სუფთა ხისთავა იყო. ოღონდ ეს დედამისი კი სულაც არ გავდა სულელს. იქნებ ძალიანაც აზრზე იყო, ბიჭი ერნი რა ვირიშვილიც ყავდა შემქმნელს. თუმცა დედებზე ვერასოდეს ვერაფერს იტყვი ნაღდად. მე მგონი, საკუთარ შვილზე ცოტ-

ცოტას მაინც ყველა დედა აფრენს. თუმცა ერნისტ მაროუს დედა ძალიანაც მესიმპათიურებოდა, ნამდვილად. „სიგარეტს არ ინებებთ?“ – ვეკითხები.

შეშინებული სახით მიმოიხედა. „არა მგონია აქ მოწევა შეიძლებოდეს, რუდოლფ!“ – მეუბნება. მეთქი მომეყურა. რუდოლფ! როგორია?!

„არა უშავს. თითო გავაბოლოთ და ვნახოთ, თუ აყვირდება ვინმე.“ ვინ უნდა ამოიღოს ხმა, სიცარიელეა გარშემო.

სიგარეტი გამომართვა. ჯერ მისას მოვუკიდე, მერე ჩემსას. ლამაზად ეწეოდა, ნათაზსაც ურტყამდა და ყველაფერი, ტყუილად არ აფუილებდა სხვებივით.

რალაც უცნაურად კი მიყურებდა ერთხანს. „თუ რამე არ მეშლება, სისხლი გდის ცხვირიდან, ჩემო კარგო,“ – უცბად მეუბნება მერე. თავი დავეუქნიე და ცხვირსახოცი ამოვიღე ჯიბიდან. „თოვლის გუნდა მომხვდა,“ – ვეუბნები. „ხომ იცით, ზოგს ხელში რომ ჩაეყინება ხოლმე...“ იქნება ჯობდა სიმართლე მეთქვა, მაგრამ ეგ დიდ დროს წაიღებდა. ოღონდ ეს სულელური რუდოლფ შმიდტი რალამ დამაყრანტალეობინა?

„ერნის ყველა იცნობს პენსიში. ყველას ძალიან უყვარს.“ „არ ვიცოდი...“

თავი დავეუქნიე. „ოღონდ ამას დრო დასჭირდა. თავისებური ბავშვია, ცოტა უცნაურიც – გესმით, რის თქმა მინდა? თავდაპირველად მეც იგივე გრძნობა გამიჩნდა – ვიფიქრე, ხომ არ წაისნობებსმეთქი. სწორედ ასე გავიფიქრე, მახსოვს. ოღონდ არაფერი ამის მსგავსი. უბრალოდ, პიროვნული მახასიათებლები აქვს ისეთი, ცოტა დროა საჭირო, კარგად რომ გაიცნო.“

მისის მაროუს ხმა არ გაუღია, მაგრამ თვალები კი გაუხდა თეფშისხელა. არც ერთ დედას მეტი არაფერი უნდა, ოღონდ მისი შვილი აქე და ადიდე – ძაან სხვანაირი ბავშვია-თქო, უნდა უმ-

ტკიცო. ხოდა, მეც მივდექი და საბოლოოდ დავაბოლე: „არჩევნებზე თუ გითხრათ რამე?“ — ვეკითხები ძაან სერიოზულად. — „კლასის არჩევნებს ვგულისხმობ?“

თავი გააქნია უარის ნიშნად. ხმას ველარ იღებდა. გეუბნებით, ტრანსში იყო ჩავარდნილი. მონუსხულივით მიყურებდა.

„მოკლედ, საქმე ასე იყო: ერნის არჩევა გვინდოდა კლასის წარმომადგენლად. იმის თქმა მინდა, ერთადერთი იყო, ვინც ერთხმად იქნა დასახელებული.“ — აუ, რას ვუბერავდი?! მაგრამ ჩემი რა იკარგებოდა... „ოღონდ ბოლოს მაინც ვინმე ჰარი სპენსერი ავირჩიეთ. სხვა რა გზა გვქონდა. და იცით, რატომ? იმიტომ რომ ერნიმ თავისი კანდიდატურა მოხსნა. სწორედ ასე — აიღო და მოხსნა. მეტისმეტად თავმდაბალია და მორიდებული. აი, ესაა პრობლემა. იმის თქმა მინდა, მომავალში შეიძლება ექცეს პრობლემად.“ თვალი გაუფსწორე და ჩუმად ვეკითხები, გულშიჩამწვდომად: „არა მართლა, ამის თაობაზე თქვენთვის სრულიად არაფერი უთქვამს?“

„არა... არაფერი.“

ისევ დავუქნიე თავი, ბრძნულად: „აი, ეგაა ჩვენი ერნი. არც გეტყოდათ. მეტისმეტად თავშეკავებულია. უნდა წააქეზოთ ხოლმე ხანდახან.“

კიდევ კარგი, სწორედ ამ დროს კონტროლიორმა ჩამოიარა ბილეთების შესამოწმებლად და მეც შევწყვიტე ლაქლაქი. თუმცა მაინც კარგი იყო — ეგეთი შვილი რო ეყოლება ეგეთ ქალს, ცოტა მაინც ხომ უნდა გაუკეთო გული. ახლა კიდევ კარგა ხანს სულ ასე იფიქრებს — რა თავმდაბალი, მორიდებული და როგორ ვთქვი? — ჰო, თავშეკავებული ყოფილა ჩემი ერნიო. რამდენ ხანს — ეგ აღარ ვიცი — ხომ გითხარით, სულელს არ გავდა-მეთქი, და ერნისთანა ნავაგიც მართო ბავშვობაში კი არაა ეგეთი, მერეც სულ ეგეთი რჩება. დედებს კიდევ რას გაუკებ — ეგენი სულ საკუთარ წარმოდგენებში არიან.

„თითო კოქტეილი ხომ არ დაგველია?“ — ვეკითხები. „აქ სადღაც ბარი უნდა ჰქონდეთ.“

„ჩემო კარგო, შენი ასაკის ყმაწვილს სასმელს მოგცემენ?“ — ოლონდ ისე მეკითხება, ძაან უბრალოდ, ცხვირაბზუებით კი არა. საერთოდ, მანერულობის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

„კაცმა რომ თქვას, არც უნდა მომცენ, ოლონდ ჩემი სიმაღლის წყალობით... თან ეს შევერცხლილი საფეთქელიც თავისას შვება,“ ვეუბნები და პროფილში ვდგები. — „წამოდით, რას კარგავთ?“ ძაანაც მესიამოვნებოდა, ეგ თუ მედგებოდა გვერდში.

„არ ვიცი პირდაპირ... იქნებ არც ღირდეს? თან გვიანია — რომელი ბარი იმუშავებს ამ დროს? მაინც დიდი მადლობა მიპატიუებისათვის.“

მართალი იყო, რას ერჩი. დრო სულ გადამავიწყდა. და სწორედ მაშინ იყო, ის რო მკითხა: „ერნი იწერებოდა, ორშაბათს ჩამოვალო, საშობაო არდადეგები ორშაბათიდან გვეწყებაო. ცუდი ხომ არაფერი შეგატყობინეს ოჯახიდან?..“ — მართლა შეწუხებულს გავდა, არავითარი პრანჭვა-გრეხვა.

„არ-ა-ა, ოჯახში სრული წესრიგია,“ — ვეუბნები. — „უბრალოდ, გადაწყდა — ახალ წლამდე უნდა დავწვე საოპერაციოდ.“

„რას ამბობ! რა დაგემართა?..“ — ისეთი შემფოთებული სახე ქონდა, აქეთ შემაწუხა ჩემმა სიბრიყვემ.

„არაფერი ისეთი, რაღაც პატარა წამონაზარდი აღმომიჩინეს ტვინის გარსზე.“ — ვეუბნები, რაც რომ პირველი მომადგება ენაზე. „არა... რას ამბობ...“ — თან თითები აიფარა ტუჩებზე და მთელი ამბავი. კიდე კარგი, ცრემლები არ დააღვარღვარა.

„მართლა არაფერია სერიოზული — ზედ ზედაპირზეა და თან ძაან პატარაო,“ — ვამშვიდებ. — „ორ წუთში მოვუთავებთ ხელსო.“ რაღაცა ბუკლეტი დავიადე და მატარებლების განრიგის შესწავლა დავიწყე, ვითომ ძაან მჭირდებოდა რამეში. ოლონდ კი როგორმე ტყუილების გუდისტვის მომეკრა პირი. გეუბნებით, თუ დავიწყე, ველარ ვჩერდები. საათობით შემიძლია რაღაც ზღაპრები ვფქვა. საათობით.

მერე კარგა ხანს ხმა არც ერთს არ ამოგვიღია. ის თავის „ვოგს“ ფურცლაფდა, მე კიდევ ფანჯარაში ვიყურებოდი. ნიუარკში ჩავიდა. ერთი საათი მემშვიდობებოდა, იმ ჩემი ოპერაციის კეთილად გადატანა მისურვა და საერთოდ, ყოველგვარი სიკეთე. თან სულ რუდოლფს მეძახდა. მერე საზაფხულოდ ერნის მაგივრად დამპატიჟა მათსას — გლესტერში, მასაჩუსეტსის შტატში — მითხრა, ზედ სანაპიროზეა ჩვენი სახლი, ჩოგბურთის კორტი და აუზით და რამეო, მაგრამ მე მარტო მადლობა მოვახსენე, მაგდროისათვის ბებიაჩემს შევპირდი სამხრეთ ამერიკაში წაყოლას და ბებიას ხომ სიტყვას ვერ გავუტეხავ-მეთქი; არადა ის საცოდავი სახლიდან თუ გამოდის, მხოლოდ საკვირაო წირვაზე ან რამე ეგეთზე — რის ლათინური ამერიკა, რა სამბა და რამე... ბოლო-ბოლო, ქვეყნის ოქრო რო შემოეთავაზებინათ და მთლად უსაქმოდ ვყოფილიყავი, ერნისტ მაროუსთან რა ჩამიყვანდა სტუმრად.

პირველი, რაც ნიუ-იორკში ჩასვლისთანავე გავაკეთე, ტელეფონის ჯიხურში შევედი და მეთქი ვინმეს უნდა გადავურევო აუცილებლად. ჩანთები გარეთ დავტოვე, ოღონდ ისე რო თვალიც სჭეროდა, მაგრამ ჯიხურში მოვკალათდი თუ არა, აზრზე ვეღარ მოვედი, ვისთვის შეიძლებოდა დამემზანოკებინა: ჩემი ძმა დიბი ჰოლივუდში გახლდათ, ჩემი პატარა დაიკო ფიბი სადღაც ცხრა საათისთვის უკვე ფერად სიზმრებს ხედავდა ხოლმე და მას იქნებ არც სწყენოდა თუ გავაღვიძებდი, ოღონდ საქმე ისაა, ჯერ ვინმე სხვა მიპასუხებდა, რა თქმა უნდა — ალბათ ისევე ჩემი მშობლებიდან რომელიმე. მოკლედ, სახლი გამოირიცხა. მერე ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, ჯეინ გელუხერის დედას დავურეკავ და გავიგებ ერთი, მის ქალიშვილს როდის ეწყება არდადეგები-მეთქი, მაგრამ დროზე გადავიფიქრე. მართლა ძაან გვიანი იყო ტელეფონზე ჩამოსაკიდებლად. იმ გოგოზეც კი ვიფიქრე, სალი ჰეიესზე, კარგა ხანს დავდიოდი მასთან და აკი ის გრძელზე-გრძელი წერილიც მომწერა — იქნება საშობაოდ ჩამოსულიყავი და ნაძვის ხე მოგვერთო ერთადო; მაგრამ რა გარანტია მქონდა, დედამისი არ აიღებდა ყურმილს. ჩვენი დედები კიდე ძაან სიამტკბილობაში იყვნენ ერთმანეთთან და უცბად წარმოვიდგინე, სალის დედა რო ფაცხაფუცხით ეცემა ტელეფონს და დედაჩემს ურეკავს — ის თუ იცი, შენი შვილი რომ უკვე ჩამოსულა ნიუ-იორკშიო. ეგეც იყო რა — ერთხელ სალის ისიც კი უთხრა, ეგ ბიჭი ერეკებაო. მერე ისიც დაუმატებია — მაგისთანები ცხოვრებაში გზას ვერ პოულობენო. მერე კიდე ვინმე კარლ ლუსიც გამახსენდა — ვუტონის სკოლაში ერთ მერხზე ვიჯექით, ოღონდ დიდად არაფრად მეპიტნავებოდა არასოდეს. საბოლოოდ, სულაც არავისთვის დამირეკავს — გამოვედი ჯიხურიდან, ჩანთებს წამოვავლე ხელი და ტაქსების გაჩერებას მივადექი.

იქ არც რიგი იყო და არც არაფერი, ჩაჯვები და ისე ვიყავი დაბან-ტურებული, პირდაპირ სახლის მისამართი არ ვუთხარი? სულ ამომივარდა თავიდან, სასტუმროში რო ვაპირებდი მოყუჩებას — ოთხშაბათამდე მაინც. კარგა ნახევარი გზა გვექნებოდა გავლილი, აზრზე რო მოვედი და ვეუბნები — სადაც მოგიხერხდებათ, მოუხვიეთ და ცენტრისაკენ წავიდეთ, მისამართი შემეშალა-მეთქი. ეგ რა მითხარიო, მეუბნება — თითქოს ძაან-ძაან შეწუხებული, — ახლა როგორ იქნება ეგ საქმე, აქ სულ ეგრე ცალმხრივია, მეცხრამეტე ავენიუმიდეთ. მაგასთან დავის თავი ვის ქონდა, ხოდა მეც ვეუბნები — თქვენი რა მიდის, იქნებ როგორმე ამ სასტუმროში მიმიყვანოთ-მეთქი და ახლა ახალ მისამართს ვაძლევ. მერე უცბად რაღაცა გადამიტრიალდა თავში და ვეკითხები: „სენტრალ პარკის სამხრეთ შესასვლელთან რო ტბორია, ხო იცით? მერე, წყალი რო გაიყინება, იმ იხვებს რა მოსდით, ვერ მეტყვიოთ?“ — ამ დროს აზრზე ვარ, ერთი შანსია მილიონიდან, მართლა იცოდეს.

მომიტრიალდა და რაღაც უცნაურად მიყურებს. „რა გინდა, ძმაო?“ — მეკითხება. — „მაღადავებ?“

„არა ბიძაჩემო, გეკადრებათ?“ — ვეუბნები. — „პირველად ვარ ნიუ-იორკში და მართლა მაინტერესებს.“

ამაზე პასუხი აღარ გაუცია და აღარც მე გამომიღვია დაკონტაქტებაზე თავი. ბოლო-ბოლო, მეცხრამეტე ავენიუზე დავტრიალდით და მერელა მეკითხება: „ახლა საით?“

„ახლა რას გეტყვი, ბიძაჩემო,“ — ვეუბნები, — „ინკოგნიტო მიჭირავს და ისტ-საიდის მხარეს არ მაწყობს სასტუმროში გაჩერება, ვაითუ ვინმე ძველ ნაცნობს გადავეყარო.“ — აი ამისთანა ბრიყვულ ევროპეიზმებს ვერ ვიტან — „ინკოგნიტო“ არა, ის კიდე... ოღონდ როცა ამისთანას გადაეყრები, თავიც შესაბამისად უნდა დაიჭირო. — „არ იცი, „ტაფტში“ ან „ნიუ-იორკერში“ ვინმე ვარგისიანი თუ უკრავს დღეს?“

„აბა მე საიდან, ძმაო.“

„მაშინ „ედმონში“ წავიდეთ, ეგ უფრო ნაღია. გზაზე კიდე სადმე შეაჩერე, თითო გადავკრათ. გპატიჟებ.“

„მაგის უფლება მე ვინ მომცა, ძმაო. მაღლობელი, მაგრამ ვერა.“ მაგარი ჩასაძმაკაცებელი ვინმე კი იყო, ღმერთმანი. ედმონ-ოტელთან ჩამომსვა. შესვლისას ჩემი მეწამული სანადირო ქუდი მაინც მოვიძრე თავიდან — ემანდ მთლად შერევილად არ ჩამთვალონ-მეთქი. მაგრა მივქარე. რა ვიცოდი, მთელი სასტუმრო თუ გიჟებით, მანიაკებითა და დარტყმულებით იქნებოდა გამოვსებული.

ერთი მოცუცქნული ოთახი მომცეს და ფანჯრებიდანაც ვერა-ფერი ხედი იყო — სასტუმროს უკანა მხარეს გადიოდა, ოღონდ ისეთ მყრალ ხასიათზე ვიყავი, სულ არ მქონდა ლამაზი ხედების დარდი; და ვინაც ნომრის კარი გამიღო, ის კიდე მთლად დეპრესიაში ჩაგაგდებდა კაცს — ორი ღერი თმა მარცხენა ყურის იქიდან მარჯვნივ გადაეტანა პრიალა თავის ქალაზე და მგონი, სულაც წებოთი თუ რაღაცით ექნებოდა ზედ დაკრული. ამას არ ჯობია, მთლად ბილიარდის ბურთივით გქონდეს? ისე, რაღა დროს ამ ხნის კაცის სასტუმროში მუშაობაა — სხვისი ჩემოდნები ათრიო და ხურდა ფულს ელოდე საჩუქრად. იქნებ სულაც ჭკუა არ ყოფნიდა სხვა რამისთვის, მაგრამ მაინც ერთი საცოდაობა იყო მაგის ყურება. რო გავისტუმრე, მერე ერთხანს ფანჯარაში ვიყურებოდი, რამე მაინც ხომ უნდა მეკეთებინა. ხოდა ისეთ რამეებს ვუყურებდი, რო გითხრათ, იქნება და არც დამიჯეროთ. ხალხს ნომრებში ფარდის გაწევაც კი ეზარებოდა ფანჯრებზე და ერეკებოდნენ თავისას, ყველა მიმართულებით. ერთი მასტი იყო — ჭალარა, ძან პრემენტაბელური გარეგნობისა, ასე ვთქვათ, ოღონდ შიშლიკანა და უცბად ჩემოდნიდან ქალის ტანსაცმელი არ ამოალაგა და ჩაცმა-მოზომვა არ დაიწყო?! ნამდვილი ქალის ტანსაცმელი, გეუბნებით — აბრეშუმის წინდები, საცვლები და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები და კორსეტი თავისი დუგმა-შესაკრავებით

და მთელი ამბავი. მერე რაღაც ნახევრადგამჭვირვალე სამეჯლისო კაბაც ამოიცვა — აი ისეთი, მაგრა რო ლანდავდა და მოჰყვა ოთახში წინ და უკან სიარულს. თან სიგარეტს აბოლებდა გრძელბე-გრძელი მუნდშტუკით და თან საკუთარი გამოსახულებით ტკბებოდა სარკეში. მერე კიდე მის ზემო სართულზე ვილაც ორი დარტყმული დედა-კაცი მაღალი ჭიქებიდან წრუპავდა ეტყობა შამპანურს და მერე ერთმანეთს წუწავდა. თან ჯერი-ჯერზე — ჯერ ერთი იგუბებდა პირში და მერე მეორე. ერთი გენახათ, რა დღეში იყვნენ! ან მაგარ დროს ატარებდნენ, თავიანთ ჭკუაში, ან უბრალოდ, ისტერიკა ქონდათ. ვერ გავარკვიე. გეუბნებით, თავი ერთადერთი ნორმალური მეგონა მთელ სასტუმროში. ლამის იყო, სტრადლეიტერთან მეფრინა დეპეშა — სასწრაფოდ აქ გაჩნდი-მეთქი. ღმერთმანი, პირველი კაცი იქნებოდა ამ საგიჟეთში, მეფურად გაატარებდა დროს.

უბედურება კიდე ისაა, ამისთანა რამეს რო უყურებ და თვალს ვერ აშორებ, გინდა მოგწონდეს და გინდა არა. თუმცა აი ის ქალები, ერთმანეთს რო წუწავდნენ, ძალიანაც კარგი შესახედავები იყვნენ. აი ეგაა საქმე. შინაგანად, რამე რო იყოს, მეც გვარიანი გარყვნილი ვინმე ვარ: ხანდახან ისეთ რამეს გავივლებ ხოლმე გუნებაში, არც დაიჯერებთ. თან რატომღაც მგონია, სულაც არ იქნებოდა (ცუდი-მეთქი, თუ სიტუაციაც იქნა შესაფერისი. ოღონდ თუ გოგო არ მოგწონს, მაშინ ტეხავს. მეორე მხრივ, თუ მოგწონს, ასეთი რამე რატო უნდა უქნა? საქმეც ეგაა, ეგეთი რამეები რატო უნდა გინდებოდეს კაცს? თვითონ გოგოებს ხო ვერაფერს კითხავ, და თუ პირიქით — ცდილობ კარგად და წესიერად და ნაზად მოექცე, აზრზე არა ხარ რა შედეგს მიღებ. საერთოდ, სექსისა ბევრი არაფერი გამეგება, ღმერთმანი. შარშან ზაფხულს პირობა დავდე, საერთოდ აღარ ვივლი ისეთ გოგოებთან, ვისგანაც სექსის მეტი არაფერი მინდა-მეთქი, და თვითონვე გავტეხე სიტყვა, ერთი კვირაც არ დამჭირებია. კვირა კი არა, მგონი იმავე დამეს წავედი იმ დაფშტვენილ ლუსი შერმანთან...

მერე ვიფიქრე, იქნებ პირდაპირ ჯეინს გადავურევო-მეთქი, საქა-
ლაქთაშორისოთი, რაღა დედამისისგან გამეგო მისი ჩამოსვლის
ამბავი. წესით და რიგით, ასე გვიან ღამით კოლეჯში დარეკვა და
სტუდენტის წამოგდება ლოგინიდან სრულიად დაუშვებელი რამ
იყო, მაგრამ ეგ იოლად მოვტვიწიე: დავრეკავდი და ვიტყოდი, მისი
ბიძა ვარ-მეთქი, დეიდამისი ავტოკატასტროფაში დაიღუპა და აუ-
ცილებლად უნდა დაველაპარაკო-მეთქი. გაჭრიდა, ნაღდად.
ოღონდ ეგეთი რამისთვის შესაბამის ხასიათზე უნდა იყო, ხმაში
დამაჯერებლობა რო გქონდეს. მე კიდე სულ მთლად დაქლიავე-
ბული ვიყავი.

მერე სავარძელში ჩავესვენე, სიგარეტს სიგარეტზე ვუკიდებ-
დი და ჩემსას ვფიქრობდი. მერე უცბად რაღაც ნათელი აზრი მო-
მივიდა თავში. ერთ ვინმე პრინსტონელ ბიჭს ვიცნობდი, იმან კი-
დე ერთი გოგოს ტელეფონი ჩამაწერინა — ნიუ-იორკში რო იქნე-
ბი, აუცილებლად დაურეკეო. ნაღდი ვახსა კი არ იყო, უბრალოდ,
თავისას ისწორებდა. თან თურმე სადღაც კაბარეში ცეკვავდა
სტრიპტიზს. ფეით კევენდიში ერქვა. საფულე სულ ამოვატრიალე
და ბოლოს ვიპოვე — ქაღალდის ნაგლეჯზე წამიწერია, ძლივს
იკითხებოდა. სტენფორდ არმზ ჰოტელში ცხოვრობდა თურმე,
სამოცდამეხუთესა და ბროდვეის გადაკვეთაზე. გვარიანი ჩაშვე-
ბული ადგილი კი იქნებოდა, ეტყობა. ყურმილი ავიღე და კარგა
ხანს ვრეკე. ჯერ მეგონა, შინ არაა-მეთქი, მაგრამ ბოლოს ვიღა-
ცამ მაინც მიპასუხა, ქალი იყო.

„ააააა!“ — ჩავძახე შეძლებისდაგვარად დაბოხებული ხმით,
ჩემს ასაკზე რო არ აეღო ეჭვი. თუმცა ხმა ისედაც საკმარისად მო-
მაგრებული მაქვს.

„გისმენთ...“ — მპასუხობს რაღაც უხალისოდ.

„მისს ფეით კევენდიში მინდოდა.“

„თქვენ ვილა ხართ, ღვთის გულისათვის?“ — მეკითხება. — „ამ
დროს გიჟის მეტი ვინ დამირეკავდა...“

მთლად ასეთ დახვედრას არ ველოდი, მართალი გითხრათ.

„მესმის, ცოტათი გვიანია,“ — ვეუბნები ამ ჩემი დაყენებული ხმით, — „ათას ბოდიშს გიხდით. ოღონდ ძალიან კი მინდოდა დღეს თქვენი ნახვა.“ — თან ისე ვეუბნები, ძაან-ძაან შემპარავად.

„ვინა ხარ, აღარ იტყვი?“

„როგორ გითხრათ, თქვენ კი არ მიცნობთ, მაგრამ ედი ბერდსლის ახლო მეგობარი ვარ. მაგან მითხრა, თუკი ნიუ-იორკში მოხვდი, ფეთს გადაურეკე აუცილებლად და ჩემ მაგივრად დაპატიჟე სადმეო.“

„ვინა? ვისი მეგობარიო?“ — ლამის იყო, ეწივლა.

„ბერდსლი, ედი ბერდსლი,“ — ვეუბნები. სრული სახელი ნაღდად არ მახსოვდა, ან ედმუნდი ერქმეოდა, ან ედუარდი.

„კაციშვილს არ ვიცნობ მასეთს. შენ კიდე თუ გგონია, ღამით თბილი ლოგინიდან წამოგდება...“

„ედი ბერდსლი, პრინსტონიდან...“ — ვაწვევები პირველ ჩვენებას. „ბერდსლი, ბერდსლი... პრინსტონელი ბერდსლი... დაიცა, პრინსტონის კოლეჯიდან?“

„კი, ეგრეა,“ — ვეუბნები.

„შენც პრინსტონის კოლეჯიდან ხარ?“

„კი, შეიძლება ითქვას...“

„ახლა გასაგებია. თავად ედი როგორა მყავს?“ — მეკითხება რალაც უცნაურად. „ეს ღამლამობით რეკვაც იმისგან გადაიღე?“ „აბა როგორ გითხრათ... კარგადაა, მოკითხვა შემოგიტვალათ.“ „დიდი მადლობელი გახსენებისთვის. ჩემგანაც იგივე გადაეცი. კარგა ხანია არ მინახავს. ახლა რას შვება?“ — რალაც ძაან დამიტკბა თითქოს.

„ძველებურად,“ — ვეუბნები. აბა რა უნდა მეთქვა? საიდან უნდა მცოდნოდა, ძმა ედი რას საქმიანობს? სახეზეც კი არ მახსოვდა ხერიანად. — „მისმინეთ, — ვეუბნები, — თითო ჭიქა სადმე ხომ არ...“ „აბრბე თუ ხარ, რომელი სათია?“ — მეკითხება. — „და საერთოდ, სა-

ხელი თუ გაქვს?” — თან უცბად რაღაც ინგლისური აქცენტით დაიყენა, — „მეტისმეტად ნორჩი მეჩვენებით პრინსტონისათვის.“ გამეცინა. „კომპლიმენტისთვის დიდი მადლობა,“ — ვეუბნები ისევ ისე ძაან შემპარავად. — „სახელად ჰოლდენი მქვია. ჰოლდენ კოლფილდი.“ — რა ძალა მადგა, მიმეცა რამე მოგონილი, მაგრამ მაშინ ვერ მოვტვივნიე.

„მაშ ასე, ჰოლდი. მე ჩემი სამუშაო მაქ. ვის ცალია ლამდამობით პაემანებზე სასიარულოდ...“

„ხვალ ხომ კვირაა,“ — ვეუბნები.

„რა მერე? გამოძინება მჭირდება. თავს თუ არ მივხედე, რას დავემსგავსები.“

„ერთი ყლუპი კოქტეილი არაფერს გიზამს. პირიქით, უკეთესად დაგეძინება.“

„არა, მართლა? დედა, რა საყვარელი ვინმე ხარ!“ — მეუბნება. — „რა კარგია, როცა ვინმე ასე ზრუნავს შენზე. საიდან რეკავ?“ „ქუჩიდან,“ — ვეუბნები.

„აჰა...“ — მერე რაღაც სიჩუმე ჩამოვარდა. — „იცი რას გეტყვი, ჰოლდი? ძალიან სასიამოვნოა რომ დარეკე. როდისმე აუცილებლად წავიდეთ სადმე. ოღონდ ეხლა კი მეტისმეტად გვიანია უკვე.“ „თუ გაწყობს, მე ამოვალ.“ — ვეუბნები.

„სხვა დროს ნამდვილად არ გეტყოდი უარს, მაგრამ ეხლა აქ დაქალი მყავს ავად. მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს საწყალს. ახლალა ჩათვლიმა და...“

„ვწუხვარ. ძალიან.“

„შენ სად გაჩერდი? იქნებ ხვალ შემომევილო?“

„ხვალ შანსი არაა,“ — ვეუბნები. — „მართლ ამ ღამით ვარ ასე, ჩემ ჭკუაზე.“ არა, მართლა მაგარი რეგვენი ვარ. ეს რამ მათქმევინა.

„ძალიან ცუდი. რას იზამ.“

„ედის გადავცემ მოკითხვას.“

„მართლა იზამ? გამიხარდება. აბა, კარგად მეყოლე. კარგი დრო გაგეტარებინოს ნიუ-იორკში. მაგარი ქალაქია.“

„შევეცდები. მადლობა დიდი.“ — ვუთხარი და ყურმილი დავკვიდე.

მაგრა ჩავისვარე. რა კოქტეილები და ამბავი ამიტყდა. დავლაპარაკებოდი ადამიანურად.

ჯერ ისევ ადრე იყო. წარმოდგენა არ მქონდა დროზე, ოღონდ ძაან გვიანი მაინც ვერ იქნებოდა. აი, ამას ვერ ვიტან — ლოგინში რო ხარ ჩასაწოლი, დაღლილობას კი ვერ გრძნობ. ამიტომაც სულ ახალი პერანგი ამოვიღე საკვოიაჟიდან, ცხვირ-პირი მოვიბანე და ამგვარად განახლებული იერით გადავწყვიტე ქვევით დავშვებულებიყავი და მენახა ერთი, რა ხდებოდა იქაურ ლამის კლუბში. ოღონდ სანამ პერანგს ვიცვლიდი, ცოტა დამაკლდა, მაინც დამერეკა ჩემს დაიკო ფიბისთან. უცბად წამომიარა. ვინმე ნორმალურის ხმა მინდოდა გამეგონა, ოღონდ ვიცოდი, ჯერ გავიძებულიც არ იქნებოდა და რამე. მერე ვიფიქრე, თუ ჩვენები აიღებენ, იქვე დავკიდებ-მეთქი, მაგრამ მიმიხვდებოდნენ — ყოველ შემთხვევაში, დედა ნაღდად მიხვდებოდა. იმ რაღაც მეექვსე გრძნობით. აი, დაიკო ფიბისთან კი სიამოვნებით ვილაქლაქებდი ერთხანს.

ერთი განახათ, რა ტიპია. ამისთანა კოპწია და თან ჭკუადამჯდარ ბავშვს მეორეს ვერ ნახავთ. მართლა ცარიელი ჭკუის კოლოფია. რაც სკოლაში შევიდა, სულ ფრიადებს იღებს. კაცმა რომ თქვას, ერთადერთი ტვინგამორეცხილი ოჯახში მე ვარ მარტო. ჩემი ძმა დიბი მწერალია და ამბავი, გარდაცვლილი ძმა ელი კიდე ხო საერთოდ... მარტო მე გამოვედი ეგეთი უთავო. მაგრამ ეგ ჩემი და ფიბი კი სულ სხვანაირი ვინმეა. ჯერ მარტო გარეგნობით ღირს ერთ რამედ: სპილენძისფერი თმა აქვს, აი თითქმის ისეთი, ელის რომ ქონდა და ზაფხულობით უკან იკრავს ხოლმე და პაწია ლამაზი ყურები მოუჩანს. ზამთარში კი ჩამოიგრძელებს ხოლმე, ხანაც დედა უწნავს. სულ ათი წლისაა ჯერ. ჩემსავით გამხდარია, მაგრამ ეგეც ძაან უხდება. აი ისეთია, სულ ციგურებზე რომ უნდა იდგეს. ერთხელ ფანჯრიდან დავლანდე, მეხუთე ავენიუზე გადადიოდა და მაშინ გავიფიქრე, მოციგურავედაა გაჩენილი-მეთქი.

ერთხელ რო ნახოთ, შანსი არაა, არ შეგიყვარდეთ. თან ისეთია, რა-
ზეც არ უნდა ჩამოუგდო სიტყვა, წამში აგიბამთ მხარს. შეგიძლიათ,
სადაც გინდათ გვერდში დაიყენოთ — არ შეგარცხვენთ. რაღაც სუ-
ლელურ ფილმზე თუ შეიყვანთ, გეტყვით — სულელური ფილმი
იყო, და თუ მართლა ნაღდს ანახებთ, იტყვის — მართლა ძალიან
რამის რამე ვნახეთო. ერთხელ მე და დიბიმ წავიყვანეთ იმ ფრან-
გულ ფილმზე — მეფუნთუშის ცოლი ერქვა, თუ რაღაც ეგეთი. მაგრა
მოეწონა. თუმცა ნაღდი რამე მაგისტვის მაინც 39 ნაბიჯი⁶ იყო. მთე-
ლი ფილმი ზეპირად იცის, იმდენჯერა აქ ნანახი. როცა რობერტ დო-
ნატს პოლიცია მისდევს და ის კიდე ფერმაში შევარდება, ფიბი იმ
შოტლანდიელს ასწრებდა და ხმამაღლა შესძახებდა მთელი ჩაბნე-
ლებული დარბაზის გასაგონად: „დასამალად გააქ საქმე?“ დიალო-
გები მაინც სულ ზეპირად იცის. მერე კიდე ის პროფესორი, სინამ-
დვილემი გერმანელების ჯაშუში როა, იმ თავისი წაკვეთილი საჩვე-
ნებელი თითით რო დონატზე მიანიშნებს, ეგეც წამსვე ბაძავდა და
ჩემკენ იშვერდა თავის პაწია თითს. მართლა მაგარი ვინმეა. დამი-
ჯერეთ, სულში ჩაიძვრენდით. ერთი ეგ არი, მეტისმეტად მგრძობი-
არეა ხანდახან. ძაან ემოციურია, ბავშვის კვალობაზე. იქნებ მაგი-
ტომაცაა, სულ რაღაც მოთხრობებს წერს და მერე შუა გზაზე მიაგ-
დებს ხოლმე. ვერასოდეს ამთავრებს. სულ ერთი და იგივე ვინმეზეა:
ჰეიზელ უედერფილდი ქვია — ოღონდ ფიბი რატომღაც სულ ჰეიზი-
ელს უძახის, და ეს ჩვენი ჰეიზელ/ჰეიზიელი დეტექტივი გოგოა. თავი-
დან ვიცოდით რო ობლობაში გაიზარდა, ოღონდ შიგადაშიგ მამამი-
სი გამოჩნდება ხოლმე: „მალალი, სანდომიანი გარეგნობის ასაკო-
ვანი მამაკაცი, ასე ოციოდე წლისა“. გესმით? აი მაგაზე ვითიშები.
ძალიან საყვარელი ვინმეა, მართლა. სულ პაწაწინა იყო, მე და
ელის პარკში მიგვყავდა ხოლმე, კვირაობით. ელის აფრიანი ნავის
გაშვება უყვარდა ტბორში, და ფიბისაც თან გვატანდნენ ხოლმე.

⁶ „39 ნაბიჯი“ — ჯონ ბაკენის (John Buchan) სათავგადასავლო რომანის ეკრანი-
ზაცია იგულისხმება.

თეთრ ხელთათმანებს წამოიცვამდა და ჩვენ შორის ჩამდგარი მოსეირნობდა, დიდი ქალბატონივით. თან უფროსების საუბარს უგდებდა ყურს. მართლა გეუბნებით, არაფერი გამოეპარებოდა. ზოგჯერ დაგვაფიწყდებოდა კიდეც, გვერდში რო მოგვეყვებოდა — გესმით ალბათ, ძალიან პატარა იყო მაშინ, მაგრამ თვითონ გაგახსენებდა ხოლმე თავს, სახელოზე დაგქაჩავდა და იკითხავდა: „რა? ეგ ვინა თქვა? იმ ბიჭმა უთხრა იმ გოგოს თუ პირუკუ?“ და როცა ავუხსნიდით, ახლა გასაგებიაო, ისევ დიდი ქალივით გადააქნევდა თავს. ათი წლისაა უკვე, აღარც ისეთი პატარაა, მაგრამ შანსი არ არი — ყველას უყვარს. ყველას, ვინც კი ცოტა რამის აზრზეა.

აი, ამისთანასთან ნებისმიერ დროს მოგინდება ტელეფონზე ლაპარაკი. ოღონდ ახლა მეშინოდა, მშობლები თუ მივიდოდნენ ტელეფონთან, ნაღდად გავიყიდებოდი და იქვე მიხვდებოდნენ, ნიუ-იორკში რო ვიყავი უკვე და პენსიდანაც გამოგდებული. ამიტომაც ლილები შევიკარი პერანგზე, მერე ლიფტში შევედი და ქვევით დავეშვი, ჰოლში — მენახა ერთი, იქ თუ ხდებოდა რამე საინტერესო. ერთი-ორი ჩაშვებული გარეგნობის სუტენიორისა და მათი თმა-ცხვირ-პირდაღებილი რამდენიმე მეძავის გარდა ვესტიბიულში არავინ იყო. მხოლოდ დარბაზიდან მოისმოდა მუსიკის ხმა — რაღაც ჯაზ-ბენდი უკრავდა და მეც იქით დავადირე თავი. არც იქ იყო დიდი ხალხთაცვენა, მაგრამ მაინც სადღაც კუნტულში დამსვენს. ერთი-ორი დოლარი უნდა ჩამეკუჭა ჯიბეში მეტროდოტელისთვის და ყველაფერს ციმციმ მომიგვარებდნენ — ნიუ-იორკში საქმეს ფული შვება, თუ შვება. არ იცოდით?

ნაგავი ბენდი იყო. ვიღაც ბადი სინგერი. უბერავდნენ და უბერავდნენ — ოღონდ ჯიგრიანად კი არა, უფრო ხმაურიანად. რო მიმოვიხედე, ჩემი ხნისაც ვერავინ დავინახე გარშემო. უმეტესად შებერებული ბიძები იყვნენ თავიანთი ქალებით. მარტო ჩემს

მარჯვნივ მაგიდას უსხდა სამი ცალი გოგო — ასე, 30 წელზე ნაკლების არც ერთი არ იქნებოდა და გვარიანი კაკაბოები. ისეთი ქუდები ეხურათ, ნაღდად რო ჩამოსულები იქნებოდნენ საიდანღაც. თუმცა, მერე ერთს რო დავაკვირდი, იმას არა უშავდა რა — ქერა თმები ქონდა და ნორმალური ტანი, და ერთი-ორჯერ ძაან მრავალმნიშვნელოვნად გავუსწორე კიდევ თვალი, მაგრამ ამ დროს ოფიციალური მოვიდა და — რას ინებებთო, მკითხა. ერთი სკოჩი დაუკვეთე და სოლიანი წყალი, ოღონდ ცალ-ცალკე-მეთქი, დავამატე სხაპასხუპით. მაგისტანებმა ჭოჭმანი თუ შეგატყვეს, იფიქრებენ 21 არ შესრულებია ჯერო და მაგარ სასმელებს არ გაგაკარებენ. მაინც არაფერი გამოვიდა. „მაპატიეთ,“ — მეუბნება, — „ოღონდ რამე საბუთი“ გექნებათ თან... მძლოლის წიგნაკი ან რამე ეგეთი...“ ძაან ცივად გავხედე და დინჯად ვეკითხები, მძიმედ: „არასრულწლოვანს ვგეგვარ?“

„მაპატიეთ, მაგრამ მკაცრი მითითება გვაქვს...“

„კარგი, კარგი.“ — ვეუბნები. ახლა მაგასთან ჯაჯლანის თავი მქონდა? — „კოკა მომიტანე.“ ოღონდ შეტრიალდა თუ არა, უკან მივადევნე: „რომს ან რამე ეგეთს თუ ჩააწვეთებ შიგ, მადლობელი დაგრჩები... ფხიბელი თვალით მტერმა უყურა აქაურობას.“ „ძალიან ვწუხვარ, ე-ე... სერ“, ჩაიბურტყუნა და ამეთესა. არც მწყენია მაინცადამაინც — მართლა არასრულწლოვანი ვარ, რას ერჩი. სამსახურიდან მოისვრიან, ეგეთ რამეზე თუ ჩაავლეს. უსაქმობისაგან ისევ მარჯვნივ დავიწყე თვალების ჟუჟუნი. ქერას მისამართით, რაღა თქმა უნდა, თორემ ის ორი ისეთი შესახედი იყო, მაგდენის დამღევი ნაღდად არ ვიყავი. ოღონდ იმათ ხო მეტი არც უნდოდათ და მოყვნენ სულელებივით ფხუკუნს და კისკისს. იქნება და სულაც ლაწირაკად ჩამთვალეს — ეგ რის მაქნისიაო. რამე რო იყოს, ერთი სუსხიანი მზე-რა უნდა მიმეშვა და საერთოდ მიმენებებინა მაგათთვის თავი, მაგრამ ეგ იყო, ცეკვის იშტაზე ვიყავი. ეგრე ვიცი ხოლმე ხანდახან — წამომივლის და ცეკვა მინდება. მართლა მაგრა მისწორდება ხოლმე. უცბად მათკენ გადავიხარე და ვეუბნები: „მორჩით რა, გოგოებო,

თითო ცეკვა თითოსთან — მოსულა?" ამაზე ხო მთლად გადაფიჩინდნენ სიცილით. ბოლოს, ეტყობა იგრძნო რო სინამდვილეში მხოლოდ მას ვეუბნებოდი, და ქერაც წამოდგა. არადა, მართლა ათიანში გამირტყამს. ამათსას ხო ვერაფერს გაიგებ კაცი. გაიყვან ვინმე მაგარ გოგოს საცეკვაოდ და ბოლომდე იმას ეცდება, თვითონ გატაროს. გამოსდიოდეთ მაინც. მერე გაიწვევ ვილაც კაკაზო პროვინციალს და რას ერჩი — ლამის ხელეებში გადნება. ესეც ეგეთი იყო. არაფერი შეშლია.

„მართლა მაგრა ცეკვავთ,“ — ვეუბნები. — „სცენაზე არ გიცდი-ათ? ერთი-ორჯერ მომიწია ნაღდ პროფებთან ცეკვა — არავისზე ნაკლები თქვენ არა ხართ. აი, მარკოსა და მირანდაზე თუ გსმენიათ რამე?“ „ვინა?“ — მეკითხება. არც მისმენს. აქეთ-იქით აცეცებს თვალებს. „მარკო & მირანდა თუ გაგიგიათ?“

„რა ვიცი. არა მგონია.“

მოცეკვავეები არიან. მირანდა მაგარია, ყველაფერს უნაკლოდ აკეთებს, მაგრამ რად გინდა — მულამი აკლია.“

„რაა?..“ — არც მისმენდა. სხვაგან დაქროდა გონება მისი. „რა და, იცი რით ხვდები, როცა ქალი მართლა მაგარი მოცეკვავეა?“ „არაა...“

„აი, როცა ასე წელზე მაქ ხელი შემოხვეული და აზრზე არა ვარ, ქალს ქვემოთ რამე თუ აქ — ან ტაკო ან ფეხები ან რამე — აი მაშინ მაგარი მოცეკვავეა.“

თქვენც არ მომიკვდეთ, სულ ქინძზე ეკიდა. მოვკეტე და მართო ცეკვაზე გადავიტანე მთელი ყურადღება. არა, მართლა მაგრა ცეკვადა, ღმერთმანი. ბადი სინგერის უნიათო ბენდი ახლა „ამ ერთ პატარა რაღაცას“ უბერავდა. მაგარი რამეა — ამათაც კი ვერ მოუხერხეს ბოლომდე გაფუჭება. მე კიდე რამე განსაკუთრებულის გაკეთება არც მიცდია — ვერ ვიტან, საცეკვაო მოედანზე რაღაც აკრობატობას რო იწყებენ ხოლმე ძაან მაგარი წყვილები.

ოლონდ მთელ სივრცეზე კი დავატარებდი და ბოლომდე მომყვებოდა, ერთხელ არ წასცდენია ფეხი. ცირკი ის იყო, მეგონა ისიც კაიფობდა, ის კიდე უცბად მომიბრუნდა და მეუბნება: „მე და ჩემმა დაქალებმა პიტერ ლორი დავინახეთ გუშინ.“

„ვინა?“ — ჩავეკითხე.

„აი ის, მსახიობი. აზრზე ხარ, ნაღდში ვნახეთ... გაზეთს ყიდულობდა ქუჩაში. მაგარია.“

„ძან გაგიმართლათ,“ — ვეუბნები. — „ნაღდად. ბედი უნდა ყველაფერს.“

სუფთა კაკაბო იყო. ოლონდ ცეკვავდა — ღმერთივით. ბოლოს თავი ვერ შევიკავე და ხელზე ვემთხვიე. აუ, რა ეწყინა?! „ეს ვითომ რაო, რა თავს იგდებ?“

„რას ბრძანებთ, უნებურად მომივიდა. მართლა მაგრა ცეკვავთ,“ — ვეუბნები. — „და მყავს, მეოთხე კლასშია და იმას მაგონებთ. ის კიდე ყველა ცოცხალს და მკვდარს უკან მოიტოვებს ცეკვაში.“ „ცოტა მოტვინე რა, რასაა რო ბოლიალობ...“

ნამდვილი ლედი, თავი ნუ მომიკვდება. ბედი არ გინდა?

„თქვენ საიდან ხართ, სამივე?“ — ვეკითხები ზრდილობისათვის.

პასუხი არ გაუცია. სად ეცალა — თვალებს სულ აქეთ-იქით აცეცებდა — იმ პიტერ ლორის თუ ვილაცის გარდამოსვლას ელოდა, ნაღდად.

„საიდან ხართ-მეთქი?“ — ისევ ვეკითხები.

„რაო?“

„სამივე ერთად ჩამოხვედით? თუ არ გინდათ, ნუ მიპასუხებთ. ისე გეკითხებით, სიტყვის მასალად.“

„სიეტლიდან.“ — ისე მეუბნება, თითქოს დიდის რამ კეთილ ნებას იჩენდეს.

„მაგარი მოსაუბრე ხართ,“ — ვეუბნები. — „თქვენთვის ეს ჯერ არავის უთქვამს?“

„რა?“

აქ კი შევეშვი. აზრი არა ქონდა მასთან ლაპარაკს. აი, ცეკვა კი სხვა იყო. „ახლა თუ რამე ტემპიანს დაუკრავენ, ცოტა წავიჯიტერბაგოთ⁷, არ გინდათ? ძაან ზედმეტი კი არა, ისე — სახსრების გასაშლელად... ტემპს აქ ბევრი მაინც ვერ გაუძლებს, ადგილი საკმარისი გვექნება.”

„ჰოო?“ — მეკითხება უცებ. — „რამე რო იყოს, რამდენი წლისა ხარ?“

ამან მაგრა გამაღიზიანა, გამიგებთ. „კარგი რა,” — ვეუბნები. — „არ გინდა ეგ რიჟა ბაზარი. თორმეტისა ვარ, ოღონდ უფრო დიდის ვიდრე ვდგავარ.”

„გითხარი, წესიერად ილაპარაკე-მეთქი. არ გინდა და წადი მაშინ, ჩემს დაქალებს მიუჯექი.”

სულ ბოდიშებად დავიხარჯე — ბენდი ის იყო რაღაც სწრაფის დაკვრას იწყებდა. ხმა აღარ გამიღია — ამყვა და მერე როგორ. ხელის მოკიდების მეტი არაფერი გჭირდება ასეთ პარტნიორთან. თან რო დაბზრილდებოდა, მკერდი უთამაშებდა ისე, ერთ რამედ ღირდა. მოძრაობაში მართლა მაგარი იყო, გეუბნებით. რო მოვრჩით, ლამის შეყვარებული ვიყავი იმ გოგოზე. აი, ეგრეა ხოლმე: თუ რამე კარგად გამოსდით, რაც უნდა შეუხედავი იყოს, ან წაიშტერებდეს კიდევ, მაინც რაღაც უცნაური გრძნობა გინდება კაცს. ეგრეა ”და... შეიძლება სულ გარეკო.

მაგიდასთან მივაცილე და ჩამოჯექილ — არავის მოსვლია თავში ეთქვა. მეც დაუპატიჟებლად შევუერთდი. იმ ქერას ბერნის კრებსი თუ რაღაც ამდაგვარი ერქვა, იმ ორს კიდევ მარტი და ლავერნა, მგონი. ვუთხარი, ჯიმ სტილი მქვია-მეთქი. ისე, ფორსისთვის. მერე ვცადე საუბარში ჩამეთრია სამივე, მაგრამ შანსი არ იყო. სულ აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს, თითქოს ეგ არი და

⁷ Jitterbug – 40-იან წლებში გავრცელებული ცეკვა, რომლის ელემენტებიც შემდგომ როკ-ნ-როლმაც შეითვისა.

კინოვარსკვლავების ჯგრო” უნდა შემოჯლიგინებულიყო დარბაზში. ვინმე ბნედიანმა თუ უთხრა — მთელი კინოს ხალხი აქ იკრიბება, რის „სტორკ კლაბი”, რა „ელ მოროკოლ.”

ერთი ნახევარი საათი მაინც დამჭირდა, სანამ ამათ ასავალდასავალს გავარკვევდი. ერთსა და იმავე სადაზღვევო კომპანიაში მუშაობდნენ თურმე. ვკითხე, იქ როგორია-მეთქი, მაგრამ ამისთანებისაგან რა პასუხს მიიღებ? ის მარტი და ლავერნა ჯერ ტყუპი დები მეგონა. ეს რომ ვუთხარი, ძაან გაუტყდათ. ეტყობა, ერთმანეთს ვერ იტანენ. არცაა გასაკვირი, ღმერთმანი.

მაგათაც ვეცეკვე — თითოჯერ. ლავერნას კიდე არა უშავდა რა, ოღონდ მარტი მთლად უბედურება იყო. გეგონებოდა, თავისუფლების ქანდაკებას დაათრევდი აქეთ-იქით. რით გამერთო თავი და ვეუბნები — ეს წუთია გერი კუპერს მოვკარი თვალი-მეთქი. „სადა?!” — ლამის დაიჭყვივლა დასაკლავი გოჭივით. — „სად დაინახე?”

„აი ამწამს გავიდა კარებში. რო გითხარი, რატო დროზე არ მიიხედე?”

ცეკვის თავი ვისლა ქონდა, თითის წვერებზე იწეოდა და ცდილობდა, ხალხის თავზემთ დაენახა რამე. „ჯანდაბა!” — თქვა და ლამის ცრემლები გადმოუგორდა ლოყებზე. აი ამისთანას გაშაყირება ნაღდად დიდი ცოდვაა კაცისთვის, თუნდაც რო ფიქრობდე კიდევ, ახიანო.

მერე ის იყო, მაგიდასთან რო დავბრუნდით, ახლა ეს მარტი ეუბნება დანარჩენებს — ეს წუთია გერი კუპერი იყო აქო. ლავერნამ და ბერნისმა ლამის ლოყები დაიხოკეს. ჭკუაზე აღარ იყვნენ. დააყარეს და დააყარეს შეკითხვები. მარტი კიდე გაიძახოდა, მარტო თვალის შევლება მოვასწარიო. ადგილზე გავთავდებოდი, მეგონა.

ბარი მალე დაიკეტებოდა და მეც ტემპში მოვატანინე ორ-ორი კოქტეილი გოგონებისთვის და ორი კოკაც ჩემთვის. მთელი მაგიდა ჭიქებით იყო გადავსებული. ლავერნა სულ იმას მეკაიფებოდა, ცარიელა კოკა-კოლას რატო სვამო. მაგარი მძიმე იუმორი ქონდა,

ღმერთმანი. ეგა და მარტი ტომ კოლინზს⁸ გეახლებოდნენ, ამ განია ზამთარში – ეტყობა, თავმოსაწონი სხვა რამ არაფერი გავეგონათ. ბერნისი კიდე წყლიან ბურბონს წრუპავდა. წრუპავდა კი არა, გვარიანად ყლურწავდა და სამივე თვალების აქეთ-იქით ცეცებაში იყო – კინოვარსკვლავებს ჩითავდნენ, თავიანთი მოკლე ჭკუით. ჯამში სამივეს ორი სიტყვაც არ გადაუგდიათ ერთმანეთისთვის. მარტო მარტი გაიძახოდა რაღაცეებს – აი, ვთქვათ, ის გაქუსული კლარნეტისტი რო წამოდგა და რაღაც უაზროდ აუყვადაუყვა მთავარ თემას, ბრწყინვალე მუსიკოსიაო, მოხია. კლარნეტის სოლოს კიდე „ჩადუღუკებას“ ეძახდა. მაგარი გოიმი ვინმე იყო, ღმერთმანი. ლავერნა კიდე იხტიბარს არ იტეხდა და ერთთავად იმას მეკითხებოდა, მამაშენი რას შვება ამ საღამოს, იქნება და შემოგვიერთდესო. ოთხჯერ მკითხა, მამაშენი ვინმე გოგოს თუ ეკურკურებაო. მარტო ბერნისი იჯდა თავისთვის წყნარად. წყნარად იმას ქვია, რო ვეტყოდი რამეს, „რაო?“ – ჩამეკითხებოდა და მერე ტვინავდა ნათქვამს. ჭკუას გადახვიდოდი მაგათ ხელში. მერე უცბად სამივე თითქოს ერთ თვლაზე წამოხტა და – ჩვენი ძილის დროაო, გამომიციხადეს. ხვალ ადრიანად უნდა ავდგეთ, რედო-სიტის მიუზიკ-ჰოლში დილის წარმოდგენას მივუსწროთო. შევეცადე დამეყოლიებინა, ცოტა ხნით კიდევ დარჩენილიყვნენ, მაგრამ ძაან იუარეს. შევპირდი, სიეტლში თუ მოვხვდი, აუცილებლად გინახულებთ-მეთქი. ოღონდ მაგრა კი მეეჭვება. მონახულებაზე გეუბნებით.

სიგარეტების და ყველაფრის ჩათვლით, 13 დოლარი მიანგარიშეს. მეგონა, ჩემამდე დაღეულის საფასურზე მაინც გაიქაჩებოდნენ, მაგრამ ნურას უკაცრავად. რა თქმა უნდა, არც გადავხდევინებდი, ოღონდ ისე მაინც ეთქვათ, ყასიდად. თუმცა კი ეგ რაში მადარდებს. იმისთანა საბრალოები იყვნენ – იმ კოკობზიკა

⁸ ყინულიანი კოქტეილი – ჯინის, ლიმონის წვენი, შაქრისა და გაზიანი წყლის ნაზავი.

ქუდებით, და იმ მიუზიკ-ჰოლში წასასვლელად დილაუთენია ადგომის საკითხმა კიდე სულ მთლად მომიღო ბოლო. არა, ერთი წარმოდგინეთ — სიეტლიდან ნიუ-იორკში ჩამოდიხარ და ერთი ისლა დაგრჩენია რალაც დილის შოუზე წახვიდე რედო-სიტის მიუზიკჰოლში — ამის გამგონე დეპრესიაში ჩავარდები კაცი, სხვა კარგი რა მოგივა. ას ჭიქა კოქტეილზე კიდევ დავპატიჟებდი, ოღონდ კი ეგეთი არაფერი ეთქვათ.

მალე მეც წამოვედი იქიდან. მაინც კეტავდნენ იქაურობას და ბენდს კიდე რა ხანია დაემთავრებინა. ამისთანა ადგილას კიდე ჩემმა მტერმა ატარა დრო, თუკი არც ცეკვაში გყავს კარგი პარტნიორი და არც მომტანი არ მოგართმევს ცარიელი კოკას გარდა არაფერს. მსოფლიოში რომელი ღამის კლუბია, მითხარით ერთი, სადაც ან სასმელის გარეშე გაძლებდეს კაცი, ანდა თუკი ვინმე მაგარი გოგო არ უზის გვერდში.

ის იყო, ჰოლში გამოვედი და ისევ ჯეინ გელეხერი არ ამეკვიტა ფიქრად? ერთხელ რო ამოვიჩემე, ველარც ამოვიგდე გონებიდან. რალაც დაძენძილ სავარძელში ჩავეთხლიშე და წარმოვიდგინე, ეგა და სტრადლეიტერი როგორ ისხდნენ იმ ახვარი ედ ბენკის მანქანაში, თუმცა კი შანსი არ იყო სტრადლეიტერს იქ რამე გამოსვლოდა ჯეინთან — ჯეინს თავზე უკეთ ვიცნობდი — და მაინც ვერაფრით მოვისვენე. გეუბნებით, მართლა კარგად ვიცნობდი — მარტო შაშის ამბავი კი არ იყო, შაშის გარდა ჩოგბურთიც უყვარდა და გოლფიც. იმ ზაფხულს თითქმის ყოველ დილა-საღამოს ვთამაშობდით ან ერთს ან მეორეს. ძალიან დავახლოვდით. რაიმე ფიზიკურ სიახლოვეზე არ გეუბნებით, არაფერი მაგდაგვარი, მაგრამ სულ ერთად ვიყავით. გოგო რო კარგად გაიცნო, ყოველთვის სექსი არაა მთავარი.

ძაან მაზალოდ კი გამოგვივიდა ერთმანეთის გაცნობა: მაგათ დობერმანს ჩვენი სახლისწინა მოლი ქონდა ამოჩემებული და სულ იქ ისაქმებდა ხოლმე. ერთხელაც დედაჩემს ყელში ამოუვიდა ეს ამბავი, ჯეინის დედას მიეჭრა და ერთი ყალილა აუტეხა. ეგეთი რამეები მაგრა ეხერხება, როცა ხასიათზე ვერაა. ორი დღის მერე კიდე ვხედავ, ჯეინი წევს აუზთან, კლუბში. მივედი და გამარჯობამეთქი, ვეუბნები. ვიცოდი, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, ოლონდ მანამდე არც გამოვლაპარაკებოვარ და არც არაფერი. იმან კიდე ერთი ცივად გამომხედა და ცხვირი აიბზუა. გვარიანი დრო დამჭირდა სანამ დავარწმუნებდი, სულაც არ მანაღვლებს, "სად მოისაქმებს-მეთქი შენი ცუგო. ასე უქნია, სულაც სასტუმრო ოთახშიმეთქი. ასე იყო თუ ისე, როგორღაც დავმეგობრდით. იმავე საღამოს გოლფს ვთამაშობდით ერთად. არ დამიჯერებთ, მთელი რვა ბურთით წააგო, კარგად მახსოვს. რვა ბურთით, გესმით თქვენ? ძლივს დავარწმუნე, თვალები მაინც არ

დაეხუჭა დარტყმის წინ. ეგ თავიდან იყო, მერე გვარიანად ვავარჯიშე და შედეგიც გვექონდა. მე თვითონ მართლა მაგრა ვთამაშობ. რო გითხრათ, რამდენ დარტყმაში გამოვდივარ, იქნებ არც კი მენდოთ სიტყვაზე. ერთხელ კინალამ მოკლემეტრაჟიან ფილმში მოვხვდი, გოლფის მოყვარულ მოთამაშეებზე იყო, ოღონდ ბოლოს მაინც უარი ვუთხარი. მეთქი რა კინოს დიდი მოყვარული მე ვარ, ახლა კიდე მოკლემეტრაჟიანში გადამიღონ-მეთქი.

ისე, უნდა გითხრათ, დიდი უცნაური ვინმე კი იყო, ნამდვილად. ლამაზიაო, ვერ იტყოდი, ოღონდ მე კი დამცენტრა და... როცა რამე თავისთვის საინტერესოზე ლაპარაკობდა, ტუჩები სულ აქეთ-იქით დაუდიოდა. აი, ეგ მთიშავდა. და შანსი არ იყო, ერთხელ მაინც ბოლომდე მოეკუპა პირი — ყოველთვის ცოტათი გახსნილი რჩებოდა — გინდა როცა გოლფის მოედანზე ემზადებოდა დასარტყმელად, გინდა როცა რამე საინტერესოს კითხულობდა. არადა, სულ კითხულობდა რაღაცას — პოეზიასაც და რა ვიცი... ჩემი ოჯახის გარეთ ერთადერთი იყო, ვისაც ჩემი ძმის, ელის ბეისბოლის თათმანი ვაჩვენე, მთელი იმ წარწერილი ლექსებით. ელი არასოდეს უნახავს — ეს პირველი შემთხვევა იყო, მეინში რო ჩამოვიდა, მანამდე კვიპ-კოდში ატარებდა ზაფხულს — მაგრამ ბევრ რამეს მე ვუყვებოდი და მართლა აინტერესებდა ეგეთები.

დედაჩემს კიდე გულზე არ ეხატებოდა მაინცადამაინც. საერთოდ, ეგა და დედამისი ცოტა სნობებად მიაჩნდა. ხშირად კი ხვდებოდნენ ერთმანეთს, რადგან ჯინს ხშირად დაყავდა დედამისი საყიდლებზე იმ გადასახდელთავიანი ლა სალით. დედაჩემს არც მისი გარეგნობა მოსწონდა, მე კიდე სწორედ ისეთი მევასებოდა, როგორიც იყო, ღმერთმანი.

ის ერთი სალამო მახსოვს კარგად — ერთადერთი შემთხვევა, როცა ჯინს ვაკოცე. რამდენჯერმე. შაბათი დღე იყო და ცა ფეხად ჩამოდიოდა, ჩვენ კიდე შუშაბანდიან ვერანდაზე ვისხედით და შაშს ვთამაშობდით. შიგადაშიგ ჯინს გავკრავდი ხოლმე კბილს იმ თავისი

უცნაური ჩვევის გამო, გამსვლელ ქვეებს უკანა რიგში რო ჩამო-
ამწკრივებდა ხოლმე. ოღონდ ზედმეტიც არ მინდოდა მომსვლო-
და — ჯეინისთანა გოგოსთან დაუკრეფავში გადასვლა ვერაფერი
ხეირი იყო. საერთოდ კი მიყვარს ეს საქმე, მაგრამ როცა გოგო
მომწონს, მასთან ღადაობის სურვილიც მიქრება. ზოგჯერ მგო-
ნია, თვითონ არ არიან უარზე — ჯეინი მაინც, დარწმუნებული ვარ,
უარს არ იტყოდა, მაგრამ თავის დროზე თუ არ დაიწყე, მერე სწო-
რი ტონის აღებაც ჭირს. ასეა თუ ისე, ვისხედით იმ საღამოს ვე-
რანდაზე, შაშს ვთამაშობდით-მეთქი, გითხარით და ამ დროს ის
მისი მამინაცვალი თუ ვიღაცა წამოგვადგა თავზე და ჯეინს ეკით-
ხება, ღერი სიგარეტი მაინც თუ გვაქვს სახლშიო. სულ არ ვიც-
ნობდი, ოღონდ ისეთი ტიპი არ ჩანდა, რამეზე დაგლაპარაკებო-
და, თუ გამორჩენას არ იყო. ჯეინმა არაფერი უპასუხა და ის ისევ
ეკითხება, და ჯეინი ისევ არაფერს პასუხობს. თავიც კი არ აუწე-
ვია. ბოლო-ბოლო შებრუნდა ის კაცი სახლში. ჯეინს ვეკითხები,
რა ხდება-მეთქი, ის კიდე არც მე მპასუხობს რამეს. ისეთი სახე
ქონდა, თითქოს მორიგ სვლაზე იჭყლეტდა ტვინს. მერე, უცაბე-
დად, ვხედავ — ერთი ცალი ცრემლი ჩამოვარდა დაფაზე, ზედ
თეთრ უკრას დაეცა, აქამდე მახსოვს. აიღო და თითით გადღაბნა.
არ ვიცი რატო, ოღონდ ამან სულ მომსპო, ამიტომაც ავდექი და
მიუჯექი გვერდით — ისე ახლო, ჩაჩოჩება მოუწია, ზედ კალთაში
რო არ ჩავჯდომოდი. აი, მაშინ მართლა წასკდა ტირილი, და ის-
ლა მახსოვს, ვეხვეოდი და ვუკოცნიდი — შუბლს, წარბებს, თვა-
ლებს, ყურებს, ცხვირსაც კი — მოკლედ, მთელი სახე დავუკოცნე,
ტუჩებს გარდა. ტუჩებს მარიდებდა თითქოს. ასე იყო. მერე ადგა
და ოთახში შევიდა, ის თეთრ-წითელი სვიტრი გადაიცვა, მე რო
მაგრა მისწორებდა, და კინოში დავადეთ თავი. გზად ვეკითხები,
ის ბატონი კადეში — ასეთი გვარი ქონდა მის მამინაცვალს — რო-
დისმე თუ ცდილა შენს დათრევას-მეთქი. ჯერ თითქოს უასაკო
იყო მაგისტვის, მაგრამ გადასარევი აღნაგობა ქონდა, და ძაან

მეპარება ეჭვი, იმ ვირიშვილი კადეჭის თვალს ეს გამორჩენოდა. ოლონდ ჯეინმა მიტხრა, არაო. მერე ვერაფრით ველარ გავარკვეე, რა მოხდა მაშინ. ხანდახან გოგოებთან ვერაფრით გაარკვევ ასეთ რამეს.

რა, იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს უკარება ვინმე იყო, რაკი არც ვკოცნაობდით ხოლმე და რამე — ეგეთი სულაც არ იყო. თუნდაც როცა ხელიხელჩაჭიდებული ვისხედით, თითქოს ხო დიდი არაფერი, მაგრამ უცნაური გრძნობა მქონდა — სხვა გოგოებს ხელი თითქოს უშეშდებათო, ან პირიქით — ადგილზე ვერ ასვენებენ — აქაოდა უგრძნობელი არ ვეგონოო. ჯეინთან სულ სხვანაირად ხდებოდა: შევიდოდით კინოში, დავსხდებოდით და იქვე ჩავკიდებდით ერთმანეთს ხელებს, და ვისხედით ასე, ხელიხელჩაკიდებულნი, ვიდრე ფილმი არ დამთავრდებოდა. არც ვშმაშუნობდით და არც არაფერი. ისიც კი არ გაფიქრებდა, ხელი ხომ არა მაქ ოფლიანიო. უბრალოდ, ბედნიერად გრძნობდი თავს. ნაღდად.

კიდე მახსენდება ერთი რამე: ერთხელაც ვისხედით ასე, ჯერ ქრონიკა მიდიოდა თუ რაღაცა და უცებ ვიგრძენი, ჯეინის ხელი მომეხვია კისერზე. უცნაური შეგრძნება იყო. იმის თქმა მინდა, ეგეთ რამეს მხოლოდ ქალები აკეთებენ — ან ქმართან ან ბავშვთან იქცევიან ასე, და მეც მიქნია — ჩემი დაიკო ფიბისთვის, მაგალითად. ოლონდ როცა გოგო თვითონ მოგხვევს ხელს, სულ სხვანაირი შეგრძნებაა, ღმერთმანი.

სწორედ ეგეთ რამეებზე ვფიქრობდი იმ ფეხმონგრეულ სავარძელში რო ჩავჯექი. მოკლედ, ჯეინზე ვფიქრობდი და როგორც კი მისი და სტრადლეიტერის გასეირნება გამახსენდებოდა იმ ძალიშვილი ედი ბენკის მანქანით, ლამის იყო ჭკუას გადავსულიყავი. შანსი არ იყო, ჯეინს იმ ნაბიჭვარ სტრადლეიტერისათვის მიეცა, ეგ კი არა, ახლოსაც არ მიუშვებდა, მაგრამ თავისთავად ასეთი რამის გაფიქრებაზეც კი მაჭრიალებდა.

ჰოლში აღარავინ იყო, ის დაღებილი მეძავებიც გაკრეფილიყვნენ და მათი მიმხედავი ბიჭებიც. ისეთი გრძნობა მქონდა, არც ჩემი ადგილი იყო იქ. ხასიათი ნელ-ნელა მიფუჭდებოდა. ოღონდ ჯერ ისევ არც დაღლილი ვიყავი და არც არაფერი. ნომერში ავედი, ქურთუკი მოვიცვი და ფანჯარაშიც გავიხედე — ის დარტყმულები რას შვებიან, იქითა მხარეს-მეთქი, მაგრამ სინათლე უკვე ყველგან ჩაექროთ. ქვევით ჩავედი, ტაქსი დავიჭირე და „ერნის კლუბში“ წამიყვანეთ-მეთქი, ვთხოვე. ეს ის ადგილია გრინვიჩ-ვილიჯში, სადაც ჩემი ძმა დიბი დაიარებოდა ხშირად, სანამ. ჰოლივუდს შეეკედლებოდა. ხანდახან მეც წამიყვანდა ხოლმე. ერნი ერთი ზორბა, სქელო ზანგია და პიანინოს უზის. მაგარი სნობია — თუ ვინმე ვი-აი-პი არა ხარ ან რამე ეგეთი, სიტყვასაც არ გადმოგიგდებს. ოღონდ ინსტრუმენტზე კი მაგრა უკრავდა, ვერაფერს იტყვი. ისეთი მაგარია, ერთხანს ვფიქრობდი, მართლა გიჟია-მეთქი. არა, მისი მოსმენა ახლაც მაგრა მინდება ხოლმე, ოღონდ ზოგჯერ ისე უკრავს, თითქოს შენტან საქმე არაფერი ქონდეს, და მაშინ გინდება ის თავახდილი პიანინოც თავზე დაამხო.

ტაქსი ერთი მონჯღრეული დრანდულეტი იყო და ისე ყარდა, თითქოს ვინმეს მოესაქმა შიგ. მე ხო სულ ეგეთები უნდა შემხვდეს, ღამით თუ სადმე მივდივარ. უარესი კიდე ის იყო, ამ შაბათ ღამეს ნორმალური არავინ ჭაჭანებდა ქუჩაში. შიგადაშიგ თუ დაინახავდი ვინმე წყვილს, ქუჩას რო გადადიოდნენ ერთმანეთს ჩახვეულები, ან ვიღაც ჩამობრანძული ტიპების ჯგროს თუ გადააწყდებოდი თავიანთი ნაშებით, ხორხოცებდნენ უშნოდ და იყვნენ ერთ ამბავში. მართლა უშნო მოსასმენია, ღამით რო ვიღაც ხორხოცებს ნიუიორკის ქუჩებში. კილომეტრზე ისმის. და საკუთარ სიმარტოვესაც უფრო გრძნობ. ნეტა ახლა სახლში მისვლა და ფიბისთან დალაპარაკება შემძლებოდა. ოღონდ მერე ტაქსისტს გამოველაპარაკე და ეს იმ პირველთან შედარებით ძაანაც ხოშიანი ვინმე აღმოჩნდა. ჰორვიცი ყოფილა გვარად. იმიტომაც ვიფიქრე, ამას მაინც ეცოდინება იხვების ამბავი-მეთქი.

„მისმინე ჰორვიცი,“ — ვეუბნები. — „სენტრალ-პარკის ტბორთან გაგივლია როდისმე? აი, სამხრეთ მხარეს როა...“

„რასთან-რასთან?“

„ტბორთან. პატარა ტბა როა, იხვებით სავსე.“

„რა მერე?“

„მერე ის იხვები სად ქრებიან ხოლმე ზამთრობით, ვერ მეტყვი?“

„იხვები ქრებიან?“

„მეც მაგას გეუბნები... არ იცი, ვინმე პატრონი გამოუჩნდება ხოლმე ზამთრობით თუ თვითონ მიფრინავენ თბილ ქვეყნებში ან სადმე?“

ბიძია ჰორვიცი შემოტრიალდა და რაღაც გამომცდელად შემომაცქერდა. „მე საიდან უნდა ვიცოდე?“ — მეკითხება. — „ამისთანა სისულელეთი რატო უნდა ავიტკივო თავი?“

„კარგი, დაივიწყე,“ — ვეუბნები, — „არ გეწყინოს.“

„რა უნდა მეწყინოს? უკვე დავივიწყე.“

ხოდა მეც შევეშვი. ოღონდ რამდენიმე წუთის მერე თვითონვე წამოიწყო ისევ: „აი თევზები კი არსადაც არ ქრებიან. ზამთარ-ზაფხულ იქ არიან. იქვე რჩებიან, ის ტბორია თუ რაღაცა.“ „თევზი სულ სხვა ამბავია,“ — ვეუბნები. — „მე იხვეების ამბავი მაინტერესებსშერედა რა განსხვავებაა? არავითარი.“ — ჰორვიცი მეუბნება, თან რაღაც ისევ ისე, განაწყენებულსავით. — „თევზებისთვის კიდე უფრო უარესია — მთელი ეს, გაყინული წყალი და ამბავი. იხვეებს კიდე რა უჭირთ.“

ცოტა ხანი შევიცადე ისევ და მერე ვეუბნები: „გასაგებია. მოკლედ, ყველა ეს ერთად რო ავიღოთ — იხვეები, თევზები და რამე, როცა მთელი წყალი იყინება და ხალხი ზედ ციგურებით დასრიალებს, — სად ჯანდაბაში ქრებიან?“

ჰორვიცი ისევ მომაშტერდა. „რას ნიშნავს — ქრებიან? არსადაც არ ქრებიან — იქვე რჩებიან, სადაც იყვნენ!“

„დაიცა, ყინულს რას უშვები?“

„მე რა უნდა ვუქნა?! არაფერსაც არ ვუბამ! საერთოდ, ეგ რა ჩემი საქმეა?..“ — მოკლედ, მაგრა აეშალა ნერვები. ისიც კი ვიფიქრე, ახლა რამე ბოძს არ გლიჯოს-მეთქი. — „არიან და იყვნენ. ალბათ იყინებიან. დროებით. ეგეთი ბუნება აქვთ ალბათ — ზამთარში ყინულში ცხოვრობენ. მე რა ვიცი!“

„მერე, ყინულში თუ იჭედებიან, რას ჭამენ? საკვებს როგორ და შოულობენ?“

„რასა და საკუთარ სხეულს — დათვებივით — მაგას რა მიხვედრა უნდა?! და კიდე ხო არი იქ წყლისმცენარეები და რაღაცა — კანის ფორები აქვთ გახსნილი და პირდაპირ ყინულიდან ისრუტავენ. ეგეთები არიან. ეგრეა?“ — თან ნახევრად ჩემკენაა შემოტრიალებული. „გასაგებია,“ — ვეუბნები. — „ეგრე იქნება.“ და შევეშვი. ასე ნაღდად დაამტვრევდა ამ თავის ჯაბახანას. ამისთანა

ტიპებთან საერთოდ არა აქ აზრი კამათს. „თითო ჭიქაზე არ დამეწვევი სადმე ახლოში?“ – ვეკითხები.

არაფერი მიპასუხა. კიდე იმაზე ფიქრობდა, მგონი. ისევ დავეკითხე. მაინც კაი ტიპი იყო.

„სასმელად მცალია?“ – მეუბნება. – „და ერთი ისიც მიბრძანე, რამდენი წლისა ხარ? ლოგინში არ უნდა იწვე ამ დროს?“

„ჯერ არ მეძინება.“

ერნისთან რო გადმოვედი და ფულიც გადავუხადე, ჰორვიცმა თვითონ გაიხსენა თევზების ამბავი. ეტყობა მაგრა ჩარჩენოდა გულში. „მისმინე,“ – მეუბნება, – „აი, შენ რო თვითონ იყო თევზი, დედაბუნება არ იბრუნებდა შენზე? ასე გასაყინად მიგატოვებდა ზამთარში? ასე ხო მთელი თევზი გადაშენდებოდა იმ ტბორში.“ „ეგ კი ეგრეა, ალბათ...“

„ეგრეა, ეგრე!“ – თქვა და ადგილიდან მოხია. უცნაური ვინმე იყო, ღმერთმანი. ყველაფერი მეტისმეტად ახლო მიქონდა გულთან. გვიანობის მიუხედავად, ერნისთან სულ გადატენილი იყო იქაურობა – უმთავრესად უსაქმური სტუდენტობით. გაგეჟდები კაცი. ყველა სკოლაში ყოველთვის უფრო ადრე იწყებოდა საშობაო არდადეგები, ვიდრე იმ სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი ხოლმე. ქურთუკს ვერ ჩამოკიდებდი ვერსად – ყველა საკიდი, კაუჭი თუ ლურსმანი – ყველაფერი დაკავებული იყო. ოღონდ ღმერთს მადლობა, არავინ ყაყანებდა. ერნი უკრავდა და იმიტო. გაგებდა ერთი. ეგ რო უკრავდა, ყველა გასუსული უსმენდა ხოლმე. ლამის წმინდანად შეეჩაცხათ. მართლა ძაან მაგარი კი იყო, ღმერთმანი, ოღონდ როცა უნდოდა, მაშინ. ორი-სამი წყვილი ჩემ უკან, შემოსასვლელში, მაგიდის დაცლას ელოდებოდა ეტყობა და ყველანი თითის წვერებზე დგებოდნენ, როგორმე ერთი თვალთ მანაც შეეხედათ ერნისთვის. იმას კიდე მაგარი რამე ქონდა მოფიქრებული – პიანინოს წინ დიდი სარკე დაეყენებინა, ოღონდ ყველაფერი კი არ ჩანდა შიგ – მხოლოდ სახე. თითებს ვერ ხედავდი. დიდი ამბავი. არ მახსოვს, მე რო მივედი რას

უკრავდა, ოღონდ გვარიანად კი მისამშაბათა. ზემო ოქტავებში ახუჭუჭებდა მარჯვენა ხელით და მაგით გადიოდა ფონს. პიჟონობდა, მოკლედ. ხალხი კიდე გენახათ რა დღეში იყო, დაკვრას რო მორჩა. გარეკეს. აი, ეს სწორედ ის ხალხია, კინოებში რაღაც სისულელეებზე რო ყროყინებენ ვირებივით. გეუბნებით, მე რო მუსიკოსი ვიყო ან მსახიობი და ეგეთები ტაშით იტყავენდნენ ხელისგულებს, თავი შემჯავრდებოდა, ნამდვილად. მე თუ მკითხავთ, ხალხი სულ რაღაც სისულელეებზე უკრავს ტაშს. ნაღდი მუსიკოსი მხოლოდ ტუალეტში უნდა უკრავდეს, მე თუ მკითხავთ. ასეა თუ ისე, ერნი კლავიატურაზე ბარტყუნს მორჩა, იმ თავის სატრუალა სკამზე შემოტრიალდა და გეუბნებით, თავი თვისი დაიმდაბლა, ისე დაუკრა თავი საზოგადოებას. აქაოდა დაკვრაში ხო მხეცი ვარ, მაგრამ რა მერე, მხოლოდ თქვენს სამსახურში მიგულებთო. სუფთა სი-აბანდი. არ ვიცოდე მაინც, რა სნობიცაა. არადა, თითქოს აქეთ შემეცოდასავით — ეგ ხო უკვე ველარც ხვდება, როდის ჯიგრიანად უკრავს და როდის — ახალტურებს. ვერც გაამტყუნებ. საზოგადოდ, თაყვანისცემა ათაყვანებს. ისე გამიფუჭდა ხასიათი, ვიფიქრე ჩემს ქურთუკს დავავლებ ხელს და სასტუმროში დავბრუნდები-მეთქი, მაგრამ მაინც ძაან ადრე იყო ჯერ და მარტო დარჩენაც მაგრა ტეხავდა. ბოლო-ბოლო ერთ მიგდებულ მაგიდასთან მიმიჩინეს ადგილი. მიგდებული-მეთქი, იმიტო რო მთლად მიკუნჭული იყო და რაღაც ბოძის უკან იდგა ისე, აღარც სცენა ჩანდა და აღარც არაფერი. სულ პაწაწკინტელა მაგიდა იყო — ასეთები ყველგან აქვთ და მეზობელი მაგიდიდან თუ ხალხი არ წამოდგა და გზა არ მოგცა, ლამის ბობღვა გიწევს საკუთარ სკამამდე მისაღწევად. ერთი სკოჩი დავუკვეთე გაზიანი წყლით — საუკეთესო რამეა, დაიკირის⁹ მერე მეორე ადგილზე გამყავს. ერნისთან ეს

⁹ რომის, ლიმონის წვენიისა და ლერწმის შაქრის ყინულიანი კოქტეილი.

საქმე კარგად იყო დაყენებული — გინდა სულაც დაწყებითი სკოლის მოწაფე ყოფილიყავი, სასმელს მაინც მოგცემდნენ — იქაურობა ისე ცუდად იყო განათებული და საერთოდ, ამგვარ აკრძალვებს აქ აინუნშიც არავინ აგდებდა. ოღონდ გარშემო კი სულ ვიღაც ყლიყვები მეხვია. მართალს გეუბნებით. ჩემგან მარცხნივ, ზუსტად ჩემნაირ მაგიდას ერთი უცნაური წყვილი უჯდა — ჩემი ხნისანი იქნებოდნენ. ძაან ცდილობდნენ რაც შეიძლება გვიან შემოწრუპოდათ ის ორი ყლუპი სასმელი. ვიჯექი და მაგათ ჟღურტულს ვუსმენდი — სხვა ან რა საქმე მქონდა და ძაან მაზალო იყო — რაღაც ფეხბურთის მატჩზე უყვებოდა ტვინისგამრეცხავად დეტალებში. გოგოს კიდე სახეზე ეტყობოდა, ასი წელი არ აინტერესებდა ეს რაღაც ფეხბურთი, მაგრამ სად იყო წამსვლელი. რა ქნას გოგომ, ტანი თუ არ უვარგა, ხასიათებით უნდა ივარგოს. ძაან კი მეცოდებიან ხოლმე, განსაკუთრებით ამისთანა ბრიყვებთან რო მოუწევთ ხოლმე საქმის დაჭერა. თუმცა ჩემგან მარჯვენა მხარეს საქმე კიდე უარესად იყო: იქ ერთი ვინმე ნამეტანი უნივერსიტეტელის გარეგნობის მასტი იჯდა, ყოვლად ღირსეულად დაზმანული. ყველა მაგ ძირძველი უნივერსიტეტების გაგდებულები ხო ერთმანეთს ბაძავენ — ტყავის ქურთუკები და რამე. მამაჩემს კიდე უნდა იელში ან პრინსტონში შევიდე, მაგრამ ცოცხალი თავით არც ერთ მეცნიერების ტაძარში შემსვლელი არა ვარ. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, იჯდა ეგ ჩემის სტუდენტი და იმისთანა გოგოს ეკურკურებოდა, თქვენი მოწონებული. ოღონდ ერთი ისიც მოგესმინათ, რას ბლატაობდნენ — გრადუსები უკვე აშკარად ეტყობოდა ორივეს და ბიჭი თავის უნივერსიტეტელ მეწყვილეზე უყვებოდა, რომელსაც თურმე მთელი შუშა ასპირინი დაეთოხლაგებინა და ლამის გასულიყო გაღმა, მარილზე. ის გოგო კიდე ერთსადაიმავეს იმეორებდა დაქოქილივით: „რა საშინელებაა... არა, აქ არ გინდა რა... ნუ შვები...“ საქმე ის იყო, თან ვითომ ხომ ამ იდიოტობას უყვებოდა, თან კიდე მაგიდის ქვეშ უფათურებდა ხელებს. როგორია?!

თუმცა ცოტა ხანში უკვე მე თვითონ ვგრძნობდი თავს რჩეულ იდიოტად, ასე რო ვიჯექი მარტო და უაზროდ. ანკი რა უნდა მექნა სმისა და ბოლების გარდა. ერთი იმ მიმტანს კი ვუთხარი — ერნის გადაეცი, იქნებ შემომიერთდეს-მეთქი. უთხარი, დიბის ძმაა მოსული-თქო. ოღონდ არა მგონია ეთქვა. მაგაზე შეიწუხებდა თავს? უცბად, ვიღაც გოგო არ დგება და არ მოდის პირდაპირ ჩემთან? „ჰოლდენ კოლფილდ!“ — მეუბნება, — „ლილიან სიმონსი ვარ, მიცანი?“ თურმე ერთხანობა ჩემს ძმა დიბისთან ერთად დადიოდა. ძაან მკერდი ქონდა, აცქვეტილი.

„როგორ ხარ?“ — ვეკითხები. თან ვცდილობ წამოვდგე, ოღონდ ამისთანა ჩაჭედილობაში არაა ეს ადვილი საქმე. ვიღაც საბღვაო ოფიცერი ახლდა თან, სარგადაყლაპულივით იჯგიმებოდა.

„დიბი როგორა მყავს?“

„რა უჭირს. ჰოლივუდშია.“

„ჰოლივუდში?! გადასარევი ამბავია. იქ რას მიკეთებს?“

„მე რა ვიცი... წერს, ალბათ.“ ახლა ამასთან არჩიე ჩემი ძმის საქმე. თვითონ, ცხადია, დიდ რამედ მიაჩნდა მთელი ეს ამბავი. ყველას ასე მიაჩნია. განსაკუთრებით იმათ, ვისაც მისი არაფერი წაუჟივთხავს.

მერე იმ ოფიცერს წარუდგინა ჩემი თავი. კაპიტნის თანაშემწე ყოფილა გემზე თუ რაღაც ამდაგვარი. ვინმე ბლოპი. აი იმისთანა ტიპი იყო, ვისაც სერიოზულად გონია, თუ თითები ვერ დაგიჭყლიტა ხელის ჩამორთმევაში, არაფრად ვარგებულა. რეგვნი. „მარტო ხარ, ბიჭი?“ — ლილიანი მეკითხება. ამ დროს ისე იდგა, კაციშვილი ვერც აქედან აუვლიდა გვერდს და ვერც იქიდან. იქ კიდე ოფიციანტი იდგა და ელოდა. მაგრამ მაგისთანებს ეგ სულ არ აწუხებთ. ოფიციანტს კიდე სახეზე ეტყობოდა, სულაც არ იყო ლილიანით აღტაცებული. ეგ არაფერი — იმ ოფიცერსაც კი იგივე გამომეტყველება ქონდა, და არც მე მეხატებოდა გულზე. მგონი, საერთოდ არც არავის ევასება ეგეთები. „სულ მარტო ხარ? გოგო

არავინა გყავს თან?" — მეკითხება. კარგა ხანია ფეხზე ვდგევარ, მაგრამ აზრადაც არ მოსვლია ეთქვა, დაჯექიო. ამისთანებს შეუძლიათ საათობით გაგაჩერონ ზეზეურად. „ხო კარგი ბიჭია?" — ეკითხება იმ თავის მეზღვაურს. — „ჰოლდენ, ყოველ წელს უფრო და უფრო ლამაზდები." მერე ის ეუბნება, გეყოფა, წამოდიო. მთელ გასასვლელს ვკეტავთო. „წამო, ჰოლდენ, შემოგვიერთდი." — ლილიანი მეუბნება, — „ჭიქა წამოიდე."

„გმადლობთ," — ვეუბნები. — „წასვლას ვაპირებდი. ერთ ვინმეს უნდა შევხვდე." რა მინდოდა მასთან. ზედ ეტყობოდა, ცდილობდა შევხვხვიე, იქნებ დიბისთან დამცდენოდა რამე.

„შე პატარა გაიძვერა, შენა," — მეუბნება. — „აბა, კარგად იყავი და შენს ძმას გადაეცი, თვალით არ დამენახოს."

მერე წავიდნენ. ოღონდ მანამდე მე და ის მეზღვაური გულითადად დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მაგარია. წესიერ საზოგადოებაში, როცა ვინმეს ემშვიდობები, ყოველთვის უნდა უთხრა — მოხარული ვარ რომ გნახეთო. თუნდაც არ იყო. თორემ ძვალთანტყავიანად დაგტკვირავენ, გეუბნებით.

მერე, რაკი ნათქვამი მქონდა — წასასვლელი ვარ, ვილაცას უნდა შევხვდე-მეთქი, რალა დამრჩენოდა, მართლა უნდა წავსულიყავი. ველარც ერნის მოვუსმენდი — გინდა ასე დაეკრა და გინდა ისე. ოღონდ ლილიან სიმონსსა და მის ოფიცერთან ერთად მაგიდასთან ჯდომას ისევ ეს მერჩივნა. ხოდა მეც ავიბარგე. მაგარი ნერვებდათხლე-შილი კი ვიყავი — ყოველთვის გამოჩნდება ვინმე, ვინც ნერვებს დაგათხლეშს.

ფეხით წავედი სასტუმროში. ლამის ნახევარი ქალაქი ფეხით გავიარე. იმიტო კი არა, თითქოს გასეირნების იშტაბე ვიყავი — უბრალოდ, კიდე ერთ დაფეხვილ ტაქსში ჩაჯდომა-გადმოჯდომა მიტეხავდა. ხანდახან კაცს ტაქსიც ისევე გებზრდება როგორც, ვთქვათ, ლიფტი. ფეხების ამუშავება გინდება, გინდა შორ მანძილზე და გინდა ბევრ სართულზე. ბავშვობაში ძაან ხშირად ფეხით ავდიოდი ხოლმე სახლში. 12 სართულია, რო იცოდეთ.

გარეთ თოვლი საერთოდ აღარ იდო, ოღონდ გვარიანად კი ყინავდა. ჩემი მონადირის ქუდი ამოვიღე და თავზე ჩამოვიფხატე — მეტი დარდი არა მქონდა, როგორ გამოვიყურებოდი. ყურებზეც კი ჩამოვიწიე. ერთი გამაგებინა, ხელთათმანები ვინ დამაწერამეთქი, ვფიქრობდი. თითები სულ წამეყინა. არა, მართლა რო გამეგო კიდევ, რის გამკეთებელი ვიყავი — ხო არ მივადგებოდი იმ ვილაცას და არ გავუხურებდი — ჩემი ხელთათმანები მაიტამეთქი. მერე ის ხო ძაან-ძაან გაკვირვებულ სახეს დაკერავდა და მეტყოდა — რა ხელთათმანები, რის ხელთათმანები, ალაოდ ხო არა ხარო... მერე იქნებ კარადა გამომელო კიდევ და იქვე მეპოვა სადმე ჩაჩურთული, ის კიდე ვითომ პირს დააფჩინდა გაკვირვებისაგან და იტყოდა: „ესენია? პირველად ვხედავ, ღმერთმანი. წაიღე მერე, შენი თუა, შეგარგოს. ჩემს დღეში ხელთათმანები არ წამომიცვამს თითებზე, რაში მჭირდება.“ მერე ვიდგებოდი იქ ყლიყვივით, ხელთათმანებით ხელში და არც მეცოდინებოდა, რა უნდა მექნა. ალბათ ერთი კარგად უნდა მეწეპა სიფათში, ოღონდ მაგის გამკეთებელი არ ვიყავი. ვიდგებოდი იქ და მხოლოდ შევეცდებოდი მეთქვა რამე ისეთი — ძაან იაზვური თუნდაც, ოღონდ მუშტების ქნევაზე კი დიდი ბოდიში — არაა ეგ ჩემი საქმე. ბოლო-ბოლო, ადგებოდა ეს მასტი, დამიდგებოდა წინ და მეტყოდა:

„დაიცა, კოლფილდ... შენ რა, გინდა თქვა რო ქურდი ვარ?“ მე კიდე, იმის მაგივრად რო მეთქვა — „ხარ, აბა არა ხარ?“ — ალბათ მარტო იმას ჩავილულუღებდი რო სხვისი ხელთათმანები სხვის კარადაში რატო უნდა იდოს ან რამე ამისთანას და როგორც კი მასტი მოწვავდა რო შუხურს არ ვაპირებ, ხმასაც აუწევდა და ახლა პირდაპირ მკითხავდა: „მოკლედ, გინდა თქვა რო ქურდი ვარ?“ ამბზე მე ისევ ჩემსას დავატრიალებდი: არავის არავისთვის ჯერ აქ ქურდი არ დაუძახია, მარტო ის ვიცი რო ჩემი ხელთათმანები შენს კარადაში მოხვდა და ასე გაუთავებლად. ბოლოს იმით დამთავრდებოდა ყველაფერი, საპირფარეშოში ჩავიდოდი სიგარეტის მოსაქაჩად და სარკეში მოვყვებოდი ჩხუბის მერე მუშტების ქნევას. აი, ამისთანა სისულელეებზე ვფიქრობდი მთელი გზა. მოკლედ, საქმის გამრჩევი კაცი არა ვარ. ან იქნებ სანახევროდ კი ვარ, მაგრამ ჩემს მეორე ნახევარს სულ ქინძზე კიდია ის ხელთათმანები. ბავშვობაში ჭკუიდან გადაწყავდა დედაჩემი — რას არ ვკარგავდი და არც არასოდეს მადარდებდა ეგ ამბავი. ხალხი საათობით ეძებს ხოლმე რამე დაკარგულ ნივთს და თვეობით კიდე არ კარგავენ იმედს რო ბოლო-ბოლო იპოვნიან, მე კიდე დარდი არა მაქ და საქმის გარჩევებიც ხო მეზარება და მეზარება. თუ გრძნობ რო კაცს უნდა ლეწო, მიდი და ხიე, ოღონდ მე მაგის გამკეთებელი არა ვარ. მაგას მირჩევნია ხელი ვკრა და ფანჯრიდან გადავაგდო ან ნაჯახი ჩავაჩეხო თავში, ვიდრე მუშტები ვურტყა. ამ მუშტი-კრივს ვერ ვიტან. არა, დარტყმის გაშვების კი არ მეშინია — თუმცა რკინის კაცი ვარო, მაგასაც ვერ ვიტყვი — ოღონდ სახეში კაცის ცემა არ შემიძლია და არც მაგის ყურება შემიძლია. აი, თვალახვეული რო მიდიოდეს ჩხუბი — კიდე ჰო... ან იქნებ ფახისტიცა ვარ ცოტათი. ოღონდ რაღაცა უცნაური ფახისტობა კი გამოდის, ღმერთმანი. აი ამეებზე ვფიქრობდი და რაც მეტი, მით უფრო მიფუჭდებოდა ხასიათი. ამიტომაც ვიაზრე, ერთი ყლუპი რამე შემათბობელი არ მაწყენდა-მეთქი. ერნისთან მხოლოდ სამი გადავ-

კარი, ბოლო არც კი მიმიმთავრებია. ერთი ეგ კი მაქვს კარგი თვისება — მთელი ღამე შემძლია ვსვა და არც არაფერი დამეტყობა, თუკი ხასიათზე ვარ. ერთხელაც, ვუტონში რო ვიყავი, მე და რეიმონდ გოულდფარბმა ლიტრიანი ბოთლი სკოჩი დავითრიეთ და შაბათ საღამოს დავაყუმბარეთ შიგ ეკლესიაში, სადაც არავის აზრად არ მოუვიდოდა ჩვენი ძებნა. რეი მაგრა გამოტყვრა, მე კიდევ არაფერი მეტყობოდა მაინცდამაინც. უბრალოდ, კაი ხასიათზე დავდექი, ჩემთვის. ლოგინშიც კი არ დავწოლილვარ გაუხდელად.

ასეა თუ ისე, სანამ სასტუმრომდე მივაღწევდი, ერთ ბანძ ბარში დავაპირე შესვლა, მაგრამ სწორედ იმ დროს იქიდან ორი ყლინჯი გამოვიდა, გათხლეშილები იყვნენ, და მაინცდამაინც მე დამეტაკნენ — აქ მეტროს სადააო. ერთი კუბელს გავდა, და იაფფასიანი ვისკის ოხშივარს მაფრქვევდა სახეში, ვიდრე ვცდილობდი დაახლოებით მაინც ამეხსნა ჩასასვლელი სად იყო. მერე ხელი ჩავიქნიე და ისევ სასტუმროს გზას დავადექი.

იქ მთელი ჰოლი ცარიელი დამხვდა, სიგარების ნამწვით აყროლებული. არც დაღლილი ვიყავი და არც არაფერი, ოღონდ მაგარ გატეხილში და სიცოცხლე აღარ მინდოდა.

და სწორედ ამ დროს, ერთ გვარიან გაუგებრობაში მოვხვდი. ის იყო ლიფტში შევაბიჯე და ის ლიფტიორი ბიჭი მეკითხება: „კაი დროსტარება არ გინდა, ძმაკაც? თუ ახლა ძილის მეტი არაფერი გინდა?“

„რაო?“ — ცოტათი დავიბენი კიდევ.

„ერთი კაი გოგო არ გაწყენდა ამ ღამით.“

„მე?“ — ვეკითხები. მაგრა კი გამომივიდა. ოღონდ შუბლში რო გაჯახებენ ეგეთ რამეს, დაიბნევი, აბა რა მოგივა.

„ასაკში ვერ ჯდები, ძმაკაც?“ — მეკითხება ისევ.

„რატო?“ — ვეუბნები, — „ოცდაორის ვარ.“

„ე-ე, გასაგებია. მერე, არ გაწყობს? ხუთი დოლარი ჯერზე და 15 – მთელი ღამით.“ მერე საათზე დაიხედა. — „მოკლედ, დილის 12-მდე. 5 – ჯერზე და თხუთმეტი 12-მდე.“

„მოსულა,“ – ვეუბნები. ეს ჩემ პრინციპებს ნაღდად რო ვერ ერგებოდა, მაგრამ ისეთ დეპრესიაში ვიყავი, ფიქრის თავიც არა მქონდა. ეგაა საქმე. როცა ნერვები მოშლილი გაქვს, ვეღარც აზროვნებ წესიერად.

„მოკლედ, როგორ მოვრიგდით? ერთი თალია თუ დილაამდე? უნდა ვიცოდე.“

„ერთი მეყოფა, გამოსავათებული ვარ.“

„შენი ნებაა. რომელ ნომერში ხარ?“

გასაღებს დავხედე. ზედ ციფრები იყო დატვიფრული. 12–22 – ვეუბნები და უკვე ვნანობ, აქამდე რო მივიყვანე საქმე. ოღონდ ახლა გვიანი იყო უკვე.

„თხუთმეტ წუთში შენთან იქნება.“ ლიფტის კარი გააღო და გარეთ გაალაჯა.

„დაიცა, ვარგა რამედ? ბებრუხანა არ შემომპარო...“

„გეკადრება? თითებს ჩაიკვნეტ.“

„მერე ფული ვის მივცე?“ – ვეკითხები.

„იმას. აბა, კარგად.“ – თქვა და ცხვირწინ მომიჯახუნა კარი. ოთახში ავედი და ცოტა თმები დავისველე, ვითომ დასავარცხნად, რა. ოღონდ ასე მოკლედ აკრეჭილს რა უნდა უქნა. მერე შევამოწმე, რამდენად ვყარდი მთელი იმ სიგარეტებითა და ვისკით, რაც რომ იმ საღამოს ჩაუშვი ხახაში. თითქოს დიდიც არაფერი, მაგრამ კბილები მაინც გამოვიხეხე. მერე პერანგი გამოვიცვალე ისევ. არა, იმ მუცლისთვის კი არ ვაპირებდი ძან თავის მოწონებას – უბრალოდ, რაღაცით ხომ უნდა დამესაქმა თავი. მოკლედ, ცოტა ვნერვიულობდი არა, რამე ისეთი არ იფიქროთ – იშტაბეც ვიყავი და ყველაფერი, ოღონდ ცოტათი მაინც ვნერვიულობდი, ეტყობა. ცოდვა გამხელი-

ლი ჯობია და — ჯერ ქალთან არცა ვარ ნამყოფი. მართალს გეუბნებით. რამდენჯერმე მქონდა შანსი ის ჩემი უმანკოება საერთოდ დამეკარგა, მაგრამ ვერ ვივარგე. უფრო სწორედ, სულ რაღაც უბედურება ხდებოდა ხოლმე ჩემს თავს: ან გოგოს მშობლები დაბრუნდებოდნენ ხოლმე უდროოდ დროს, ან შიში მჭამდა რო ასე მოხდებოდა; ან მანქანაში თუ ვიყავი და წინ მჯდომი ჩემი ძმაკაცის გოგო ვერ ისვენებდა და სულ იმის ცდაში იყო, გაეგო ერთი, უკან რა ხდებოდა... მოკლედ, ხან ასე და ხან ისე. იმიტომ და ამიტომ. თუმცა ერთხელ ხო მართლა ძაან-ძაან ახლოს ვიყავი მიზანთან. ახლა აღარც კი მახსოვს, რამ შემიშალა ხელი, ოღონდ როცა გოგოსთან ხარ და ეს გოგო არც მეძავია და არც არაფერი ეგეთი, სწორედ ბოლო მომენტში დაიწყებს ძახილს — არ გინდა, გაჩერდიო. ჩემი უბედურება კიდე ის არი, რო მართლა ვჩერდები. ბიჭები ამბობენ, არაფრით არ უნდა გაჩერდე, სიაბანდიაო, მაგრა ვერ ვახერხებ. თან კიდე ვერასოდეს ვტვინავ, რა უნდათ — მართლა” უნდათ რო გაჩერდე და შეწყვიტო, უბრალოდ ეშინიათ თუ გაფრთხილებენ — რამე რო მოხდეს, შენ დაგბრალდება იცოდეთ ასეა თუ ისე, ადგილზევე ვასტოპებ ხოლმე. პრობლემა ისაა, რაღაცნაირად მეცოდებიან ხოლმე თითქოს. უმრავლესობა ნაღდად წაიშტერებს. საკმარისია ცოტა მოეფერო და ითიშებიან. მოკლედ, თქვენი არ ვიცი და მე რო მეუბნებიან — გაჩერდიო, ვჩერდები. სახლში რო მივაცილებ, მერეღა ვნანობ ხოლმე, რატომ-მეთქი, მაგრამ მერე ყოველთვის ისევ ისე ვიქცევი.

მოკლედ, ამას იმიტო გიყვებით, პერანგი რო გამოვიცვალე, მაშინღა ვისქესე — ეგ არი ჩემი შანსი-მეთქი. ბოლო-ბოლო, მეძავი იყო და რაღაც პრაქტიკას მაინც მიმალდებინებდა — ხო შეიძლება როდისმე ცოლი შემერთო და რამე. აი ეგეთი აზრებიც ამეკვიატება ხოლმე ხანდახან. ერთხელ, ჯერ კიდე ვუტონის სკოლაში რაღაც წიგნი წავიკითხე — მთავარ გმირს, მახსოვს, ბატონი

ბლანშარი ერქვა და დიდი მექალთანე და შემპარავი ვინმე გახლდათ. წიგნი ნაგავი იყო, მაგრამ ეს ვიღაც ბლანშარი მაგრა მე-ვასა — ცოცხალივით დაგიდგებოდა თვალწინ. დიდი სახლი ქონდა რივიერას სანაპიროზე, ევროპაში და მთელი ამბავი. საქმე ბევრი არაფერი ქონდა და ქალებს ცემდა. ერთ ადგილას ამბობს — ქალის სხეული ვიოლინოა, და ვირტუოზი უნდა იყო, ზედ რო სწორად დაუკრაო. ვერაფერი სიბრძნეა, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ჩამრჩა თავში. აი ამიტომაც გადავწყვიტე, ვარჯიში მჭირდება-მეთქი. სერ კოლფილდი და მისი ჯადოსნური ვიოლინო — ძაან მაგარია, ნამდვილად. სისულელეა, რა თქმა უნდა, მაგრამ რაღაცა მაინც არის ამაში. ვაცმა რომ თქვას, როცა გოგოსთან ვარ და ვეჩაღიჩები, კარგად თვითონაც არ ვიცი ხოლმე, რა მინდა. აი, როგორ გითხრათ — თუნდაც ის გოგო ავიღოთ, ახლახან რო გიყვებოდით, ვისთანაც არაფერი გამომივიდა: მთელი საათი წამივიდა ლიფის გახსნაზე. ჭკუაზე აღარ იყო... ასე ვბოდილობდი ოთახში, სანამ ის ჩემი სტუმარი მომივიდოდა. თან იმასაც ვფიქრობდი, გარეგნობით როგორი იქნება-მეთქი. ოღონდ ძაანაც კი არ მადარდებდა — ერთი სული მქონდა, სანამ მოვრჩებოდი ამ საქმეს. ბოლოს მეღირსა და ვიღაცამ დააკაკუნა კარზე. წავედი გასაღებად, ოღონდ დამავიწყდა საკვოი-აჟი რო მეგდო დერეფანში, ფეხი წამოვდე რა თქმა უნდა და ცოტა დამაკლდა, კისერი არ მოვიტეხე. ყოველთვის ასე ვიცი ხოლმე. არასოდეს ჩემოდნებს თუ ჩანთებს თავის ადგილზე არ ვდებ. რამდენჯერ ბეწვზე ვარ ცხვირ-პირის დამტვრევას გადარჩენილი.

ბოლოს, კარი რო გავადე, იქ იდგა, დერეფანში. ბეწვისსაყელოანი პალტო ეცვა და უქუდოდ იყო. თმა, ეტყობოდა, ქერად ქონდა. შეღებილი. თუმცა დაჩამიჩებული ვინმე სულაც არ იყო. „მობრძანდი,“ — ვეუბნები. ისე, ძაან თავდაჭერილად.

„შენა ხარ, მორისმა რო მითხრა?“ — მეკითხება გულსგარეთ. „ეგ რომელია, ლიფტიორი?“

„ეგაა.“

„მაშინ მე ვყოფილვარ. არ შემოხვალ?“ — ვეკითხები რაღაც ისე, უემოციოდ. რაღაც სულ უფრო მიფუჭდებოდა ხასიათი.

შემოვიდა, პალტო გაიხადა და ლოგინზე მიაგდო. მწვანე კაბა ეცვა. მერე გვერდულად დაჯდა დივანზე და ფეხი ფეხზე გადაიდო. ოღონდ რაღაც ნერვიულობდასავით, სულ არ გავდა მეძავის საქციელს. ეს მე მგონი იმიტო რო ძაან-ძაან ახალგაზრდა იყო. ჩემი ხნის თუ იქნებოდა, მეტის არა. მეც იქვე სავარძელში ჩაჯვები და სიგარეტი შევთავაზებ. „არ ვეწევი,“ — მეუბნება. ძალიან რბილი ჩუმი ხმა ქონდა, ძლივს გაიგონებდი კაცი. ოღონდ მადლობას არაფერზე გეტყოდა, რაც უნდა შეგეთავაზებინა. არ იყო დაჩვეული და რა ექნა.

„ნება მომეცი გაგეცნო,“ — ვეუბნები, — „ჯიმ სტილი მქვია.“ „საათი გააქ?“ — მეკითხება. საერთოდ არ აინტერესებდა ჩემი სახელის ამბავი. — „რამე რო იყოს, რამდენი წლისა ხარ?“ „მე? ოცდაორის.“

„გაქრი!..“

ძაან მაზალოდ გამოუვიდა. წესით, უნდა ეთქვა ვის აბოლებ ან იმდენი შენ რა გითხარი ან თუნდაც მორჩი ბაზარს, ეს კიდე — გაქრიო, მეუბნება.

„შენ თვითონ რამდენისა ხარ?“ — ახლა მე ვეკითხები.

„საკმარისზე მეტის,“ — მეუბნება. ძაან გონებაგახსნილი ვინმე კი იყო, ღმერთმანი. „საათი თუ გაქ?“ — მეკითხება ისევ. მერე დგება და კაბის გახდას იწყებს თავზე.

გითხრათ — ცოტა გავითიშე, ეგ რო გააკეთა. იმის თქმა მინდა, ძაან მოულოდნელი იყო. ხო ნაღდად უნდა ავარდე, გოგო რო უცბად ადგება და თავზე გადაიძრობს კაბას, ოღონდ მე ყველაფერი უკუღმა მემართება. მთლად წამიხდა ხასიათი.

„შენ გეუბნები, საათი თუ გაქ-მეთქი?“

„არა, არა მაქვს.“ — ღმერთო რა გლახად ვგრძნობდი თავს! — „რა გქვია?“ — ვეკითხები. ვარდისფერი საცვლების ამარა იდგა და მომჩერებოდა.

„სანი. მოდი დავიწყოთ, დიდი ბიჭი,“ — მეუბნება.

„არ გინდა, ცოტა ვილაპარაკოთ მანამდე?“ — ვეკითხები. ძაან ბავშვურად კი გამომივიდა, მაგრამ რაღაც უცნაური გრძნობა მქონდა. „რა, გენქარება სადმე?“

ისე შემომხედა, როგორც საგიჟეთიდან ახლად გამოქცეულს. „რა ჯანდაბა უნდა ვილაპარაკოთ?“ — მეკითხება.

„მე რა ვიცი. ისეთი არაფერი. ვიფიქრე, იქნებ საუბარი უნდა-მეთქი.“

ისევ იქ დაჯდა. სახეზე ეტყობოდა, რაღაც კმაყოფილი ვერ იყო. ფეხი ისევ ფეხზე გადაიდო, ნერვიულად.

„ერთ ღერს არ გააბოლებ?“ — ვეკითხები. სულ დამავიწყდა რო მითხრა, არ ვეწვიო.

„არ ვეწვი-მეთქი. მისმინე, თუ ლაპარაკი გინდა, ილაპარაკე. დრო არ ითმენს. ათასი საქმე მაქ.“

რაზე უნდა მელაპარაკა — თავში არაფერი მომდიოდა. ერთი კი გავიფიქრე, ვკითხავ, მეძავობა რამ დაგაწყებინა-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე. მაინც არ მეტყოდა სიმართლეს.

„ნაღდი ნიუ-იორკელი არ უნდა იყო...“ — გესმით? ამაზე ჭკვიანური ვერაფერი მოვიფიქრე.

„ჰოლივუდიდან ვარ,“ — მეუბნება. მერე ლოგინთან მიდის და კაბას იღებს. „საკიდი არა გაქ? არ მინდა დამეჭმუჭნოს.“ „იქნება სადმე,“ — ვეუბნები. ოღონდ კი რამე მექნა და წამოვხტი, კაბა გამოვართვი და კარადას ვეცი. მაბალო მომენტი კი იყო, ღმერთმანი. მერე რაღაც სევდა შემომაწვა ისევ. ვიფიქრე, აი, შედის მალაზიაში, კაბას ყიდულობს, უხარია და კაცმა არ იცის, საქმისათვის რო უნდა. გამყიდველიც ვერ მიხვდებოდა, მეძავი როა. გული დამწყდა. ოღონდ იმის ეშმაკი გამხადა, რაზე.

მერე ისევ დავჯექი და ვცადე თავიდან ამეწყო საუბარი. მაგარი მოსაუბრე კი შემხვდა, წყალი არ გაუვა. „მთელი ღამე მუშაობ?“ — ვეკითხები. არა, მეც ხო მაგარი ვარ?

„კი, ეგრეა.“ ახლა ოთახში მიდი-მოდოდა აქეთ-იქით. მერე მენიუ აიღო მაგიდიდან და ბოლომდე ჩაიკითხა.

„დღისით რას შვები?“

მხრები აიჩეჩა. სიფრიფანა მხრები ქონდა. „მძინავს. ხან რამე შოუებზე დავდივარ.“ მერე მომიტრიალდა და სახეში მიყურებს: „მისმინე, მთელი ღამე ასე ხომ არ...“

„დაიცა,“ — ვეუბნები, — „რალაც ისე ვერა ვარ ამ საღამოს. მძიმე დღე მქონდა. ფულს გადაგიხდი და ყველაფერი, ოღონდ თუ არ გეწყინება, შენგან არაფერი მინდა.“ ცირკი ეგ იყო, მართლა არაფერი აღარ მინდოდა. თვითონ ეგ გოგოც რალაც ცუდად მოქმედებდა ჩემზე. გოგოც და მისი ეგ მწვანე კაბაც, კარადაში რო ეკიდა. ესეც არ იყოს, მგონი საერთოდ ვერასოდეს მოვახერხო რამე იმასთან, ვინც სულელურ შოუებზე დაიარება, ისიც დღისით. ღმერთმანი, მგონი ეგრეა.

მომიახლოვდა, რალაც უცნაური გამომეტყველება ქონდა სახეზე, თითქოს არ მიჯერებსო. მერე პირდაპირ კალთაში ჩამიჯდა. „რა მოგივიდა?“ — მეკითხება.

„არც არაფერი.“ არადა, უკვე მაგრა ვნერვიულობ. „უბრალოდ, ახალნაოპერაციები ვარ.“

„კარგი ერთი! სადა?“

„აი, რას ეძახიან იმას — კლავიკორდზე... არა, ჰო — კლავიკულარზე.“

„ეგ სადაა?“

„ე-ე, როგორ გითხრა... აი, ქვევით, ხერხემლის გაყოლებაზე.“ „მაგარი ხარ,“ — მეუბნება. — „საცოდავი ბიჭი.“

„ხო,“ — ვეუბნები, — „ჯერ კიდევ გამოჯანმრთელების გზაზე ვარ.“

„იცი, კინოში რო აჩვენებენ ხოლმე, იმ ბიჭს გეცხარ. რა ეშმაკები ქვია? აი იმას, ხო იცი ვიზეც გეუბნები?“

„საიდან უნდა ვიცოდე...“ — ვეუბნები. ის კიდევ კალთაში მიზის და არ მცილდება.

„იცი, როგორ არ იცი! აი, იმ ფილმში იყო, იმ მეღვინ თუ მეღვანინ დუგლასთან ერთად. მის შვილი თამაშობდა. აი, ნავიდან რომ ვარდება, როგორ არ იცი.“

„მართლა არ ვიცი. ჩემი ნებით კინოში რა შემიყვანს.“

ამაზე მაგრა გამხიარულდა და რაღაც ბლლარძუნით წამომიწყო.

„მორჩი რა,“ — ვეუბნები. — „გითხარი — ნაოპერაციები ვარ, რა ხასიათზე უნდა ვიყო?“

წარბიც არ შეუხრია, მართო რაღაც ისე გადმომხედა, ცივად. „მისმინე,“ — მეუბნება, — „მკვდარივით მეძინა, იმ დარეხვილმა მორისამ რომ დამირეკა. შენ თუ გგონია...“

„გითხარი, გადაგიხდი-მეთქი. მართლა. ფულის მეტი რა მაქვს. უბრალოდ, ძაან სერიოზული ოპერაცია გადავიტანე და...“

„აბა მორისას რაღას ეუბნებოდი, მინდაო? ზურგის ტვინი თუ ამოგიღეს, ქალი რა ჯანდაბად გინდოდა?“

„მეგონა უკეთესად გავხდებოდი. ანგარიში შემეშალა არ ვხუმრობ. ერთი წუთით თუ ადგები, საფულეს ვნახავ. მართლა.“ მაგარ გატეხილში იყო, მაგრამ წამოდგა და მეც საფულე დავაძრე ჯიბიდან. ხუთდოლარიანი ამოვიღე და ვაძლეე. „დიდი მადლობა,“ — ვეუბნები. — „ათას ერთი მადლობა.“

„ეგ ხუთია,“ — მეუბნება. — „ათი მჭირდება.“

უკვე რაღაცა ურევდა, აშკარად ვატყობდი. თავიდანვე მეშინოდა, რამე ეგეთს არ გადავყროდი.

„მორისმა მითხრა — ხუთიო,“ — ვეუბნები. — „ასე მითხრა, 15 მთელი ღამით და 5 — ერთ ჯერზეო.“

„არა, ჯერზე ათი.“

„რა ვქნა, ჩვენ ხუთზე მოვრიგდით. მართლა ვწუხვარ, მაგრამ მეტს ვერ მოგცემ.“

მხრები აიჩეჩა ისევ მაშინდელივით და უცებ მეუბნება: „ჩემს კაბას ვერ დამიბრუნებ? ძაან თუ არ გჭირდება, რა თქმა უნდა.“ დიდგულა ვინმე კი იყო. ხმაც კიდევ ისეთი გაუხდა, თითქოს სისინა, ცოტათი აქეთ შეგაშინებდა კაცს. დაჩამიჩებული რო ყოფილიყო და უფრო დაღებილი, ამდენს ვერ გაბედავდა.

ავდექი და კაბა მივართვი. გადაიცვა, მერე პალტოსაც წამოავლო ხელი და კარგად მეყოლე, შე ტილიანო, მეუბნება.

კარგად-მეთქი, ვუთხარი. არც მადლობა მითქვამს, არც არაფერი. ეგ მაინც მოვახერხე.

მერე ისევ იმ სავარძელში ჩაჯვქეი და ორი სიგარეტი მოვწიე ზედღიზედ. თენდებოდა. ღმერთო, რა გატეხილში ვიყავი! ისე ვიყავი მოშხამული, სიკვდილი მინდოდა. მერე ვითომ ჩემ ძმა ელის ველაპარაკებოდი, თან ხმამაღლა. ეგეთი რამე მჩვევია ხოლმე ხანდახან, როცა ძაან-ძაან უხასიათოდ ვარ. ვეუბნები — სახლში წადი, შენს ველოსაპეტს მოაჯექი და ბობი ფელონის სახლთან შევხვდეთ-მეთქი. წლების წინ ბობი ჩვენს ახლოში ცხოვრობდა — ეს მაშინ, მეინში რო ვსახლობდით. ერთხელაც მე და ბობი სედებეგოს ტბაზე წავედით ჩვენი ველოსიპედებით. მთელი დღით მივდიოდით — საგზალიც წავიღეთ და პნევმატური თოფებიც — ბავშვები ვიყავით და ვიფიქრეთ, რამეს მოვინადირებთო. ელიმ გაგვიგო და თვითონაც მოინდომა წამოსვლა, მე კი უარი ვტკიცე — ჯერ პატარა ხარ-მეთქი. ხოდა მას მერე დამჩემდა ეგ — როცა კი ძაან მოშხამულ ხასიათზე ვარ, თითქოს ჩემ ძმას ვეუბნები: „კარგი, ამჯერად ეგრე იყოს. შენი ბაიკი გამოაგორე და ბობი ფლინის სახლთან მოდი. გელოდებით.“ ისე არ იფიქროთ, თითქოს სხვა დროს არ მიმყავდა თან, როცა სადმე მივდიოდი ხოლმე. ყოველთვის მიმყავდა. მარტო იმ დღეს ვიუარე. კი არ წყენია და რამე — ბუტია სულაც არ იყო, ოღონდ მე კი ცუდად ჩამრჩა ხსოვნაში და როცა მყრალ ხასიათზე ვარ, სულ ეგ ამბავი მახსენდება.

ბოლო-ბოლო, გავიხადე და ჩავწექი ლოგინში. მინდოდა ერთი რამე ლოცვა მაინც წამებუტბუტებინა, მაგრამ თავი ვერ ვაიძულე. ყოველთვის კი ვერ ვახერხებ. საქმე ისაა, ურწმუნო ვარ, ფაქტიურად. იესოც მიყვარს და ამბავი, მაგრამ მთელი ეს დანარჩენი ბაზარი ბიბლიიდან სულ გულსგარე მრჩება. აი ეს მოციქულები ავიღოთ, მაგალითად. მაგარი ნერვების მომშლელი მასტები იყვნენ. მაცხოვარი რო ჯვარზე გააკრეს, მერე კიდე არა უშავდათ რა, გამოიბერ-

ტყეს ყურები, ოღონდ იმის სიცოცხლეში თითო თითზე არ დაუკარებიათ. მარტო ჩაშვებაში იყვნენ მაგრები. რამე რო იყოს, მაგათ ყველა ჯობია იმ წიგნში. და საერთოდ, იესოს მერე მარტო ერთი კაი ტიპია იქ — საფლავებში რო ცხოვრობდა და ქვებით იგვემდა თავს. ათი თავით ჯობია იესოს ყველა იმ დამოწაფებულს, საცოდავი ეგა. ამაზე მაგარი კამათი მოგვდიოდა ხოლმე მე და ერთ ვინმე ართურ ჩაილდბს, ვუტონის სკოლაში რო ვიყავი, იმ დროს. ეს ჩაილდბი კვაკერი და მაგარი ეკლესიური იყო, ბიბლიის მეტს არც არაფერს კითხულობდა, მგონი. კარგი ბიჭი იყო, რას ერჩი, ოღონდ ამ საკითხებში ვერაფრით ვთანხმდებოდით. მეუბნებოდა, თუ მოციქულებს ვერ იტან, ე. ი. არც მაცხოვარი გყვარებიაო. რაკი მაცხოვარმა თავად შეარჩია ისინი, არც შენი დასაწუნი უნდა ჭირდეთ რამეო. მე კიდე ვპასუხობდი — კი შეარჩია, ოღონდ დაუფიქრებლად-მეთქი. არც ტესტები მიუცია მათთვის და არც გამოცდა ჩაუტარებია-მეთქი. იმას კი არ ვამბობ, რო ამით დააშავა რამე, უბრალოდ, რა მისი ბრალი იყო თუ არ დასცალდა-მეთქი. ერთხელაც, მახსოვს, ჩაილდბს ვეკითხები — აი ის იუდა, ქრისტე რო ჩაუშვა და მერე თავი ჩამოიხრჩო, ჯოჯოხეთში მოხვდა თუ სად-მეთქი. წყალი არ გაუვა, ჯოჯოხეთშიო — მეუბნება. აი სწორედ ამაში ვერ ვთანხმდებოდით ვერაფრით. ვეუბნები — რო მქონდეს, ათას დოლარს ჩამოვალ, მაცხოვარი ამას არ დაუშვებდა-მეთქი. რომელიც გინდა ქრისტეს მოწაფე ყურსაც არ შეიბერტყავდა — ოღონდ თვითონ მაცხოვარი არაფრით იზამდა მაგას-მეთქი. ჩაილდბი კიდე მიმტკიცებდა — ეგ სულ იმის ბრალია, ეკლესიაში რო არ დადიხარო. მაგაში კი იყო მართალი. არ დავდივარ. ჯერ ეს ერთი, ჩემები სხვადასხვა აღმსარებლობის იყვნენ და ბავშვები კიდე სულაც ურწმუნოები გამოვედით. ამ მამაობის ატანა ხო საერთოდ არა მაქვს — რომელ სკოლაშიც არ დავდი-

ოდი, ყველგან ქადაგად იდგნენ და დათაფლული ხმით გვმოდ-
ღვრავდნენ, ასეო და ისეო. მართლა არ მესმის, რით ვერ ისწავ-
ლეს ადამიანურად ლაპარაკი.

მოკლედ, ლოგინში კი ჩავწევი, მაგრამ ძილისპირულს თავი ვე-
ლარ მოვაბი. რამდენი დავიწყე, იმდენი სანი-გოგო მახსენდებოდა,
ტილიანი რო მიწოდა. რა მექნა, წამოვკვი და ერთიც გავაბოლე.
მძალე გემო ქონდა სიგარეტს. რაც პენსიდან წამოვედი, ბარე ორი
კოლოფი მექნებოდა გამოთავებული.

ვზივარ ასე, ლოგინში და უცბად ვიღაცა მიკაკუნებს კარზე., ერთი
პირობა თავი დავიძედე, მომეჩვენა, მეზობელთან იქნებამეთქი,
მაგრამ შანსი არ იყო. მივხვდი კიდევ, ვინც იქნებოდა. მეექვსე
გრძნობით მივხვდი.

„ვინ არი?“ — მაინც ვიკითხე. ცოტა არ იყოს, დავმანდრაჟდი. არ
მევასება ეგეთები.

ისევ დააკაკუნეს და მეტი არაფერი. ოღონდ ახლა უფრო მაგრად.

რა მექნა, ავდექი პიჟამისამარა და კარი გამოვაღე. სინათლის
ანთებაც კი არ დამჭირვებია ოთახში — უკვე გვარიანად გათენებუ-
ლიყო. ღია კარში კი სანი და მორისი იდგნენ, წყვილად.

„რა ხდება?“ — ვეკითხები. ხმა კიდევ მიკანკალებს, შემცივნებუ-
ლივით.

„დიდი არაფერი,“ — მორისი მეუბნება. — „დარჩენილი ხუთი დო-
ლარი გვინდა.“ ორივეს მაგივრად ლაპარაკობდა, სანი კიდევ იქვე
იდგა, პირლია.

„უკვე გადავუხადე. სწორედ ხუთი დოლარი. შეგიძლია კითხო.“
„ათი დოლარია, ძმაკაც. ადრევე გითხარი. 10 ერთ თალიაზე, 15 —
მთელი ღამით. ხო გითხარი.“

„არ გითქვამს. ხუთი მითხარი. თხუთმეტი მთელი ღამითო. კი ბა-
ტონო, ოღონდ...“

„გადასახადი გაქ, ძმაკაც.“

„რისთვის?“ — ვეკითხები. გულმა სულ ბაგაბუგი დამიწყო. ჩაცმული მაინც ვყოფილიყავი-მეთქი, გავიფიქრე. მურდალია, როცა პიჟამისამარა გაეხვევი შარში.

„ერთ წუთს შევიდეთ, ძმაკაც.“ — მორისი მეუბნება. მერე უცბად ხელს მკრავს და თან ისე, ლამის იყო კისრით დავეშვი იატაკზე — ნაღდი მ.ჭ.პ. იყო, ნამდვილად. მერე ისე მოიქცნენ თითქოს საკუთარ აპარტამენტებში ბრძანდებოდნენ — სანი ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა, მორისი კიდე სავარძელში გაიშხლართა. თან საყელოც შეიხსნა — სასტუმროს პერსონალის უნიფორმა ეცვა — და რა ვიცი, მოკლედ — მოშინაურდასავით.

„ასეა, ძმაკაც. მოვრჩეთ ახლა ბაზარს. ჩემი საქმე მაქ.“ „გითხარი უკვე, არავისთვის არაფერი არა მაქ გადასახდელი. მაგას უკვე მივეცი თავისი ხუთი...“

„მორჩი რა. ჩამოყაჭე.“

„კიდე რატო უნდა მოგცე? რაზე მაწვები?“ — ხმას ვუწევ, მაგრამ თან ვგრძნობ, რალაც წიკვინში გადავდივარ.

მორისმა ახლა მთელი კიტელი შეიხსნა. შიგნით არაფერი ემოსა, ბანჯგვლიან კუნთებს თუ არ ჩავთვლით. „არავინ არავის არაფერზე არ აწვება,“ — მეუბნება. — „შენ ოღონდ ფული ჩამოყარე.“ „არა.“

ეს რო ვთქვი, წამოდგა და წამოვიდა ჩემკენ. ძან დაღლილ-დაქანცული და თავგაბებრებული ვაცის სახე ქონდა. ახლა უკვე მაგრა ჩავმანდრაჟდი. ოღონდ მახსოვს, გულხელი დავიკრიფე და ნაპოლეონივით გავიჯგიმე შუა ოთახში. საკმაოდ ღირსეული პოზა იყო, ის ოხერი პიჟამა რო არ მცმოდა.

„ფოსტას უნდა ჩამოხვიდე, ძმაკაც.“ — მეუბნება და დამიდგა წინ ყლიყვივით. — „ფული ჩამოყარე.“ თუთიყუში იყო ნამდვილი. „არა-მეთქი.“

„ძმაცაც, არ მინდა ძაან ცუდად რო მოგექცე, შენ კი მაგაზე მაგ-
დებ — წესია ახლა ეს? გადი-გამოდი, სულ ხუთი დოლარის ბაზარია.“

„არავითარი ხუთი დოლარი არავისი მე არ მმართვეს“ — ვეუბნე-
ბი. — „შუხურს თუ ამიტეხავ, მთელ სასტუმროს ფეხზე დავაყენებ თა-
ვის დაცვიანად. ოლონდ ხმა კი ისევ მიკანკალეხავით.“

„მიდი, მიდი. გინდა შენმა დედიკომ და მამიკომ გაიგოს, ბოზებში
რო დადიხარ? შენისთანა წესიერი კაიოჯახიშვილი ბიჭი?“ — მორისი
მეუბნება. საზიზღლარი ხმა აქვს, გოთვერნული.

„შემეშვი. ათი რო გეთქვა, ათს მოგცემდი. ახლა რა გინდა ჩემ-
გან? ხო მითხარი...“

„მორჩი რა. მაინც აგახევ.“ თავზე მადგა. მთელი თავისი ბან-
ჯგვლიანი კუნთებით და რამე.

„თავი გამანებე. და საერთოდ, წადით აქედან.“ — ვიდექი ასე,
გულხელდაკრეფილი და გაჯგიმული. თან პიჟამისამარა. მაგარი სა-
ნახავი კი ვიქნებოდი, ნამდვილად.

აი ამ დროს სანიმ ამოიღო ხმა. „ბარემ საფულეში ჩაგეხედა, მო-
რის. ეგერაა, აი იმ რაქვიაიმამზე...“

„მიდი და ჩაიხედე. მანდვე არა ხარ?“

„შეეშვი ჩემ საფულეს!“

„უკვე შევეშვი.“ — მეუბნება და ხუთდოლარიანს მიფრიალებს
ცხვირწინ. — „ზუსტად იმდენი ავიღე, რამდენიც მერგებოდა. პატიოს-
ნად.“

და უცბად ცრემლები წამომივიდა, თავისით. რას არ მივცემდი,
ეგეთი არაფერი დამმართნოდა, მაგრამ მაინც ეგრე მოხდა. „რა
თქმა უნდა,“ — ვეუბნები, — „ჩვეულებრივი პატიოსანი ბაცნები ხართ
და ქურდები. მარტო თქვენს ხუთდოლარიანებს იღებთ.“ „მოკეტე
რა!“ — მორისი მეუბნება და ხელს მკრავს.

„შეეშვი,“ — სანი ეუბნება. — „ხო ავიღეთ რაც გვერგებოდა, ახლა
ავუღეთ. მაგას შეეშვი.“

„მოვდივარ,“ — მორისი ეუბნება, ოღონდ ფეხს არ იცვლის.
„მორის, წამოდი-მეთქი!“

„რა იყო, რო?“ — მორისა კითხულობს, ისევ ძაან გულუბრყვი-
ლო ხმით. — „ხდება რამე?“

მერე კი იცით რა ქნა? აიღო და წკიპურტი მწეპა ისე მწარედ
ერთ ადგილას — ახლა არ გეტყვით სად, თვითონ მიხვდით — სულ
ნაპერწკლები ვყარე თვალებიდან. ნაღდი ყლიყვი ხარ-მეთქი,
ვეუბნები. „რაო?“ — მეკითხება, თან ყურზე იდებს ხელს, ვითომ-
და წაიყრუებდეს: „რა ბრძანეთ?“

ცრემლები უკვე ღაპალუპით ჩამომდიოდა სიმწრისაგან.
„ყლინჯი ხარ,“ — ვეუბნები. — „ერთი ხისთავა ყლინჯი მათხოვა-
რი. მალე საერთოდ ქუჩაში იმათხოვრებ ხურდა ფულს...“

აი მაშინ დამაკერა მართლა მაგრად. არც მიცდია ან დამეყვი-
ნა ან დამებლოკა ან რამე. მთელ გულ-მუცელში დამიარა ტკი-
ვილმა. ოღონდ არც გავთიშულვარ და არც რამე ეგეთი — იატაკ-
ზე ვეგდე და ვუყურებდი, როგორ გავიდნენ და კარიც გაიხურეს.
კარგა ხანს ვეგდე ასე, მეგონა საერთოდ ვეღარც ავითრევიდი
წელს. სუნთქვა მიჭირდა. მერე ორად მოკეცილი წავფლახუნდი
აბაზანაში და მუცელი ხელით მეჭირა.

ისე, გიჟი ვარ, ღმერთია მოწამე. ჯერ აბაზანის კარამდე არ ვი-
ყავი მისული და უცბად წარმოვიდგინე, რო ტყვია მაქ მუცელში
მოხვედრილი, მორისას ნასროლი. აბაზანაში კი იმიტო მინდა,
ერთი ყლუპი იქ გადამალული ბურბონი რო ვხუხო და ცოტა ამ-
რზე მოვიდე. მერე წარმოვიდგინე რო იქიდან გამოვდივარ —
ჩაცმული, რევოლვერით ხელში და ცოტა ვყანყალე.

მერე ქვევით დავეშვებოდი, კიბეზე — შიგადაშიგ მოაჯირს ჩა-
ვეჭიდებოდი და ტუჩებზე, პირის კუთხეში, სისხლის პაწია ნაკადი
გადმომივიდოდა. ორ სართულს ჩავიდლოდი, მეტს არა და სის-
ხლით მოთხვრილ თითს მივაჭერდი ლიფტის ზარს. ის თესლი ვი-
რიშვილი მორისა გაალებდა კარს, მერე რევოლვერს, სისხლს,

ჩემს ჩატეტკილ სახეს დალანდავდა და შეშლილივით მორთავდა ყვირილს – ჩემგან რა გინდა, თავი დამანებეო. ვერ მიართვეს. ექვსივე ტყვიას ჩავაჭედებდი შიგ ბანჯგვლიან მკერდში. მერე იარაღს ლიფტის შახტაში ჩავუშვებდი – ოღონდ მანამდე სისხლიან ცხვირსახოცს გადავუსვამდი თითების ანაბეჭდების მოსაცილებლად. მერე ისევ ჩემს ნომერში ამოვფორთხდებოდი როგორღაც, ტელეფონზე ჯეინს მივაწვდენდი ხმას და ისიც წამში იქ გაჩნდებოდა, თმაგაშლილი და უქულო, და ჭრილობას გადამიხვევდა. მერე სიგარეტს მოუკიდებდა ჩემთვის და ჩუმად მიყურებდა, სისხლშემხმარი თითებით როგორ მივიტანდი პირთან...

ფილმები. დაგცენტრავენ, გეუბნებით. სულ არ მეხუმრება. მთელი საათი არ გამოვსულვარ სააბაზანოდან. ცხელ წყალში ვნებივრობდი. მერე ისევ ლოგინში ვდურთე თავი. ყველაფერ იმის მიუხედავად, რაც იმ დღეს გადავიტანე, მაინც საკმარისად არ ვიყავი გამოთავებული და კიდევ ვებრძოდი ძილს. ერთი, რასაც მართლა სიამოვნებით ვიზამდი – ტყვია მეხალა შუბლში. ან უფრო უკეთესი – მეშვირა ფეხი და ფანჯრიდან გადავმხტარიყავი იმ პირობით, რო ქვევით ვილაცა დამხვდებოდა და რამეს გადაათარებდა ჩემს ცხედარს. ეგლა მაკლდა, ათას უსაქმურს ჩემი დასახიჩრებული გვამისთვის ეცქირა.

არა მგონია დიდხანს მძინებოდა — სადღაც 10 საათის მიდამოებში გამეღვიძა. პირველი ნათაზი დავარტყი თუ არა, შიმშილმა შემახსენა თავი. ბოლო ჩემი ლუკმა ის ორი ჰამბურგერი იყო, ეიჯერსთაუნში რო მივირთვი. საუკუნე იყო მას მერე გასული. ტელეფონი იქვე მედო და ერთი პირობა ვიფიქრე ქვევით დავრეკავ, საუბმე ამომიგზავნონ-მეთქი, მაგრამ ჭკუა მეყო, გადავიფიქრე. იმ ჩემის მორისასათვის რო გამოეტანებინათ, რას შევბოდი მერე? თუ გგონიათ, ძაან მეხალისებოდა იმ ოყლაყის ნახვა, მაგრა გეშლებათ. ასე რომ ვიჯექი ლოგინში, ახლა მეორე სიგარეტს ვექაჩებოდი და იმაზე ვფიქრობდი, ჯენისათვის ხომ არ გადამერეკა — იქნება და ჩამოსული იყო უკვე. ოღონდ დიდად არც მაგის ხასიათზე ვიყავი მაინცადამაინც.

საბოლოოდ, ისევ სალი ჰეიესის ნომერი ავკრიფე. ვუდროფის სკოლაში სწავლობდა და ახლა სწორედ სახლში უნდა ყოფილიყო — ორიოდე კვირის წინ წერილი მივიღე მისგან. ვერ ვიტყვი, გული მქონდა სალიზე შევარდნილი-მეთქი, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია ვიცნობდი. ერთხანობა, ჩემი სიშტერით, ჭკვიანი ვინმეც კი მეგონა, გოგოს კვალობაზე. ეს იმიტო რო სულ თეატრზე და დადგმებზე და ლიტერატურა-ხელოვნებაზე ჭიკჭიკებდა გაუჩერებლად. როცა ვინმე ასეთ რამეებზე თავისუფლად ლაპარაკობს, ცოტა დრო კი გჭირდება იმის მისახვედრად, უბრალო ტლიკინასთან რო გაქ საქმე. ასეა თუ ისე, მე კი გვარიანი დრო დამჭირდა და... სალის შემთხვევაში მაინც. არაფერი ეს არ მოხდებოდა, მაგრამ კოცნაობას გადავყევი. ასე მემართება ხოლმე. თუ გოგომ კოცნის ყადრი იცის, სულ გგონია რო ცოტა ტვინიც უნდა ქონდეს. არავითარი კავშირი აქ არაა, რა თქმა უნდა, ოღონდ მე კი სულ ასე მეგონა. მოკლედ, დავურეკე. ჯერ ვიღაც მოახლემ

აიღო, მერე მამამისს უხმეს ტელეფონთან. ბოლოს სალის ჯერიც დადგა. „რას შევები, როგორა ხარ?“ — ვეკითხები.

„არა მიშავს. ვინ ლაპარაკობს?“ — მეკითხება. დიდი კეკლუცი ვინმე იყო. მამამისს ხო ვუთხარი უკვე, ვინც ვიყავი.

„ჰოლდენი ვარ. კოლფილდთა გვარიდან. აღარ გახსოვარ?“

„უი, ჰოლდენ! როგორ გამახარე! როგორ ხარ?“

„კარგად. სკოლაში როგორ მიგდის საქმე?“

„მშვენივრად. ხომ იცი, როგორც არი ხოლმე...“

„მისმინე. ვიფიქრე, იქნებ დღეს საქმე არაფერი აქვს-მეთქი. კვირაა, ბოლო-ბოლო. კვირაობით კი რამე წარმოდგენა ყოველთვის იქნება სადმე, ან ვილაცის ბენეფისი. წამომყვები?“ „გლიჯავს. წავედით.“

გლიჯავს. აი კიდე ამ სიტყვას ვერ ვიტან. ვინ, ვის, რატო, რა და-აშავა? ლამის იყო, ცოტა ხანში ისევ დამერეკა და მეთქვა, ჩაიშალა-მეთქი. მაგრამ მერე იმდენი იტლიკინა, სიტყვის ჩასადგმელი ადგილი არ დამიტოვა და ეს სულაც გადამავიწყდა. ჯერ იყო და ვილაც ჰარვარდელ ტიპზე მექაქანა — პირველკურსელი იქნებოდა ნაღდად, ოღონდ ეგ აღარ დაუზუსტებია, რა თქმა უნდა — ასეო და ისეო, მოსვენებას არ მაძლევსო, დღე და ღამე მირეკავსო... მოკლედ, დღე და ღამე ურეკავს, გესმით თქვენ? მერე ვილაც უესტპოინტელი კადეტის გამო გამიბურღა ტვინი — ნუ იტყვით, თავს იკლავდა თურმე მისი გულისთვის. ძლივს ჩავუგდე — ბილტმორჰოტელის დიდი საათის ქვეშ დაგელოდები-მეთქი, ორზე. ზუსტად ორზე-მეთქი, გავუმეორე. ვიცოდი, ყოველთვის ყველგან აგვიანებდა ხოლმე და იმიტომ. შოუზე დაგვიანებულები არ დაიშვებიანმეთქი, კიდეც გავაფრთხილე ყოველი შემთხვევისათვის. დაიჯერა. ბოლოს ყურმილი დავკიდე და შვებით ამოვისუნთქე. სუფთა ტვინდულია ვინმე იყო, მაგრამ ზღაპარი ტან-ფეხი ქონდა:

რაკილა სალი დავიადე, ავდექი, ჩავიცვი და ნივთებიც ჩავალაგე. ერთი პირობა ფანჯარაშიც გავიხედე, ის გუშინდელი ნაგიჟრები რას

შვებიან-მეთქი, მაგრამ ფარდები ყველგან ჩამოშვებული ქონდათ. დილაობით მორცხვობდნენ ხოლმე, ეტყობა. მერე ლიფტით დავეშვი ჰოლში და პორტიესთან ანგარიში გავასწორე. მორისისთვის თვალი არ მომიკრავს და არც თავი მომიკლავს მისი ძებნით, რალა თქმა უნდა. ნაბიჭვარი.

გარეთ ტაქსი დავიჭირე, ოღონდ აბრზე არ ვიყავი, სად მივდიოდი. ან სად უნდა წავსულიყავი, კაცმა რომ თქვას. კვირა დღე იყო, მე კიდე ოთხშაბათამდე ვერ გამოვჩნდებოდი შინ. ახლა არ გინდოდა კიდე სადმე სხვა სასტუმროში შებარგება და იქ ტვინის ჭყლეტა — რა მექნა და სად და ვისთან... ამიტო ტაქსისტს ვუთხარი, ცენტრალურ სადგურზე გამიყვანე-მეთქი. ეგ სწორედ ბილტმორჰოტელის ახლო იყო, სადაც სალის უნდა შევხვედროდი. ვიფიქრე, ნივთებს შემნახველში ჩავაბარებ, მერე კი ერთს წავისაუბმებ-მეთქი. მერე საფულე ამოვიღე და ჩემი განძი გადავთვაღე. ზუსტად კი აღარ მახსოვს, ოღონდ ბევრი არაფერი. ბოლო დღეებში გვარიანად გამეფლანგა. ვერაფერი მომჭირნე ვარ, უნდა გითხრათ. ან ფულის ყადრი არ ვიცი. ხან უყაირათოდ ვხარჯავ, ხან ვკარგავ, დაბრუნებული ხურდის აღებაც კი მავიწყდება ხოლმე. მშობლებს ნერვები ეთხლიშებათ ამაზე. ვერც გაამტყუნებ. მამაჩემს ფული არ აკლია — ზუსტად არ ვიცი, რა შემოსავალი აქვს, ამაზე არასოდეს გვილაპარაკია — ოღონდ საკმარისზე მეტს კი შოულობს, ასე მგონია. ვეჭილია. მაგათ კი ფული ჩეჩქივითა აქვთ. ბოლო-ბოლო, ყოველ წელს ბროდვეის რაღაც დადგმებში აბანდებს ბლომად თანხებს. მანდ კი დიდ ვერაფერ ხეირს ნახულობს და ახლა დედაჩემი ნერვიულობს ამაზე. რაც ჩემი ძმა ელი აღარ არი, ნერვები აღარაფრად უვარგა. კიდე ამიტომაც არ მინდოდა ცოდნოდა, ისევ რო გამომაპანლურეს სკოლიდან.

სადგურზე საკვოიაჟები იმ პერსონალურ რკინის ყუთში გამოვკეტე და გასაღები შიდა ჯიბეში შევიინახე. მერე იქვე ერთ პატარა კაფე-ბარში შევედი. კარგა გვარიან საუბმეს გეახელით —

ფორთოხლის წვენი, კვერცხში შემწვარი ბეკონი, გაპიწკინებული პური და ყავა. სხვა დროს ცარიელა წვენიც მყოფნის ხოლმე. გითხარით, ვერაფერი მჭამელი ვარ-მეთქი. ამიტომაც ვარ ალბათ ასეთი ჩხინკი. მეუბნებიან — სახამებლიან თუ რაღაც ეგეთ ჯანდაბა დიეტაზე დაჯექი — წონაში მოიმატებო. ვისა აქვს მაგის თავი. როცა სადმე ვარ, შვეიცარიული ყველის სენდვიჩს მივირთმევ ხოლმე და ზედ რძის კოქტეილს. ეგაა სულ. ბევრი არაფერი, მაგრამ რძის კოქტეილში ბლომად ვიტამინებიანო, ამბობენ. ჰ. ვ. კოლფილდი — ჰოლდენ ვიტამინ კოლფილდი — თქვენი მონა-მორჩილი.

სანამ ჩემს ბეკონსა და ტაფამწვარს ვათოხლავებდი, ჩანთებით დახუნძლული ორი მონაზონი შემოვიდა — ეგენიც სადღაც მიემგზავრებოდნენ ეტყობა, და ჩემ გვერდით დასკუბდნენ. ოღონდ ხელბარგს ვერაფერი მოუხერხეს და თავი გამოვიდე — მოწყობაში მივეხმარე. იაფფასიანი ჩანთები იყო, ხელოვნური ტყავის. რა მნიშვნელობა აქვს ახლა ამას, მაგრამ მიტყდება, დერმატინის თუ რაღაც ამისთანა უბედურებისგან შეკერილ ჩანთებს რო ვხედავ. მათი პატრონების მიმართაც რაღაც უსიამო გრძნობა მიჩნდება. გეტყვით რატო: ერთი ამბავი შემემთხვა, სასაცილოც კია მოსაყოლად, ოღონდ რაღაც ცუდად კი დამამახსოვრდა. ელკტონ-ჰილში რო ვსწავლობდი, ვინმე დიკ სლეიგლთან ვიყოფდი ოთახს, იმას კიდე სწორედ ასეთი უვარგისი საკვოიანები ქონდა და ლოგინის ქვეშ ინახავდა ხოლმე, რო არავის დაენახა. მით უმეტეს, ჩემების გვერდით. ერთი სული მქონდა, ან ფანჯრიდან მომესროლა ჩემები, ან გადამეცვალა მაინც ვინმესთვის — მარკ კროსის მაღაზიაში იყო ნაყიდი, ნაღდი ხბოს ტყავისა და მთელი ამბავი. ერთ რამედ ღირდა. ბოლო-ბოლო, ავიღე და მეც ლოგინის ქვეშ შევაწყვე, სლეიგლისთვის რო ის რაღაც არასრულფასოვნების კომპლექსი მომეხსნა. მარა ჯერ სადა ხართ, ამბავი ახლა იწყება. იმ ჩემისამ მეორე დღესვე ისევ არ გამომილაგა გარეთ?! კარგა ხანი დამჭირდა, სანამ გავერკვეოდი რა ბუზმაც უკბინა. თურმე ის უნდოდა, ჩემი ნივთები მისი გონებოდა ხალხს. ეგ იყო

თურმე მთელი პრობლემა. მაზალო ვინმე იყო, ნამდვილად. არა-
და, სულ იმას გაიძახოდა — გოიმობაა ეგეთი ახალი და ძვირიანი
საკვოიაჟების ქონაო. ბურჟუაზიულიაო, გაიძახოდა. მაგრა ევა-
სებოდა ეს სიტყვა. სადღაც ამოეკითხა ან ყური მოეკრა სადმე.
წარამარა კალმისტარს ნათხოვრობდა ხოლმე, მაგრამ რად გინ-
და — ეგეც ბურჟუაზიული გადმონაშთიაო, გაიძახოდა. ვერ გამე-
გო ოღონდ, კალმისტარი თუ კალმისტრის თხოვება. ორი თვე
გავძელით ერთად. მერე ორივემ ერთად მოვითხოვეთ ცალცალ-
კე გადაყვანა. ცირკი ეგ იყო, რო პირველ ხანებში აქეთ მომენატ-
რებოდა ხოლმე. მაგარი იუმორის გრძნობა ქონდა და იმიტო.
რაზე არ ვლადობდით ხოლმე. არც გამიკვირდებოდა რო გამე-
გო, ისიც თუ მისაკლისებდა. ისე, თავიდან მართლა ღადაობდა
ამ ჩემს ბურჟუაზიულობაზე და ყურსაც არ ვიბერტყავდი — მეცი-
ნებოდა კიდევ, ოღონდ მერე და მერე სულაც აღარ ხუმრობდა.
მართლა მურტალია ვაცთან ერთ ოთახში ცხოვრობდე და შენი
ნივთები ბევრად უკეთესი იყოს, ვიდრე იმისი. თავიდან გგონია,
თუ ვაცი ვაცად ვარგა და ჭკუაც უჭრის და იუმორის გრძნობაც
აქვს, ფეხებზე არა გკიდია, ვისი ნივთებია უფრო ფირმა? ოღონდ
შენთვის კი იქნებ ასეცაა, მათთვის — არა. იმიტომაც გადავედი იმ
ხისთავა სტრადლეიტერთან. ეგ მაინც აღარ მექნებოდა თავსატ-
კივარი.

მოკლედ, ეს ორი მონაზონი მეჯდა გვერდით, და ბოლოს რა-
ღაც საუბარივით გავაბით. ერთს სწორედ ისეთი დაწნული კალა-
რა ეჭირა, რომლითაც „ხსნის არმიის“ მოხალისეები ხურდა შე-
მოსაწირავს აგროვებენ ხოლმე შობა დღეებში მეხუთე ავენიუბე,
სუპერმარკეტების წინ. მერე სწორედ ეგ კალათა დაუვარდა, მეც
კიდე წამში დავავლე ხელი და მივაწოდე. თან ვკითხე, შესაწი-
რავს თუ აგროვებდა ან რამე. არაო, მითხრა. უბრალოდ, ჩანთა-
ში ვეღარ ჩავატიე და ასე ხელით უნდა ვატაროო. მშვენიერი კე-

თილი თბილი ღიმილი ქონდა. ცოტათი მოგრძო ცხვირი აუშნოებდა და ულაბათო ლითონისჩარჩოიანი სათვალეები, ოღონდ სახე კი ძაან სათნო ქონდა. „ვიფიქრე, თუ აგროვებდით, ცოტას მეც გავიღებდი-მეთქი“, – ვეუბნები. „ნამდვილად ღვთისნიერი განზრახვაა,“ – მეუბნება, და მეორემაც იკადრა და გადმომხედა იქითა მხრიდან. რაღაც თხელ შავყდიან წიგნს კითხულობდა, ბიბლიას კი გავდა, ოღონდ ძაან თხელი იყო ბიბლიისათვის, რაღაცა სასულიერო შინაარსისა კი იქნებოდა, ნამდვილად. თანაც ორივე მხოლოდ ყავასა და გახუხულ პურს შეექცეოდა. წამსვე უხერხულად ვიგრძნობ ხოლმე თავს, როცა ვხედავ – მე შემწვარ-მოტაფული მიდევს წინ, სხვა კიდე პურსა და ყავაზე გადადის.

ათი დოლარი მიიღეს ჩემგან, თან სულ იმას მეკითხებოდნენ, მართლა თუ სულ არ ვიცარიელებდი ჯიბეს. ვარწმუნებდი, ფული საკმარისად მაქვს-მეთქი, მაგრამ სიტყვაზე რაღაც არ მიჯერებდნენ. ბოლოს მაინც ჩაიბარეს. იმდენი მლოცეს, უხერხულადაც კი ვიგრძენი თავი. რაღაცა სხვა რამეზე ძლივს გადავითანე სიტყვა და ისიც ვკითხე, საით გაგიწევიათ-მეთქი. სკოლის მასწავლებლები ვართ, ჩიკაგოდან ჩამოვედითო. ახლა ერთ სასულიერო სკოლაში ვაპირებთ სწავლებასო – არ მახსოვს, 168-ე თუ 186-ე ქუჩა მითხრეს. მოკლედ, სადღაც დასაკარგავში. რკინისშუშაბანდებიანმა მითხრა, მე ინგლისურს ვასწავლი, ეს კიდე – ისტორიას და ამერიკის სახელმწიფო წეს-წყობილებასო. რა თქმა უნდა, იმწამსვე ის ფიქრი ამეკვირატა, ეს ჩემის მონაზონი, ინგლისურს თუ ასწავლის, ინგლისური ლიტერატურის ზოგიერთ ნიმუშზე სახეზე აღმური ხო არ ედება-მეთქი. მაინცადამაინც იმ წიგნებს კი არ ვგულისხმობდი, სექსის აღწერით როა სავსე, – უბრალოდ, მიწიერ სიყვარულზე როა და მთელი ამბავი. იგივე ის იუსთეიშა ვეი რო ავიღოთ, სულაც არ იყო ძაან-ძაან სექსუალური, მაგრამ მონაზვნის გასარჩევი მაინც არაა მისი ამბები. მე ასე მგონია და... თუმცა თქმით არაფერი მითქვამს, ეგლა მაკლდა.

მართო ის დავაბრეხვე, ინგლისური ლიტერატურა ჩემი საყვარელი საგანი იყო-მეთქი სკოლაში.

„მართლა? რა კარგია!“ — გაიძახის ის შუშაბანდიანი. — „წელს მაინც რას კითხულობდი? მართლა საინტერესოა.“ — თან ისე, ალაღად.

„ძირითადად ანგლო-საქსონური პერიოდის ძეგლებს. ბელოვულის და გრენდელის ამბები, ლორდ რენდალი, ძე ჩემი მხოლოდშობილი და მისთანები. ოღონდ კლასიკარულ საკითხავებიც. გვექონდა — თავისიანებში დაბრუნება — ეგ ტომას ჰარდისაა, და რომეო და ჯულიეტა და იულიუს...“

„რომეო და ჯულიეტა! მშვენიერია! არ მოგეწონათ?“ — ღმერთმანი, სულაც არ იქცეოდა მონაზონივით.

„რა სათქმელია. რაღაც-რაღაც ადგილები კია დასახვეწი, მაგრამ მთლიანობაში გამიტაცა, შეიძლება ითქვას...“

„რომელი ადგილები? მითხარით რა — თქვენი აზრიც ძალიან მაინტერესებს.“

სიმართლე გითხრათ და ცოტა უხერხულობაში ჩავვარდი — როგორ გინდა სასიყვარულო ამბებზე ელაპარაკო მონაზონს? ეს შექსპირიც კიდე ალაგ-ალაგ მაგარი ვნებიანი ხდება... მაგრამ თვითონ მთხოვა და რა მექნა? მეც რაღაცა ჩემებურად მივკიბ-მოვკიბე: „სიმართლე გითხრათ, თავად ამ პერსონაჟებზე დიდად არ ვგიჟდები,“ — ვეუბნები დინჯად. — „მომწონს, ეგ თავისთავად, ოღონდ ცოტათი ცალმხრივები არიან. აი, მერკუციო რომ გაასაღეს, მაგაზე უფრო დამწყდა გული, ვიდრე ამ შეყვარებული წყვილის სიკვდილზე. იქნებ იმიტო, მერკუციოს ვითომ შემთხვევით სიკვდილში შინაგანად რომ მეც რომეოს ვდებ ბრალს... რა ერქვა მკვლელს — აი, ჯულიეტას ახლო ნათესავად რო ერგებოდა?“

„ტიბალტი.“

„დიახ, სწორედ ეგ. ალაღად რომეოს ბრალი იყო. არადა, მანამდე მთელ პიესაში სტოსი მაგას მიყავს. მთელ ამ მონტეგებისა

და კაპულეტების კოდლას თავისთავად არა უშავს, ოღონდ მერკუციო მაინც სხვა არი: მახვილგონიერი, მოხერხებული, თან ჭკვიანიც — რომელი რო არ ჩაჩრილიყო უდროოდ, მაგას არაფერი მოუვიდოდა. აი ეგ მიტყდება სწორედ. ვიღაცის უჭკუობა რო სხვამ უნდა ზღოს. რომელს და ჯულიეტას, ბოლო-ბოლო, შეუძლიათ საკუთარ თავს დააბრალონ ყველაფერი.”

„რომელ სკოლაში დადიხართ?“ — მეკითხება. ახლა ალბათ თემის შეცვლა სურდა.

ვუთხარი, პენსიში-მეთქი. გაგონილი ქონდა. ძალიან კარგი სკოლააა, ბევრი მსმენილო, განაცხადა. კომენტარებისაგან თავი შეევიკავე. მერე იმ მეორემ თქვა, ჩვენი წასვლის დროაო. მინდოდა მათი დანახარჯიც გადამეხადა, მაგრამ არ დამანებეს.

„ისედაც ზედმეტად გამოიდეთ თავი,“ — მეუბნებიან. — „შესანიშნავი ყმაწვილი ხართ.“ ძან შენგენაცვალე ვიღაცეები იყვნენ, ნამდვილად. ის ინგლისურის მასწავლებელი კიდე, რამდენი გაილიმებდა, სულ ერნი მაროუფს დედას მაგონებდა ხოლმე. „ძალიან, ძალიან ვისიამოვნეთ თქვენთან საუბრით.“ — მეუბნება.

მეც-მეთქი, ვეუბნები. არც ვტყუოდი. ერთი ეგ იყო, ერთთავად იმის შიშში ვიყავი, ახლა არ მკითხონ, კათოლიკე ხო არა ხარო. მაგათ ასე ჩვევიათ. შეიძლება ჩემთან იმიტო მოსდით, რო გვარი ირლანდიური მაქ და ირლანდიელთა ჩამომავლობის უმეტესობა, მოგეხსენებათ, კათოლიკეა. კაცმა რომ თქვას, მამაჩემი მართლა კათოლიკე იყო, ოღონდ დედა რომ შეირთო, მრევლიდან გამოვიდა. თუმცა გვარს რა მნიშვნელობა აქვს, ეგენი მაინც ცდილობენ ხოლმე გაარკვიონ, კათოლიკე თუ ხარ. ერთ ბიჭს ვიცნობდი ვუტონში, უმცროსკლასელს. ერთხელაც სკამზე ვისხედით და ჩოგბურთზე ლაპარაკს შევყევით. ჩოგბურთი მაგარ მოღაში იყო მაშინ, და ის მეუბნება — ყოველ ზაფხულს ეროვნულ ჩემპიონატს ვესწრები ფორესტ-ჰილშიო. მეც-მეთქი, ვუთხარი და მოვყევით მაშინდელი ვარსკვლავების ჩამოთვლას და ძველების გახსენებას. მისი ასაკისთვის მართლა

მაგრა ერკვეოდა. მერე, შუა საუბარში რო ვართ, უცებ მეკითხება — კათოლიკური ეკლესია სადაა აქ, ხო არ იციო. ისე მკითხა, ვირიც მიხვდებოდა, რო ჩემი ამბავი უფრო აინტერესებდა, თორემ ეკლესიისას უჩემოდაც კარგად გაარკვევდა. არა, რაღაც ქვენა აზრები კი არ აწუხებდა ან რამე, უბრალოდ უნდოდა გაეგო. მოკლედ, ჩოგბურთზე ევასებოდა საუბარი, მაგრამ თუ გაიგებდა, რო კათოლიკე ვარ, საუბარიც უფრო გაუსწორდებოდა. ხო შეიძლება გარეკო. არა, ამას არც ჩვენი ამბავი ჩაუშლია და რამე, ოლონდ არც არაფერი მოუტანია. ამიტომაც მომეშვა გულზე, იმ ორმა მონაზონმა რო არაფერი მკითხა ჩემს კათოლიკობაზე. ამით კი არაფერი გაფუჭდებოდა, ოლონდ რაღაცა ისე მაინც ვერ იქნებოდა. ზოგადად კათოლიკეებს კი არ ვდებ რამე ბრალს, იქნებ მეც ეგრე მოვქცეულიყავი, მართლმორწმუნე კათოლიკე რო ვიყო. ეს რაღაცით იმ საკვოიაჟების ამბავს გავს, მე რო გიყვებოდით. იმის თქმა მინდა, კეთილ საუბარს ეგ არაფერში არგია, მეტი არაფერი. მერე, ის ორი ქალბატონი რო ადგა, მაგარი სისულელე მომივიდა — როგორც ყოველთვის. დამავიწყდა რო სიგარეტს ვეწეოდი და დამშვიდობებისას, უნებურად რა თქმა უნდა, შიგ სახეებში შევაბოლე. ათასი ბოდიში ვუხადე, ისინიც არ განაწყენებულან, რა თქმა უნდა, მაგრამ მაინც ძაან უხერხულად კი ვიგრძენი თავი. მერე კიდე იმაზე ვწუხდი, სულ ათი დოლარი რო გავიმეტე, მაგრამ სალი ჰეიესთანაც ხო მექნებოდა რაღაც ხარჯი — ბილეთები და რამე. ჯერ ფულის მომგონს მოუკვდა პატრონი და მერე უფულობას.

საუზმის მერე კიდე ორი საათი მქონდა სალისთან შეხვედრამდე, ამიტომაც ფეხით გავლა-გამოვლა გადავწყვიტე. ის ორი მონაზონი კი მაინც ვერ ამომეგდო თავიდან. და კიდე ის მათი მოწნული კალათა. როცა გაკვეთილები არა აქვთ, შემოსაწირს აგროვებენ. ერთი მანახა დედაჩემი ან ვინმე, ან მამიდაჩემი ან თუნდაც სალი ჰეიესის ნაგიჟარი დედიკო, სუპერმარკეტის წინ რო დგანან და ძველი დაფხავებული კალათით ღარიბ-ღატაკთა და მიუსაფართათვის რო აგროვებენ შესაწირს. ძან ძნელი წარმოსადგენია, ნამდვილად. დედაჩემი კიდე ჰო, მაგრამ ის ორი — შანსი არაა. მამიდაჩემი გვარიანი ხელგაშლილი ვინმეა — როცა საქმე წითელ ჯვარს შეეხება და ეგეთები, ოღონდ მაგ დროს ყოველთვის დაზმანული უნდა იყოს და მოწესრიგებული და მთელი ამბავი. სალის დედა კიდე — ღმერთო შემინდე — მხოლოდ იმ შემთხვევაში აიღებდა ხელში კალათას, თუ მილეთის ხალხი მოვიდოდა მადლობის სათქმელად და მის დასალაცად და ყველა დაინახავდა თვითონ რამდენს ჩაუშვებდა იმ კალათაში. სხვა შემთხვევაში — შანსი არ იყო. ხუთ წუთში მობებრდებოდა და სადმე წავიდოდა სალანჩოდ. სადმე მაგარ ადგილას. აი ისეთ ადგილას, ის ჩემი ორი მონაზონი ცხვირსაც რო არ შეეყოფდა. თითქოსდა რა მერე, ოღონდ რაღაც სევდიან ხასიათზე დავდექი, რო წარმოვიდგინე ის ორი არასოდეს რო არ დადიოდა ეგეთ ადგილებში.

ბროდვეისკენ წავედი — ისე, უმიზნოდ. უბრალოდ, რა ხანია არ გამევილო იქით. გარდა მაგისა, ერთ მაღაზიაში შევლაც მინდოდა — ვიცოდი, კვირაობით ღია იყო ხოლმე. ფირფიტების მაღაზიაზე ვამბობ. ერთი ჩანაწერის შოვნა მინდოდა ფიბისთვის — „პაწია შირლი ბინზი“ ერქვა. იშვიათობა იყო. ის შავკანიანი გოგო მღერის — ესთელ ფლექჩერი — ერთ პატარას სახლიდან გარეთ გასვლა უნდა, მაგრამ ცხენია — წინა ორი კბილი მოიცვალა და იმიტო. პენსიში

მოვისმინე პირველად. ერთს ქონდა, მეორე სართულზე, და რა არ შევაძლიე, ოღონდ კი ხელში ჩამეგდო. ვიცოდი, ფიბი ჭკუას დაკარგავდა, მაგრამ არაფრით არ მომცა. ძალიან ძველი, მთლად მოხნული ფირფიტა იყო, ოციოდ წლის წინ გამოშვებული. დიქსილენდის სტილშია და თითქოს შიგ ბორღელშია ჩაწერილი, თან ძაან მულამით მღერის, სამხრეთულად. ვინმე თეთრკანიანს რო ემღერა, შეიძლება ძალიანაც კარგად და დავარცხნილად, ეგეთი ვერ გამოუვიდოდა. იცოდა ესთელმა, რასაც აკეთებდა. უკეთესი ჩემს დღეში არაფერი მომისმენია. ვიფიქრე, იქნებ ბროდვეიზე ქონდეთ-მეთქი და მაშინ პარკში წავიდოდი — ფიბი სწორედ კვირაობით დადის ხოლმე პარკში საციგურაოდ. მისი ამოჩემებული ადგილიც კარგად მახსოვდა.

ისე არ ციოდა, როგორც წინა დღეს, ოღონდ მზე მაინც არ ჩანდა და არც ფეხით ბლაცუნნი იყო მაინცდამაინც ერთი სიამოვნება. უცბად ვხედავ — ჩემ წინ მთელი ოჯახი მისეირნობს — ასე ჩანდა, ეკლესიიდან ახალგამოსულნი იყვნენ — დედა, მამა და 5–6 წლის ბიჭი. ფულიანობისა არაფერი ეცხოთ — ოჯახის უფროსს ის მორუხო-მონაცრისფრო ფარფლებიანი ქუდი ეხურა, ნიუ-იორკელი ღარიბები რო ატარებენ, როცა უნდათ ძალიან ძველ ბიჭებად გაასაღონ თავი. ცოლ-ქმარი რაღაცაზე დაობდა, ბავშვს საერთოდ არ აქცევდნენ ყურადღებას. ისიც ქუჩაში მიალაჯებდა, ტროტუარზე კი არა, ოღონდ ბორდიურთან ახლო. ძაან სწორი ნაბიჯით მიდიოდა, თან ღიღინებდა რაღაცას თავისთვის. ცოტათი ფეხს ავუჩქარე, რო გამეგო ერთი, მაგის ხნისას რა უნდა აკვირებოდა. ის ძველი სიმღერა აღმოჩნდა — თუკი ბიჭი გოგოს შეხვდა ჭვავის ყანაში¹⁰. მშვენიერი ბავშვური ხმა ქონდა და მთელი ხალხისით მიიმღეროდა, იმწამსვე შეატყობდით. ქუჩაში მანქანები დაქროდნენ, მუხრუჭების ღრჭიალი ისმოდა, მშობლებს ბავშვი

¹⁰ ცნობილი სიმღერა შოტლანდიელი პოეტის, რობერტ ბერნსის (1759–1796) სიტყვებზე.

საერთოდ არ ახსოვდათ, ის კიდე ბორდიურის გაყოლებაზე მიკუს-კუსებდა და ამ ძველისძველ სიმღერას ღიღინებდა თავისთვის. უცბადვე რაღაც გუნება გამომიკეთდა, ვიგრძენი.

ბროდვეი გადაჭედილი დამხვდა ხალხით. გითხარით, კვირადღე იყო-მეთქი და სადღაც თორმეტი საათი თუ იქნებოდა ჯერ, ოღონდ მაინც გადავსებული იყო. მგონი ყველა კინოში მიიჩქაროდა — „პარამაუნტში“ ან „ასტორში“ ან „სტრენდში“ ან „კეპიტოლში“ ან სადმე. დაზმანულები და რამე. კვირადღე გახლდათ და რა ექნათ. უარესი კიდე ის იყო, მართლა რო ყველას უნდოდა კინოში შესვლა. არავინ აიძულებდათ. აუტანელი სანახავი იყო, ღმერთმანი. კიდე მესმის, როცა კაცს სხვა საქმე არაფერი აქვს და არ იცის დრო სად წაიღოს, ოღონდ როცა ვხედავ რო ხალხი კინოში მიიჩქარის, ცუდად ვხდები. ახლა კიდე მთელ კვარტალზე გაჭიმული რიგები! ერთი სული მქონდა როდის გავაღწევდი იქედან. არადა, გამიმართლა. პირველსავე მაღაზიაში ქონდათ „პაწია შირლი ბინზი“. ხუთი დოლარი კი ამაფტქვენეს, აქაოდა იშვიათობააო, მაგრამ ამას არაფრად დაგიდევდით, ისეთი გახარებული ვიყავი. ახლა მართლ იმაზე ვფიქრობდი, როგორ გამეღწია პარკამდე და მენახა ერთი, ფიბი თუ დასრიალებდა იქ. მაღაზიიდან რო გამოვვდი, უცბად გავიფიქრე, ჯეინს ხო არ დავურეკო — გავიგო ერთი, არდადეგებზე თუ ჩამოვიდა-მეთქი. ტელეფონის ჯიხურში შევედი, ყურმილი ავიღე და ნომერი ავკრიფე. რად გინდა რა — დედამისმა მიპასუხა და იძულებული გავხდი, გამეთიშა. ახლა მაგასთან გრძელზე-გრძელი ლაყაფის თავი ვის ქონდა. საერთოდაც არ მიყვარს გოგოების დედებთან ტელეფონზე ბაზარი. ოღონდ ის მაინც მეკითხა, ჯეინი თუა სახლში-მეთქი, რა დამიშავდებოდა. დამეზარა. ხასიათზე უნდა იყო ამისთვის. ბოლო-ბოლო, ის ბილეთებიც ხო უნდა ამელო და გაზეთი ვიყიდე — მენახა ერთი, სად რა გადიოდა. კვირადღის გამოისობით, მხოლოდ სამი სპექტაკლი გადიოდა. მეც ავდექი და იმ რაღაცაზე ავიღე ორი ბილეთი — გიცნობ, ჩემო სიყვარულო ერქვა. საბენეფისო

დადგმა იყო თუ რაღაც ამდაგვარი. მე სულ ქინძზე მეკიდა, ოღონდ ვიცოდი, სალი დაეცემოდა როცა გაიგებდა — ლანტები¹¹ გამოვლენო. მაგას სულ ეგეთები მოწონდა — რაღაც ჩახუჭუჭებული და ტვინის სატყლეთი. მე კიდე საერთოდ არ მევასება ეგ პიესები. მთლად ისეთი უაზრობაც არ არი, როგორიც კინო, მაგრამ არც გადასარეგია რამე. ჯერ ერთი, ეს მსახიობები ხო არასოდეს არ იქცევიან ნორმალური ადამიანებივით — ზოგიერთი კიდე ცდილობს, ვინც უკეთესია, მაგრამ უმრავლესობა მაინც რაღაც პლაკატივითაა. ვინც მაგარია, იმას კიდე თავისი უბედურება სჭირს — იცის რო მაგარია და ეს აფუჭებს ყველაფერს. აი ის ლორენს ოლივიე ავიღოთ — მაპატიეთ, სერ ლორენს ოლივიე უნდა მეთქვა — ჰამლეტში ვნახე. დიბიმ წაგვიყვანა მე და ფიბი შარშან. თვითონ ნანახი ჰქონდა, და საუბრისას ისეთ რამეებს გვიყვებოდა, ერთი სული მქონდა თავად მენახა. ვნახე და რა მერე — ვერაფრით გავიგე, რა იყო მასში ამისთანა განსაკუთრებული. მაგარი ხმა აქვს, და გარეგნობითაც მაგარია და რო ფარიკაობს ან რო დადის სცენაზე, მაშინაც მაგარია, ოღონდ დიბის მოყოლილ ჰამლეტს არაფრით გავდა. ნაღდი მხედართმთავარი იყო და არა ნაღველშემოწოლილი, ცოტათი შერევილი მასტი. ყველაზე უფრო ის ადგილი მომეწონა, იმ ოფელიას ძმა — აი, ბოლოში რო ჰამლეტს იწვევს დუელში — სადღაც მიემგზავრება და მამამისი ოხრად რჩევებს აძლევს. კაცი შვილს ჭკუას არიგებს, ახტაჯანა ოფელია კი ამ დრო იქვე დატანცაობს, ხანჯალს დააწერავს ძმას და ნიშნს უგებს და რა ვიცი, ის კიდე ცდილობს ძაან სერიოზული სახე დააწყოს და ვითომ ძაან აინტერესებს რას ბოდილობს მოხუცი. ოღონდ ეგეთი ცოცხალი ადგილები არც ისე ბევრი იყო. ფიბის კიდე ის მოეწონა, ჰამლეტი რო თავის ძალს ეფერება. ასე თქვა — კარგი იყო და გამეცინაო. მართლა ეგრე იყო. ერთი

¹¹ ალფრედ და ლინ ლანტები — იმ დროის ცნობილი დრამატული მსახიობები.

თავად ეგ პიესა უნდა წავიკითხო. საქმეც ეგაა, როცა მსახიობი კითხულობს ტექსტს, ნახევარს არ ვუსმენ. სულ მგონია — შანსი არაა, აი ახლა რამე სულელურ ან ყალბ მოძრაობას გააკეთებს-მეთქი.

ბილეთები რო გავშანსე, მერე ტაქსით წავედი პარკში. კაცმა რო თქვას, ჯობდა მეტროში ჩავსულიყავი — ფულზე უკვე მართლა ქესატად გახლდით, მაგრამ ერთი სული მქონდა, ბროდვეიდან დავთესილიყავი.

პარკში სიტუაცია — დიდი ვერაფერი. ძაან არ ციოდა, ოღონდ მზე მაინც არ ჩანდა. უხვად იყო ძაღლის სკორე, სიგარის ნაშწავები და პატარ-პატარა ქაღალდის ნაგლეჯები. სკამები კიდე ისე გამოიყურებოდა, თითქოს ზედ დაჯდომა და შარვლის დასვრა ერთი იქნებოდა. აქ არაფერი მოგაგონებდათ მოახლოებულ შობას, თითქოს საერთოდ არც არაფერი ახლოვდებოდა. ცენტრალური ხეივნისკენ წავედი — ფიბი უფრო იქ დასრიალებდა ხოლმე. ისე, როცა მისი ხნის ვიყავი, მეც სწორედ ეგ ადგილი მქონდა ამოჩემებული. მაგრამ ადგილზე რო მივედი, ფიბი იქ ვერსად ვნახე. რამდენიმე ბავშვი ციგურებით სრიალებდა, ორი ბიჭი კიდე ბურთს თამაშობდა, მხოლოდ ფიბი არ ჩანდა არსად. ერთი იყო, მისი ხნის, იჯდა მარტოდმარტო და ციგურებს ირგებდა ფეხზე. ვიფიქრე, იქნებ ფიბისა იცის-მეთქი რამე, მივედი და ვეკითხები: „შემთხვევით, ფიბი კოლფილდს ხო არ იცნობ?“

„ვისა?“ — მეკითხება. ჯინსებისა და ათიოდე სვიტრის მეტი არაფერი ეცვა. ისიც დედამისის მოქსოვილი იქნებოდა, აშკარად. ეტყობა, ახლა სწავლობდა ამ საქმეს.

„ფიბი კოლფილდს-მეთქი. 71-ე ქუჩაზე ცხოვრობს. მეოთხე კლასშია. აქ...“

„იცნობთ ფიბის?“

„მისი ძმა ვარ. არ იცი, ახლა სად იქნება?“

„მისს კელონის კლასში სწავლობს?“ — მეკითხება ისევ.

„აბა რა ვიცი. მგონი კი.“

„მაშინ ეგენი მუზეუმში იქნებიან, წინა შაბათს ჩვენ წაგვიყვანეს. ახლა მათი ჯერი იყო.“

— „რომელ მუზეუმში?“ — ვეკითხები.

მხრებს იჩინავს. „არ ვიცი. აი, მუზეუმი როა.“

„დაიცა, რომელში — სადაც სურათები კიდია თუ სადაც ინდიელებია?“

„ინდიელებთან.“

„მადლობელი,“ — ვეუბნები. წამოვდექი და უკვე ვაპირებდი წასვლას, რო უცხად მხია თავში — იმ დღეს კვირა იყო. — „დაიცა, დღეს ხო კვირაა...“

ტუჩაბზუებულმა ამომხედა. „ჰოო... მაშინ იქ არ იქნება.“ ხელთათმანები არ ეცვა და თითები ლამის წაეყინა თასმების შეკვრაში. მივებმარე. უცნაური შეგრძნება მქონდა, ციგურებს რო შევეხე. რამდენი წელია არ მკეთებია, მაგრამ უკუნში რო დავადო თითი, მაშინაც მივხვდები რო სხვა რაღაც ლითონის ნაკეთობა კი არა, სწორედ ციგურებია. მადლობა გადამიხადა. ძალიან სიმპათიური, ზრდილობიანი გოგონა იყო. კარგი გრძნობაა, როცა ასეთს ციგურების მიმაგრებაში ეხმარები. თუმცა უმეტესობა სულ ასეთები არიან. მერე ვკითხე, გინდა ცხელ შოკოლადზე დაგპატიჟოთქი, მაგრამ იუარა, ოღონდ მადლობის თქმა ისევ არ დავიწყნია. მითხრა, აქ მეგობარს ველოდებიო. ბავშვები ყოველთვის ვილაცას ელოდებიან ხოლმე. უმეტესად საკუთარ მეგობრებს. მაგარია. თუმცა კვირადღე იყო და ფიბი და მისი კლასი იმ მუზეუმში ნაღდად ვერ იქნებოდნენ, მაინც იქითკენ წავედი. ისტორიის მუზეუმი იქნებოდა, აბა სხვა რა. მთელი ეს მუზეუმებში დაწყვილებულად სიარულის ამბავი მე მკითხეთ. ფიბი კიდევ იმავე დაწყებით სკოლაში დადიოდა, სადაც მე. იქ ერთი მასწავლებელი იყო, ქალბატონი ეიგლთინგერისა, ყოველ შაბათს მუზეუმებში დაგვარბენინებდა. ხან პრეისტორიული ცხოველების ძვლებს გვიჩვენებდა და ხანაც ინდიელების ნახელავ უძველეს

ნივთებს — ქოთნებს, დაწნულ კალათებს, ტომაჰავკებს და რა ვიცი, რას არა. ახლა კეთილად მახსენდება ყველაფერი. ახლაც კი. მერე კიდევ იმ დიდ აუდიტორიაში შეგვყრიდნენ ხოლმე — სპეციალურად ჩვენთვის აჩვენებდნენ ფილმს კოლუმბზე. როგორ აღმოაჩინა კოლუმბმა ამერიკა თუ რაღაც ამდაგვარი. რაც იმან იჩაღიჩა, სანამ იზაბელა და ფერდინანდი ფულს ასესხებდნენ, მერე გემების დათრევა და მეზღვაურების ჯანყი და მთელი ამბავი. ბებერი კოლუმბი ყველას სულ ქინძზე გვეკიდა, ოღონდ კანფეტები და კვეცი კი ბლომად გვექონდა ხოლმე მომარაგებული, და იმ აუდიტორიაშიც ძალზე გემრიელი სუნი იდგა. აი, ისეთი სუნი იყო, წვიმის მერე რო იცის ხოლმე. ჩვენ კიდევ ქვეყანაზე ყველაზე მშვენიერ მშრალ მყუდრო ადგილას ვისხედით. მაგრა მისწორებდა ეს მუზეუმში სიარული და ამბავი.

მართლა მშვენიერის რამ შენობა იყო. აუდიტორიაში რო მოხვედრილიყავი, ჯერ „ინდიელთა დარბაზი“ — ერთი გრძელბე-გრძელი ოთახი უნდა გაგველო და იქ მხოლოდ ჩურჩულით შეიძლებოდა ლაპარაკი. ჯერ მასწავლებელი უნდა შესულიყო შიგ და მერე მთელი კლასი. წყვილ-წყვილად უნდა გვევლო, აუცილებლად. ჩემთან წყვილში სულ გერტრუდ ლივანი ხვდებოდა ხოლმე. სულ ხელჩაკიდებული უნდოდა ხოლმე სიარული, ხელი კიდევ მუდამ გაწეპილი ქონდა ტკბილეულით. იატაკი ქვისა იყო და რამე ბურთულას თუ დააგდებდი ზედ, იწყებოდა ერთი ხტუნვა და ალიაქოთი, მასწავლებელი მთელ კლასს შეაჩერებდა და უკანა რიგებთან გადადიოდა გასარკვევად, რა უბედურება ხდებოდა იქ. ოღონდ არასოდეს გვიბრაზდებოდა ხოლმე, ეს ჩვენი ქალბატონი ეიგლთინგერი. მერე იმ გრძელბე-გრძელ საბრძოლო კანოეს ჩავუვლიდით, სამი კადილაკის სიგრძე იქნებოდა და სადღაც ოცი ინდიელი მაინც ეტეოდა შიგ — ზოგი ნიჩაბს უსვამდა, ზოგიც კიდევ ისე იდგა, სახე საბრძოლოდ ქონდათ დაღებილი და იბრიქებოდნენ, მტრის გასაფუჭებლად, ეტყობა. კიდევ ერთი მაგარი ვინმეც ყავდათ, თან აქიმი და თან მჩხიბავი —

მოკლედ, ნამდვილი შამანი. მბურძგლავდა ხოლმე მაგის დანახვაზე, მაგრამ მაინც მევასებოდა. მერე კიდე, მახსოვს, თუ ხელს წაავლებდი რამეს — ნიჩაბს ან რამე ეგეთს, დარაჯი აუცილებლად გეტყოდა: „ხელით ნუ შეეხებით, ბავშვებო.“ ოღონდ ისე, ჩვეულებრივად გეტყოდა, ნაღდი კოპის ხმით კი არა. მერე შუშის კედლის იქით ცვილის სხვა ფიგურები იყო — ინდიელები ჯოხების ერთმანეთზე ხახუნით ცეცხლს ანთებდნენ, იმათი სკვო¹² კიდე საბანს ქსოვდა, თან ისე იყო წახრილი, სავსე მკერდი მოუჩანდა კარგად, ლამაზად და ყოველთვის თვალი გაგვირბოდა მისკენ, ბიჭებსაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, გოგოებსაც. ან რა გასაკვირია რა, პატარები ვიყავით და მკერდი ჯერ ხო ყველას ერთნაირი გვექონდა. კარებთან კიდე ესკიმოსი იჯდა, ვითომ გაყინული ტბის ზედაპირზე ხვრელი ამოეტეხა და თევზაობდა. გვერდით თევზის ორი ფიტული ეგდო, ვითომ უკვე დაჭერილები. მოკლედ, ეგ მუზეუმი სულ ასეთი შუშის კედლებით იყო სავსე. მეორე სართულზე კიდე მეტი იყო — იქ ირემი წყალს სვამდა, ჩიტები მიფრინავდნენ გამოსაზამთრებლად და რა ვიცი. ზოგი ჩიტი ნამდვილი ფიტული იყო და ჰაერში გაჭიმულ მავთულებზე ისხდნენ ვითომ, მოშორებით კიდე უბრალოდ კედლები მოეხატათ. მაგარი ეფექტი იყო. რაც მთავარია, არავინ არასოდეს არ გადააადგილებდა ხოლმე რამეს. ხელს არ აკარებდნენ. მეათეჯერ რო მოსულიყავი, ის ესკიმოსი ისევ იმ ორადორი დაჭერილი თევზის ამარა იჯდებოდა ყინულზე, ირემი წყლის სმაში იქნებოდა, ჩიტები კიდე ისევ ისე ისხდებოდნენ მავთულებზე. არაფერი იცვლებოდა, მარტო შენ იცვლებოდი. ის კი არა, წლები რო ძაან გემატებოდა, უბრალოდ იცვლებოდი. ან ტანსაცმელი გეცვა უკვე სხვა, ან შენს წინა მეწყვილეს წითელა დაემართებოდა და ახლა სხვა ვინმესთან და-

¹² ინდიელი ქალი.

დიოდი ხელიხელჩაკიდებული, ან სულაც მასწავლებელი იცვლებოდა. ან კიდე წინა დღით სულაც შენი მშობლების ჩხუბს შეესწრებოდი სამზარეულოში. რაღაცა მაინც იცვლებოდა შენში. ახლა ამის ახსნას ნუ მომთხოვთ. რომც შემეძლოს, მაგის თავი მაინც არა მაქ.

გზაში ჩემი მონადირის ქუდი დავაძრე ჯიბიდან და ყურებზე ჩამოვიფხატე. ვიცოდი, ნაცნობი მაინც არავინ გადამეყრებოდა და ციოდა კია. მივაბიჯებდი და იმაზე ვფიქრობდი, ფიბი რო ისევე დადის იმავე მუზეუმში, როგორც მე დავდიოდი მისი ხნის რო ვიყავი, იგივე რაღაცეებს ნახულობს და ყოველ ჯერზე ცოტათი მაინც იცვლება. არა, გული კი არაფერზე მწყდებოდა, უბრალოდ, რაღაცეები მაინც აჯობებდა, უცვლელი რჩებოდა. უნდა შეიძლებოდა რაღაცეები შუშის კედლის მიღმა ჩამოალაგო და იყოს თავისთვის. უცვლელად. ვიცი, შეუძლებელ რაღაცას ვითხოვ, მაგრამ ხო კარგი იქნებოდა. ასეა თუ ისე, მთელი გზა მაგას ვფიქრობდი.

სათამაშო მოედანს ჩავუარე და ვხედავ, ორი ბავშვი ზის საქანელაზე. ერთი ცოტა სქელუა იყო, ამიტომაც უფრო გამხდარს წავაშველე ხელი, მაგრამ აშკარად დაეტყოთ, სულაც არ გაუხარდათ ჩემი ჩარევა და თავი გავანებე.

მერე უცნაური რამე მომივიდა: მუზეუმს მივაღექი და უცბად ვგრძნობ, მილიონი რო მომცეთ, მაინც არა ვარ იქ ფეხის შემდგმელი. ამდენი ვიარე, მთელი ის ოხერი პარკი გადავჭერი, ზედ კარზე მივაღექი და ახლა შესვლა აღარ მინდოდა შიგ. აი, ფიბი რო დამხვედროდა პარკში, სხვა ამბავია. მოკლედ, იქვე ტაქსი დავიჭირე და ბილტმორ-ჰოტელთან მიმიყვანე-მეთქი, ვუთხარი. ბოლო-ბოლო, სტრელი მქონდა მიცემული სალისთვის.

ცოტა ადრე კი მომიწია მისვლა. ჰოლში დავჯექი, ზედ საათის ქვეშ და გოგოებს დავუწყე ჩითვა. უმეტეს სკოლებში უკვე გამოცხადებული იყო არდადეგები და გოგოებიც ოხრად მიდი-მოდიოდნენ თავ-თავიანთი ბიჭების მოლოდინში. ზოგიც ჩემსავით სავარძელში იჯდა, ფეხიფეხგადადებული, ზოგი ისე, ზოგი ასე... ზოგს კილომეტრიანი ფეხები ქონდა, ზოგს არც ისე, ზოგი მშვენივრად გამოიყურებოდა, ზოგიც სუფთა კაკაზო იყო. მოკლედ, მაგრა გავერთე. ისე, საინტერესო კია რა დადგება ყველა ამათგან, მთელ ამ სკოლებს და კოლეჯებს რო მორჩებიან. რა უნდა აკეთონ. უმეტესობა გათხოვდება, ალბათ. შეაბამენ ეჟვანს ვილაც ბრიყვებს და დათხოვდებიან. აი იმისთანა ტიპებზე, სულ რო იმაზე ქაქანებენ, ერთი გალონი ბენზინით რამდენი მილის გავლა შეუძლიათ თავიანთი პიპიებით, და მაგრა რო უტყდებათ, თუ გოლფში მოუგებ ან რამე ისეთ ბრიყვულ თამაშს — სიტყვაზე, პინგ-პონგს. მაგისთანა ტიპები არც წიგნებს კითხულობენ და არც არაფერი, თავს კი მაგრა გაბებრებენ, ეგ ეხერხებათ. თუმცა კაცმა არ იცის, ვინ ვის აბებრებს თავს. მაგისთანების არაფერი მესმის. ელკტონ-ჰილში ერთ ასეთ ტიპთან ერთად ვცხოვრობდი ოთახში, ჰარის მაკლინი ერქვა. ძალიანაც ჭკვიანი ვინმე იყო და რამე, მაგრამ ეგეთი მოსაწყენი მასტი მეორე არ გენახოთ. ჭყიპინა ხმა ქონდა და პირში ენას კი ვერ იჩერებდა, ფაქტიურად. თან საინტერესოს არასოდეს არაფერს იტყოდა. ამასაც ხო მოხერხება უნდა. სამაგიეროდ, სტვენა შეეძლო — ეგეთი ჯერ არავისგან მსმენია. ლოგინს ასწორებდა თუ თავის რალაცებს კიდებდა აბაზანაში — ან უსტვენდა, ან ამ თავისი ჭყიპინა ხმით ბლატაობდა რალაცას. რასაც გინდა დაგისტვენდა — გინდა ჯაზს და გინდა კლასიკას. ამოიჩემებდა, ვთქვათ, თუნუქის სახურავების ბლუმს და უბერავდა ლაღად და თავის ნებაზე — მართლა ძან საკაიფოდ

გამოსდიოდა. ცხადია, პირში არასოდეს მითქვამს, მაგარია-მეთქი. აბა ხო არ მიხვალ კაცთან და არ აჯახებ — მაგარი დამფსტვენი ხარო. მთელი ორი თვე გავძელი მასთან — ეს იმის მიუხედავად, დიდი თავ-გამაბებრებელი ვინმე რო იყო. რა მექნა, უსტვენდა ღმერთივით. ასე რომ არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით — იქნება და სულაც არაფერი, ვინმე კარგი გოგო თუ გაყვება მაგისტანას. ეგეთები არც არავის არაფერს უშავებენ და იქნებ ყველას რაღაცა თავისი ნიჭი აქვს — ან უსტვენს, ან რამე. მე რა ვიცი. ან საიდან უნდა ვიცოდე?

ამასობაში სალიც გამოჩნდა. კიბეებს ამოუყვია და მეც წამოვდექი შესახვედრად. მაგრა გამოიყურებოდა. გრძელი შავი პალტო ეცვა და შავი ბერეტი ეხურა. ქუდს საერთოდ არ ატარებდა ხოლმე, ოღონდ ეს ბერეტი კი მართლა უხდებოდა. ცირკი ის იყო, დავინახე თუ არა, იმწამსვე წარმოვიდგინე, ვთქვათ-და ცოლად ვირთავ-მეთქი. სიგიჟეა ნამდვილი. სინამდვილეში მართლა მომწონს-მეთქი, მაგასაც კი ვერ ვიტყვოდი, არადა უცბად წარმოვიდგინე, შეყვარებული ვარ და აგერ ახლა ცოლად უნდა შევირთო-მეთქი. გეუბნებით, რაღაც მთლად ჯანმრთელად ვერ უნდა ვიყო, ღმერთმანი. ვალიარებ. „ჰოლდენ!“ — სალი ხელებს შლის და გაიძახის ყველას გასაგონად. — „ძლივს არ გნახე! რამდენი ხანია...“ — სულ ასე იცოდა — ისეთი მაღალი, სუფთად უხერხულობაში ჩამგდები ხმა ქონდა, ოღონდ იმდენად კარგად გამოსდიოდა ხოლმე, ყველაფერს დაგავიწყებდა კაცს.

„მაგარი ხარ, სალი.“ — ვეუბნები. არც ვტყუოდი, ღმერთმანი. — „სხვა, რა ხდება კარგი?“

„რაც შენს სულს გაუხარდება. ხო არ შემავიანდა?“

რა თქმა უნდა, ვუთხარი არა-მეთქი, თუმცა ათი წუთი მაინც გაახერხა. ეგ არაფერი, აინუნშიაც არ ჩამიგდია. მერე სეტერდვი ივინგ პოსტის კომიქსები გამახსენდა — ბიჭები რო ქუჩის, კუთხეში ატუზულან და თავიანთი გოგოების დაგვიანების გამო კბილებს აღრჭიალებენ. რა სისულელეა. გოგო რო შენთან სტრელბე მოდის და

მაგრა გამოიყურება, ვის ახსოვს, რამდენი დააგვიანა? ერთს ვერ მიპოვით მაგისტანა ყლიყვს. „ცოტა ფეხს ავუჩქაროთ,“ ვეუბნები. — „ოც წუთში დაიწყება.“

„რას ვნახულობთ?“

„აბა მე რა ვიცი. ლანტები ხო ნაღდად იქნებიან. მარტო მაგათზე ვიშოვე ბილეთები.“

„ვეცემი ლანტებზე! გლიჯავს! მაგარი ხარ, კოლფილდ...“

აკი გითხარით, ლანტებზე ჭკუას კარგავს-მეთქი.

ტაქსში ცოტა წავიკოცნავეთ — თავიდან კი რაღაც უარს იყო, ხომ იცით, პომადა და მთელი ამბავი, მაგრამ მე მაგ შანსის ხელიდან გამშვები არ ვიყავი და არც იმას ქონდა რამე არჩევანი. ოღონდ ის ჩემის ტაქსისტი ისე ამუხრუჭებდა გზაჯვარედინებზე, ორჯერ კინაღამ თავი ვხიე წინა სავარძლის საზურგეს. ეგენი ხო საერთოდ წინ არ იყურებიან, ღმერთმანი. მერე კიდე, როცა ხვევნა-კოცნას მოვრჩით, ვეუბნები, მიყვარხარ-მეთქი. ცარიელა ტყუილი იყო, რა თქმა უნდა, ოღონდ როცა ამას ვეუბნებოდი, მართლა არ ვტყუოდი — გითხარით, ვაფრენ-მეთქი, ნამდვილად.

„მეც, საყვარელო.“ — მეუბნება. მერე სულმოუთქმელად დააყოლა: „შემპირდი რომ თმებს მოუშვებ — მოკლეზე შეჭრა ახლა გოიმობაა. თან ისეთი კარგი თმა გაქვს!“

კარგი არა, იხვი.

დადგმა არც ისეთი უვარგისი გამოდგა, როგორც მოველოდი. თუმცა დიდიც ბევრი არაფერი. ერთი ბებრუხანა წყვილის მთელ ცხოვრებას სულ მისხალ-მისხალ გვითამაშებდნენ ცხვირწინ. იმით დაიწყო, როცა ახალგაზრდები იყვნენ, გოგოს მშობლებს რო არ უნდოდათ ამ ბიჭს გაყოლოდა ცოლად, მაგრამ არაფერი გაუვიდათ — მაინც დაქორწინდნენ. მერე ბერდებიან და ბერდებიან ნელ-ნელა. ქმარი ომში მიდის, ცოლს კიდე ეს მისი ლოთი ძმა აწვება კისერზე. ვერაფრით ვაიძულე თავი, ყურადღებით

მივდევნებოდი პიესის მსვლელობას. არანაირი მწუხარებისდაგვარი არ მიპყრობდა, როცა ვინმე მიიცვლებოდა ოჯახში ან რამე ეგეთი. ბოლო-ბოლო, მსახიობები იყვნენ და თამაშობდნენ, სხვა რა ექნათ. ცოლ-ქმარი მართლა კარგი წყვილი იყო — ჭკვიანებიც და საერთოდ, სასიამოვნო ტიპებიც, მაგრამ მე რაში მანალვლებდა. ყველაფერს რო თავი გავანებოთ, ამ ჩაისსმამ წაიღო ტვინი — მთელი პიესა სულ სვამდნენ და სვამდნენ. გამოჩნდებოდენ თუ არა სცენაზე, წამსვე ვიღაც მოახლე ან მსახური მოართმევდათ ხოლმე ჩაის, ან ყველაფერი უკვე გაწყობილი იყო მაგიდაზე და დიასახლისი უსხამდა ვინმეს. თან კიდე სულ გადი-გამოდიოდენ — მარტო მაგათი ადგომა-დაჯდომის ყურებით დაიღლებოდი ვაცი.

თვითონ ალფრედ ლანტი და მისი ცოლი — ლინ ფონტანი მოხუც წყვილს ასახიერებდნენ და მართლა კარგადაც მსახიობობდნენ, მაგრამ რა მერე. სხვანაირები იყვნენ, სხვებისაგან ძაანაც განსხვავდებოდნენ, ოღონდ არც უბრალო ადამიანებივით იქცეოდნენ და აღარც მთლად მსახიობებივით. აი, ამის ახსნაც კი მიჭირს, ოღონდ ისე ჩანდა, ძაანაც კარგად იცოდნენ რო ცნობილი მსახიობები არიან და ამბავი. მოკლედ, იმის თქმა მინდა, მეტისმეტად კარგები იყვნენ და დამაჯერებლობაც ამიტო აკლდათ, მგონი. ერთი რო ამთავრებდა ლაპარაკს, მეორე იქვე ერთვებოდა და ვითომ ძაან ბუნებრივად, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, ისე საუბრობდნენ და სიტყვასაც ისე აწყვეტინებდნენ ხოლმე ერთმანეთს, ოღონდ საქმეც ეგ იყო რო მეტისმეტად გავდა მართლა ჩვეულებრივი ადამიანების ქცევას. ცოტა იმას მაგონებდა, ერნი რო უკრავს ხოლმე ვილიჯში. როცა რამეს მართლა მაგრად აკეთებ, ფრთხილად უნდა იყო, თორემ მალე საკუთარი თავით ტკობაში გადაგდის. ასეა თუ ისე, ეგ ლანტები ერთადერთები იყვნენ ვინც მართლა რამედ ღირდა იმ დადგმაში, ნამდვილად.

ანტრაქტში ჩვენც სხვებივით გარეთ გამოვუფინეთ თითო ღერის გასაბოლებლად. მაგარი თავყრილობა იყო. ყველა აფუილებდა და

ისე ხმამაღლა გამოთქვამდნენ თავიანთ ბრძნულ აზრებს პიესის თაობაზე, რო ფოიეში მაგათი ვერგამგონე არავინ დარჩენილიყო. ჩვენ გვერდით ერთი მსახიობი მასტი დაერჭო, ისიც პირში სიგარეტგაჩრილი, მაგის გვარი კი ვერ გავიხსენე, ოღონდ სულ ომზე ფილმებში თამაშობს ისეთ ბიჭებს, სანგრებიდან ამოძრომამდე რო შიშით ძვრებათ სული. ვიღაც მაგარ დაზმანულ ქერა ქალთან ერთად იყო და ისეთი სახე ქონდა დაწყობილი, ვითომდა ძაან მოყირჭებული ქონდა ყველაფერი და საერთოდ ვერ ამჩნევდა თუ ვინმე ცნობდა და მიშტერებოდა. ძაან-ძაან თავმდაბალი ვაჟბატონი. ჩემი სალი კი სულაც არ ტლიკინებდა ბევრს, მართო ლანტების დარდი ქონდა, მერე კი უცბად ვიღაც ქლიავი მოწვა მოპირდაპირე კუთხეში — აი იმისთანა ტიპი, ჩაუჭალსტუხებლად ცხვირს რო არ ყოფენ გარეთ. სუფთა ძირძველი უნივერსიტეტელი. ძაან მაგარი ვინმე, ცხადია. სხვანაირებს იქ არც იღებენ. ბებია უცხონდათ. იდგა კედელს მიყუდებული, ღრმა ნაფაზებს ურტყამდა და ისეთი თავგაბებრებული სახე ქონდა, ვიგინდარა რომაელი პატრიციუსი მასთან მოგონილი იყო. სალიმ კიდე, რო ამოიჩემა, ვეღარ მორჩა: „ეგ ბიჭი მეცნობა საიდანღაც. ნაღდად მეცნობა.“ მაგას ყოველთვის ვიღაცა ეცნობა ხოლმე, სადაც არ უნდა წაიყვანო. ან, ყოველ შემთხვევაში, ეჩვენება. იმდენი იმეორა ერთი და იგივე, ბოლოს ყელში ამომივიდა და ვეუბნები: „მერე, მიდი და ერთი ჩაკოცნე ძველი ნაცნობივით, მაგრა გაუსწორდება.“ ეწყინა. ოღონდ ამ დროს იმ ჩემისამაც შეგვაძჩნია, მოვიდა და თვითონ მოგვესალმა. სალის ხო მეტიც არ უნდოდა. არა, ერთი თქვენც გენახათ, რა სალამ-ქალამი ატეხეს — ვაცი იფიქრებდა, ერთი ოცი წლის უნახავები იქნებიანო. ტრუსიკის მეგობრები. გულისამრევი იყო, ღმერთმანი. ხატზე დავიფიცავ, ერთზე მეტად თუ შეხვედრიან ერთმანეთს, ისიც სადმე შემთხვევით წვეულებაზე. ფინალში, როცა მთელ ამ ბაზარს მორჩნენ, სალის

გავახსენდი და ერთმანეთს გაგვაცნო: ვინმე ჯორჯი თუ რაქვიამას ენდოვერის აკადემიიდან. ეგ აღმოსავლეთ მასაჩუსეტსშია, ძაან-ძაან მაგარი ადგილი. მეტი არაა ჩემი მტერი. ერთი გენახათ რეები და-ატრიალა, როცა სალიმ კითხა, დადგმა როგორ მოგეწონაო. მაგისტანებს ხო სივრცე ჭირდებათ პასუხის გასაცემად. ჯერ არტისტულად უკან გადადგა ნაბიჯი და, რა თქმა უნდა, ვილაცას დააბიჯა საყვარელ კოჟიჟზე. იქით ბოლიშების მერე ისევ ჩვენ მოგვიტრიალდა და განაცხადა, თავად პიესა არ უქნია ღმერთს, ოღონდ ლანტები კი შეუდარებლები არიან, ორივენი ანგელოზებივით თამაშობენო. გაგიგიათ ეგეთი? ანგელოზებივით თამაშობენ. არც მეტი, არც ნაკლები. მერე საერთო ნაცნობებზე ჩამოვადგეს. სიტყვა. ერთად ამდენი ტყუილ-მართალი ჩემ დღეში არ გამიგონია. ჯერ ქვეყნის რამე კუთხე-კუნჭულს დააბრეხებდნენ, მერე ტვინებს იჭყლეთდნენ რო ვინმე იქ ვი-აი-პი-მცხოვრები გაეხსენებინათ და თან ისე ჩაეგდოთ სახელი, თითქოს დილა-საღამოს ერთად დასეირნობდნენ აღმა-დაღმა. ლამის იყო, გავრეკე. მერე კიდე, მეორე აქტი რო დამთავრდა, გამოვიდნენ და ისევ არ გაახურეს იგივე?! თან ამ ჩემის ენდოვერიდან ჩამოსულს იმისთანა მინაზებულ-მიკნავებული ხმა ქონდა, სულ ძაან მაღალი დონის სტუდენტური. ეგ არაფერი, ამას კიდე გაუძლებდა კაცი, მაგრამ რო აღარ გაათავა? ლამის იყო, ბოლოს ტაქსში გვიჯდებოდა. დროზე გაახსენდა, ვილაც თავისნაირებთან რო იყო დაპატიჟებული კოქტეილ-ფართიზე. ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასე თქვა. უცბად წარმოვიდგინე, ბევრი მაგისტანა რო ჩაუსხდება სადმე ბარში თითო ჰაიბოლს და მისავათებელი ხმებით რო გაახურებენ წიგნებზე და დადგმებზე და ფილმებზე და რამე და მეც რო იქ მომიწიოს ჯდომა. გამაცია.

მგონი უკვე სალისაც ველარ ვიტანდი, ტაქსში რო ჩავსხედით. ამდენი ხანი მაგათი ბლატავის გაძლება არ გინდოდა? ერთი სული მქონდა სახლში მიმეყვანა და დავმშვიდობებოდი, მაგრამ მომიტრიალდა და მეუბნება: „მაგარი იდეა მაქვს!“ მაგას სულ ეგეთები

აქვს. ეჭვიც არ შეგეპაროთ. „მისმინე, სახლში როდის უნდა იყო მოკლედ, ძაან გეჩქარება?“

არა-მეთქი, ვეუბნები. ამისთანა სიმართლე იშვიათად მითქვამს. „რა იყო?“

„მოდის, რედლიო-სიტიში ავუდლოთ! იქ ახლა საციგურაო მოედანია გახსნილი.“

აი, ამისთანა იდეები აქვს ხოლმე ჩვენს სალის.

„რედლიო-სიტიში წავიდეთ საციგურაოდ? ახლა?“

„ჰო, სულ ერთი საათით. არ გინდა? თუ არ გინდა...“

„ეგ არ მითქვამს. შენ თუ გინდა, წავიდეთ.“

„მართაღს ამბობ? თუ მართო ჩემი ხათრით მოდიხარ, მასე აღარც მე მინდა.“

არა ბიჭო, არ უნდა.

„თურმე იქვე შეგვიძლია პატარა საციგურაო კაბაც ვიქირაოთ“ — ვითომდა აქვე უცბად დაარტყა თავში. — „ჯენეტ კალტცი იყო წინა კვირას, იმან მითხრა“.

აი თურმე რა. საციგურაო კაბაში მოინდომა გაპრანჭვა. აი იმნაირში, ორივე ტაკო გარეთ რო გაქ გამოგდებული.

მოკლედ, წავედით. ციგურებიც ავიღეთ და ერთი ის ტაკოსატრუალა კაბაც. მაგრა კი მოუხდა, ღმერთმანი. დახატა. თვითონაც იცოდა და სულ წინ-წინ მიხტუნაობდა, კარგად რო შემეგლო თვალში. რას ერჩი, მშვენიერი შესახედი იყო. ნამდვილად.

ცირკი ის იყო, ჩვენზე უარესი მოსრიალე იქ რო არავინ აღმოჩნდა. არავინ. თუმცა ახალბედები ოხრად იყვნენ. სალის მუხლები უკანკალებდა, გეუბნებით. იმდენი ვიცოდვილეთ, ბოლოს დაღლილობისაგან მეც ამიკანკალდა. მაგარი სანახავები კი ვიქნებოდით. თანაც კიდე, გარშემო ოხრად უსაქმურები შემოკრებილიყვნენ სეირის საყურებლად და სხვა რა უნდა ექნათ, მოსრიალეების ძვლებს ტკვირავდნენ.

„არ გინდა, შევიდეთ შიგნით, მაგიდებთან და რამე დასალევი ავიღოთ.“ — ვეუბნები.

„აგაშენა ღმერთმა. ეგეთი ჭკვიანური დღეს არაფერი გითქვამს.“ — მეუბნება. თან ცდილობს გაიღიმოს. ცოტა ძაან შუბლში ნათქვამი კი გამომივიდა. შემეცოდასავით.

ძლივს შევიხსენით ის ოხერი ციგურები და ბარში შევედით. დავჯექით თუ არა, სალიმ ხელთათმანები გაიძრო, მე კიდე სიგარეტი გავუწოდე. მაინცდამაინც ბედნიერად რაღაც ვერ გამოიყურებოდა. მიმტანს ერთი კოკა-კოლა ვთხოვე სალისთვის და წყლიანი სკოჩი — ჩემთვის. იმ ძაღლიშვილმა კიდე ყურიც არ შეიბერტყა და მეც კოკა მომიტანა. მერე რა მექნა და ასანთის ღერებით დავიწყე თამაში: ავანთებ ერთ ღერს, ვაცლი სანამ ბოლომდე ჩავა და საფერფლეში ვაგდებ, სანამ თითებს ამიწვავდეს. ეგეთ რამეს ამოვიჩემებ ხოლმე, ხანდახან. ნევროზი გჭირსო, ერთხელ ვიღაცამ მითხრა.

მერე მოწმენდილ ცაზე მეხივით დამიბრეხვა: „მოიხედე აქეთ. საშობაო ნაძვის ხე მაქ მოსართავი, მომეხმარები თუ არა? ოღონდ მართალი მითხარი. ტყუილად არ დამპირდე.“ ჯერ კიდე ვერ მოენელებინა ჩვენი ციგურაობის ამბავი.

„ხო მოგწერე, კი-მეთქი. ერთი ოცჯერ მაინც არ მკითხე? წყალი არ გაუვა, შენთანა ვარ.“

„მინდოდა, შენი პირით გეთქვა.“ მერე ისევ აქეთ-იქით დაიწყო ყურება.

უცბად ამ ასანთობიას შევეშვი, სალისაკენ გადავიხარე და ვეუბნები: „სალი, მისმინე...“

„რა იყო?“ — მეუბნება. თან სადღაც სულ სხვაგან იყურება. „როდისმე თუ ამოგსვლია ყველაფერი ყელში? არასოდეს გიფიქრია რო თუ თვითონ არ გამოიღებ ხელს, ყველაფერი ჩამძორდება? აი, ვთქვათ სკოლა ან რამე ეგეთი, მოგწონს?“

„ეგლა მაკლია.“

„ეგ კი, მაგრამ გეზიზღება? არ მოგწონს ერთია, მაგრამ მართლა ყელში გაქ ამოსული?“

„მთლად ეგრეც არა, ოღონდ... შენც რა უცნაურად მეკითხები ხოლმე.“

„აი, მე კიდე მეზიზღება. ყელამდე ვარ სავსე. და მართო ეგ კი არა, ყველაფერი. ნიუ-იორკში ცხოვრება მეზიზღება. ტაქსები, ავტობუსები, შოფრებთან დაკა-დაკა, და ვილაც ყლიყვი, ლანტებს რო ანგელოზებში ურევს, და ეს ლიფტებით ასვლა-ჩასვლა და ფირმა შარვლები და მთელი ეს ხალხი...“

„რა გაყვირებს?“ — მეკითხება. მე კიდე, ღმერთმანი, ძალიანაც წყნარად ვლაპარაკობდი.

„...ან თუნდაც ეს მანქანები,“ — ჩემსას ვაწვებოდი ისევ. — „ხალხი გიჟსა გავს — მანქანების მეტი არაფერი ახსოვთ. ღმერთმა ნუ ქნას და თუ გაეჩხაპნათ, ჭკუას გადადიან დარდისგან. და ახალი თუ იყიდეს, იქვე იმაზე იწყებენ ფიქრს, სარფიანად როგორ გაყიდონ რო მერე კიდევ უფრო ახალი მოდელი დაითრიონ. მე კიდე არც ახალი მანქანა მინდა და არც ძველი. საერთოდ არ მაინტერესებს. არჩევანზე თუ მიდგა, სულაც ცხენი მირჩევნია, ცოცხალი არსება მაინცაა. ცოცხლობს, ბოლო-ბოლო. ცხენს...“

„აზრზე არა ვარ, რას ბოდიალობ.“ — სალი მეუბნება.

„იცი რას გეტყვი? შენ მგონი ერთადერთი მიზეზი ხარ, აი ახლა რატომაცა ვარ ნიუ-იორკში. შენ რო არ ყოფილიყავი, იქნებ სულაც სადმე ტყეში მეყურყუტა ან კიდე სადმე. აქ შენ გამო ვარ, კაცმა რო თქვას.“

„ძალიან საყვარელი ვინმე ხარ.“ — მეუბნება. არადა ზედ ეტყობა, უნდა რო სხვა რამეზე გადამატანინოს საუბარი.

„ერთი ამ ვაჟთა სასწავლებლებში განახა, რაც ხდება. სცადე ერთი. იქ ტიპებს ნახავ — იმისთვის სწავლობენ რო ბოლოს კადილაკი იყიდონ აუცილებლად, და ისეთ სახეებს აწყობენ, ვითომ მართლა ძაან ადარდებდეთ თუ ფეხბურთის რომელიღაც გუნდი

წააგებს და მართო გოგოებზე და სასმელზე და სექსზე ლაპარაკობენ დილიდან საღამომდე და ერთთავად პატარ-პატარა დაჯგუფებებს და რალაც ჩაკეტილ წრეებს ქმნიან. ყველგან ეგრეა — კალათბურთელი ბიჭები ერთმანეთს უჭერენ მაზს, იქ კათოლიკეები იკვრებიან ერთმანეთში, აქ — ინტელექტუალები, კიდე ბრიჯის მოყვარულები — ცალკე თავისთვის და მიდის ასე... ცოტა ტვინს თუ მიატან...”

„დაიცა, ნუ გარეკე. რამდენ ვინმეს ცოტა უკეთესად აქ საქმე აწყობილი.“

„კი, აქვთ, როგორ არა! ოღონდ მე რა ხეირი? ჩემთვის მაგ სკოლებში არაფერი ყრია. აი, მაგის თქმა მინდა. საერთოდ ვერსად ვერაფრიდან ვერანაირ ხეირს ვერ ვნახულობ. იქნება და მე ვარ რალაც არასწორად მოწყობილი.“

„მაგაში კი მართალი ხარ, ხო იცი.“

„დაიცა,“ — ვეუბნები. — „ახლა ერთ რამეს გეტყვი. არ გინდა საერთოდ მოშორდე აქაურობას? გრინვიჩ-ვილიჯში ერთ ბიჭს ვიცნობ, შეგვიძლია მანქანას დავესეხოთ ერთი-ორი კვირით. ერთი კლასში ვიყავით და აქამდე ათი დოლარი ვალი აქ ჩემი. ხვალვე შეგვიძლია მასაჩუსეტსში დავგაზოთ, იქიდან კიდე — ვერმონტში წლის ამ დროს ზღაპარი სილამაზეა იქ. მართლა.“ უცბად ავვარდი, რაც მეტს ვლაპარაკობდი, უფრო ვცხარდებოდი და ბოლოს სალი ხელს გადავწვდი — შტერი ვიყავი ნამდვილი, აბა რა. „არ გეხუმრები,“ — ვეუბნები. — „სადღაც ასოთხმოც დოლარამდე მაქ ბანკში. დილით რო გაიღება, გამოვიტან და მერე იმ ბიჭს მივაკითხავ მანქანის თაობაზე. არ ვხუმრობ. კემპინგებში შეგვიძლია გავათიოთ ხოლმე ღამე, ვიდრე ფული გაგვითავდება. მერე სამუშაოს ვიშოვი სადმე და იქნებ დავქორწინდეთ ან რამე. შეგვიძლია სადმე წყაროს პირას დავსახლდეთ — ზამთრობით კიდე შეშას დავჩეხავ ხოლმე და საერთოდ, მაგარ დროს გავატარებთ... რას იტყვი, თანახმა ხარ? ხო წამომყვები? თქვი რამე, ამოიღე ხმა!“

„არაფერს მაგისტანას არ იზამ,“ — სალი მეუბნება. თან რაღაც მაგარი განაწყენებული ჩანდა.

„რატო არა? ვითომ რატო არა?!“

„ნუ მიყვირი, თუ შეიძლებოდეს.“ ამ დროს არც მიფიქრია, ჩვეულებრივ ხმაზე ვლაპარაკობდი.

„რატო არა-მეთქი? რატო ხარ უარზე?“

„ვერ იზამ. ჯერ ერთი, ასაკითაც ჯერ არასრულწლოვანები ვართ, თუნდაც მაგიტო. ვთქვათ და სამუშაო ვერ იშოვებ, მერე რას შვებები? შიმშილით მოკვდები. ამისთანა აბსურდული რამე ჯერ მეტი არ გამიგონია შენგან.“

„რატო აბსურდული. სამუშაოს ვიშოვი, დარდი ნუ გაქ. რა პრობლემაა? ჩემთან ერთად წამოსვლა არ გინდა? მაშინ ეგრე თქვი ბარემ.“

„მაგაში არაა საქმე. ეგ არც მიფიქრია. ოღონდ ჯერ რა დროს ეგეთებია.“ — მეუბნება. ვგრძნობ, საცაა გავცოფდები. — „ჯერ კოლეჯში უნდა შეხვიდე, დაამთავრო... თუ გინდა რო ცოლად გამოგყვე და რამე ეგეთები. მერე იმდენი ადგილი გვექნება სანახავი...“ „ეგრე გეგონოს. არაფერიც აღარ იქნება. ვერსადაც ველარ წავალთ. მაშინ უკვე სულ სხვა ვილაცა ვიქნები.“ ხასიათი გამიფუჭდა უკვე.

„რაო?“ — მეკითხება. — „შენი არაფერი მესმის. ჯერ მიყვირი, მერე...“

„მერე იმას გეუბნები, რო არავითარი არსად წასვლის შანსი აღარ იქნება, თუ კოლეჯში წავედი და ეგეთები. ყურები გამოიფხიკე. სულ სხვანაირი ვილაცეები გავხდებით მაშინ. ლიფტით ავალთჩავალთ სასტუმროებში, ათასი ჩემოდნით და ჩანთით და მერე ყველას ღია ბარათებს დაფუგზავნით ყველა ადგილიდან სადაც კი ჩავალთ. მე კიდე სადღაც ოფისში ვიმუშავებ, ფულს გავაკეთებ, ტაქსით ვივლი სამსახურში, და გაბეთებს ვიკითხავ ყოველდღე, შაბათობით ბრიჯს ვითამაშებთ ვინმე ჩვენისთანებთან,

ან რაღაც სულელურ კინოებზე ვივლით ერთად. ან ახალ ამბებს უნდა ვუყუროთ სახლში, რაღაც სულელური რბოლების ამბებს ან ვიღაც ქალბატონი ახალაშენებულ გემს ბოთლ შამპანურს როგორ დაათხლიშავს ან შარვალ-კოსტუმში დაზმანული შიმპანზე როგორ დააქროლებს ველოსიპედს... არაფრით არ იქნება ისე, როგორც ახლა. ხო აზრზე არა ხარ, რას გეუბნები.”

„არა ვარ და ნუ ვარ! იქნებ თვითონ არა ხარ აზრზე, რას ბოდი-ალობ!”

უკვე მართლა აღარ გვექონდა ერთმანეთის ატანა. აღარც ლაპარაკს ქონდა აზრი. ძალიანაც მივქარე, რო წამოვიწყე. რა ძალა მადგა.

„წავიდეთ აქედან,” – ვეუბნები. – „სიმართლე გითხრა, მართლა ყელში ამომიხვედი, ღმერთმანი.”

აუ რა დაემართა, ეს რო ვთქვი! ლამის ჭერს აარტყა თავი. ისე, კი არ უნდა მეთქვა – საერთოდ, გოგოებისთვის ასეთი რამეების თქმა არც მჩვევია. რა მექნა, სულ ბოდიშებად ვიქეცი, მაგრა გატეხილს ხო ველარ გაამთელე. წაუტირა კიდეც. ვიფიქრე, ახლა მამამისთან თუ გავარდა და ეშმაკმა უწყის, რაებს ეტყვის, თან მაგ ნამტირალევი თვალებით-მეთქი. ისედაც ვერ მიტანდა ის კაცი. „კარგი რა, ხო გითხარი, მაგის თქმა სულ არ მიფიქრია, წამომცდა რაღაც, მაგის გამო უნდა ჯვარს მაცვა?”

„არც უფიქრია. იმდენი რა გითხარი.” – ფშლუკუნებდა და უცბად მართლა ვინანე, ეგ რა წამოვაცრანტალე-მეთქი.

„წამო, სახლამდე მაინც მიგაცილებ.”

„უშნოდაც კარგად მივალ. ეგლა მაკლია, შენ მიგაცვანილო თავი.

ეს ყველაფერი ცოტა მაზალოდ კი ჩანდა, კაცმა რომ თქვას. და უცბად ისეთი რამე მოვხიე, მართლა რო არ უნდა მექნა. სიცილი ამიტყდა. თან ისეთი – ხმამაღალი და თან სულელური. აი, კინოში რო ვინმეს ასე დაეწყო ხვიხვინი, მივუტრიალდებოდი და ვეტყოდი,

ცოტა ხმას გაუფრთხილდი-მეთქი. ამან სალი სულ გადაიყვანა ჭკუიდან. სულ ერთი და იგივეს გაიძახოდა — თავი გამანებეო. ბოლო-ბოლო რა მექნა, ასეც მოვიქეცი. არ უნდა მექნა, ვიცი, მაგრამ იმ დროისთვის უკვე მართლა ყელში ამომივიდა ყველაფერი. სიმართლე გითხრათ და საერთოდ არ მესმის, რისთვის და რატო წამოვიწყე მთელი ეს ბაზარი სალისთან. რის მასაჩუსეტსი, რა ვერმონტი. ვისი სად წამყვანი ვიყავი. სალისა — მით უმეტეს. არადა, როცა მაგას ვამბობდი, სავსებით გულწრფელი ვიყავი, გეფიცებით. ეგაა საქმე. გიჟი ვარ ნამდვილი, ან შერეკილი.

გზაში ისევ მომშივდასავით. კაფეში შევედი და ერთი ყველიანი სენდვიჩი დავათობლავე თავის ჭიქა რძით. მერე კი ტელეფონის ჯიხურს მივადექი. ვიფიქრე, ჯეინს გადავურეკავ, იქნებ უკვე სახლშიამეთქი. მთელი საღამო წინ მქონდა და თუ მართლა შინ იყო, იქნებ ცეკვებზე წამეყვანა ან სადმე ეგეთ ადგილას. რამდენი ხანია ვიცნობ და ერთხელაც არ მიცეკვია მასთან. არადა, კარგად მოძრაობდა. პირველად 4 ივლისს¹³ გამართულ ცეკვებზე ვნახე კლუბში. მაშინ ჯერ კარგად არც ვიცნობდი და ვერ გადამეწყვიტა, რანაირად ჩავჩრილიყავი და პარტნიორისათვის როგორ დამეწერა. ვინმე ალ პაიკთან ერთად იყო მოსული — ერთი დიდყურა რეგენი იყო ჩოუტის სკოლიდან. ერთთავად საცურაო აუზში ეგდო და თავი ჯონი ვაისმიულერი¹⁴ ეგონა. ყოველთვის ყველაზე მაღალი კომპურიდან ხტებოდა, ოღონდ ნახევარი ბრუნის გაკეთებასაც კი ვერ ახერხებდა ხეირიანად, არადა მეტის არც არაფრის მსწავლელი არ იყო. ცარიელა კუნთები და 0 ტვინი. ასეა თუ ისე, იმ საღამოს ჯეინი მასთან ერთად იყო მოსული კლუბში. აი, ერთი ეგ გამაგებინა კიდევ. კარგა ხნის მერე, უკვე ერთად რო დავდიოდით, ვკითხე კიდევ — იმ პიჟონის ერთ ალ პაიკთან რა გაცეკვებდა-მეთქი. სულაც არაა პიჟონიო, მითხრა. არასრულფასოვნების კომპლექსი სჭირსო. თითქოს ეცოდებოდა კიდევ, ღმერთმანი. დიდი უცნაური ხალხია ეს გოგოები, მაგათსას რას გაიგებ. საკმარისია ვიღაც იმათ ნაცნობზე თქვა — პიჟონია, ან რეგენია ან რამე ეგეთი და იმწამსვე დაცვას დაუწყებენ. ნუ იტყვით, არასრულფასოვნების კომპლექსი სჭირთ თურმე. მაგ ალ პაიკს იქნება და მართლა სჭირს, რა მერე — ამიტო ალარაა პიჟონი და ბრექისტი? მოკლედ, რა... რას გაუკებ. ერთ გოგოსთან დავდიოდი —

¹³ ამერიკის დამოუკიდებლობის დღე.

¹⁴ მსოფლიო რეკორდსმენი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმებში ტარზანისა და ჯეინის შესახებ.

რობერტა უოლში ერქვა და ერთხელაც მისი დაქალი დავაჯახე ჩემ მეგობარ ბობ რობინსონს. აი მაგას კი მართლა ქონდა კომპლექსების მთელი გროვა. ყველაფერი იქით იყოს, ჯერ მარტო მშობლებზე ქონდა გართულება — რაღაცნაირად პროვინციულად უქცევდნენ და ვერც ფულებს ფანტავდნენ მარჯვნივ-მარცხნივ. ოღონდ ბობი არც იბრიქებოდა და არც არაფერი. ძალიანაც კარგი ბიჭი იყო. მაგრამ ამ რობერტა უოლშის დაქალს სულაც არ მოეწონა. რობერტას უთხრა — მეტისმეტად დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზეო. და იცით რატო? თურმე საწყაღს დაუბრეხვებია — კლასის გუნდის კაპიტანი ვარო. მართლა იყო. თან რა გგონიათ — ფეხბურთის, კალათბურთის ან რამე ეგეთი? უბრალოდ, მასწავლებლის დავალებით კლასში რო გუნდებად იყოფიან და რამე საკითხზე კამათობენ — აი იმ გუნდის. თან არც დაუმაღავს. იმან კიდე — მეტისმეტად დიდი წარმოდგენისაა საკუთარ თავზეო. მოკლედ, თუ გოგოს ვინმეზე გული შეუვარდა — რაც უნდა პიჟონი, ბრექისტი თუ სუფთა რეგვანი იყოს ან თუნდაც ყველაფერი ეს ერთად ჭირდეს, მაინც გაამართლებს — არასრულფასოვნების კომპლექსიო ან რამე ეგეთი, და თუ არ დაევასა — მორჩა, რაც უნდა კარგი ბიჭი იყოს და თუნდაც ათას ერთ კომპლექსს დაატარებდეს თავში, მაინც რამეს დააბრალებს. წყალი არ გაუვა. ეგრეა, რას იზამ.

სიტყვა გამიგრძელდა და იმას ვყვებოდი, ჯინსს დავურეკე-მეთქი. არავინ მიპასუხა. მერე ჩემი ბლოკნოტი გადავფურცლე, იქნებ ვინმე ისეთი ვიპოვო, ამ საღამოს რო ამიბას მხარი-მეთქი. პრობლემა ის იყო, სულ სამად-სამი ტელეფონის ნომერი მეწერა შიგ. ერთი ჯინის, მეორე მისტერ ანტოლინის — ეგ ჩემი მასწავლებელი იყო ელკტონ-ჰილზში, და კიდე მამაჩემის ოფისის ნომერი. სულ მავიწყდება ხალხის ნომრები ჩავიწერო ხოლმე. ბოლო-ბოლო, ისევ კარლ ლუსთან დარეკვა ვარჩიე. ვუტონის სკო-

ლა დაამთავრა სამი წლის მერე, რაც მე იქიდან ავითესე. სწორედ ამდენით იყო ჩემზე უფროსი, და მაინცდამაინც არც გულზე მეხატებოდა როდისმე, ოღონდ მართლა ძაან ჭკვიანი ვინმე იყო ყველაზე მაღალი აი-ქიუ ქონდა მთელს ვუტონში და ახლა ვიფიქრე, იქნებ სადმე გვესადილა ერთად და ორიოდ ჭკვიანური სიტყვა გვეთქვა ერთმანეთისთვის-მეთქი. მართლ ჭკვიანურ კი არა, საკაიფო რამეებსაც ამბობდა ხოლმე ხანდახან. მოკლედ, დავურეკე. ახლა კოლუმბიის უნივერსიტეტში სწავლობდა და 65-ე ქუჩაზე ცხოვრობდა ნიუ-იორკში. მაგრა გაუკვირდა, რო დავურეკე. მითხრა, სადილად ნაღდად არ შემიძლია, მაგრამ თუ გინდა, ათისთვის შევხვდეთ „მოწნულ ბოთლში“, 54-ეზე, თითო ჩავკრათო.

ათ საათამდე ოხრად დრო მქონდა და ისევ რედიო-სიტიში წავედი, რამე ფილმის სანახავად. ამაზე უარესი კი რა უნდა მექნა, ოღონდ ეგ ყველაფერზე ახლო იყო და სხვა ვერც ვერაფერი მოვიფიქრე რიგიანი.

დარბაზში რო შევედი, სეანსამდე ჯერ გაქანებული შოუ მიდიოდა. აუდიტორიაც ერთ ამბავში იყო, ხელისგულებს იტყავებდნენ ტაშისცემით, ვიღაც ყლიყვი კიდე ჩემ უკან გაიძახოდა — მიდი, მიდი, ეგრეო. გადამრევს ეს ხალხი. მერე ვიღაც ჯეელი გამოვიდა ფრაკში გამოწყობილი, ოღონდ ფეხზე გორგოლაჭები ეკეთა, მაგიდებს შორის დასრიალებდა და თან ანეკდოტებს ყვებოდა. დიდი ვერაფერი. ან იქნებ სულაც მე ვიყავი რაღაც სხვა ხასიათზე. ბოლოს კი ეს საშობაო გამოსვლაც მოაწყვეს, რედიო-სიტიში უკვე ყოველწლიურ ტრადიციად რო ექცათ: აქეთ-იქიდან ანგელოზები გამოხტნენ, ვიღაც მასტებმა კიდე დიდრონი ჯვრები გამოათრიეს და ყველამ ერთად დაცხო ის სპირიჩუელსი — „მოგროვდით, მართლმორწმუნეო!“ დიდი ამბავი. მესმის, ძაან ეკლესიური გრძნობები უნდა გამჩენოდა და რამე, მაგრამ ვიღაც მსახიობების ჯგრო რო ჯვრებს დაათრევს სცენაზე, ანგელოზები კიდე ფეხშიშველა დაპარტყუნობენ აქეთ-იქით, ვერაფერი სანახავია, ღმერთმანი. მორჩნენ თუ არა თავის საქმეს,

ისეთი სახეები ქონდათ, თითო ნაფაზის დარტყმა ყველაფერს ერჩინათ, ალაღად. ეს რაღაცა შარშანაც ვნახე, სალისთან ერთად, ის კიდე სულ იმას გაიძახოდა, რა ლამაზი კოსტიუმებიანო. მახსოვს, ვუთხარი — მაცხოვარი ალბათ ჭკუას გადავიდოდა, მთელი ეს ბაზარი რო ენახა-მეთქი. ღვთისმგმობელი ათეისტი ხარო, მიპასუხა. ვიყო რა. რას ვაშავებ. ერთადერთი, ვინც მართლა რამედ ღირდა, ლიტავრებზე დამრტყმელი იყო. მაგისტანა მეტი არავინ მინახავს. სულ ერთი-ორჯერ უწევს საქმეში გასვლა, მაგრამ ისეთი სახით აკეთებს, გაგიხარდება. მახსოვს, ჩემ პატარა ძმა ელისაც ისე მოწონდა, ერთხელ საშობაო მისალოცი ბართიცი კი გაუგზავნა, ოღონდ წარმოდგენა არა მაქ, მიიღო თუ არა. ისე, როგორ უნდა მიეღო, ზედ მისამართიც კი არ ეწერა ხეირიანად. როგორც იქნა, მოთავდა ეს ყველაფერი და ფილმიც დაიწყო. ისე ჩამითრია, თვალს ვეღარ ვაცილებდი ეკრანს. ერთ ინგლისელ მასტბე იყო, ალევ რაღაცა ერქვა, ომში დაიჭრა და მეხსიერება დაკარგა. ჰოსპიტლიდან რო გამოწერეს, თან დაკოჭლებული, დაჩოლახობს ახლა ლონდონ-ქალაქის ქუჩებში და აზრზე ვერ მოდის, ვინაა და რა დაემართა. ამ დროს თურმე დუკაა თუ მარკიზი თუ რაღაცა ეგეთი. მერე ერთ ძაან კარგ გოგოს შეხვდება — იმას ქარი ქუდს წააძრობს თავიდან და ალევკი იმარჯვებს, დაიჭერს და მიაწოდებს. მერე ავტობუსში ადიან და ჩარლზ დიკენსზე გააბამენ ბლატავს. მაგათი საყვარელი მწერალი ყოფილა, როგორც აღმოჩნდება. ორივეს „ოლივერ ტვისტის“ რბილყდიანი გამოცემა სდებია ჯიბეში. მაგარია. ერთი მაგის სცენარის დამწერს შემახვედრა. ბოლო-ბოლო, ორივეს გული შეუვარდებათ ერთმანეთზე, ცხადია და დიკენსის სიყვარულით ახლა საგამომცემლო საქმეს მოკიდებენ ხელს. ოღონდ ამ გოგოს ძმა ყავს ჩაშვებული ლოთი და გამომცემლობის მთელ მაცუთს ანიავებს. ერთ დროს კი მაგარი ვინმე ყოფილა თურმე — ქირურგი და რამე, მაგრამ ომის მერე წასულა ხელიდან. მაგარი

ნერვიული გამხდარა და სულ ყალიღებს ტეხს. მოკლედ, ეს ჯიგარი ალექი მიხედავს ყველაფერს, მაგარ წიგნს დაწერს, გოგო კიდე დასტამბავს და ჩეჩქივით იშოვნინან ფულს. სწორედ ის დროა, უნდა იქორწინონ და ყველაფერი საათივით აეწყოს, რო ის გოგო გამოჩნდება — მარსია ქვია და თურმე სწორედ ამ ჩვენი ალექის საცოლვე არ ყოფილა, ასე ვთქვათ, წინა ცხოვრებაში? ავტოგრაფის სათხოვნელად მივა და იცნობს. ყველაფერს წვრილად ჩაუკაკლავს, რაღა თქმა უნდა — დუკა ხარ და მთელი ამბავიო, მაგრამ ვინ უჯერებს? არაფრის გაგონება არ უნდა ჩვენს ალექს. არც ის სჯერა, დედა რომ ყავს თხუნელასავით ბრმა და ეგეთები. ოღონდ ახლა ის მეორე გოგო, ძაან კარგი როა, გადაარჩმუნებს. ძაან კეთილშობილი ვინმეა. მაგრა რისკავს, რა თქმა უნდა, მაგრამ რა ქნას. ოღონდ ამ ჩემის ალექს არაფერი შველის — არც იმ დანიური ღოგის სიხარულით ყეფა და ლოკვა, არც სახებზე თითების მოსმით დედამისმა რო იცნო და მერე ის პატარა სათამაშო დათუნია რო გამოუტანა, რომლის გარეშეც ვერ აძინებდნენ თურმე პატარა რო იყო... მოკლედ, არაა საშველი. მერე, ერთხელაც, ვიღაც ბავშვები თამაშობენ ეზოში კრიკეტს; ბურთს შიგ გოგრაში მოარტყამენ და ზოგი ჭირი მარგებელიაო — მეხსიერებაც დაუბრუნდება, დედიკოსაც გადაეხვევა, დუკას ტიტულსაც დაიბრუნებს და ყველაფერი. მაგრამ რად გინდა — ახლა ის გოგო გადაავიწყდება ამ გაწამაწიაში... გეუბნებით, ამისთანა სისულელე ჩემს დღეში არ მინახავს, ღმერთმანი. არ გეგონოთ, რამეს ვამატებდე. ის კი არადა, ყველაფერი არც მითქვამს: ბოლოს სამართალი პურს ჭამს, იმ გოგოს მაინც შეირთავს, მისი ლოთი ძმაც ჭკუაზე მოვა, ალექის დედას იმისთანა ოპერაციას გაუკეთებს, 100% მხედველობას დაუბრუნებს, იმ მარსიას კი თვითონ დაითრევს. მერე ყველანი სუფრას უსხედან და კვდებიან სიცილით — ის დანიური ღოგი შემობარტყუნდება ოხრად ლეკვებით. თურმე ყველას ხვადი ეგონა აქამდე, ის კიდე ძუკნა არ ყოფილა?! გლიჯავს, როგორც სალი იტყოდა. ნამდვილად.

ამ დროს კიდე, ზედ ჩემ გვერდით, ერთი ქალბატონი იჯდა და აღვარღვარებდა ცრემლებს. ეკრანზე რო სისულელე სისულელეს ემატებოდა, ისიც უმატებდა და უმატებდა ცრემლებს, სინქრონულად. კაცი იფიქრებდა, ძაან გულჩვილი ვინმეა და იმიტომ. ნურას უკაცრავად: პატარა ბავშვი ახლდა, საწყალს ყელში ამოუვიდა ყველაფერი, თან ფისი-ფისის ითხოვდა, მაგრამ არაფერი გაუვიდა. წყნარად იჯექი და წესიერად მოიქეციო — ეგ ქონდა პასუხად. გულჩვილი არა, ტოროლა. საერთოდ, ამისთანა კრეტილობაზე რო ვინმეს გული აუჩვილდებოდა, ნაძლევს ჩამოვალ — ათიდან ცხრა შემთხვევაში მაგისთანებს ბავშვი არ უნდა ანდო, დამიჯერეთ. ხო ყველაფერს აქვს დასასრული და ბოლოს ფილმიც დამთავრდა. ქუჩას დავუყევი იმ უიკერ-ბარისკენ, თან ომზე ვფიქრობდი. ეგეთი ფილმები მაგრა მიტეხავს. ესე მგონია, მე თვითონ ომში ვერ წავიდოდი. შიშის ამბავი კი არაა, უბრალოდ, ჯარში რო უნდა იყო, ეგაა საქმე. ჩემი ძმა დიბი მთელი ოთხი წელი მსახურობდა იქ. — დღესაც იქ იყო, ნორმანდიაში. ოღონდ ასე მგონია, მაგას ომზე მეტად თვითონ ჯარში ყოფნა ეჯავრებოდა. მაშინ მთლად ბავშვი ვიყავი, მაგრამ კარგად მახსოვს, სახლში რო ჩამოდიოდა ხოლმე, ლოგინზე წოლის მეტს არაფერს აკეთებდა. სასტუმრო ოთახშიც კი იშვიათად გამოვიდოდა ხოლმე ჩვენთან. მერე, როცა ოკეანისგაღმა გაამწესეს, არც დაჭრილა და არც სროლა მოუწია. მარტო ვიღაც გენერალს დაატარებდა ჯიპით. ერთხელ გვითხრა კიდევ მე და ელის, ვინმეზე დამიზნებით სროლა რო დამჭირებოდა, ალბათ ვერც მოვახერხებდიო. მერე ისიც თქვა, ჩვენს ჯარშიც ალბათ იმდენივე ძალღიშვილი ნაბიჭვარია, რამდენიც იმ ნაცისტებთანო. ერთხელ ელიმ კითხა — აი, მწერალი რო ხარ, ხო მაინც გამოგადგა ჯარში ყოფნა, რამდენი რამე შეგიძლია დაწერო და საინტერესოც იქნებაო. დიბიმ კიდე არაფერი უთხრა, მარტო მისი ბეისბოლის თათმანის მოსა-

ტანად გაგზავნა, მერე კი ეკითხება — შენი აზრით, ვინ უფრო მაგარ ლექსებს წერდა ომზე, რუპერტ ბრუკი თუ ემილი დიკინსონიო. ელიმ კიდევ უთხრა, დიკინსონიო. მე მაგის ბევრი არაფერი გამეგება, იმიტომ რომ ლექსებს ცოტას ვკითხულობ, ოღონდ რომ წარმოვიდგენ ეკლის და სტრადლეიტერის და მორისას მსგავს ტიპებთან ერთად ცხოვრებას ყაზარმებში, და მათთან ერთად ყოველდღე აქეთ-იქით ფეხაწყობით სიარულს, ჩემი მემართება. ერთხანობა სკაუტებში ვიყავი, სულ რაღაც ერთი კვირა, და ვილაცის კეფაში მიშტერება და მწყობრში სიარული მართლა ჭკუიდან მშლიდა. არადა სულ მაგას გვთხოვდნენ. ეგ იყო მთავარი. გეუბნებით, კიდევ თუ სადმე ატყდა ომი და გამიწვიეს, ღმერთმანი ჯობია პირდაპირ დასახვრეტად გამიყვანონ. ხმას არ ამოვიღებ. დიბიმ კიდევ, ომს ხო ვერ იტანდა, წინა ზაფხულს ის წიგნი მაინც მომცა წასაკითხად — „მშვიდობით იარაღი“ ერქვა. მაგარი რამეაო, მე კიდევ თავი და ბოლო ვერ გაუგე. უფრო კიდევ ის არ მესმის, როგორ შეიძლება ომი და ჯარი გეზიზღებოდეს და ამისთანა სისულელეს კი კითხულობდე. ესეც მოგწონდეს და რინგ ლარდნერიცა: ან ესეც და „დიდი გეტსბიც“. დიბის მაგრა გაუტყდა, ეს რომ ვუთხარი და მიპასუხა, ეტყობა ჯერ ძაან პატარა ხარ ასეთი წიგნებისთვისო. მე კიდევ ჩემსას ვაწვევბოდი — რინგ ლარდნერი ხო მომწონს და „დიდი გეტსბი“ კიდევ უფრო-მეტეი. ეს გეტსბი მართლა ერთ რამედ ღირს, ღმერთმანი. ასეა თუ ისე, რაღაც მიხარიასავით ატომური ბომბი რომ გამოიგონეს. კიდევ თუ დაიწყო ომი, პირველი გავვარდები ჯარში. ვილაც ქვეშაფსია გენერლის აქეთ-იქით ტარება მაინც არ მომიწევს.

თუ ნიუ-იორკის არაფერი იცით, უნდა გითხრათ რო ეს უიკერბარი, იგივე „მოწნული ბოთლი“ — სეტონ-ჰოტელში იყო გამართული და ერთ დროს ძაან მიღებულის რამ ადგილი გახლდათ. ადრე ხშირადაც დავდიოდი იქ, ოღონდ ნელ-ნელა შევეშვი. აი ისეთი ადგილია, ვითომც მაგარი თავისებური და ოხრად პიჟონები დაიჯგიმებოდნენ იქ. ორი ფრანგი გოგონა ყავდათ, ტინა და ჟანინი — პიანინოზე უკრავდნენ და მღეროდნენ — სამ-სამჯერ ყოველ საღამოს. დაკვრითაც ხო ისე რა, და სიმღერით კიდე ან გვარიან სექსი რამეებს არჩევდნენ, ან სულაც ფრანგულად უბერავდნენ და ყოველი ნომრის წინ ჟანინი მიკროფონში ჩურჩულებდა ხოლმე ძაან თეატრალურად: „ეხლა გვინდა ღამე ფლანგული გიმღელოთ... ელთი პატალა ფლანგი გოგონა ჩამოდის დიიდ ქალაქში, აი ღოგოლიც ნიუ-იოლკია და ელთ ბლუკლინელ ბიჭს ხვდება... იმედი აღის, მაგლა მოგეწონებათ!“ მერე რაღაც სულელურ სიმღერას წაიღიღინებდა ფრანგულ-ინგლისურად და ჭკუაზე გადაყავდა მთელი ჯამაათი. ცოტა ხანს იჯდებოდით იქ და მერე უცბად ყელში ამოგივიდოდათ ყველაფერი. ბარმენიც კი ერთი მუტრუკი ვინმე გახლდათ — სიტყვას დაგამადლიდა, თუ ვინმე ისეთი არ იყავი. და თუ იყავი, ხო კიდე უარესი — მოგადგებოდა ყურებამდე პირგახეული და დაგიწყებდა აქეთურ-იქითურს: „ახალი რა ხდება ფლორიდაში?“ ან „კონექტიკუტიდან რა ისმის?“ მოკლედ, ფეხი ამოვიკვეთე იქიდან. არც გამჭირვებია, სიმართლე გითხრათ.

მაინც ცოტა ადრიანად ვი მომიწია მისვლა. ბართან ჩამოჯდომა და ორი ჰაიბოლის ყლურწვაც მოვასწარი, სანამ კარლი გამოჩნდებოდა. არადა მთელი სიმაღლით მომიხდა გაჯგიმვა, რო არ ეფიქრათ — არასრულწლოვანიო. მერე ხალხს ვათვალიერებდი. ჩემ გვერდით ვიღაც ჯეელი თავის გოგოს აბოლებდა.

იქით კიდე ნაღდ პიდერებს თავიანთი თავყრილობა ქონდათ. არც ძაან ისე მინაზებულებად გამოიყურებოდნენ — აი, გრძელი თმები და საყურეები. და რამე, მაგრამ იმწამსვე მიხვდებოდით რა ხვითოებიც იყვნენ. ამასობაში ლუსიც მობრძანდა.

ბებერი ლუსი. მაგარი ვინმეა. ითვლებოდა, რო სწორედ მაგას უნდა აეღო ჩვენზე შეფობა ვუტონში. მეტი საქმე არ ქონდა. გოგობებზე ლაპარაკით გაგვბერავდა, უმცროსკლასელები რო შევიკრიბებოდით ხოლმე მასთან. ისე, მაგარი გამოჯეკილი კი იყო, ყოველ შემთხვევაში, თეორიულად. განსაკუთრებით სექსუალური გადახრების საკითხი აინტერესებდა. სულ იმას გვიყვებოდა, ზოგი რო ცხვრებს დაერევა ხოლმე, ზოგს კიდე ვინმე გოგოს ნიფხავი რო აქ ქუდის შიგნით ამოკერებული და კიდე პიდერებზე და ლესბიანელებზე. სულ ზეპირად იცოდა ვინ ვინ იყო მთელ შტატებში. მართო სახელი უნდა გეთქვა და წამსვე დაანაწილებდა. ზოგზე იმისთანაზე იტყოდა, პიდერიაო, თვალები აგვდიოდა შუბლზე. განსაკუთრებით მსახიობებზე. ზოგი სულაც ცოლშვილიანი იყო ხოლმე. „ვინა, ჯო ბლოუფა პიდერი? სულ განგსტერებს და კოვბოებს და მაგარ ბიჭებს რო თამაშობს?!“ — ეკითხები. „ეგრეა და...“ — გპასუხობს. ყოველთვის ეგრე პასუხობდა. ამტკიცებდა, არავითარი მნიშვნელობა მაგას არა აქვს, კაცი დაოჯახებულია თუ არაო. ნახევარი ხალხი პოტენციური პიდერია და თავად არ არიან ჯერ ამრზეო. ეგ სულაც ერთ ღამეში შეიძლება მოხდესო. აი ეგრე, უცხად გადაგიტრიალდება ტვინი და მორჩაო. მაგრა დაგვაფეთებდა ხოლმე. მერე სულ იმის შიშში ვიყავით, აი ახლა გავპედერასტდებით და აი ახლაო. არადა, მგონი თვითონ ქონდა ეგეთი შიშები და გადახრები. იმიტომაც გვაგიჟებდა. თანაც სულ გვებღლაძუნებოდა ხოლმე და კიდე ტუალეტში რო შევიდოდა, კარს არასოდეს კეტავდა და იქიდან გელაპარაკებოდა, სანამ შენ კბილებს იხეხავდი და რამე. მაგისთანა ტიპები მართლა შეიძლება პიდერები გახდნენ. თვითონ ვიცნობდი რამდენიმეს, იმათაც ზუსტად ეგეთი ჩვევები ქონდათ. ამიტომაც გამიჩნდა ეგეთი

ეჭვი. სხვა მხრივ, ძაან ჭკვიანი და ნაკითხი ბიჭი კი იყო, ნამდვილად. ოღონდ გამარჯობას არასოდეს გეტყოდა. ახლაც, დაჯდომისთანავე, პირდაპირ დამიბრეხვა — სულ რამდენიმე წუთით შემოვირბინეო. სტრელი მაქვსო. მერე მშრალი მარტინი მოითხოვა. თან დაუმატა, ძაან-ძაან მშრალი უნდა იყოს და არავითარი ზეთისხილი არ დავინახო შიგო.

„დაიცა,“ — ვეუბნები. — „შენთვის ერთ კაი პატიოსან პიდერს შევუთანხმდი. ეგერ ზის, კუთხეში. ოღონდ ახლავე ნუ მიატრიალებ თავს.“

„სასაცილოა, ნამეტანი.“ — მეუბნება. — „რაც იყავი, ისეთივე დარჩი. აღარ უნდა გაიზარდო?“

რა ვქნა, მართლა მისწორებდა, ასე რო ვეკაიფებოდი.

„სექსის რა ისმის?“ — ვეკითხები. ვიცოდი, სწორედ ეგეთ შეკითხვებს ვერ იტანდა.

„მორჩი, რა.“ — მეუბნება. — „დაჯექი და მოისვენე.“

„მოსვენებული ვარ,“ — ვეუბნები. — „ამაზე მეტი მოსვენება რა იქნება. კოლამბიაში რა ხდება ახალი? ვარგა იქაურობა რამედ?“ „რო არ ვარგოდეს, არც დავრჩებოდი.“ ესეც კაი ხვითო მყავდა, რა. იოლად ვერაფერში აიყოლიებდი.

„სპეციალობად რას ირჩევ?“ — ვეკითხები. — „სექსუალურ გადახრებს?“ მინდოდა ცოტათი მაინც ამეგდო.

„რასაა რო ცდილობ — ხუმრობას?“

„არაა. ვშაყირობ. მისმინე ლუსი — ხო ჭკვიანი ბიჭი გქვია, რჩევა მჭირდება. მაგარ...“

ისე ამოიხვნეშა, ვიფიქრე გულსაც ზედ ამოაყოლებს-მეთქი. „იცი რას გეტყვი,“ — მეუბნება, — „თუ გინდა ერთხანს წყნარად ვიჯდეთ და თითოც დავლიოთ...“

„კარგი, კარგი. დაშუშდი.“ შანსი არ იყო, ახლა მაგას ჩემთან რამეზე ელაპარაკა სერიოზულად. ეგაა მაგისთანა ჭკვიანი ბიჭების პრობლემა. თუ არ უნდათ, არაფრით აგყვებიან. ამიტომაც

ჯერ შორიდან მოვუარე: „კარგი, არ გეხუმრები, მართლა როგორაა გოგოების საქმე? ისევ იმ ვუტონელთან დადიხარ?”

„აბა კი, სულ მაგ ჭკუაზე ვარ.”

„ეგ როგორ? მოხდა რამე?”

„აზრზე არა ვარ. ერთი ეგ ვიცი, მთელმა ნიუ-ჰემფშირმა გადაუარა ზედ.”

„ეხლა ეგ რა ლაპარაკია... თუ შენი გოგო იყო, ეგეთი რამეები აღარ უნდა თქვა კაცმა.”

„მოგცლია ერთი! სუფთა კოლფილდიზმი. ლექციის კითხვას მიპირებ?”

„ეგ რა შუაშია,” — ვეუბნები. — „უბრალოდ, თუ კარგად და გემრიელად იყავით ერთად, მერე აღარ უნდა...”

„კოლფილდ, სხვა დარდი არაფერი გაქ?”

აღარაფერი ვუთხარი. ვიფიქრე, ახლა არ ადგეს და ცხელ გულზე აქედან არ დაგაბოს-მეთქი. ამიტომ მოვკეტე და კიდევ ერთი დავუკვეთე. არადა ვატყობ, ნელ-ნელა უკვე მეკიდება სასმელი. „აბა ახლა ვის ხვდები? არ გინდა მითხრა?”

„არ იცნობ.”

„რა იცი, შენ მითხარი და იქნებ ვიცნობ.”

„ვილიჯში ცხოვრობს. მოქანდაკეა.”

„არ ხუმრობ? რა ხნისაა რო?”

„აზრად არ მომსვლია მეკითხა.”

„დაახლოებით მაინც ვერ იტყვი?”

„ოცდაათამდე იქნება.”

„რამდენის?! და ეგეთები გევასება?” — ვეკითხები, — „ეგეთი ბებრები?” იმით ვეკითხებოდი რო სექსის ამბებში მართლა ერკვეოდა, სხვებისაგან განსხვავებით. უმანკოება ჯერ კიდევ თოთხმეტი წლისას დაეკარგა ნანტაკეტში. მართლა.

„მწიფე ხილი მირჩევნია, თუ მაგაზე მეკითხები.”

„კარგი რა, მართლა ჯობიან საქმეში თუ როგორ?”

„მისმინე, დღეს საღამოს არავითარი კოლფილდური შეკითხვები — მოვრიგდით? აღარ უნდა გაიზარდო, მართლა და მართლა?“ მერე კიდევ ერთი მარტინი მოითხოვა და ბარმენს უთხრა, ნაკლები ვერმუტი უქენიო.

„კარგი. მაშინ ის მაინც მითხარი, იმ მოქანდაკესთან დიდი ხანია დადიხარ?“ — მართლა მაინტერესებდა. — „ვუტონის დროიდან იცნობ?“

„არაა. სულ რამდენიმე თვის ჩამოსულია.“

„საიდან?“

„შანხაიდან.“

„ახლა არ მითხრა, მართლა ჩინელიაო.“

„ეგრეა და...“

„მერე, კარგია? აი, ჩინელი როა, კარგია?“

„აბა უვარგისი რაში მჭირდებოდა.“

„მაინც, რითაა უკეთესი? მართლა გეკითხები.“

„საქმე ისაა, მე აღმოსავლურ ფილოსოფიას უფრო აღვიქვამ, ვიდრე დასავლურს. თუ მართლა მეკითხები.“

„რას მელაპარაკები! სექსის ფილოსოფიას გულისხმობ თუ რა? ჩინეთში უკეთესად უდგებიან მაგ საკითხს?“

„ჩინეთში არაა საქმე. აღმოსავლურზე გეუბნები, ზოგადად. და საერთოდ, შემეშვი რა. ახლა ინ-იანზე ლექციის კითხვის თავი არა მაქ.“

„დაიცა რა, მართლა მაინტერესებს,“ — ვეუბნები. — „აღმოსავლურში რა განსხვავებაა?“

„ასე იოლად ვერ აგიხსნი. ისინი სექსს ფიზიკური და სულიერი ქმედების ერთობლიობად აღიქვამენ. თუ გგონია...“

„დაიცა, მეც ეგრე არა ვარ?! მეც სწორედ ეგრე აღვიქვამ — რაქვიანიმას — ფიზიკურ და სულიერ ერთობლიობად. მართლა-მართლა. ოღონდ გააჩნია ვისთან. თუ ისეთ ვინმესთან ვარ...“

„რა გაყვირებს, თუ ძმა ხარ. თუ წყნარად არ შეგიძლია საუბარი, ტყეში წადი...”

სიმართლე გითხრათ, მართლა ცოტა ავლელდი და ცოტა ხმაც ამეწია ძალაუნებურად. ხანდახან მემართება ხოლმე. „ხო კარგი, კარგი... ახლა რა მინდა გითხრა,” – ვეუბნები, – „გასაგებია რო ფიზიკაც უნდა იყოს და ფსიქიკაც და ყველაფერი, ოღონდ ყველასთან ხო ვერ იზამ ამას – ყველა გოგოსთან ხო არ გამოგივა ეგრე? შენ რა, შეგიძლია?”

„კარგი რა,” – ლუსი მეუბნება, – „მოვრჩეთ ამას.”

„კარგი ხო, ოღონდ ეს მითხარი – აი, შენსა და იმ ჩინელ გოგოს შორის – ამ დროს თქვენში რა ხდება ისეთი?”

„მორჩი-მეთქი, გითხარი.”

ვატყობ, ცოტა ზედმეტი მომივიდა. დაუკრეფავში გადავედი. რაღაც ეგეთი ტიპი იყო – ვუტონში რო ვიყავით, მახსოვს, ყველაფერს გამოგტყუებდა, თუკი შენი აინტერესებდა რამე, ოღონდ თუ იქით კითხავდი რამეს, წუთში აიჭრებოდა ხოლმე. ასეთ ტიპებს სულ არ ევასებათ, როცა ლაპარაკში თვითონ არ მიყავთ სტოსი. ეგენი თუ ლაპარაკობენ, შენ უნდა უსმინო, და თუ მორჩნენ, შენც მოგაკეტინებენ. ლუსისაც ზედ ეტყობოდა – ვერ იტანდა, თუკი მისი ქადაგად დავარდნის მერე ბიჭები ცალკე დავსხდებოდით საკითხის გასარჩევად, ვინმე სხვის ოთახში. მართლა ვერ იტანდა. მაგისტანებს ყველას ეშინიათ რო თუ გაჩუმდებიან, მერე ვინმე სხვამ რამე ნათქვამი არ მოართყვას ათიანში. გულში მეცინება ხოლმე.

„იქნებ ჩინეთში დავგაზო. ჩემი სექსუალური ცხოვრება აქ რაღაც ვერ აეწყო.” – ვეუბნები.

„რა გიკვირს. გონება შენი უმწიფარია...”

„სწორედ რო ეგრეა. ცამდე მართალი ხარ.” – ვეუბნები. – „იცი რა არი ჩემი პრობლემა? ბოლომდე ვერ ავეწყო ხოლმე – აი, თუ ისეთ გოგოსთან არა ვარ, ვინც მართლა მომწონს. თითქოს საერ-

თოდ მეკარგება სურვილი. არ გავკარი მაგისტანა სექსს?..” „რა გიკვირს მერე. ბოლოს რო შევხვდით, რას გეუბნებოდი?” „ფსიქონანალიტიკოსთან იარეო.” სწორედ ასე მითხრა. მამამისს ქონდა კერძო პრაქტიკა. შეიძლება იმიტომაც მითხრა.

„ხოდა გადაწყვიტე. შენი საქმეა, ჩემი კი არა. პრობლემა შენა გაქ.” „მერე, მამაშენთან რო მივიდე და კურსი ჩავიტარო და რამე — ეგ როგორ იქნება? რა უნდა მიქნას?”

„რა უნდა გიქნას — არც არაფერი. დაგელაპარაკება, რალაცეებს გკითხავს. შენც უპასუხებ. შენი ფსიქიკის ანაბეჭდებში გაგარკვევს.”

„რაში-რაში?”

„ფსიქიკის ანაბეჭდებში. შენი ფსიქიკა ისევე მუშაობს, როგორც... დაიცა, ახლა ფსიქონანალიზის მოკლე კურსს ხო არ ჩავიტარებ აქ. თუ გაინტერესებს, დაურეკე და. მისვლის დროს დაგინიშნავს. არ გინდა, ნუ გინდა. მეტი დარდი არა მაქ.”

მაგარი ვინმე იყო, ღმერთმანი. „მაგარი ვინმე ხარ,” — ვეუბნები. — „ადამიანის ნამდვილი მეგობარი.”

საათზე დაიხედა. „უნდა გავიქცე,” — მეუბნება. — „კარგად მენახე.” მერე ბარმენს გასძახა, ჩემზე რამდენიაო.

„ერთი ეგ მითხარი,” — ვეუბნები უცებ. — „მამაშენს როდისმე შენთვის თუ ჩაუტარებია სეანსი?”

„ჩემთვის? რაზე მეკითხები?”

„ისე, უბრალოდ. ჩაუტარებია?”

„სრული კურსი — არა. უბრალოდ, ფსიქიკის ერთჯერად მოწესრიგებაში დამეხმარა. ეგ იყო და ეგ. სრული კურსის ჩატარება არასოდეს დამჭირებია. რაზე მეკითხები?”

„ისე, მაინტერესებდა.”

„მოკლედ, თავს მიხედე. არაფერი გადაუჭრელი პრობლემა შენ არა გაქ.” ხურდა დახლზე დატოვა და გატრიალდა.

„ერთიც დაგველია,“ – გავძახე. – „მოდით რა, თითოც გადავკრათ. ძან მყრალ ხასიათზე ვარ.“

არაო, მიპასუხა. უკვე მაგრა მაგვიანდებაო. თქვა და კარებში გაუჩინარდა.

ბებერი ლუსი. სუფთა სირი იყო, მე თუ მკითხავთ, ოღონდ წყობისად კი ლაპარაკობდა. მახსოვს, ყველაზე მაღალი ქულები მაგან აკრიფა თავისუფალ თემაში, გამოცდაზე.

მერე ვიჯექი და ვთვრებოდი ჩემთვის და ტინასა და ჟანინის გამოსვლას ველოდი, მაგრამ აღარ დაადგათ საშველი. მარტო ერთი ვილაც დალალებიანი პიდერი მიუჯდა როიალს და ის სულ ახალი ამომავალი ვარსკვლავუკა რო ყავთ, ვალენსია ქვია ვითომ, მღეროდა თავის რაღაცეებს. დიდი ვერაფერი, ოღონდ იმათ კიდე ჯობდა. თან სიმღერები მაინც ქონდა კარგად შერჩეული. როიალი ზედ ბარისტვის მიედგათ და ვალენსიაც პრაქტიკულად ჩემ გვერდით ირხეოდა აქეთ-იქით. რამდენჯერმე ძაან ისე ავათვალჩავათვალაიერე, მაგრამ ზედაც არ შემომხედა. იქნებ ეგეთი რამე არც მეკისრა, მაგრამ უკვე ბლომად მქონდა ნაყლაპი. სიმღერას რო მორჩა, ისე გაშპა სცენიდან, მიპატიჟების შანსიც არ დამიტოვა. მაშინ ბარმენს ვთხოვე, იქნებ გადასცე, თითო კოქტეილზე ხომ არ დამეწვევა-მეთქი. მითხრა, აუცილებელად გადავცემო, მაგრამ მგონი, თითიც არ გაუნძრევია. მეტი საქმე არ ქონდა. მაგისტანები არაფერს შეგისრულებენ ტყუილუბრალოდ.

ღამის პირველ საათამდე ვიყურყუტე იმ ბარში და გვარიანად გამოვთვერი. თვალში ველარ ვიხედებოდი წესიერად. ერთი კი ვიცოდი, რამე ბაზარი არ უნდა ამეტეხა, ემანდ ვინმეს თავში არ მოსვლოდა კითხვა, საიდან ვიყავი ან რა ასაკის. ოღონდ ისე მომეკიდა, ისევ ის მუცელში მოხვედრილი ტყვიის ამბავი გამახსენდა და დავიწყე მაიმუნობა — ხელებს ვიჭერდი ვითომ ნატყვიარზე რო არავის დაენახა სისხლი და რამე. ვითომ არავის უნდა გაეგო ჩემი დაჭრის ამბავი... ბოლოს ისევ მაშინდელივით ჯეინთან გადავწყვიტე დარეკვა და გარეთ გავედი, ტელეფონის ჯიხურს ვეძებდი. კიდე კარგი, მანამდე დანახარჯის გადახდა არ დამვიწყებია. ოღონდ ცალი ხელი სულ მუცელზე მეჭირა, სისხლის შესაჩერებლად. მაგარ კონდიციაში კი ვიყავი, ნამდვილად.

მერე, ჯიხურში რო შევედი, ჯეინთან დარეკვაც გადავიფიქრე, მაგარი ნაყლაპი ვარ-მეთქი. ამიტომაც ნამეტანი ჭკუა ვიხმარე და ისევ სალი ჰეიესს გადავურეკე.

ერთი ოცჯერ მაინც ავკრიფე ნომერი, სანამ ციფრების საჭირო კომბინაციას გავარტყამდი. მწიფედ ვიყავი, ღმერთმანი. „ვინ ლაპარაკობს?“ — ვიღაც ქალბატონი მეკითხება ძაან-ძაან ცივი ხმით.

„მე ვარ, ჰოლდენი ვარ. სალი დამალაპარაკეთ, რა...“

„სალის სძინავს. მე მისი ბებია ვარ. ამ შუალამისას რამ დაგარეკინათ, ჰოლდენ?“

„სალისთან მინდოდა დალაპარაკება. ძაან მჭირდება. დაუძახეთ, რა!“

„სალის სძინავს-მეთქი, ყმაწვილო! ხვალ დაურეკეთ. ღამე მშვიდობისა.“

„გააღვიძეთ მერე! ძნელია?“

მერე ვიღაც სხვამ აიღო ყურმილი. „მე ვარ, სალი. რა მოხდა?“ „შენა ხარ, სალი?“

„ჰო, მე ვარ. მორჩი ღრიალს. მთვრალი ხარ?“

„კი, ნამდვილად. მისმინე, შობაზე ხო შევთანხმდით, ნაძვის ხეს მოგართვევინებ. შევთანხმდით, სალი?“

„კი. ოღონდ ახლა წადი, დაიძინე. საიდან რეკავ? კიდევ არის ვინმე მანდ?“

„არავინ. მე, თავად მე და ისევ მე, პირადად.“ აუ, რა გახეული ვიყავი! მუცელიც კი ჯერ ისევ ხელით მეჭირა. „ჩამავლეს. როკის ბანდამ მიმჩინა. იცოდი? სალი, იცოდი?“

„ცუდად მესმის. წადი, დაიძინე. ხვალ დამირეკე.“

„სალი, ხო ნამდვილად გინდა შობაზე მოვიდე? ნაძვის ხე გავაწყობთ? ჰა, სალი?“

„კი. ოღონდ ახლა სახლში წადი და გამოიძინე.“

დამიკიდა.

ღამე მშვიდობისა, ღამე მშვიდობისა შენი ღამემშვიდობისათი... სალი, ჩემო გულისვარდო, იცი რა მთვრალი ვარ? ყურმილი ჩამოვკიდე. ნაღდად იმ ენდოვერელ ყლიყვთან იქნებოდა სტრელზე. ან ლანტებს თუ სტუმრობდა: ფინჯან ჩაის უსხდნენ ალბათ და მაღალ-მაღალ მატერიებზე ბაზრობდნენ. არ უნდა დამერეკა. როცა ვთვრები, ჭკუის ნარჩენებსაც ვკარგავ.

კიდევ კარგა ხანს ვყანყალებდი იმ ჯიხურში. ტელეფონს მივეყუდე, რო არ ჩავკეცილიყავი და იქვე არ ჩამძინებოდა. თუმცა მთლად ისე კარგადაც ვერ ვგრძნობდი თავს, რო ხვრინვა ამომეშვა. ბოლოს გამოვედი იქედან და ბანცალ-ბანცალით წავედი ტუალეტში. იქ ერთი პირსაბანი ავაფსე ცივი წყლით და მერე თავი ვდურთე შიგ. გამშრალეა და რამე აზრადაც არ მომსვლია. რადიატორზე ჩამოვჯექი და ასე წურწურით ჩამომდიოდა წყალი სახებზე. კარგი იყო. თავი გრილად მქონდა და ფეხები — თბილად. თუმცა თავიდან ფეხებამდე კი მაინც ვკანკალებდი რატომღაც. უცნაური რამეა, რამდენი გამოვტყვერები ხოლმე, მერე ყოველთვის მაკანკალებს. საქმე არაფერი მქონდა, ვიჯექი იქ და მეთლახის ფილებს ვითვლიდი იატაკზე. ისეთი გრძნობა მქონდა, რო სულ გავილუმპე. წყალი უკვე კისერშიც ჩამივიდა, წელამდე, ოღონდ სულ ქინძზე მეკიდა. მეტისმეტად მთვრალი ვიყავი მაგისტვის. მერე ის დაკულულებული ჯეელი შემოვიდა, ვალენსიას რო ყავდა აკომპანიატორად. ცოტა წავილაპარაკეთ, სანამ თავის ოქროსფერ თმებს ილაგებდა, ოღონდ მთლად მეგობრული განწყობა რაღაც არ ეტყობოდა.

„მისმინე,“ — ვეუბნები, — „რო გახვალ, შანსია, ქალბატონ ვალენსიას ორიოდე სიტყვა გადასცე?“

„რაზეა ლაპარაკი. სავსებით შესაძლებელია!“ მაგარი ვინმე ენამახვილი.

„მომიკითხე. იქნებ ჩემი კომპლიმენტებიც გადასცე. ისიც კითხე, იმ დამპალმა ბარმენმა თუ გადასცა ჩემი მიპატიჟება...“

იზამ?" „რამე რო იყოს, სახლში რატო არ წახვალ, ძმაკაც? ასაკის ამბავშიც მოგიხდებოდა. გვიანია უკვე.“

„შენ ის მითხარი, გადაცემ?“

„შენ ის მითხარი, რამდენი წლისა ხარ?“

„ოთხმოცდაოთხის.“

„მერე, სახლში რატო არ მიდიხარ?“

„ჯერ რა დროსია. ისე, როიალთან მაგარი ხარ.“ — ვეუბნები. ვემლიქვნელები, რა თქმა უნდა. დამწყებკლასელივით უბარტყუნებდა კლავიატურას. — „რადიოში უნდა მიხვიდე. შენისთანა კაცი. კულულები და რამე. მენჯერი არ გინდა?“

„წადი კუტუნია სახლში, გამოიძინე.“

„სადა მაქ სახლი. არ გეხუმრები — კარგი მენჯერი არ გინდა გიშოვო?“

პასუხი აღარ გაუცია. გავიდა და გაიხურა კარი. თმა დაილაგა და წავიდა. სუფთა სტრადლეიტერი. ყველა ეგ მომხიბლავი ბიჭები ერთნაირები არიან — თმას ჩამოივარცხნიან და ფეხებზე გიკიდებენ. მერე, როცა იმ რადიატორიდან ავითრიე წელი, ისევ ცრემლები წამომივიდა ლაპალუპით. ეტყობა ძაან მარტოსულად ვგრძნობდი თავს და ეგეთები. მერე გარდერობში ტანსაცმლის ტალონი ველარ ვიპოვე. კიდე კარგი, ის გოგო ძაან კეთილი ვინმე აღმოჩნდა, ჩემი ქურთუკიც იპოვა და ის ჩემი ახალნაყიდი ფირფიტაც — „პაწია შირლი ბინზი.“ დოლარიანს ვაძლევდი მადლის მოსხმის ამბავში, მაგრამ იუარა. მარტო იმას იმეორებდა, წადით ახლა სახლში, გვიანიაო. რალაც სტრელის დანიშვნასავით ვცადე, როცა კი სამუშაოს მორჩებოდა, ოღონდ არ გამივიდა არაფერი. მითხრა, რამე რო იყოს, დედად გერგებიო. ჩემი შევერცხლილი საფეთქლებიც ვუჩვენე და ორმოცდაორისა ვარ-მეთქი, ვუთხარი. გავეხუმრე, ჩემი ჭკუით. მერე ჩემი მონადირის ქუდიც ვაჩვენე და ძაან შემიქო. მაიძულა თავზე დამეხურა და ისე გავსულიყავი გარეთ. თმები სულ სველი გაქვსო, მითხრა. მართალიც იყო.

გარეთ რო გავედი, უკვე ისე მთვრალიც აღარ მეგონა თავი, ოღონდ რა მექნა რა — ტაქსის ხარჯს მე ველარ გავწვდებოდი და მედისონ-ავენიუზე გავედი, ავტობუსის გაჩერებასთან. თან იმის აზრზეც ვერ მოვდიოდი, საით წავსულიყავი. მეც ავიღე და პარკში გადავედი: ტბორს მივადგები და ვნახავ ერთი, იხვები თუ კიდე იქ არიან-მეთქი. სხვა სად წავსულიყავი რო — სად გამეთია ღამე, ჯერ ისიც არ მქონდა გადაწყვეტილი და რას ვკარგავდი. თან არც დალლა მეტყობოდა, არც არაფერი. უბრალოდ, ძაან ნაღვლიან გუნებაზე გახლდით.

მერე ისეთი რამე დამემართა, მაგას თავის გატეხა მერჩინა: ფიბისთვის ნაყიდი ფირფიტა გამომისხლტა ხელიდან და ქვაფენილზე ნამსხვრევებად იქცა. რა ვიცი, მუყაოს კონვერტში კი იდო და ყველაფერი, მაგრამ რად გინდა. კინალამ ისევ ავტირდი, ოღონდ მაგით რაღას ვუშველიდი. რატომღაც ნამსხვრევები ამოვკრიფე კონვერტიდან და ჯიბეში ჩავიწყვე. რალაში გამომადგებოდა, უბრალოდ — გადაყრა დამენანა. პარკში შევედი და სრულ სიბნელეში ვცადე გზის გაკვლევა.

მთელი ცხოვრება, ფაქტიურად, ნიუ-იორკში გავატარე და სენტრალ-პარკსაც ჩემი ხუთი თითივით ვიცნობდი, გორგოლაჭებზეც დავსრიალებდი იქ და მერე ველოსიპედიტაყ დავკატაობდი, ოღონდ იმ ღამით კი მაგრა გამიჭირდა ტბორის პონა. ალბათ მხარი თუ მეცვალა. მივდიოდი და მივდიოდი ამ ბნელში და კაციშვილი არ შემხვედრია, რალა თქმა უნდა. კიდევ კარგი. ვინმეს რო გადავყროდი, იქნება და უკანმოუხედავად დამეგაბა. ბოლო-ბოლო, ვიპოვე, როგორც იქნა. ოღონდ მხოლოდ ალაგ-ალაგ იყო მოყინული, და იხვები კი მაინც არსად ჩანდნენ. გეუბნებით, მთელ ტბორს დავარტყი წრე — ერთხელ ლამის ჩავვარდი კიდევ წყალში — ოღონდ ერთი იხვიც არ გაფაჩუნებულა სადმე. ვიფიქრე, იქნებ წყალთან ახლოს ძინავთ შამბნარში ან რამე-

მეთქი და იმიტომაც კინალამ ჩავვარდი შიგ მოკლედ, მათი ალი-კვალი ვერსად დავჩითე.

ბოლოს ერთ ხის მერხზე ჩამოვჯექი, იქ რაღაც უფრო განათებულილსავით ჩანდა. მაგარი გათოშილი ვიყავი და ცოტა შევფიქრიანი კიდევ, ფილტვების ანთება არ ავიკიდო-მეთქი. უცბად წარმოვიდგინე, რამდენი დაქლიავებული მოგროვდებოდა ჩემს გასვენებაზე. ამას კიდევ დაუმატეთ ჩემი ბაბუა დეტროიტიდან, ყოველი ქუჩის ბოლოს ნომრებს რო გაყვირის ხოლმე ავტობუსში, მერე დეიდები და მამიდები — ისინიც ოხრად მყვანან — და კიდევ ბიძაშვილ-მამიდაშვილების მთელი კოდლა. ჭირიმე შენი, რა ბაზარი იქნებოდა! ელი რო მოგვიკვდა, ყველა იქ იყო, ერთიც არ გამოკლებია. რომელიღაცა კიდევ, აღარ მახსოვს ვინ იყო, იდგა თურმე და სულ იმას გაიძახოდა, რა დამშვიდებული სახით წევსო. დიბიმ მითხრა. მე არ შევსწრებივარ — ჯერ კიდევ საავადმყოფოში ვიწექი, იმ ჩემი ხელის გამო. მოკლედ, ახლა შესაძლო პნევმონიის საკითხი მადარდებდა და იმასაც ვფიქრობდი, ვაითუ თქვენი ჭირი წავიღომეთქი. დედ-მამა შემეცოდა, თორე მე რა. განსაკუთრებით დედაჩემი — ის ელის სიკვდილსაც კი ვერ შეგუებია ჯერ. წარმოვიდგინე როგორ არჩევს ჩემ ტანსაცმელს და ნივთებს და აზრზე არ არი რა უნდა უქნას. ერთი კი ვიცი რო ფიბის არ მიუშვებდნენ დასაფლავებაზე — ძაან პატარაა ჯერ. ეგ ერთი მაინცაა კარგი ამბავი. მერე ყველანი ერთად სასაფლაოზე წამიღებდნენ და ჩამდებდნენ მიწაში და სახელსაც დამაწერდნენ ზედ. ანუ საფლავის ქვაზე. გარშემო კიდევ სხვა მკვდრები მეყოლებოდა სამეზობლოდ. უბნის ამბავში და რამე. მოკლედ, რო მოკვდები, მერე იცოცხლე, გადაგყვებიან ზედ. მართლა ვფიქრობ, იქნებ ვინმეს მაინც აღმოაჩნდეს იოტისოდენა ჭკუა და ან მდინარეს გაატანონ ჩემი თავი ან რამე. ყველაფერზე ყაბულსა ვარ, ოღონდ კი სასაფლაოზე არ დამასვენონ. ივლის მერე ხალხი და ზედ სტომაქზე

დამაყრიან ხოლმე ყვავილებს, კვირადღეობით. არა, რო მოვკვდები, რალა ჩემ ფეხებად მინდა? არაფრად. რო მოკვდები, მკვდარი ხარ და მკვდარი.

კარგ ამინდში, ჩვენები ხშირად დადიან ელის საფლავზე და ყვავილების თაიგული მიაქვთ. რამდენჯერმე მეც წაყვევი, მაგრამ მერე აღარ მივსულვარ. ჯერ ერთი, ვერაფერი გრძნობაა გარშემო სხვა საფლავებში ჩაკარგული ქვის ყურება. მზიან დღეს კიდე არა უშავდა, ოღონდ ორჯერ ზედიზედ წვიმამ მოგვისწრო. საფლავის ქვასაც აწვიმდა და ბალახსაც. ალბათ კუბოშიც ჩაუვიდოდა. საზიზღრობა იყო. სხვა ვილაც ჭირისუფლებიც იყვნენ იქ და ყველამ უცბად მოცოცხა იქიდან. პირდაპირ თავ-თავიანთი მანქანებისაკენ დაგაბეს. აი ამან მომსპო. ყველას შეეძლო საკუთარი მანქანისთვის შეეფარებინა თავი და მერე რადიოც ჩაერთოთ და მერე სადმე წასულიყვნენ კარგ ადგილას — სადილად ან რამე. ყველას — საბრალო ელის გარდა. ვიცი, რა თქმა უნდა, ხო მეუბნებიან — იქ მარტო მისი სხეულია მიწაში, სული კიდე სამოთხეშიაო და მთელი ეგ ლაყაფი, მაგრამ მაინც ძნელი მოსანელებელია. ჯობდა საერთოდ არსად აღარ ყოფილიყო. თქვენ ხო არ იცნობდით. აი, რო გცნობოდათ, კარგად მიმიხვდებოდით, რის თქმაც მინდა. დარიან ამინდში კიდე არა უშავს, ოღონდ მზე რა — მაშინ გამოიხედავს ხოლმე, როცა თავად მოეპრიანება.

მერე, ცოტა ეს ფილტვების ანთების საკითხი და ამბავი რო ამომეგდო თავიდან, ნარჩენი ფული ამოვიღე და იმ ლამპიონის მბჟუტავ შუქზე დავიწყე გადათვლა. სულ სამი ცალი დოლარიანი აღმოვაჩინე, ხუთი ოცდახუთცენტიანი და ერთიც ხუთცენტიანი მონეტა. გვარიანად კი გამიფლანგავს პენსიდან წამოსვლის მერე! ავდექი და მთელი ხურდა წყალში სალკების მაგივრად სროლაში გავუშვი. ახლაც აზრზე არა ვარ რამ წამომიარა, მაგრამ ეგრე კი იყო. იქნებ მეგონა, გულს გადავაყოლებ და ფილტვებზე

გართულებაც მომეხსნება-მეთქი. მეტი არაა ჩემი მტერი. არ გამო-
მივიდა. პირიქით, ახლა სწორედ იმაზე დავიწყე ფიქრი, პატარა ფიბი
რას იგრძნობდა, ახლა აქ პნევმონიას რო მოეთავებინა ჩემთვის ხე-
ლი. საერთოდ ხო სისულელე იყო ამაზე ფიქრი, მაგრამ თავს მაინც
ვერაფერი მოვუხერხე. ფიბის ძაან ვუყვარვარ, მართლა. ამიტომაც
ბოლო-ბოლო გადავწყვიტე, როგორმე სახლში შევპარულიყავი და
ფიბი მენახა — ვაითუ მართლა წამელო წერილი. სახლის გასაღები
ჯიბეში მედო, შევიპარებოდი წყნარად და ჩუმად და ვილაპარაკებ-
დით აქეთურ-იქითურზე. მარტო ჭიშკრის ამბავი მადარდებდა, სულ
ჭრიალ-ჭრიალი გაუდის. ძველებური სახლია, რამდენიმე ბინაა შიგ,
სახლის პატრონი კიდე ერთი უსაქმური ვინმეა, თავს არაფერზე იწუ-
ხებს ტყუილად. მარტო ის მედარდებოდა, მშობლებს არ გაეგოთ ჩე-
მი მისვლა. მაინც გადავწყვიტე მეცადა.

ამიტომაც დავადირე თავი და წავედი სახლში. ფეხით წავედი.
შორს არ იყო იქიდან და არც დაღლილი ვიყავი და აღარც ისეთი
მთვრალი. ციოდა და კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ეგ იყო და ეგ.

ოღონდ შენობაში შესვლისთანავე ერთი კარგი ამბავი დამხვდა: ჩვენი ძველი კარისკაცის მაგივრად ვილაც ახალგაზრდა ბიჭი იყო, თვალთ რო არ მენახა აქამდე. ძალიანაც კარგი-მეთქი, გავიფიქრე. თუ მაინცდამაინც მშობლებს არ შევეფეთე, ფიბისაც ისე ვნახავ და უკან ისე გამოვალ, კაციშვილი ვერაფერს გაიგებს-მეთქი. მაგრა გამიმართლა. თან ეს ბიჭიც, ცოტა არ იყოს, წაიშტერებდა კიდეც. ვუთხარი, დიკსტაინებთან მივდივარ-მეთქი და ეჭვიც არაფერზე აუღია. ეგ დიკსტაინები ჩვენს მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდნენ, კარის მეზობლები იყვნენ, ასე ვთქვათ. ჭკუა ვიხმარე და ის ჩემი მაზალო ქუდიც დროზე მოვიხადე, თან ისეთი სახე დავაწყვე, თითქოსდა ძაან-ძაან საშური რაღაც საქმე მქონოდა. ის კიდე მომიტრიალდა მეუბნება: „შინ არ არიან. ბოლო სართულზე ავიდნენ, წვეულებაზე.“

„ძალიანაც კარგი,“ — ვეუბნები. — „დავუცდი. ნათესავი ვარ მაგათი.“

ერთხანს გაშტერებული მომჩერებოდა. მერე მეუბნება, რაღაც ეჭვიანად: „ჯობია ქვემოთ დაუცადოთ, შემოსასვლელში.“

„არ გამოვა,“ — ვეუბნები. — „თვითონაც მერჩინა გამესეირნა სადმე, მაგრამ მუხლის მყესები მაქ დაჭიმული. კართან დავუცდი, სკამზე.“

ზედ ეტყობოდა, რაღაც მთლად კმაყოფილი ვერ დამირჩა პასუხით, მაგრამ მხრები აიჩეჩა მხოლოდ და აღარც ჩამძიებია. კარგი ბიჭი იყო. აი ამისთანა ტიპები მიყვარს. ეტყვი რაღაც სისულელეს და გზაც ხსნილი გაქ.

ჩვენს სართულზე ამოვედი კოჭლა-კოჭლაობით და ჯერ დიკსტაინების მხარეს გავემართე ყოველი შემთხვევისათვის, მერე კი შემოვტრიალდი და ჩვენსას მივადექი. მშვენივრად ვგრძნობ-

დი თავს, აღარც სიმთვრალის მეტყობოდა რამე. გასაღები ამოვიღე და ძაან-ძაან ფრთხილად გავაღე კარი, მერე უჩუმრად შევიპარე და კარიც ასევე უჩუმრად გავიხურე. მაგარი ქურდი კი გამოვიდოდა ჩემგან, რამე რო იყოს.

დერეფანში ბნელოდა და ვერც სინათლეს ავანთებდი. მთავარი იყო, რამე არ გადამეყირავებინა და ბრახუნი არ ამეტეხა. ერთი კია — ვიცოდი რო ნაღდად შინ ვიყავი. ყველა ბინას თავისი სუნი აქვს და ვერც გაიგებ, რისგან. ეს არც რაიმე კერძის სუნია და არც რაიმე სუნამოსი; საერთოდ ეშმაკმა უწყის რისაა, ოღონდ კარს შეაღებ თუ არა, ხვდები რო საკუთარ სახლში ხარ. მინდოდა ქურთუკი გამეძრო და საკიდზე ჩამომეკიდა, ოღონდ დროზე გამახსენდა, ლითონის ვაუჭებზე იყო და გვარიანად ჩხარუნობდა ხოლმე. შევეშვი. მერე ფიბის ოთახისაკენ გავემართე ფეხაკრეფით. ჩვენი შინამოსამსახურის დარდი არ მქონდა — ცალი ყურით ყრუ იყო. ბავშვობაში მის ძმას გაურჯვია მისთვის ბალახის ღერო თუ რაღაც ეგეთი. მაგრამ დედაჩემს კი თახვის სმენა ჰქონდა. ამიტომაც ვფრთხილობდი, სუნთქვაც კი შევიკარი, გეფიცებით. მამაჩემს ზარბაზანიც რო დაუცალო ყურთან, წარბს არ შეიხრის, ოღონდ დედაჩემის გასაღვიძებლად საკმარისია სადმე ციმბირში ცხვირი დააცემინო და იმასაც გაიგონებს, თუ უნდა. ძაან ნერვიული გახდა. ხშირად მთელი ღამე სავარძელში მის ხოლმე და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებს...

ბოლო-ბოლო, მშვიდობიანად მივადექი ფიბის ოთახს, ოღონდ იქ არ დამხვდა. მერეღა გამახსენდა, როცა დიბი ჰოლივუდშია ან სადმე სხვაგან ათევს ღამეს, ფიბი ყოველთვის მასთან შეიპარება ხოლმე. ბინაში ყველაზე დიდი ოთახი ეგაა და იმიტომაც მოსწონს. კიდე იმიტო, უზარმაზარი ძველებური მაგიდა რო უდგას — ვიღაც გალოთებული ქალისაგან შეიძინა იაფად. და კიდე ის კილომეტრიანი ლოგინი, ის კიდე სადღა იშოვა, არ მახსოვს. ასეა თუ ისე, ფიბის ძაან უყვარს იქაურობა და არც დიბი უშლის. ერთი განახათ, ეგ ციცქნა

რო იმ ჯაბახანა მაგიდას მიუჯდება ხოლმე — საშინაო დავალების გასაკეთებლად და რამე. საკუთარი ოთახი კი ეპატარავება. ფართი მჭირდებაო, გაიძახის. ერთი კითხეთ რა, რისთვის? მაგარი ვინმეა, ღმერთმანი.

მოკლედ, ახლა დიბის ოთახში შევიპარე და პატარა ნათურა ავანთე მაგიდაზე. ფიბის არც კი გაუგია არაფერი. მხარიც არ უცვლია ძილში. ვიდექი და დავყურებდი — გვერდულად იწვა, ცალი ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და პირი ღია დარჩენოდა. უცნაური რამეა — დიდები სულ სხვანაირად გამოიყურებიან ძილში და ბავშვები — სულ სხვანაირად. პირღიებიც კი გემრიელად გამოიყურებიან, საყვარლად.

ცოტა ხანი აქეთ-იქით ვიბოდიალე ოთახში, ძაან ჩუმად. რატომღაც უცბად ძაანაც კარგად ვიგრძენი თავი — აღარც ფილტვების ანთება მეღანდებოდა და აღარც მუცელში ნატყვიარი. ფიბის, როგორც ჩვევია ხოლმე, თავისი ტანსაცმელი სულ სკამზე ჩამოელაგებინა, ლოგინის გვერდით. ძაან მოწესრიგებული ვინმეა, ბავშვის კვალობაზე. იმის თქმა მინდა, სხვა ბავშვებივით კი არ მიყრიმოყრის ხოლმე თავის რაღაცეებს — ნურას უკაცრავად, ფეთხუმები თქვენკენ მოიკითხეთ. ფეხსაცმელი და წინდები კიდე იმავე სკამის ქვეშ ელაგა, მიწყობილად. ეს ბაჩები აღრე არც მქონდა ნანახი — მაგარი რამეები იყო, მოკასინებს გავდა, ოღონდ მაღალყელიანები, ჩექმებივით და იმ კაბასაც ძაან უხდებოდა, დედამ რო უყიდა კანადაში. აი, ეგ მაგრა ეხერხება დედაჩემს — მაგარი გემოვნება აქვს. ციგურებს და ეგეთ რამეებს ნუ მოთხოვ, ოღონდ ტანსაცმელს კი ისეთს შევირჩევს, უკეთესი არ გინდა. ფიბიც, მე თუ მკითხავთ, ყველაზე მაგრად დაბზანული დადიოდა ხოლმე. ბავშვების უმრავლესობას, რაც უნდა ფულიანი მშობლები ყავდეთ, კი არ აცვიათ ტანსაცმელი, თავად არიან შიგ გამოხვეულები. ფიბი კიდე, ერთი განახათ, როგორ დაიარებოდა იმ

დედამისის ნაყიდ კაბაში — თვალს ვერ მოწყვეტდით, ღმერთმანი.

მერე მაგიდას მივუჯექი და იქაურობა მოვათვალიერე. უმეტესად სულ ფიბის რაღაცეები ეწყო ზედ, სკოლის წიგნები და რვეულები და ეგეთები. ერთს ზედ ეწერა — სახალისო არითმეტიკა. ისე გადავფურცლე და რას ვხედავ — ფიბის მინაწერს:

ფიბი უიზერფილდ კოლფილდი
IV-ბ კლასი.

მაგარია. უნდა-არუნდა, მაგის მეორე სახელი ჯომეფინაა, მაგრამ ვერ იტანს და ყოველ ჯერზე რაღაც ახალს იგონებს. ეს უიზერფილდი მაინც სად გაჩითა?

მაგის ქვევით კიდე გეოგრაფიის სახელმძღვანელო იღო, უფრო ქვევით კიდე — მართლწერის. აი, მაგაში მართლა მაგარი იყო ჩვენი ფიბი. არა, საერთოდაც ძაან კარგად სწავლობდა, ოღონდ მართლწერა ხო მთლად მაგისტვის იყო მოგონილი. მერე კიდე რაღაც ბლოკნოტები გამოვჩხრიკე. საერთოდ, ერთი ათასამდე მაინც ექნება, გეფიცებით. არც ერთ ბავშვს არ შეიძლება ქონდეს მაგდენი. ერთი გადავშალე და პირველსავე გვერდზე ვხედავ, წერია: ბერნის, შესვენებაზე შევხვდეთ — რაღაც ძაან-ძაან მნიშვნელოვანი უნდა გითხრა...

სულ ეს იყო. მეორე გვერდზე კიდე ეს ეწერა:

რატომაა ალიასკაში ამდენი კონსერვის ქარხანა?

იმიტომ რომ იქ უამრავი ორაგულია დასაკონსერვებელი.

რატომაა ამდენი უსიერი ტყე?

კლიმატის გამო.

ჩვენმა მთავრობამ კიდე რა ქნა იმისთვის, ესკიმოსები რომ უფრო კარგად გრძობდნენ თავს?

ხვალინდელ გამოშვებაში იხილეთ:

ფიბი უ. კოლფილდი ფიბი უიზერფილდ კოლფილდის საავტორო გადაცემა!!!

და კიდე შირლისაც შეახსენოს ვინმემ:

შირლის ზოდიაქო მოისარი კი არა, ისაა რა ქვია იმას, ბოჩო-
ლა თუ რაღაცა...

და საერთოდ, ჩემგან ნათხოვარი ციგურებიც დამიბრუნოს.

მთელი ბლოკნოტი გადავიკითხე. მაგისტანა რამის კითხვა
ოცდაოთხი საათი შემიძლია, დაგენიძლავებით. სხვანაირი
გრძნობაა, როცა ეგეთ რამეს კითხულობ. მერე ბოლო სიგარე-
ტიც გავახრჩოლე. მგონი მესამე კოლოფი მივათავე იმ დღეს. მა-
გასაც მოვრჩი და რაღა მექნა — მაინც გავაღვიძე დაიკო. აბა იქ
ხო არ ვიჯდებოდი დილამდე და თან იმისაც მეშინოდა — ჩვენები
არ დამადგნენ თავზე და მერე ხო სიტყვასაც ველარ გადავუგდებ-
მეთქი. ამიტომაც გავაღვიძე.

საერთოდ, ძან ადვილად იღვიძებს. არც შეჯანჯღარება გჭირ-
დება და არც სახელის დაძახება. მარტო გვერდით უნდა ჩამოუჯ-
დე და წყნარად თქვა: „გაიღვიძე, ფიბი!“ — და უკვე ფხიზელია ტო-
როლასავით.

„ჰოლდენ!“ — წამოიძახა და კისერზე ჩამომეკიდა. ძან
მგრძნობიარე ვინმეა-მეთქი, ხომ გითხარით. ბავშვის კვალობა-
ზე მაინც, ეგრეა. ხანდახან მეტისმეტიც მოსდის. ლოყაზე ჩამ-
პროშტნა და მეუბნება — „კარგია, რო დაბრუნდი!“ ზედ ეტყობო-
და, მაგრა გაუხარდა. „ნუ ყვირი. როგორა ხარ?“

„კარგად. ჩემი წერილი მიიღე? ის ხუთგვერდიანი...“

„კი, მივიღე. ხუთივე გვერდი ერთად. ოღონდ ნუ ყვირი.“

მიღებით კი მივიღე, მახსოვს, ოღონდ პასუხის არც დრო
მქონდა, არც თავი. ერთს მთხოვდა, პარასკევს სკოლაში პიესას
ვდგამთ, მეც ვთამაშობ და აბა შენ იცი, არ დამალალატოო.

„სპექტაკლის საქმე როგორაა?“ — ვეკითხები. — „რაო, რა
ქვიაო?“ „საშობაო წარმოდგენა ამერიკელთათვის. დიდი ნაგავი

რამეა, სამაგიეროდ ბენედიქტ არნოლდს¹⁵ ვთამაშობ. ყველაზე დიდი როლი მე მომცეს.” — მეუბნება. ნამძინარევის არაფერი ეტყობა, ერთი სული აქვს, ყველაფერს წვრილად მომიყვეს. „იცი, სწორედ მაშინ იწყება, მე რომ ვკვდები და შობაღამის აჩრდილი მოდის და მეკითხება — სინდისი თუ გქენჯნისო. ხომ გესმის, სამშობლოს ვულა-ლატე და ეგეთები. მოხვალ?” წამოჯდა კიდევ საწოლზე. — „მითხარი, მოხვალ? მაგაზე არ გწერდი?”

„მოვალ, აბა არ მოვალ? მაგას გავაცდენ?”

„მამამ კიდევ — ვერ მოვალო. კალიფორნიაში მიფრინავს.” — მეუბნება. ტოროლასავით ფხიზელი იყო, ფეხმორთხმით იჯდა ლოგინზე, ჩემს მკლავს იყო ჩაფრენილი და ისე მეტიტინებოდა. „დაიცა, აკი დედომ თქვა, ოთხშაბათს ჩამოვალ? ოთხშაბათსო, ასე მითხრა.”

„დაუძვერი. ოღონდ ცოტა ჩუმად, მთელ სახლს გააღვიძებ.” „ეხლა რომელი საათია? დედომ თქვა, გვიანობამდე არ დავბრუნდებითო. ნორუოკში წავიდნენ, რაღაც წვეულებაზე. ეგ მგონი კონექტიკუტშია.” — ფიბი მეუბნება. — „აბა ეხლა გამოიცანი, ამ საღამოს რას ვუყურე! გამოიცანი, თუ ბიჭი ხარ!”

„რა ვიცი, აბა... რა თქვეს, როდის დავბრუნდებითო?”

„ლისტერის ფონდის ფილმი იყო, ექიმი ქვია. მარტო დღეს აჩვენებდნენ. ერთი კენტუკელი ექიმია და ხეიბარ ბავშვს დაახრჩობს ბალიშით — იმიტო რო ეცოდება და ისინი კიდევ ციხეში ჩასვამენ და ასამართლებენ... მაგარი რამეა!”

„დაიცა ერთ წუთს. დედამ არ გითხრა, რომელი საათისთვის...”

„ის გოგო კიდევ გადარჩება თურმე და ყოველდღე დადის ციხეში მის მოსანახულებლად და სულაც არ ადანაშაულებს არაფერში. მოწყალე მკვლელს შეარქმევენ თურმე. ოღონდ იმან იცის რომ მაინც დამნაშავეა იმიტომ რომ ექიმმა ღმერთის. მაგივრობა არ უნდა იკისროს. ერთი ჩემი თანაკლასელის დედამ წაგვიყვანა, ელის

¹⁵ ამერიკელი გენერალი (1741–1801), ინგლისელების მხარეზე გადავიდა დამოუკიდებლობისათვის ომის დროს.

ჰოლმბორგი ქვია. ჩემი საუკეთესო დაქალია. მთელ კლასში ეგეთი...”

„გაჩერდები ერთ წუთს?“ — ვეუბნები. — „დედას არ უთქვამს, მაინც როდის დავბრუნდებითო?“

„არა, საათი არ უთქვამს. გვიანობამდე შევრჩებითო, ასე მითხრა. მანქანით წავიდნენ. იცი, მანქანაში მამამ რადიოც ჩააყენა! ოღონდ დედომ თქვა, მოძრაობის დროს არ შეიძლება ჩართვა, ყურადღებას გაუფანტავს მძღოლსო...“

ცოტა გულზე მომეშვა. უკვე აღარ მადარდებდა, მომისწრებდნენ სახლში თუ არა. რა მოხდა, ბოლო-ბოლო.

ფიბი კიდევ გენახათ ერთი — ლურჯ პიჟამაში იყო გამოწყობილი და პაწია წითელი სპილოები ეხატა ზედ. ეცემა სპილოებზე. „მოკლედ, მაგარი ფილმი იყო, ასე გამოდის.“ — ვეუბნები. „კი, მართლა-მართლა, ოღონდ ელისი გაციებული იყო და დედამისი წარამარა ეკითხებოდა, გრიპი ხომ არ გჭირსო. შიგ შუა ჩვენების დროს ეკითხებოდა. თან მაინცდამაინც როცა რალაც ხდებოდა საინტერესო. ჭკუიდან გადამაყენა.“

მერე იმ ოხერი ფირფიტის ამბავი გამახსენდა და ვეუბნები: „იცი ფიბი, ფირფიტა გიყიდე, ოღონდ გზაში დამივარდა და გამოიტყდა.“ ნამსხვრევები ამოვალაგე ჯიბიდან. „გათხლეშლილი მთვრალი ვიყავი,“ — ვეუბნები.

„აქ მომე. ნატეხებსაც ვაგროვებ.“ — მეუბნება. გამომართვა და სათითაოდ ჩაალაგა უჯრაში. აი, ეგეთ რამეებზე ვითიშები. „დიბი არ ჩამოვა შობაზე?“ — ვკითხე.

„ან ჩამოვა, ან არაო — დედომ თქვა. გააჩნიაო. შეიძლება ჰოლივუდში ჩარჩეს. ანაპოლისზე იღებენ თურმე ფილმს.“

„ეგლა აკლდა!“

„სასიყვარულო ამბავია, შენ რა გესმის! თან თუ გამოიცნობ, ვინ იქნება მთავარ როლში — გამოიცანი!“

„რაში მაინტერესებს.“ ანაპოლისიო, ღმერთო დიდებულო! დიბის რა გაეგება მაგის? ან რა მაგის საქმეა ეგეთი რამეების წერა? გადამრევს ეს ხალხი. „ხელზე რაღა მოგივიდა?“ — ვეკითხები მერე. ვხედავ, მკლავზე რაღაც პლასტიკი აქ დაწეპებული. უსახელო პიჟამა და იმიტო მეცა თვალში.

„აი ის ბიჭი როა, კერტის უენტრაუბი, ჩემი კლასელია — ხელი მკრა კიბეებზე, პარკში. გინდა განახო?“ — და სახვევს იძრობს. „შეეშვი! ხელი რაღატო გკრა?“

„მე რა ვიცი. ვერ მიტანს, ალბათ. ამას წინათ მე და იმ ერთმა გოგომ კიდე, სელმა ეტერბერი ქვია, მელანი დავუსხით ქუდზე.“ „მაგრები ხართ...“

„აბა რას დამდევს კუდში? სადაც არ უნდა წავიდე, უკან დამყვება. გამიჭირა საქმე.“

„იქნებ მოწონხარ. ამიტო უნდა გადაასხა მელანი?“

„სულაც არ მინდა რომ მოვწონდე.“ — მეუბნება. მერე უცებ რაღაც უცნაურად მიყურებს. — „დაიცა, რატო ოთხშაბათს არ ჩამოხვედი?“

გეუბნებით, მაგასთან ყური სულ დაცქვეტილი უნდა გქონდეს, თორემ რაღაცაში მაინც გამოგიჭერს.

„აკი გითხარი, ადრე გამოგვიშვეს მთელი ჯგუფი.“

„გამოგადდეს, არა? ისევ გამოგადდეს!“ — გაიძახის და თავის პაწია მუშტს მირტყამს მხარში. მაგარი გაბრაზება იცის ხოლმე. „გამოგადდეს, ჰოლდენ?“ მერე პირზე აიფარა ხელი, დიდ ქალებს რო სჩვევიათ, ისე. ძაან მგრძნობიარე ვინმეა, გეუბნებით. „ვინა თქვა, გამომაგდესო? ხო გითხარი...“

„გამოგადდეს, ვიცი, გამოგადდეს!“ და ისევ გამომიქანა მუშტი. თუ გგონიათ უმტკივნეულოა, მაგრა გემლებათ. „მოგკლავს მამაშენი!“ — მეუბნება. მერე ცხვირი ბალიშში ჩარგო და საბანი გადაიფარა თავზე. ეგრე იცის ხოლმე. თუ გაბრაზდა, მორჩა — კავშირს წყვეტს.

„კარგი, გეყოფა.“ – ვეუბნები. – „მომკლავს არა... კარგი რა, ფიბი, გამოყავი თავი, დამელაპარაკე. არავინაც არ მომკლავს.“ მაგრამ თუ უარობს, ძალით შანსი არაა, რამე გააკეთებინო. იწვა და იმეორებდა ერთი და იგივეს, დაგუდული ხმით, თავზე საბან-წაფარებული: „მოგკლავს მამა, მოგკლავს.“

„მორჩი რა! ცოტა ტვინი გაანძრიე – ახლა წავალ და საერთოდ ვერავინ მნახავს. სადმე რანჩოზე ვიშოვი სამუშაოს. სადმე კოლორადოში. იქიდან წერილებს გამოგიგზავნი, თუ წავედი საერთოდ. კარგი ახლა, გეყოფა. გადაიძრე ეგ საბანი თავიდან და ადამიანურად დამელაპარაკე. კარგი რა, ფიბი, მორჩი ბაზარს...“

მანც არაფერი გამოვიდა. ვცადე მე თვითონ გადამეძრო, მაგრამ იცით, რა ღონიერია? მაგასთან ძიძგილაობაში დაიღლები კაცი. თუ დაიჩემა, რო თავზე საბანგადაფარებული უნდა იწვეს, გაგუდვამდე, ვერაფერს გააწყობ. რამდენი არ ვეხვეწე, თავი მანც გამოყავით, ქ-ნო უიზერფილდ-მეთქი, არაფერი გამომივიდა. ესეა, ხანდახან მასზე საერთოდ არაფერი ჭრის. რა მექნა, სასტუმრო ოთახში გავედი და კარადის უჯრიდან დედაჩემის სიგარეტები დავითრიე – თვითონ ღერიც აღარ მედო ჯიბეში.

უკან რო დავბრუნდი, უკვე ამოყოფილი ქონდა თავი — ხო ვიცოდი, ასეც იზამდა — ოღონდ მე ჯერ ზედაც არ მიყურებდა. გვერდით დაუჭყეტი, ლოგინზე, მან კიდე თავი იქით მიიბრუნა. ბოიკოტს მიცხადებდა, მოკლედ. სწორედ ის მოფარიკავეთა გუნდი გამახსენდა პენსიში. ასევე იქცეოდნენ, ბავშვურად.

„ქალბატონი ჰეიზელ უიზერფილდისა როგორ ბრძანდება?“ — ვეკითხები. — „ახალი არაფერი დაუწერია? წინა ჯერზე რაც გამომიგზავნეთ, ჩანთაში მიდევს, ოღონდ სადგურზე დავტოვე, შემნახველ კამერაში, რო არ დაიკარგოს. კარგი რამეა.“

„მამა მოგკლავს, გეუბნები.“

არა, თუ რამე ამოიჩემა, მტრისას.

„არ მომკლავს. დიდი-დიდი, სამხედრო სასწავლებელში მიკრას თავი. და საერთოდ, რას გადამეკიდე — აკი კოლორადოში მივდივარ, რანჩოზე.“

„კი, როგორ არა, დაგიჯერე. ცხენზე ჯდომაც არ იცი ხეირიანად.“

„ვინ, მე?! როგორ არ ვიცი. ეგეც არ იყოს, იქ ორ წუთში გამოგწვრთნიან, გინდა-არგინდა.“ — ვეუბნები. — „შენ ის მითხარი, თმა ვინ შეგჭრა?“ თითქოს ახლალა შევამჩნიე, მეტისმეტად მოკლედ ქონდა შეჭრილი, რაღაც სულელურად.

„არაა შენი საქმე.“ — მეუბნება. როცა უნდა, ძალიანაც უხეში შეუძლია იყოს. — „ალბათ ყველა საგანში ჩაგჭრეს, რიგრიგობით.“ მამბალო იყო — სუფთა იმ სკოლის გადარძეებულ მასწავლებელს გავდა, კინოებში რო გინახავთ.

„ვერ გამოიცანი,“ — ვეუბნები. — „ინგლისური ხო მაინც ჩავაბარე.“ მერე ვითომ ტაკოზე წავუთაქე. იმნაირად იწვა, გარეთ ქონდა გამობზევილი. ისე, ჯერ საერთოდ არაფერი აქ გამოსაბზევი, მაგრამ დიდი ქალივით კი იუკადრისებს ხოლმე. ისევ მომიქნია პაწია მუშტი, მაგრამ ამაცილა.

მერე უცხად მეკითხება: „რატო ისევ?...“ ანუ, რატო გამოგადგესო. ისე თქვა, რაღაცნაირად ისევ სევდა შემომაწვა გულზე. „კარგი რა, ფიბი, რაებს მეკითხები. ყელში ამომვიდა, ყველა ერთსა და იმავეს მეუბნება. რა ვიცი მე, რატო. ათასერთი მიზეზია. უარესზე უარესი სკოლა იყო და იმიტომ. გაიძვერებით და მატყუარებით იყო სავსე. და საერთოდ, უვარგისი ხალხით. ყველა თავის წრეში იყო ჩაკეტილი და შანსი არ იყო, სადმე შეგეღწია. თუ არ ევასებოდი, ახლოსაც არ გაგიკარებდნენ. მე კიდე მცხვენოდა მეთქვა უარი და ყველგან მივდიოდი, სადაც კი დამიძახებდნენ. საერთოდ არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ძაან ბანძი სკოლა იყო. დამიჯერე.“ არაფერი უთქვამს, ოღონდ მისმენდა კი. ყურადღებით. ზურგი ქონდა შექცეული, მაგრამ ვატყობდი, მისმენდა. ყოველთვის ყურადღებით გისმენს ხოლმე, როცა გინდა რამე უთხრა და ბოიშვილი ვიყო — ნახევარზე მეტჯერ ნაღდად ესმის კიდეც, რის თქმაც გინდა.

მე კიდე პენსის სკოლაზე ვუყვებოდი, თითქოსდა რამე მაიძულებდა: „ერთი-ორი წესიერი მასწავლებელიც გვყავდა, მთლად ეგრეც არ იყო, ოღონდ სიმართლე გითხრა, ეგენიც კარგი ნაჭრები იყვნენ. ერთი მოხუცი ვინმე იყო, გვარად სპენსერი — ეგა და მისი ცოლი ყოველთვის ცხელი შოკოლადით გვიმასპინძლებოდნენ ხოლმე და რამე, მაგრამ ერთი გენახა, დირექტორი რო შემოვიდა მასთან ისტორიის გაკვეთილზე და ბოლო მერხზე წამოგვიჯდა. ეგრე იცოდა ხოლმე — შევიდოდა ვინმეს კლასში შუა გაკვეთილზე და ვითომც იქ არა ვარო. ოღონდ მერე აუცილებლად ჩაეჩრებოდა რაღაც შეკითხვებით და თავისი ჭკუით მოხუც სპენსერს იგდებდა მასხრად. ის კიდე ვითომ კვდებოდა სიცილით მის უკბილო ხუმრობებზე და რამე.“

„კარგი ერთი...“

„გეუბნები, ეგრე იყო. მერე კიდე, ის რაღაც „ვეტერანების დღე“ რო აქვთ ამოჩემებული და შეიკრიბებიან ხოლმე — 1776

წლიდან თუკი ვინმეს დაუმთავრებია პენსი და კიდე ცოცხალია, შეუძლიათ ოჯახებიანად ჩამოვიდნენ და იბოდილონ იქ. უნდა გენახა, ერთი ეგეთი ბიძა რო შემობლაყუნდა ჩვენს კლასში და გვეკითხება, ტუალეტში შესვლა თუ შეიძლებაო. ნახა რა, ვისთვის ეკითხა. და იცი, რად უნდოდა? ჩემი ინიციალები რო ამოვჭერი ერთ-ერთი ფეხსადგილის კარზე, მინდა ჩემი თვალით ვნახო, კიდე თუა ზედო. ამისთვის მიგვაცილებინა თავი ტუალეტამდე და მერე იქ ეძებდა იმ ნახევარი საუკუნის წინ ამოჩხაპნილ ამ თავის იდიოტობას და თან აქეთ გვარიგებდა ჭკუას — რა პატივი იყო თურმე პენსიში სწავლა და თვითონ რა ბედნიერი იყო აქ თავის დროზე და კიდე ბრძნულზე-ბრძნული რჩევებიც ჩამოგვირიგა მომავლისათვის. ლამის იყო, ცუდად გავხდი. არა, ცუდი ტიპი კი არ იყო და რამე — ოღონდ სულაც არაა საჭირო მაინცდამაინც ცუდი ვინმე იყო რო ჭკუიდან გადაიყვანო კაცი. გააკეთებ ეგეთ რამეს, დაარიგებ ჭკუას და მორჩა — იმდენს არიგებ, თავისთვის აღარ გრჩება. თან ისე ქოშინებდა, ასთმატიკივით, ქოშინებდა და თან ლაქლაქებდა. თურმე ყველაფერი ჯერ წინ გვექონია — მასავით. ღმერთო ჩემო, ფიბი — ამას ვერც აგისხნი, უბრალოდ, არაფერი, საერთოდ არაფერი არ მომწონდა იმ პენსიში. აი, ამას ვერ აგისხნი. მერე ფიბიმ რაღაცა კი მითხრა, ოღონდ ვერ გავიგონე. თავი ისევ ბალიშიში ქონდა ჩარგული და ვერ გავარჩიე.

„რა თქვი?“ — ვეკითხები. — „აქეთ მოტრიალდი, ეგრე არაფერი მესმის.“

„შენ საერთოდ არაფერი არ მოგწონს...“

ამან უფრო მომიშხამა გუნება.

„ეგ საიდანღა მოიტანე? ვითომ რატომ არაფერი?“

„იმიტომ. ეგრეა. არც ერთი სკოლა არ მოგწონს და არც არაფერი. მილიონი რამე არ მოგწონს.“

„ფიბი, გეშლება! რამდენი რამეა...“

„ერთი მაინც დამისახელე.“

„ერთი რამე? კი ბატონო, ახლავე.“

ოღონდ ახლა გონების მოკრებას და რამეს გახსენებას ველარ ვახერხებდი. მემართება ხოლმე.

„ერთი რამე, რაც ძალიან მომწონს?“ — ვეკითხები.

პასუხი არ გაუცია. უკარება სახით იჭდა ლოგინზე და ძალიან, ძალიან შორს იყო ჩემგან.

„კარგი რა, მიპასუხე — ერთი რამე რაც ძალიან მომწონს თუ უბრალოდ, რაც მომწონს?“

„რაც ძალიან მოგწონს.“

„კი ბატონო,“ — ვეუბნები, — „ახლავე.“ ოღონდ არაფერი გამომივიდა. ვერაფერი მოვიგონე იმ ორი მონაზვნის გარდა, შემოსაწირავს რო აგროვებდნენ მოწნულ კალათში. განსაკუთრებით იმ სათვალეებიანის სახე არ ამომდიოდა თავიდან. და კიდე ის ბიჭი ელკტონ-ჰილზიდან, ჯეიმზ კასლი ერქვა, არაფრით რო არ მიქონდა უკან თავისი სიტყვა. იმ ჯეიმზ კასლმა თქვა, ფილ სტე-ბაილი დიდი გაბრექილი ვინმეაო. იმას კიდე ვილაცამ წამსვე მიუტანა ენა და ექვსი თუ შვიდი ძალღიშვილი თავზე დაადგა ჯეიმზ კასლს, კარი შიგნიდან ჩარაბეს და საკუთარი ნათქვამის უკან წაღება მოთხოვეს. ის კიდე უარზე დადგა. მაგრა მისდგნენ — რა არ სცადეს, არაფერი გამოუვიდათ. არადა, ერთი განახათ, რა მასტი იყო — ერთი ჩხინკი ვინმე. ბოლოს კიდე იშვირა ფეხი და ფანჯრიდან გადახტა. საშხაპეში ვიყავი მაშინ, და იქაც კი გავიგე სხეულის დაცემის ხმა. მეგონა რაღაცა გადმოაგდეს-მეთქი, ვინმე თუ გადმოხტებოდა, რას ვიფიქრებდი. მერე გავიგონე როგორ ჩარბოდა ყველა ეზოში, მეც ხალათში გავყავი ხელი და გავვარდი, და ვნახე როგორ იწვა ჯეიმზ კასლი ქვის ფილებზე, მოკრუნჩხული. მკვდარი იყო, რაღა თქმა უნდა და გარშემო სულ სისხლი და მისი გამომტვრეული კბილები ეყარა და კაციშვილს არ უნდოდა მიახლოება. ის ყელიანი სვიტრი ეცვა, მე რო ვათხოვე. ის ბიჭები კი გარიცხეს, ეგ იყო და ეგ. ციხეზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

აი, ამათ გარდა თავში არავინ მომდიოდა-მეთქი, ხო გითხარით. ორი მონაზონი და ეგ ჯეიმზ კასლი ელკტონ-ჰილზიდან. მაგასაც ხო არ ვიცნობდი ხეირიანად — ერთ კლასში ვიყავით, ოღონდ ეგ მეორე მხარეს იჯდა, და არც თავს არასოდეს იღებდა დაფასთან გამოსვლით ან რამე. ერთადერთი ეგ იყო, მთხოვა — ყელიანი სვიტრი მათხოვე რამდენიმე დღითო. ყურებს არ დავუჯერე, რო მითხრა. მაგრა გამიკვირდა. მერე ამიხსნა — ჩემს ბიძაშვილს მივყავარ მანქანით, ქალაქგარეთ გასასეირნებლადო. ისიც კი არ ვიცოდი საიდან შეიტყო, ყელიანი სვიტრი რო მქონდა. იმ წელს არც კი მცმია. მისი კიდე მარტო ის ვიცოდი; ჩემ წინ რო იყო სიაში: კეიბლი, კასლი, კოლფილდი — აქამდე მახსოვს. ლამის იყო, უარი მეთქვა. საერთოდ არ ვიცნობდი.

„რა თქვი?“ — ფიბის ვეკითხები. რაღაცას მეუბნებოდა, ვერ ჩავერთე.

„ერთიც კი ვერ გაიხსენე...“

„დამაცა, ახლავე.“

„მიდი მერე, რაღას უცდი.“

„ელი მიყვარს,“ — ვეუბნები. — „და კიდე ის მიყვარს, შენთან ასე რო ჩამოვვდები ხოლმე ლოგინზე. და რო ვლაპარაკობთ რაღაცეებს...“

„ელი მკვდარია! თვითონ არ გაიძახი ხოლმე — ელი მკვდარია და მორჩაო! მე კიდე გეუბნები, თუ ვინმე აღარ არის ჩვენთან და სამოთხეშია, მაშინ...“

„მეც ვიცი რო მკვდარია! მერე რა — გგონია, ამიტო აღარ მიყვარს? ვიღაც რო აღარ არის შენთან, ეს კიდე იმას არ ნიშნავს, უცბად გაგიქრეს გრძნობა — მით უმეტეს, თუ ის ვიღაც ცოცხლად დარჩენილებზე ათასჯერ უკეთესი ვინმე იყო...“

ფიბის ამაზე არაფერი უთქვამს, აღარ შემპასუხებია. როცა არ იცის რა გიპასუხოს, ტყუილად სიტყვასაც არ დაძრავს ხოლმე. „ასე თუ ისე, ახლა ხომ მიყვარს.“ — ვეუბნები ისევ. — „აი, ახლა, ამ წუთს,

როცა ჩვენ ორნი ვზივართ და რალაცაზე ვბაზრობთ...” „ეს ნამდვილი გრძნობა არაა!”

„ნამდვილია, ნამდვილი. დამიჯერე. ეს ხალხს გონია ასე, მათთვის არაფერია ნამდვილი. ძალლი მიაკვდათ სულში.”

„ნუ ილანძლები, თუ შეიძლებოდეს. კარგი, რამე სხვა დამისახელე. აი, რაც მოგწონს. რაც გინდა რომ იყო. ან მეცნიერი, ან ვექილი, ან რამე...”

„მეცნიერი ჩემგან ვერ გამოვა. მაგაში არ ვვარგოვარ.”

„კარგი, მაშინ ვექილი? აი, როგორც მამა.”

„მაგას კიდე არა უშავს,” — ვეუბნები. — „ოღონდ რა საჩემო საქმეა. კი ბატონო, ვილაც უდანაშაულოდ ბრალდებულს გაამართლებინებ ხოლმე და რამე ეგეთები, ოღონდ ეგეთ რამეს მარტო კინოში აკეთებენ. ცხოვრებაში კი — ფულს. და კიდე გოლფს თამაშობენ და ბრიჯს და მარტინის ყლურწავენ და მანქანებს ყიდულობენ ყოველ ორ წელიწადში ახალს... და რო მოახერხო კიდეც ვინმეს გადარჩენა, რა გარანტია გაქ რო სწორედ მაგიტო არ აკეთებ — აი იმიტო, ბოლოს რო ყველამ ტაში დაგიკრას და მხარზე ხელი გიტყაპუნოს და გილოცავდნენ პროცესის მერე და რეპორტიორები გარშემო და მთელი ამბავი, როგორც იმ კინოებშია? რა იცი რო საკუთარ თავს არ ატყუებ? რით მიხვდები? ვერაფრით.”

აზრზე არა ვარ, გაიგო თუ არა ფიბიმ რამე მთელი ამ ჩემი ნაბოდიხლებიდან — ბოლო-ბოლო, ჯერ სულ ბავშვია. ოღონდ მისმენდა კია. ეგეც ხეირია, როცა ვილაცა მართლა გისმენს. „მოგკლავს მამა.” — ბოლოს გაიმეორა ისევ. — „ნაღდად მოგკლავს.”

მე კიდე ახლა უკვე სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი. „იცი ვინ მინდა ვიყო? აი, მართლა ჩემი ნება რა იყოს...”

„მაინც ვინა?” — მეკითხება.

„აი ის სიმღერა არ გაგიგია — ვინმემ ვინმეს თუ ჩაავლო ჭვავის ყანაში... მინდა...”

„ეგრე არაა! თუკი ვინმე ვინმეს შეხვდა ჭვავის ყანაში... — ეგრეა! და თან ლექსია. რობერტ ბერნსის. შოტლანდიელი იყო.“ მართალს კი ამბობდა, ხომ იცით. სიმღერა ბერნსის ლექსზე იყო დაწერილი, ოლონდ ლექსში მართლა უცაბედ შეხვედრამზე იყო ლაპარაკი. ოლონდ ადრე მაგისტვის არც მიმიქცევია ყურადღება.

„მე კიდე მეგონა რო ბიჭს გოგო უნდა დაეჭირა.“ — ვეუბნები. — „წარმოვიდგენდი ხოლმე რო ათასობით ბავშვი თამაშობს ჭვავის ყანაში, ერთმანეთს დასდევენ და არც ერთი უფროსი ვინმე მათთან არაა, მართო მე ვარ იქ და ყანის მიჯნაზე, ზედ კლდის პირას ვდგავარ. იქით კიდე უფსკრულია. მთელი ჩემი საქმეც ეგ არი — რომელიმე ბავშვი რო იქით გაიქცევა, უფსკრულისაკენ, დროზე უნდა ჩავაგლო ხელი და არ გავუშვა. ეგაა მთელი ჩემი საქმე — დამტყუად ვშუშაობ ჭვავის ყანაში. აი ეგ მინდა რო ვიყო. ვაფრენ, ხო იცი.“ ფიბის კარგა ხანს ხმა არ გაუღია. მერე მართო ისლა თქვა, ისევ: „მოგკლავს მამაშენი.“

„ახლა ეგ მაძარდე,“ — ვეუბნები. წამოვდექი. უცბად გადავწყვიტე, ჩემი ინგლისურის მასწავლებლისთვის დამერეკა — ხო გითხარით, ელკტონ-ჰილზში რო მყავდა, მისტერ ანტოლინი. ახლა ნიუ-იორკში სახლობდა. შეეშვა ელკტონ-ჰილზს. N.Y.U.-ში გადავიდა. „დასარეკი მაქ ერთ ადგილას.“ — ფიბის ვეუბნები. — „წუთის საქმეა, ახლავე დავბრუნდები. არ ჩაგეძინოს.“ — რა დააძინებდა, მაგრამ მაინც ვუთხარი, ყოველი შემთხვევისათვის.

კართან რო მივედი, მაშინლა მომაძახა — „ჰოლდი!“ ლოგინზე იყო წამომჯდარი, ისე საყვარლად გამოიყურებოდა, რო რა გითხრათ. „ერთი გოგო გყავს კლასში, ფილის მარგულისი — ნახე როგორი დასტვენა მასწავლა!“

დავაყურადე, ოლონდ ბევრი ვერაფერი გავიგონე. „კარგია,“ — ვეუბნები. — „ოლონდ ჯერ კიდე უნდა ივარჯიშო.“ მერე სასტუმრო ოთახში გავედი და ბ-ნ ანტოლინის ნომერი ავკრიფე.

ვჩქარობდი — მაინც მეშინოდა, ჩვენებს არ შემოეღოთ კარი შუა რეკვამში. ბატონი ანტოლინი ძაან კეთილგანწყობილი დამიხვდა. თუ გინდა, ახლავე მესტუმრეო, გამომიხვდა. ეჭვი კი მქონდა, ისა და მისი ცოლიც გავაღვიძე, რადგან კარგა ხანს არ იღებდა ყურმილს. ოღონდ ჯერ ის მკითხა, ხო მშვიდობააო. კი-მეთქი, ვუთხარი. თუმცა პენსიდან ჩემი გამოგდების ამბავიც არ დამიმალავს. ვიფიქრე, რაზე მოვატყუო-მეთქი. „ღმერთო მაღალო!“ — მარტო ესა თქვა. იუმორის გრძნობა ქონდა, ვერაფერს იტყვი. მითხრა, თუ სურვილი გაქვს, მესტუმრეო.

ეს მისტერ ანტოლინი საუკეთესო მასწავლებელი იყო, ვინც კი ოდესმე მყოლია. რა გგონიათ — ახალგაზრდა იყო, ჩემ ძმა დიბიზე სულ ცოტათი უფროსი. მასთან შეხუმრებულის კი შეიძლება ბოდა ყოფილიყავი და რამე — ამით არაფერი ეკარგებოდა. სწორედ ეგ იყო, ბოლოს იმ ფანჯრიდან გადმომხტარი ჯეიმზ კასლის გვამს რო მიხედა. ჯერ მაჯისცემა გაუსინჯა ყოველი შემთხვევისათვის, მერე საკუთარი პალტო გადააფარა და ნეშტიც თვითონ წაიღო სამედიცინო განყოფილებაში. პალტოს გაფუჭებაზე ფიქრიც არ გაუვლია თავში.

როცა ოთახში დავბრუნდი, ვხედავ — ფიბის რადიო ჩაურთავს რაღაც საცეკვაო მუსიკას გადმოცემდნენ. დაბალ ხმაზე დაეყენებინა — ემანდ მოახლემ არ გაიგოსო. ერთი გენახათ, ფეხმორთხმით იჭდა ლოგინზე, იოგივით და მუსიკას უსმენდა. თავდავიწყებით, შეიძლება ითქვას. აი ეგ მთიშავს ხოლმე.

„მოდი, გაცეკვებ.“ — ვეუბნები. სულ პატარა იყო, ცეკვას რო ვასწავლიდი. მშვენივრად გამოსდიოდა. მე მარტო ვაჩვენებდი, რა უნდა ექნა და მერე თვითონ იმეორებდა, თავისით. შანსი არაა ვინმეს მართლა ასწავლო, როგორ იცეკვოს. ან შეუძლია, ან არა. „მაგ ფეხსაცმელებით აპირებ?“ — მეკითხება.

„არა, გავიხდი. მოდი-მოდი, ვნახოთ ერთი, რის მაქნისი ხარ.“ ლამის გადმოხტა ლოგინიდან და მიცდიდა, სანამ ფეხსაცმელებს გავიძრობდი. მერე ცოტა წავიცეკვეთ. მშვენივრად გამოსდიოდა, მართლა. საერთოდ კი ვერ ვიტან, როცა უფროსები ეცეკვებიან ბავშვებს, მაზალო სანახავია ხოლმე. აი, როცა რესტორანში ვინმე ბებრუხანა თავის შვილიშვილს გამოიყვანს საცეკვაო წრეზე — საშინელებაა. ეგეთი რამე არასოდეს მიქნია სადმე ხალხში ფიბისთან ერთად. მართლ სახლში, თუმცა მასთან მაინც ძაან სხვანაირად გამომდის, იმიტო რო მართლა ცეკვავს. ყველაფერში მოგყვება. თან ისე, რო ფეხების სიგრძე-სიმაღლეს უკვე მნიშვნელობა აღარცა აქვს. გრძნობ, რო შენ მოგყვება. რაც არ უნდა მოულოდნელი სვლები გააკეთო, ერთს არ წაიხისტებს, ცვილივით გემორჩილება. საქმე საქმეზე თუ მიდგა, ტანგოც კი გამოგივა მაგასთან.

ოთხი სხვადასხვა რამე ვიცეკვეთ. „ნომრებს“ შორის გაუნძრევლად ჩერდებოდა ხოლმე საწყის პოზიციაში, ორკესტრის ახალ შესვლას ელოდა. ამ დროს ვერც დაელაპარაკებოდი და ვერც ვერაფერი. ხმაც კი არ უნდა ამოგედო. სიცილი ხო — საერთოდ. აი, ამაზე ვითიშები.

მოკლედ, ოთხი ნომერი ვიცეკვეთ და მერე რადიო გამოვთიშე. ფიბი ისევ შეხტა ლოგინში, საბნის ქვეშ. „ხო მაგარი ვარ?“ — მეკითხება.

„კი, შენზე უარესს ნაღდად ჯობიხარ.“ — მეც მხარს ვუბამ. მერე მეც იქვე მივუჯექი, ლოგინის კიდეზე. სუნთქვა ცოტათი არეული მქონდა. სულ სიგარეტების ბრალია. მართლა მეტისმეტი მომდიოდა. ის კი იყო ჩიტივით.

„აბა ერთი შუბლი გამისინჯე,“ — მეუბნება უცებ.

„რატო?“

„ნახე, შენ თვითონ ნახე.“

შუბლზე დავადე ხელი. განსაკუთრებული ვერაფერი ვიგრძენი. „სიმხურვალეს ვერ გრძნობ?“ — მეკითხება.

„ვერა... რაო, ცხელი უნდა გქონდეს?“

„მაშ, ძალით ვაკეთებ ხოლმე. კიდე ცადე.“

ვცადე, ოღონდ ისევ ვერაფერი შევატყვე. „მგონი კი, გაგიცხელდასავით“ — იხტიბარი არ გავიტეხე. თანაც არ მინდოდა ახლა ამას გაჩენოდა ის არასრულფასოვნების კომპლექსია თუ რაღაც უბედურება.

თავი დამიქნია, ძაან-ძაან სერიოზული სახით. „რამე რო იყოს, შემიძლია თერმომეტრიც კი გავჭედო.“

„თერმომეტრს ვერ გაჭედავ. საიდან მოიტანე?“

„ელის ჰომბერგმა მაჩვენა ერთხელ. მუხლებზე უნდა დადგე, სუნთქვა შეიკრა და რამე ძალიან-ძალიან ცხელზე იფიქრო გუნებაში. ცხელ რადიატორზე ან რამე ეგეთზე. მერე ისე გაგიცხელდება შუბლი, შეიძლება ხელიც კი დაუწვა ვინმეს.“

აი ასე. არც მეტი, არც ნაკლები. სასწრაფოდ ხელი უკან წავიღე, ვითომ ყოველი შემთხვევისათვის. „კიდე კარგი, გამაფრთხილე.“ — ვეუბნები.

„არაა, შენ ხელს არ დაგიწვავდი! მანამდე შევწყვიტე, სანამ ძაან გაცხელ... — შ-შ-შ!“ — და უცბად ისე წამოხტა ფეხზე, დამაფეთა.

„რა ბზიკმა გიკბინა?“ — ვეკითხები.

„შემოსასვლელი კარის ხმაა!“ — ჩურჩულით მეუბნება. — „ჩვენები დაბრუნდნენ!“

მაგიდას ვეცი და სანათი გამოვრთე, სიგარეტი კიდე ფეხსაცმლის ლანჩაზე ჩავიქრე და ნამწვს ჯიბეში ვუკარი თავი. მერე ხელების ქნევას მოვყევი რო როგორმე ბოლი მაინც გამეფანტა ოთახში. ან საერთოდ რა ძალა მადგა, აქ რო ვეწეოდი... მერე ფეხსაცმელებით ხელში კარადაში შევიმალე და კარი მოვიხურე. გულს სულ ბაგაბუგი გაუდიოდა.

გავიგონე, დედაჩემი რომ შემოვიდა ოთახში.

„ფიბი? მორჩი თვალთმაქცობას! სინათლე გენტოთ, ქალბატონო, ვერ მომატყუებთ.“

„არ მეძინებოდა, დე! კარგი დრო ატარეთ?“ — ფიბი ეკითხება, ვითომც აქ არაფერიო.

„მშვენიერი.“ — ოლონდ ვატყობ, ისე ეუბნება, გულსგარეთ. რახანია, სტუმრად სიარული აღარ ეხალისება ხოლმე. — „შენ რატომ არ გძინავს? ხომ არ შეგამცივნა?“

„არა, დე! უბრალოდ არ მეძინებოდა.“

„ფიბი, არ მითხრა ახლა, სიგარეტს ვეწეოდიო! აბა ერთი სიმართლე მითხარი!“

„რაა?!“ — ფიბი ეკითხება, ძაან გულუბრყვილო ხმით.

„მშვენივრად გაიგონე, რაც გითხარი.“

„მარტო ერთი წამით ავანთე. ერთი გავაფუილე და მორჩა. მერე ფანჯრიდან მოვისროლე.“

„და რა ძალა გადგა, ვერ მეტყვი?“

„მაინტერესებდა. თან ვერც ვიძინებდი.“

„ძალიან ცუდი, ფიბი. ახლა შენც დამიწყე ეგეთები... მეორე საბანო არ გინდა გადაგაფარო?“

„არა, დე, გმადლობთ. ღამე მშვიდობისა.“ — აშკარად ცდილობდა, როგორმე ოთახიდან გაესტუმრებინა დედაჩემი.

„ფილმი თუ ვარგოდა რამედ?“ — დედა ეკითხება.

„ძალიან კარგი იყო. ელისის დედას თუ არ ჩავთვლით. მთელი კინო იმას ეჩიჩინებოდა, გრიპი ხო არ გჭირსო. ტვინი წაიღო. უკან ტაქსით მომიყვანეს.“

„ერთი შენი შუბლიც მაჩვენე.“

„არაფერი მჭირს და არც ელისს ჭირს არაფერი. სულ დედამისის მოჩვენებებია.“

„კარგი, დაიძინე ახლა. ვახშამი როგორი იყო?“

„უვარგისი.“

„ვითომ რატომ, ქალბატონო? ხბოს ხორცის გულისთვის ლექსინგტონ-ავენიუმდე გავედი ფეხით...”

„ხბოს ხორცს არა უშავდა, ოღონდ ის ჩვენი შარლინი სულ კისერში მასუნთქებს ხოლმე, საჭმელს როცა მიდებს. დათვივით ქშინავს.”

„კარგი, მორჩი ახლა. დაიძინე. ოღონდ ერთი მაკოცე ძილის წინ... ჰო, ლოცვა თუ წაიკითხე?”

„კი, აბაზანაში. ღამე მშვიდობისა.”

„კარგი ბატონო, დაიძინე. თავი მისკდება.” — თქვა დედამ. ბოლო დროს თავის ტკივილები დასჩემდა. მართლა, არ იგონებს. „ასპირინი დაგელია.” — ფიბი ეუბნება. — „ოთხშაბათს ჰოლდენი ჩამოდის, არა დე?”

„თითქოს კი. ახლა დახუჭე თვალები და დაიძინე.”

გავიგონე, დედაჩემი რო გავიდა და კარიც გაიხურა. ორიოდ წუთი მაინც შევიცადე და მერეღა გამოვედი ჩემი სამალავიდან. გამოვედი და ზედ ფიბის შევეჯახე, იმიტო რო უკუნეთი სიბნელე იდგა და ის კიდე ლოგინიდან წამომხტარიყო და ჩემთან მოდიოდა, ამბის სათქმელად.

„გატკინე?” — ვეკითხები ჩურჩულით. — „ახლა უნდა მოგტყდე.” ლოგინის კიდეს მოვუფათურე ხელი, ჩამოვჯექი და ფეხსაცმელების ჩაცმა დავიწყე. ძაან კი ვნერვიულობდი, სიმართლე ვითხრათ.

„ჯერ ნუ წახვალ,” — ფიბი მეუბნება. — „დაუცადე, სანამ დაიძინებენ.”

„არა, ახლა ჯობია.” — ვპასუხობ. — „დედა სააბაზანოში იქნება და მამა კიდე ან ახალ ამბებს ჩართავდა ან რამე ეგეთი. ახლა ჯობია.” თასმები ძლივს შევიკარი, თითები ისე მიკანკალებდა. დიდი კი არაფერი, რა უნდა მომხდარიყო რო — მაგრამ მაინც ძაან არ მინდოდა ჩემი იქ ყოფნა გაეგოთ. „სად ჯანდაბაში ხარ?” — ფიბის ვეკითხები. ვერაფერს ვამჩნევდი იმ სიბნელეში.

„აქ.“ მთლად გვერდით მედგა თურმე.

„ჩანთები სადგურზე დავტოვე,“ — ვეუბნები. — „მისმინე, ფიბი, რამე ფული არა გაქ? მთლად ჯიბეგამოფხეკილი დავრჩი.“

„საშობაო საჩუქრებისთვის მაქ. ჯერ არაფერი მიყიდია.“

ეგ აღარ მომეწონა. მაგ ფულის გამორთმევა სულ არ მინდოდა. „გინდა მოგცე?“ — მეკითხება.

„მაგ ფულს ვერ ავიღებ,“ — ვეუბნები „სულ კი არ მოგცემ,“ — მეუბნება. მერე მესმის, როგორ იჩხრიკება მაგიდის უჯრებში. „თუ წახვალ, წარმოდგენას როგორღა დაესწრები?“ — მეუბნება. რაღაც უცნაური ხმა ქონდა, ამას რო მეკითხებოდა. .

„შენ დარდი გაუშვი, მოვალ. სანამ არ გნახავ, არსად წამსვლელი არა ვარ. მაგას გავაცდენ?“ — ვეუბნები. — „აღბათ მისტერ ანტონისთან შევრჩები სამშაბათ საღამომდე. მერე სახლში მოვალ. თუ მოვახერხებ, გადმოგირეკავ მანამდე.“

„გამომართვი,“ — მეუბნება. ცდილობს სიბნელეში ჩემი ხელი იპოვოს.

„დაიცა, ეგ რა ამბავია, ამდენი არ მინდა.“ — ვეუბნები. — „ორი დოლარიც მეყოფა. მართალს გეუბნები.“ — თან ვცდილობ ზედმეტი ფული უკან დავუბრუნო, მაგრამ უარზეა.

„აიღე, აიღე. მერე გადამიხდი. სპექტაკლის მერე.“

„რამდენს მაძლევ, ვიცოდე მაინც.“

„მანდ რვა დოლარი და ოთხმოცდახუთი ცენტი უნდა იყოს.

არა, სამოცდახუთი — ცოტა შემომხეხარჯა.“

და აი აქ, სულ უცაბედად, ტირილი ამივარდა. თავს ვერაფერი მოვუხერხებ. ფიბის ლამის გული გავუხეთქე, მეცა და დამშვიდება დამიწყო, ოღონდ ასე ხო არაა, ორი კურცხალი გადმოაგდო კაცმა და უცებ გაჩერდე. ხელი მომხვია და მეც გადავეხვიე და ვისხედით ასე, ერთმანეთს გადახვეულები, ლოგინის კიდებზე და ვფშლუკუნებდი ბავშვივით. მაგრამ კი დავაფეთე საბრალო ფიბი. ფანჯარა ისევ ღია იყო და გააკანკალა, იმ თხელი მოკლესახელოებიანი პიჟამას მეტი

ხო არც არაფერი ეცვა. მინდოდა ისევ ლოგინში შემეწვინა, მაგრამ არ დამანება. ბოლო-ბოლო შევწყვიტე ცრემლების ღვრა, წამოვდექი და ქურთუკი შევიკარი. ვუთხარი, აუცილებლად დაგირეკავ-მეთქი. მეხვეწა, ჩემთან დარჩი, აქ დაიძინეო, მაგრამ უარი ვუთხარი. მისტერ ანტოლინი მელოდებამეთქი.

მერე ჩემი მონადირის ქუდი ამოვიღე და მივეცი. ჭკუას კარგავს ეგეთ რამეებზე. გამორთმევა არ უნდოდა, მაგრამ ძალით ჩავჩარე ხელებში. ნიძლავს ჩამოვალ, იმ ქუდით დაიძინებდა. ეცემა ეგეთ რამეებზე. მერე კიდე დავემშვიდობე და წამოვედი.

სახლიდან გასვლა ბევრად უფრო ადვილი იყო, ვიდრე შიგ შესვლა. ჯერ ეს ერთი, სულ აღარ მადარდებდა თუ გამიგებდა ვინმე. ვიფიქრე, ჩამავლებენ და ჩამავლონ-მეთქი. ყაბულს ვიყავი. კიბეები ჩავირბინე და უკანა გასასვლელიდან გავედი. კინალამ კისერი მოვიტეხე, ნაგვის ყუთებს რო წამოვედე, მაგრამ გადავრჩი. იმ ბიჭსაც არ გადავყრივარ. ალბათ დღესაც ასე გონია, დიკსტაინებთან შევრჩი სტუმრად.

ანტოლინების წყვილი ძაან მაგარ ბინაზე ცხოვრობდა — აი, ორი საფეხური რო უნდა აიარო სასტუმრო ოთახში მოსახვედრად და ცალკე ბარი რო აქვთ მოწყობილი და რამე. თან რამდენჯერმე ვარ იქ ნამყოფი — ელკტონ-ჰილზიდან რო წამოვედი, მისტერ ანტოლინი რამდენჯერმე მოვიდა ჩვენსას, ჩემი ამბების გასაგებად და სადილადაც რჩებოდა. მაშინ ცოლი არ ყავდა. მერე, როცა დაქორწინდა, ერთად დავდიოდით უესტ-საიდის საჩოგბურთო კლუბში, ლონგ-აილენდზე. მისი ანტოლინი იყო იმ კლუბის წევრი. მ-რ ანტოლინიზე ბევრად ხნიერი იყო, მაგრამ მშვენივრად ეწყობოდნენ ერთმანეთს. ორივენი ისეთები იყვნენ, აი — ინტელექტუალებს რო უწოდებენ ხოლმე. თუმცა საუბარში მ-რ ანტოლინი უფრო გონებამახვილი იყო ხოლმე. სადღაც ჩემ ძმა დიბის მაგონებდა. მის ცოლს კი უფრო სერიოზულად ეჭირა თავი. თან ასთმაც აწუხებდა და შეიძლება სულაც იმიტომ. დიბის ყველა მოთხრობა წაკითხული ქონდათ და როცა ის ჰოლივუდს გაემგზავრა, მ-რ ანტოლინიმ დაურეკა და ურჩია, შეეშვი მაგ გლახა საქმესო. მაინც არ დაუჯერა. მ-რ ანტოლინი კიდევ იძახდა, ვისაც დიბივით წერა შეუძლია, იმას ჰოლივუდში არაფერი ესაქმებაო. მეც მაგას ვეუბნებოდი... რა მერე. კი ჯობდა ფეხით წავსულიყავი, ფიბის საშობაო ფული რო სულ არ დამეხარჯა, მაგრამ რაღაც ისე ვგრძნობდი თავს, გაბრუებულებით და ტაქსი გავაჩერე, რა მექნა. კარგა ხანს კი მომიწია ცდა. კარი თავად მისტერ ანტოლინიმ გამიღო, თუმცა მანამდე კარისკაცს ძლივს შევაშვებინე თავი. გვიანიაო — გაიძახოდა. ნეტა რა მაგის საქმე იყო. ჩემი ყოფილი მასწავლებელი ხალათსა და ფლოსტებში გამოწყობილი დამიხვდა, ჭიქით ხელში. საერთოდ, გვარიანი მსმელი იყო, უნდა გითხრათ. „ჰოლდენ! მშვენივრად კი გამოიყურები — თან ერთი ოცი სანტიმეტრით მაინც გაზრდილხარ.“

„როგორ გიკითხობთ, მისტერ ანტოლინი? მეუღლე როგორ გყავთ?“

„ვართ, რა! ქურთუკი აქ მომე.“ — ჩამომართვა და იქვე ჩამოკიდა. — „ცალ ხელში ჩვილი ბავშვი, მეორე სამათხოვროდ გაწვდილი და წამწამებზე ფიფქი ნაღდი საშობაო სურათი იქნებოდი, ღმერთმანი!“ ზოგჯერ ძაან ჩახუჭუჭებული იუმორი აქ ხოლმე ბ-ნ ანტოლინის. მერე შეტრიალდა და სამზარეულოში გასძახა: „ლილიანი! ყავის საქმე როგორ იქნება?“ ლილიანი მეუღლეს ერქვა.

„მზადაა!“ — აქეთ გამოსძახა ცოლმა. — „ჰოლდენი მოვიდა? კარგი გამარჯობა შენი.“

„გაგიმარჯობთ, მისის ანტოლინი!“

სულ ასეთი გადაძახილ-გადმოდახილია მათ ბინაში, არასოდეს არ არიან ერთსა და იმავე ოთახში ერთდროულად. მაბალო ამბავია მათ თავს.

„დაჯე, ჰოლდენ.“ — მეუბნება ბატონი ანტოლინი. ეტყობა, რო უკვე ცოტათი ნაყლაპია. იქაურობა ისე გამოიყურება, თითქოს წვეულება ქონდათ და ახლახან გაესტუმრებინათ ხალხი. ყველგან ჭიქები ელაგა და მოხალულთხილიანი თევშები. „ცოტა დაულაგებელი კი ვართ, უნდა შეგვინდო. ჩემს ცოლს ძველმა მეგობრებმა შემოუარეს ბუფალოდან — ხარებივით კი სვამდნენ, ღმერთია მოწამე.“

გამეცინა. მისის ანტოლინი კი რაღაცას გამომძახოდა სამზარეულოდან, ვერ გავიგონე. „რაო, რა მინდაო?“ — ვეკითხები ბ-ნ ანტოლინის.

„ასე თქვა, რო გავივლი, არ შემომხედოთო... ეს-ესაა ლოგინიდან ადგა. სიგარეტი არ გინდა? ხო ეწევი, ასე მახსოვს?“ „გმადლობთ.“ — ვეუბნები, თან შემოთავაზებულ სიგარეტს ვიღებ ხის ყუთიდან. — „ისე, შიგადაშიგ. ქეში მწეველი ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი“ „ერთბაშად არ დაგიჯერო.“ — მეუბნება. მერე თავის სანთე-

ბელადან მიკიდებს. — „მაშ ასე, შენ და პენსი ვერაფრით შეეწყვეთ, ასე გამოდის.“ სულ ეგეთი უცნაური ლაპარაკი იცოდა. ხანდახან კარგად გამოსდიოდა, ხანაც ძაან გადაამლაშებდა ხოლმე. დიბისაც ასე მოსდიოდა, მახსოვს.

„რა იყო პრობლემა?“ — მ-რ ანტოლინი მეკითხება ისევ. — „ინგლისურში როგორ მიგდიოდა საქმე? არ მითხრა, ინგლისურში ჩამჭრესო, თორემ კინწისკვრით გაგაგდებ გარეთ“.

„არც მთლად მასე იყო საქმე. წერაში ორად ორი თემა დავწერე სულ. ეგევ საკმარისი იყო. აი, ზეპირში კი ჩამჭრეს.“

„რატო, აღარ იტყვი?“

„აბა რა გითხრათ...“

ძაან მეზარებოდა ახლა ამაზე ქაქანი. ჯერ კიდე დაბამბურებული ვიყავი და ზედ თავის ტკივილიც დამერთო. ოღონდ ვატყობდი, მართლა აინტერესებდა ჩემი ამბავი. „ტვინი წაიღეს რაღაც ახალ-ახალი მეთოდებით. უნდა ადგე კლასში და სიტყვა წარმოთქვა. სრულიად მოუმზადებლად. და თუ ვინმე მოცემულ თემას ოღნავ მაინც გადაუხვევს, მთელი კლასი ერთხმად აძლევს შენიშვნას. და რაც უფრო ხმა-მალლა, მით უკეთესი. ორიანი მგლიჯეს.“ „რატო-მეთქი, გეკითხები.“

„რა ვიცი მე. ყელში ამომივიდა. და საერთოდ, როცა თემას გადაუხვევ, მაშინაა უფრო საინტერესო.“

„ესე იგი, ვილაც თუ სწორად და ზუსტად მიჰყვება სათქმელს, ეგ აღარ მოგწონს?“

„არა, ეგრე არა. აი, რო მიაკვდებიან ხოლმე რაღაც საკითხს და აქეთ-იქით გახედვაც აღარ უნდათ. არც ერთი საკითხი არ არსებობს ცალკე თავისთავად. ეგაა საქმე. მაღალი ნიშნები სულ იმათ ჩამოურიგეს, ვინც რაღაცა ერთი ამოიჩემა და იმაზე ლაქლაქებდა. იქ კიდე ერთი ბიჭი იყო, რიჩარდ კინსელა, როგორც კი ცოტა რაღაცის განვრცობას მონდომებდა, წამსვე მთელი კლასი ერთხმად აყვირდე-

ბოდა ხოლმე. ამაზრბენი იყო — თან ისე ნერვიულობდა, ტუჩები უთრთოდა და ესენი კიდე ყვირილს ტეხდნენ. ფაქტიურად, ისიც ჩავარდა. თუ ჩააგდეს. მე კიდე მისი მოსმენა უფრო მინდოდა ხოლმე, ვიდრე ნებისმიერი სხვისი. ერთხელაც მამამისის ფერმაზე ყვებოდა და ნუ იტყვით, თურმე იმ ცხოველების და ბოსტნეულის სახეობები არ ჩამოუთვლია, ფერმაში რო იზრდება! კიდე იმაზე ყვებოდა, ბიძამისისგან რომ მიიღეს წერილი — ბიძამისს პოლიომიელიტი დამართნია ორმოცდაორი წლის ასაკში და საავადმყოფოში არავის უშვებდა მოსანახულებლად, არ უნდოდა მისიანებს რკინის კორსეტში ჩასმული ენახათ. თითქოსდა ფერმასთან მართლა რა კავშირი აქვს, ოღონდ ვარგად კი ყვებოდა. საერთოდ, ძალიანაც კარგი მგონია, როცა მამის ფერმაზე იწყებ ლაპარაკს და მერე იმაზე გადადიხარ, დედაშენი როგორ კითხულობს ძმის წერილს. ამ დროს კიდე მთელი კლასი ყვირილს იწყებს — თემას გადაუხვიეო! არ ვიცი, ჩემთვის გაუგებარია.” ვაცმა რომ თქვას, ახლა დიდად ამაში გარკვევაც არ მინდოდა, თავი მტკიოდა. ერთი სული მქონდა, ქ-ნი ანტოლინი როდის გვაღირსებდა ფინჯან ყავას. აი, ეს მთიშავს — როცა ვინმე გეტყვის, ყავა მზადააო და მერე ნახევარი საათი გალოდინებს.

„ჰოლდენ, ე-ე... ერთი პატარა, მაგრამ არცთუ უმნიშვნელო მეთოდოლოგიური შეკითხვა: არ გგონია, რომ ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს? თუ ვაცი მამისეული ფერმის თაობაზე იწყებს ლაპარაკს, ბიძამისის კორსეტზე არ უნდა გადახტეს, და თუ ეს რკინის კორსეტი ასე მნიშვნელოვანია, თავიდანვე ეგ აელო თემად, არ ჯობდა?”

ახლა დისკუსიის თავი ნაღდად არ მქონდა — ყველაფერ სიკეთესთან ერთად მგონი მუცლის გვრემაც მეწყებოდა.

„რა ვიცი, აბა. იქნებ მართალიც ხართ. ალბათ ეგრე აჯობებდა. ოღონდ სანამ თავად მოყოლას არ დაიწყებ, რა იცი რომელი დეტალია მოსაყოლად უფრო საინტერესო? ხანდახან თავისით

ხდება — ერთზე იწყებ და მეორეზე კი გადადიხარ. ყოველ შემთხვევაში, როცა ვინმე მართლა იჩენს ინტერესს და მთელი გატაცებით) ყვება და ამ დროს უყვირი და აწყვეტინებ მაგის მოყოლაზე არ შევთანხმებულვართო — ვარგა ეს? მასწავლებელიც კიდე — ვინსონია გვარად — სულ ერთსა და იმავეს გაიძახის — ეს გააერთიანე, ის გაამარტივე... უამრავი რამეა, რასაც ვერც გააერთიანებ და ვერც გაამარტივებ. ეს ვინსონი თითქოს ცუდი ვინმე არაა, მაგრამ რად გინდა — თავისას მიერეკება...”

„ყავა, ბატონებო!“ — როგორც იქნა, გვადირსა ქალბატონმა ანტოლინიმ. დიდი ლანგარი ეჭირა ხელში, ყავის ფინჯნებით და რაღაცა ბისკვიტებით და მთელი ამბავი. „არც კი გამოიხედო ჩემკენ, ჰოლდენ! წუთი დრო არ მქონდა თავის მოსაწესრიგებლად.“

„გამარჯობათ, მისის ანტოლინი,“ — ვეუბნები. წამოდგომაც კი დავაპირე, ოღონდ მ-რ ანტოლინიმ სახელოზე დამქაჩა და დამსვა. ქალბატონ ანტოლინის თმებში სულ ის ლითონის რაღაც სახვევები ქონდა გამოჩრილი, და არც პომადა ესვა და არც არაფერი. მაინცადამაინც კარგად მართლა ვერ გამოიყურებოდა. ასაკი თავისას შვება.

„აბა, მიხედეთ საქმეს.“ — ქ-ნი ანტოლინი გვეუბნება. თან ჭიქები მისწი-მოსწია და ლანგარი იქვე, პატარა მაგიდაზე დაასვენა. „დედა როგორაა, ჰოლდენ?“

„არა უშავს, გმადლობთ. ბოლო დროს იშვიათად კი ვნახულობთ ერთმანეთს, ოღონდ...“

„ჩემო კარგო, თუ რამე დაგჭირდეთ ჰოლდენისთვის, ყველაფერი თეთრეულის კარადაშია, ზედა თაროზე. მე დავწექი. ფეხზე ძლივს ვდგავარ.“ — მისის ანტოლინი ეუბნება ქმარს. მართლა გამოსავათებული ჩანდა. „ბიჭებო, ტახტს უჩემოდაც გაშლით.“ „ყველაფერს ვიზამთ. თავს მიხედე.“ — მ-რ ანტოლინი პასუხობს. მერე ცოლს კოცნის და ისიც გვემშვიდობება და საძინებელში გადის. სულ

ასე კოცნიან ხოლმე ერთმანეთს, წარამარა. ყავა მოვწრუბე და ბისკვიტსაც დავადე კბილი, ოღონდ მთლად ჩაქვავებულიყო. მისტერ ანტოლინის კი ჭიქა არ გაუშვია ხელიდან. თან ფერზე ვატყობდი, სულ ოდნავ იყო განზავებული. მაგან თუ ასე გააგრძელა, გალოთებამდე აღარაფერი უკლია-მეთქი, გავიფიქრე.

„ამას წინებებზე მამაშენს შევხვდი. ლანჩზე გავედით ერთად, იცოდი?“ — მეკითხება უცებ.

„არა, საიდან.“

„შენი ამბავი ადარდებს, ძალიან.“

„ეგ ვიცი, კი. — წერილი მიუღია შენი ბოლო სკოლის დირექტორისაგან. იწერებოდა, არაფრის გამკვეთებელი არაა, გაკვეთილებსაც აცდენსო.“ „ტყუილია. რას გააცდენ! ერთი-ორჯერ — აი იმ ზეპირი თემისა არ იყოს, ხომ მოგიყევით, ჩუმად ვიჯექი ჩემთვის. გაცდენით ერთიც არ გამიცდენია.“

ახლა მასთან კამათის თავი ნაღდად არ მქონდა. ყავამ ცოტა კი უშველა ჩემს მუცელს, ოღონდ თავი ისევ მტკიოდა.

მ-რ ანტოლინიმ ახალი სიგარეტი დააძრო კოლოფიდან. ორთქლმავალივით უქიშინებდა, ღმერთმანი. „სიმართლე გითხრა, წარმოდგენა არა მაქვს რა გირჩიო, ალაღაღ.“

„ვიცი, სერ. ჩემთან საერთოდ ძნელია ხოლმე ლაპარაკი. მესმის თქვენი.“

„ასე მგონია, თავად ითხრი შენთვის ორმოს... მისმენ?“ აშკარად ჩანდა, ცდილობდა გონება მოეკრიფა.

თავი დავუქნიე.

„ისე არ მოხდეს, ოცდაათი წლის ასაკში უკვე ბარიდან აღარ გამოდიოდე და ქვეყნად ველარავის იტანდე, ვინც კი ჯანმრთელად და ხალისიანად გამოიყურება. ან არადა რომელიმე უნივერსიტეტი დაამთავრო და უკვე დასანახად ველარ იტანდე იმ ხალხს, მთლად შენი მოსაწონი ინგლისურით ვინც არ მეტყველებს. ან სადმე ოფისში ჩარჩე კლერკად და მბეჭდავ გოგოებს

ესროდე ქალაღდის დასორსლილ ბურთულებს, ყურადღების მისაქცევად. არ ვიცი, გესმის თუ არა, რის თქმაც მინდა.”

„სავესებით.“ — მართლა აზრზე ვიყავი, ნამდვილად. — „ოღონდ ერთი გეშლებათ — მართლა ეგეთი კაცთმოძულეც არა ვარ. არც ისე ხშირად არი რო ვინმეს ვერ ვიტან. ისიც შიგადაშიგ წამომივლის ხოლმე. მერე მალეც გადამივლის. აი ის სტრადლეიტერი ავიღოთ, ან ეკლი — პენსიდან.. მაგათ ვერ ვიტან, ოღონდ სულ ხომ არა. რამდენიმე დღე თუ ვერსად მოვკარი თვალი, ბოღმაც მიქრება. თითქოს კიდევ მენატრებიან ხოლმე. ასე მგონია.“ მისტერ ანტოლინის კარგა ხანს ხმა არ გაულია. მერე ადგა, ყინულის ნატეხი ჩააგდო ჭიქაში და ისევ დაჯდა. ზედ ეტყობოდა, ტვინავდა რაღაცას. მერჩივნა მთელი ეს საუბარი დილით გაგვეგრძელებინა, მაგრამ იშტაზე იყო მოსული. ეგრეა ხოლმე, ხალხს მაშინ აუტყდება შენთან საუბარი, როცა ერთი სული გაქ, ბალიშზე დადო თავი. „კარგი ბატონო. ახლა მისმინე ერთ წუთს... ახლა ვინძლო მთლად ისე ვერ ჩამოვაყალიბო, როგორც მინდა, მაგრამ ერთ-ორ დღეში წერილობით მოგართმევ. ახლა მისმინე.“ და დაიწყო მარა რა დაიწყო: „ეგრე ხდება ხოლმე — კაცი თვითონ ითხრის საკუთარი კისრის მოსატეხ ორმოს. თან ვერც იგებს, როცა ფეხი წაუცდება. მერე კი ეცემა და ეცემა, სულ დაბლა და დაბლა. ეგ იმათ ემართებათ, მთელი ცხოვრება რომ რაღაცა ისეთი უნდათ, რაც მათ გარშემო სამყაროში არ მოიპოვება; ან თავად ჰგონიათ, რომ არ მოიპოვება. მერე ხელს ჩაიქნევენ და ძებნასაც წყვეტენ ხოლმე. ანუ დაწყებადღე აქვთ ხელი ჩაქნეული. გესმის ჩემი?“ „სავესებით, სერ.“

„ნაღდად?“

„კი, ნამდვილად.“

ადგა და კიდე ჩაისხა რაღაცა ჭიქაში. მერე ისევ სავარძელში მოიკალათა. ერთხანს იყუჩა.

„სულაც არ მინდა დაგაშინო,“ — მეუბნება მერე. — „ოღონდ კი ნათლად ვჭვრეტ, როგორ იღუპავ თავს მომავალში, სულ რაღაც

სრულიად უმნიშვნელო მიზეზისა გამო.” — მერე ისე შემომხედა, უცნაურად. — „ერთი რამე რომ დაგიწერო, ყურადღებით წაიკითხავ? დაიმახსოვრებ?”

„რა თქმა უნდა.” — ვეუბნები. პირობა შევუსრულე, ის ფურცელი ახლაც თანა მაქვს.

თავის საწერ მაგიდასთან მივიდა, ოთახის მეორე კუთხეები, (დო იქვე ფეხდგომელა დაწერა რაღაცა ქაღალდზე. მერე მობრუნდა და ისევ სავარძელში ჩაეშვა, ქაღალდი ხელში ეჭირა. „უცნაური კია, ოღონდ ეს პოეტის ნათქვამი არაა, ერთმა ფსიქონალიტიკოსმა თქვა, ვილჰელმ შტეკელი ერქვა. აი, ეგეთი რამ — ჰა, მისმენ?” „მთელი ყურადღებით, სერ.”

„ჰო, აი რა თქვა: ამაღლებული მიზნისთვის თავის დადება უმწიფარი კაცის ნიშანია, ხოლო იმავე მიზნისთვის მდაბლად ცხოვრება — ზრდასრულის.”

ჩემკენ გადმოიხარა და ფურცელი გადმომაწოდა. გადავიკითხე, მაღლობაც მოვახსენე და ჯიბეში მოვაყუჩე. მესიამოვნა, რა თქმა უნდა, ასე რო გამოიდო თავი, ოღონდ ახლა ამ სიბრძნეზე ტვინის ჭყლეტის არავითარი სურვილი არ მქონდა. მართლა გამოსავათებული გახლდით.

თავად კიდე ჩიტივით იყო. ალკოჰოლმა იცის ხოლმე ასე. ხასიათზე მოიყვანა. „მისმინე,” — მეუბნება ისევ. — „ამ დღეებში უნდა საბოლოოდ გადაწყვიტო, რა გზას ირჩევ. და მერე იმ გზას დაადგე, ოღონდ მაშინვე. წუთის დაკარგვის ნება არ უნდა მისცე ახლა თავს.”

თავი დაუუქნიე, რა თქმა უნდა — შიგ თვალეებში მომჩერებოდა და რა მექნა. ოღონდ რას ბაზრობდა, მაგას ველარ ჩაეწვდი. ზოგადად კი მესმოდა რას მიჩინებდა, ოღონდ ახლა მეტისმეტად დაღლილი ვიყავი მაგისთვის.

„და კიდე იცი რა გითხრა,” — მეუბნება, — „ძალიანაც არ მსიამოვნებს ამ რჩევის მოცემა, ოღონდ რა გზაც არ უნდა აირჩიო,

ჯერ სკოლა გაქვს დასამთავრებელი. მოგიწევს. მოგწონს-არმოგწონს, ეგრეა. და როცა მთელ ამ ბატონ ვაინსენებს და მათ ზეპირსიტყვიერებას...”

„ვინსონს,” — ვეუბნები. — „ვინსონია მისი გვარი.” რა ძალა მაღა, რაზე ვაწყვეტინებდი...

„ეგრე იყოს. დიდი ამბავი. მოკლედ, მთელ მაგ ვინსონებს რო დაუძვრები ხელიდან, მერე იმასაც მიხვდები, რომ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვისაც ადამიანურ ურთიერთობათა ბორკილებმა აუბნია თავგზა და აღარ იცის, საით წავიდეს. მიხვდები, რომ მართლ არა ხარ. უამრავ ვინმეს ისევე აწვალედა ზნეობრივი თუ სულიერი პრობლემები, როგორც შენ ახლა. ჩვენდა საბედნიეროდ, ზოგმა წერილობით აღნუსხა საკუთარი განცდები და შეგიძლია მათგან ისწავლო — თუ სურვილიც გექნა, რაღა თქმა უნდა. ისევე როგორც ერთ მშვენიერ დღეს ვიღაც სხვამ შეიძლება შენგან მიიღო რამე. ეს რაღაც დახმარების ხელის გაწვდენასავითაა — ოღონდ ეს სასკოლო განათლება არაა — ეს ისტორიაა, ან პოეზია.” შეჩერდა და გვარიანად მოყლურწა ჭიქაში ჩარჩენილი. მერე ისევ მომდგა. მაგრა უბერავდა ტრიბუნიდან. ჭკუა მეყო და ამჯერად მისთვის სიტყვის გაწყვეტინება აღარც მიცდია. „იმას კი არ გიჩიჩინებ, მხოლოდ ნასწავლ და განათლებულ ხალხს აქვს უნარი, რაღაც ფასეული მისცეს სამყაროს: არა, ეგრე არაა. უბრალოდ, ნასწავლ და თან შემოქმედ, კაცს შეუდარებლად მეტი შანსი აქვს რაიმე ღირებული დაუტოვო შთამომავლობას, ვინემ იმათ, ვინც მხოლოდ ნიჭიერია და შემოქმედების უნარის მქონე. პირველთ უფრო ნათლად და მიზანდასახულად შეუძლიათ საკუთარი ნააზრევის გადმოცემა, და საკუთარ გააზრებულ დებულებებსაც უმეტესად ბოლომდე მისდევენ. და რაც, ჩემის აზრით, უმთავრესია — ათიდან ცხრა შემთხვევაში მათ კაცთმოყვარეობაც მეტი ახასიათებთ... გესმის ჩემი?”

„დიახ, სერ.”

ისევ იყუჩა კარგა ხანს და მერეღა გააგრძელა. ოღონდ არ ვიცი, გამოგიცდიათ თუ არა რა ძნელია ვინმეს უსმენდე და თან ელოდო, როდის გატვინავს შემდეგ სათქმელს. იმასღა ვცდილობდი, როგორმე არ დამემთქნარებინა. კი არ მომბეზრდა მისი ლაპარაკი ან რამე — უბრალოდ, ძილს ძლივს ვართმევდი თავს.

„აკადემიური ნასწავლობა კიდე ერთ სიკეთეს მოგცემს: გარკვეული პერიოდის მერე თავად გააცნობიერებ საკუთარ შესაძლებლობებს — ანუ, რაა შენთვის მოსარგები და რა — არა; რა ტიპის აზროვნება გაქვს, რა მოსაზრებები შეგიძლია დაამუშავო. ბოლო და ბოლოს იმასაც გაიგებ, რაზე უბრალოდ არც კი უნდა დახარჯო დრო. შენი შესაძლებლობებიც გეცოდინება და გონებასაც მხოლოდ შესაბამის დატვირთვას მისცემ.“

და აი აქ კი, ანაზღადა, ერთი გემრიელად დავამთქნარე. ამისთანა უზრდელობა, ასეთ დროს, მეტი არ მომსვლია — მაგრამ თავი ვეღარ შევიკავე და რა მექნა!

მისტერ ანტოლინის კიდე სიცილი აუტყდა. „კარგი, გვეყოფა.“ — მეუბნება. — „წამო, ტახტზე გაგიშლი ლოგინს.“

უკან მივყევი და ვუყურებდი, როგორ ცდილობდა კარადის ზედა თაროდან ჩამოეღო ზეწარი და ბალიში და საბანი, როცა ცალ ხელში კიდე ის ჭიქა ეჭირა. მერე აზრზე მოვიდა, ჭიქა დაცალა, იატაკზე დადო და ისე მიხედა საქმეს. მერე კი ვიკადრე და ხელიც შევაშველე — ვერაფერი ლოგინის გამშლელი იყო, ზედ ეტყობოდა. ისე, ზრდილობის გამო, თორე საერთოდ არ მადარდებდა, რაზე დავიძინებდი. ისეთ დღეში ვიყავი უკვე, ფეხდგომელაჯ თანახმა გახლდით, ცხენივით. „ქალების საქმე როგორაა?“ — მეკითხება. მაინც საუბარი უნდა. სადა მაქ მაგის თავი.

„რა უჭირთ...“

„სალი რასა იქმს?“ — სალის იცნობდა. თვითონ გავაცანი. „კარგად გამოიყურება, ამ საღამოს შევხვდი. პაემანივით გვექონდა.“ — ღმერთო ჩემო, თითქოს საუკუნის წინ იყო ეგ ამბავი. — „ბევრი კი აღარაფერი დაგვრჩა საერთო.“

„მშვენიერი გოგოა. იმაზე რაღას მეტყვი — აი იმაზე, მეინში ყოფნისას მიყვებოდი, გახსოვს?“

„ეგ ისა — ჯეინ გელეხერი... რა უჭირს. იქნებ ხვალ გადავურევო.“ როგორც იქნა, ლოგინის გაშლასაც მოვრჩით. „აბა, შენ იცი.“ — ბატონი ანტოლინი მეუბნება. — „ოღონდ ამ შენს გრძელ ფეხებს რას უბამ, მოიჭრი?“

„არა უშავს, მოკლე საწოლებს მიჩვეული ვარ.“ — ვეუბნები. — „დიდი მადლობა, სერ. თქვენ და მისის ანტოლინიმ ნაღდად გადამარჩინეთ ამ ღამით.“

„აბაზანა ხო იცი, სადაა. თუ რამე დაგჭირდეს, შემომძახე. ცოტა ხანს კიდევ ვიბოდილალებ სამზარეულოში — სინათლე არ შეგაწუხებს?“ „არა, რას ბრძანებთ.“

„აბა ჰე. ძილი ნებისა.“

„ღამე მშვიდობისა, სერ. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა.“

მისტერ ანტოლინიმ სამზარეულოს მიაშურა, მე კიდევ აბაზანაში ვდურთე თავი. ოღონდ ვერც კბილებს გავიხეხავდი — ჯაგრისი მე არ მქონდა და არაფერი; ბ-ნ ანტოლინის არც თავისი პიჟამის თხოვება მოსვლია აზრად, ასე რომ უკან გამოვბრუნდი, მაგიდის ნათურა ჩავაქრე და ნიფხავის ამარა ჩავწექი ლოგინში. ტახტი მართლა ცოტა მოკლე აღმოჩნდა, მაგრამ ისეთ დღეში ვიყავი, სულ ქინძვე მეკიდა, ოღონდ კი დროზე მიმელულა თვალი. ერთი-ორი წუთი კიდევ ვცადე იმაზე მეფიქრა, რაზეც მისტერ ანტოლინი მელაპარაკებოდა — საკუთარი თავის პოვნაზე და რამე. ოღონდ მაღევე გავითიშე.

აი მერე კი ისეთი რამე მოხდა, საერთოდ მაგის გახსენებაც არ მინდა...

უეცრად გამეღვიძა. აზრზე არ ვიყავი რომელი საათი იყო და რამე, ოღონდ უცბად კი გამოვფხიზლდი. ვიღაცის ხელი ვიგრძენი ლოყაზე. ისე დავფრთხი, ლამის წერილი წავიღე გაღმა. ბ-ნ ანტოლინის ხელი აღმოჩნდა. თვითონ იატაკზე იჯდა, ტახტის გვერდით და თავზე მეფერებოდა თუ რაღაცა. კინალამ ჭერს ავარტყი თავი. „რას შვებით?“ — წამოვიძახე დაფეთებულმა.

„არაფერს. ვზივარ და გიყურებ...“

„ე-ე... — აზრზე არ ვიყავი, რა მეტქვა. ბრინჯივით დავიბენი. „კარგი ახლა, რა მოგივიდა. მხოლოდ ვზივარ აქ და...“

„უნდა წავიდე,“ — ვეუბნები. აუ, რა გავნერვიულდი! სიბნელეში შარვლის ტოტში ფეხის გაყოფას ვცდილობდი. ძლივს ამოვიცვი. რამდენი გარყვნილი ძაღლი-მამაძაღლი მინახავს მთელ ამ სკოლებში, რაც კი მოვიარე, ოღონდ რაღა ჩემზე უდგებათ ხოლმე, აზრზე ვერ მოვდივარ...

„სად უნდა წახვიდე?“ — ბ-ნი ანტოლინი მეკითხება. თითქოს ისე, დიდი არაფერი მომხდარიყოს. ოღონდ თვითონაც ვერ იყო მთლად მშვიდად, ბედ ეტყობოდა.

„ბარგი დავტოვე სადგურზე. უნდა წამოვიღო. ჩანთებში ჩავტოვე ყველაფერი.“

„დილითაც იქ დაგხვდება, ვერავინ წაიღებს. შეხტი ახლა ისევ ლოგინში. მეც ვწვები. რა ბზიკმა გიკბინა?“

„მე არაფერი — უბრალოდ, მთელი ფული იმ საკვოიაჟში მაქ. მალე დავბრუნდები.“ — ერთიანად მაკანკალებდა. — „საქმეც ისაა, ის ფული ჩემი არაა, დედაჩემისაა...“

„ნუ სულელობ, ჰოლდენ. დაწეი და დაიძინე. მეც ვწვები. ფულს კი არაფერი მოუვა.“

„არა, სერ. მართლა უნდა წავიდე. მართლა-მართლა.“ თითქმის ჩაცმული ვიყავი, სვიტრიც მეცვა და ყველაფერი. მისტერ ანტოლინი ახლა უკვე სავარძელში იჯდა, მოშორებით და იქიდან მადევნებდა თვალს. ბნელოდა და კარგად არაფერი ჩანდა,

ოღონდ დარწმუნებული იყავით, თვალს არ მაცილებდა. ჭიქასაც კი ვხედავდი, ისევ ისე რო ეჭირა ხელში.

„დიდი უცნაური ვინმე ხარ, ჰოლდენ.“ — მეუბნება.

„ვიცი, სერ.“ — და კარისაკენ დავგაბე. — „კარგად მეყოლეთ, სერ. დიდი მადლობელი ვარ ყველაფრისთვის. მართლა.“

უკან მომყვებოდა, და სანამ ლიფტი არ ამოვიდა, კარის ზღურბლზე იდგა და სულ ერთი და იგივეს გაიძახოდა — ძან უცნაური ვინმე ხარო. უცნაური, ბებიამაგისისამ. ამდენი ხანი კი არც ერთ ლიფტს არ დაუგვიანია, ღმერთმანი. მე კიდე აზრზე ვერ მოვდიოდი რა მეპასუხა, სანამ იმ წყეულ ლიფტს ველოდებოდი და ბოლოს ისღა ამოვილულულუდე, აწი კარგ წიგნებს წავიკითხავ-მეთქი. რამე ხო უნდა მეთქვა.

„ჩანთები აიღე და დროზე დაბრუნდი, კარს არ ჩავკეტავ.“ — მეუბნება.

„დიდი მადლობა,“ — ვეუბნები. — „ნახვამდის.“ ლიფტში შევაბიჯე და როგორც იქნა, დავეშვი ქვევით. სულ ჭირის ოფლი მასხამდა. ეგრე ვიცი ხოლმე, რამე უბედურებებს რო გადავეყრები. რაც თავი მახსოვს, ერთი ოცჯერ მაინც დამმართნია ეგეთი. სულ რო დავუფშტვინო, არც გაგიკვირდეთ.

ის იყო თენდებოდა, გარეთ რო გავაღწიე. ციოდა, ოღონდ ამ ტვინშისისხლასხმულზე მაინც მეამა. ეგაა, აზრზე არ ვიყავი, ახლა საით მექნა პირი. თან რომელიმე სასტუმროში წასვლა და ფიბის მთელი ფულის მიფლანგვაც არ მინდოდა. ბოლო-ბოლო ლექსინგტონ-ავენიუზე გავედი და. გრანდ-სენტრალის სადგურში წავედი მეტროთი. ჩანთები ხო იქ მქონდა დატოვებული და ვიფიქრე, სადმე მოსაცდელ დარბაზში წავუძინებ-მეთქი. სავარძლების მეტი რაა იქ. თავიდან მართლა არა უშავდა, თბილოდა და ხალხიც არ იყო ბევრი. ოღონდ რო გითხრათ, თქვენთვისაც კარგი იქნება, სცადეთმეთქი, არ დაიჯეროთ.

სადღაც დილის ცხრამდე მეძინა, იმიტო რო მერე დაიწყო და დაიწყო ხალხის გასვლა-შემოსვლა. ფეხის გასაშლელი ადგილიც აღარ მქონდა. რალა დამაძინებდა, თავიც ისევე მტკიოდა და მგონი, უარესად. ხასიათი კიდე მთლად მომეძმარა.

არ მინდოდა კია, მაგრამ მაინც სულ მ-რ ანტოლინიზე მიტრიალებდა ფიქრი. ნეტა რას ეტყოდა ამ დილით მისის ანტოლინის, რა იქნა ბავშვიო, რო ჰკითხავდა. ისე, მაგ მხრივ რა მქონდა სადარდებელი — მისტერ ანტოლინი კაი გამოჯეკილი ვინმე გახლდათ, მოიფიქრებდა რამეს. სახლში წავიდაო, ეტყოდა. მე ის არ ამომდიოდა თავიდან, რო გამეღვიძა და თავზე რო მიფათურებდა ხელს. იქნება და სულაც არაფერი იყო ისეთი, იქნებ ეგეთი ჩვევა აქვს, სულაც ეგრე უსვამს ხოლმე ხელს თავზე ყველას, მძინარეს რო ნახავს, დარწმუნებით ხო ვერაფერს იტყვი. ისიც კი ვიფიქრე, იქნებ მართლა დავავლო ამ ჩემ ჩანთებს ხელი და უკან მივბრუნდე, როგორც დავპირდი-მეთქი. გამახსენდა, რა გვიან დავურეკე და ალბათ ლოგინიდანაც კი წამოვყარე ორივე, იმან კი მითხრა, ახლავე მოდი თუ გინდაო. მერე რამხელა ლექცია წამიკითხა და ისიც ამომიტივტივდა გონებაში, იმ საწყალ ჯეიმზ

კასლს მართო ეგ რო მიეკარა. ყველაფერი ეგ ერთად დამიტრიალ-და თავში, და რაც მეტს ვფიქრობდი, უფრო მიფუჭდებოდა ხასიათი. იქნებ სულაც უბრალოდ ისე მეფერებოდა-მეთქი, ვფიქრობდი. ბო-ლოს სულ ამერია ტვინი, აღარ მუშაობდა. თან ამას ისიც დაერთო, უძილობისაგან თვალები მეწვოდა. თან ისევ შემამცივნა და ცხვირ-სახოციც არ მედო ჯიბეში. მინდოდა ჩანთიდან ამომეღო, ოღონდ მე-რე ვიფიქრე — ახლა ჯერ ეს რკინის კარადა გააღე, მერე საკვოიაჟში დაიწყე ქექვა მთელი ამ მიღეთის ხალხის წინაშე-მეთქი და შევეშვი.

იქვე მეზობლად რაღაც შურნალი დაეტოვებინა ვიღაცას. ავიღე და ფურცვლა დავუწყე, იქნებ ცოტა ხნით მაინც დავანებო ამ ბ—ნ ან-ტოლინიზე და ეგეთ რაღაცეებზე ფიქრს თავი-მეთქი. მაგრამ ერთ რაღაც სტატიას გადავაწყედი, კითხვა დავიწყე და სულ ამემღვრა გო-ნება. ჰორმონებზე იყო. ეწერა, როგორ უნდა გამოიყურებოდე — სა-ხე, თვალები და რამე, თუკი ჰორმონები სრულ წესრიგში გაქ. მე კი ნაღდად არ გამოვიყურებოდი ეგრე. სწორედ იმ მასტს ვგავდი, სტა-ტიაში რო იყო აღწერილი და ძაან ცუდად რო მისდიოდა ჰორმონე-ბის საქმე. ახლა ამაზე დავიწყე დარდი. მეორე სტატია კიდე იმაზე იყო, როგორ ამოგეცნო კიბო გქონდა თუ არა საერთოდ. პირის ღრუში თუ რამე წამონაზარდი გაქვთ და გაწუხებთ, თან რაღაც ხანი გავიდა და არ გირჩებათ, ე. ი. შანსია, კიბო გქონდეთო. კინალამ გავ-რეკე. აკი ორი კვირა ტუჩის შიდა მხარეს რაღაცა გამომივიდა და ჯერ გაქრობის არაფერი ეტყობოდა. გამოდის, კიბო მქონია. მოკ-ლედ, მაგარი ხასიათზე მომყვანი შურნალი შემხვდა. იქით მოვის-როლედ და გარეთ გავედი, მუხლის გასაშლელად. იქვე ტუჩიც მოვი-სინჯე ენის წვერით. მოკლედ, ორიოდ კვირაში კიბო მომიღებდა ბო-ლოს, ასე გამოდის. დარწმუნებულიც კი ვიყავი. ამით ხასიათი არ გა-მომკეთებია, ნამდვილად.

გარეთ ისე ჩანდა, წვიმას აპირებდა. მეთქი მაინც გავივლი სად-მე. ბოლო-ბოლო, რამე კბილის გასაკვრელი უნდა მეშოვა. ძანაც კი არ მშიოდა, მაგრამ მაინც. ცოტა ვიტამინები ხომ უნდა მიმეღო.

მეც აღმოსავლეთისკენ ვქენი პირი — იქითა უბნებში იაფი რესტორნების სიმრავლეა, ასე ვიცოდი. ისევ ფიბის ფულს ვუფრთხილდებოდი.

გზად ორ ტიპს გადავეყარე — დიდი ნაძვისხის გადმოტვირთვაში იყვნენ პიკაპიდან. ერთი სულ იმას გაიძახოდა — „თავი აუწიე მაგ დედაიმასქნებულს, ღვთის გულისათვის!“ გამეცინა. მაგრამ გამეცინა და კინალამ იქვე გულ-მუცელიც არ ამომიტრიალდა. არ ვიცი რატო — ისეთი არაფერი მიჭამია და კუჭსაც, საერთოდ, ადრე არასოდეს შევეუწუხებივარ. ძლივს გადამიარა. ვიფიქრე, პირიქით — უჭმელობისა და ბევრი სიგარეტისაგან მომდის-მეთქი. ერთ რაღაც იაფფასიან რესტორანში შევედი, ყავა და თხილიანი ნამცხვარი მოვითხოვე. ოღონდ იმ ნამცხვარსაც პირი ვერ დავაკარე — ეგრე იცის ხოლმე, როცა ფსიქიკაზე რაღაც გაწვევა და მყრალ ხასიათზე ხარ, ლუკმის გადაყლაპვაც გიჭირს. ოფიციალტი კი კარგი მასტი აღმოჩნდა — ის ხელუხლებელი ნამცხვარი ამაცალა და არც ანგარიშში ჩაუწერია. მარტო ყავა დავლიე, მერე გარეთ გამოვედი და მეხუთე ავენიუსკენ გავბლაყუნდი.

ორშაბათი დღე იდგა, შობაც ახლოვდებოდა და ყველა მაღაზიაში დიდი შესვლა-გამოსვლა იყო. მოკლედ, თვალს წყალს და ალევინებდი კაცი. ეს საცოდავი სანტა-კლაუსებიც წამოყუდულიყვნენ ყოველ კუთხეში, ზანზალაკებს აწკარუნებდნენ და „ხსნის არმიის“ გოგონებიც არ აკლებდნენ ხელს. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, იქნებ იმ ჩემს ორ მონაზონსაც მოვკრა-მეთქი სადმე თვალი, მაგრამ არ გამიძარტლა. თუმცა მერე გამახსენდა, ხო მითხრეს — ნიუიორკში სამასწავლებლოდ ჩამოვედითო. მაინც კარგი იყო, მთელი ეს საშობაო განწყობა ქალაქში და რამე. ბავშვები თავ-თავიანთი დედიკოებით ადი-ჩამოდდიოდნენ ავტობუსების კიბეებზე და გადი-გამოდდიოდნენ მაღაზიების კარებში. ნეტა ფიბი ყოფილიყო ახლა აქ ჩემთან ერთად. აღარც ისეთი

პატარაა, რო სათამაშოების მაღაზიაში იბოდილოს თვალედაჭყე-
ტილმა, ოღონდ გავლა-გამოვლა და ხალხის თვალეერება კი ეხა-
ლისება. წინა შობას ქალაქის ცენტრში წაყვივანე საყიდლებზე. გვა-
რიანი დრო ვატარეთ: ბლუმინგდეილის სუპერმარკეტში ფესსაცმე-
ლების განყოფილებას მივადექით და ვითომ ფიბი აპირებდა იმ მა-
ღალქუსლებიანი ჩექმების ყიდვას. გამყიდველი კინაღამ ჭკუიდან
აიწია — ფიბიმ ერთი ოცი წყვილი მაინც მოისინჯა, და ყველაზე სათი-
თაოდ სთხოვდა თასმების ნახვრეტებში ბოლომდე ამოყრას. უსინ-
დისობა იყო, რა თქმა უნდა, ოღონდ ფიბიმ კი მაგრა იმხიარულა. ბო-
ლო-ბოლო ჩვეულებრივი მოკასინები ვიყიდეთ. გამყიდველს ხმა არ
გაულა, მგონი მიხვდა კიდეც რაც ხდებოდა მის თავს, ფიბი კიდე ვე-
რაფრით იკავებდა სიცილს. ასე იყო თუ ისე, მეხუთე ავენიუზე მივა-
ლაჯებდი და უცებ რაღაც უცნაური ამბავი დამემართა: რამდენი გა-
დასასვლელს მივადგებოდი, ისეთი გრძნობა მიჩნდებოდა, თითქოს
ვერასოდეს მივადწევდი იქითა მხარეს, და ვერც ვერავინ ვერასო-
დეს ჩემს გზაკვალს ველარ იბოვიდა. მაგრა კი დავფეთდი, უნდა გით-
ხრათ. სულ ოფლად გავიღვარე. მერე ასეთი გამოსავალი ვიპოვე —
რამდენი გადასასვლელზე ჩავდგამდი ფესს, მყისვე წარმოვიდგენ-
დი ვითომ ჩემ ძმა ელის ველაპარაკები — „ელი,“ — ვეუბნებოდი ვი-
თომ, — „ელი, ისე ქენი რო სადმე არ გავქრე, ელი... და ამასობაში
მეორე მხარესაც გავადწევდი ხოლმე. მერე ყოველ ჯერზე მადლო-
ბას ვუხდიდი. მერე ისევე იგივე მეორდებოდა და ასე, გაუთავებლად.
შეჩერების კი არა, ფესის შენელებისაც კი მეშინოდა, მახსოვს. სად-
ღაც მესამოცე ქუჩის გადაკვეთამდე მივადწიე, მერე ზოოპარკსაც
გავცდი. ბოლოს სადღაც ჩამოვჯექი ხის მერხზე. სული ძლივს მოვიბ-
რუნე, ოფლი კი ისევე მასხამდა. კარგა ერთი საათი ვიჯექი იქ და იმ
დასკვნამდე მივედი, რო არავითარ სახლში დამბრუნებელი მე არ
ვიყავი და არც არავითარ სხვა სკოლაში შემსვლელი. ვიფიქრე, ფი-
ბის ვნახავ მხოლოდ, ფულს დავუბრუნებ, გამოვემშვიდობები და და-
სავლეთით დავგაზავ, რამე იქით მიმავალ მანქანას დავემგზავრები-

მეთქი. მერე კიდე სხვაზე გადავვდები და ასე. ბოლო-ბოლო ჩავალ სადღაც, სადაც სულ მზიანი დარია, არც არავინ მიცნობს და სამუშაოსაც ვიშოვი-მეთქი. იქნებ სადმე ბენზინგასამართ სადგურზე მოვწყობილიყავი, საწვავს ჩავუსხამდი ხალხს მანქანებში და ზეთს ჩავუმატებდი ხოლმე ძრავაში. საერთოდ კი სულერთი იყო ჩემთვის, რა სამუშაო იქნებოდა, ოღონდ კი ნაცნობს არავის გადავყროდი. ან სულაც ყრუ-მუნჯად გავასაღებდი თავს და აღარც სულელური ლაქლაქი დამჭირდებოდა ვილაცებთან. ძაან თუ შეუხუშტურებდა ვინმეს, ქალაღდმეც კარგად დამიწერდა სათქმელს. ბოლო-ბოლო ყველას მოწყინდებოდა ამისთანა ჩალიჩი და საერთოდ გამანებებდნენ თავს. ვიქნებოდი მერე ჩემთვის, კაციშვილი აღარ შემაწუხებდა. ყველას ეგონებოდა რო ერთი საცოდავი ყრუმუნჯი ვარ. მარტო საწვავს ჩავუსხამდი, ზეთსაც გამოვუცვლიდი თუ მაინცდამაინც და მაგაში გადამიხდიდნენ ცოტა ფულს. მერე იმ ფულით ერთ ქოხმასს დავდგამდი სადმე და ვიქნებოდი წყნარად და მშვიდად მთელი დარჩენილი ცხოვრება. ქოხი კიდე ტყის ახლო მექნებოდა, ოღონდ შიგ ტყეში – არა, მიყვარს, მზე რო აცხუნებს. საჭმელსაც ჩემით გავიკეთებდი და როდისმე თუ დაოჯახების სურვილიც წამომივლიდა, ვიპოვიდი ერთ ჩემსავით ყრუ-მუნჯ კაი გოგოს და ვიცხოვრებდით ტკბილად და გემრიელად. მე შენ გეტყვი და, ხმას აუწევდა თუ რა – თუ რამის თქმა დაჭირდებოდა, დამიწერდა და ისე მომართმევდა წასაკითხად. მერე, ბავშვები თუ გაგვიჩნდებოდა, არავითარ სკოლაში იმათ არ მივაბარებდით – ჩვენ თვითონ ვასწავლიდით წერაკითხვას და რამე.

მაგრა ავვარდი ამაზე ფიქრში. მართლა. არა, იმდენი კი მესმოდა რო სიგიჟე იყო მთელი ეს ყრუ-მუნჯობა და ამბავი, ოღონდ ძაან კი გამისწორდა. აი, ეს დასავლეთში გადაკარგვა მართლა დამიჯდა ჭკუაში. მარტო ფიბისთან მინდოდა გამომშვიდობება. მერე თითქოს უცებ მხია თავში – მართლა გიჟივით გავვარდი,

ერთი ქუჩა კიდე გადავჭერი — კინალამ მანქანას ჩავუვარდი ბორბლებში — პირველსავე საკანცელარიო მაღაზიაში შევვარდი და საწერი ქაღალდი და ფანქარი ვიყიდე. მეთქი წერილს დავწერ, სად შემხვდე! რო ფული დავუბრუნო — გზად მის სკოლაში შევივლიდი და კარისკაცს დავუტოვებდი ან ვინმეს. ოღონდ არაფერი აღარ დამიწერია, ჯიბეებში ჩავილაგე და სკოლისაკენ დავგაბე — იმ წუთს ძაან აღელვებული ვიყავი მაგისტრისთვის. თან ვჩქარობდი მოვასწრო სანამ სახლებში გაუშვებენ, თორე მერე გვიანლა იქნება-მეთქი. სკოლა ხო ვიცოდი სადაც იყო — თვითონაც მაგ სკოლაში არ დავდიოდი ერთ დროს? შიგნით ცოტა კი მეუცნაურა, ოღონდ მაინც ისეთივე იყო, როგორც ჩემსობას. იგივე ფართო ეზო, მავთულშემოხვეული ნათურებით განათებული — ბურთაობის დროს რო არ ჩაემთელეებინათ. სადაც ხის იატაკი ეგო, იქ კიდე თეთრი საღებავით რაღაც წრეები და ხაზები დაედოთ — თამაშებისთვის და რამე. კალათბურთის ფარებიც ისევე იდგა — ცარიელი რგოლები, უბადებოდ.

არავინ ჩანდა — ალბათ იმიტო რო არც შესვენება იყო და ჯერ არც მეორე ცვლის მოსვლის დრო. ერთადერთი, ვიღაც ფერადკანიანი ბიჭუნა მირბოდა საპირფარეშოსკენ. იმით მივხვდი, რო ჯიბიდან ხის წვრილი ფირფიტა მოუჩანდა — ჩვენც სწორედ ეგეთებს გვირიგებდნენ ხოლმე, საპირფარეშოში წასვლის ნებართვის ნიშნად. ჯერ კიდე გაოფლიანებული ვიყავი, ოღონდ უკვე ისე აღარ. კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი და ფანქარ-ქაღალდი დავაძრე ჯიბიდან. კიბესაც ზუსტად ისეთივე სუნი ასდიოდა, როგორც ჩემ დროს. ახალმიფსპულის ყველა სკოლის ყველა კიბეს, ეტყობა, ერთნაირი სუნი უდის.

ჩემო ფიბი!

ოთხშაბათს ველარ დაველოდები, ამავე საღამოს უნდა დავახვიო დასავლეთისკენ. ხელოვნების მუზეუმში შევხვდეთ, შესასვლელ კართან, პირველის თხუთმეტ წუთზე — თუ შეგიძლია რა თქმა უნდა

და ბარემ შენს ფულსაც დაგიბრუნებ. ბევრიც არ დამიხარჯავს. სიყვარულით, ჰოლდენი.

აი ეს მივწერე და რაკი მუბეუმი გზად ქონდა, ვერაფრით ავცდებოდით ერთმანეთს. მერე ზევით ავედი, სამასწავლებლოში, რო ვინმესთვის კლასში შესვლა და წერილის გადაცემა მეთხოვა. ერთი ათჯერ მაინც გადავკეცე, შემთხვევით არ გახსნას ვინმემ და არ წაიკითხოს-მეთქი. ამ სკოლებში ხო ვერავის ენდობი. მაგრამ რაკი მისი უფროსი ძმა ვიყავი, ნაღდად გადაცემდნენ, ეჭვიც არ მეპარებოდა.

ოღონდ ჯერ კიდევ კიბებზე, უცბად და მოულოდნელად, ისევ გულბიდვა ვიგრძენი, სულ ერთი წამით. შევჩერდი და ვხედავ — კედელზე მსხვილად აწერია — შეგეცი! ნაღდად დავიცენტრემეთქი, ვიფიქრე. მეთქი ან ფიბი ან ვინმე სხვა ბავშვი ნახავს და რო იკითხავს, ვინმე აი ამისთანა ჩათლახი უფროსკლასელი აუხსნის რაც წერია — თან ყველაფერს უშნოდ და ჩათლახურად, აბა სხვას რას მოახერხებს ამის დამწერი — და მერე იმან იქნება და ტვინი ამოიჭამოს ამაზე ფიქრით, ველარც მოისვენოს რამდენიმე დღე ზედიზედ. რო დამეჭირა, ნაღდად მივახრჩობდი, ისეთი გრძნობა მქონდა. მეთქი ვინმე გარყვნილი ძალღიშვილი თუ შემოიპარა ღამით სკოლაში და მეტი რა საქმე ქონდა — ესლა მოიფიქრა. უცებ წარმოვიდგინე, საქმეზე ჩავავლე ეგეთს და იმდენს ვარახუნებინებ თავს კედელზე, სანამ ხელში არ ჩამაკვდება. ოღონდ ისიც ვიცოდი, არაფერი მაგის მსგავსის გამკეთებელი მე არ ვიყავი. ამან სულ მომსპო. იმის თავიც აღარ მქონდა, რამით მაინც გადამეფხიკვა წარწერა. მეთქი ვინმე მასწავლებელმა არ დამინახოს და აქეთ არ მომდოს შარი — შენი დაწერილიაო. ბოლოს მაინც გადავშალე, სახელოთი. მერე სამასწავლებლოში შევედი.

იქ ერთი ვიღაც მოხუცი ქალი უჯდა საბეჭდ მანქანას და იმას ვუთხარი, ფიბი კოლფილდის ძმა ვარ, ქალაქიდან გავდივარ და

თუ ძაან არ გაგიჭირდებათ, იქნებ წერილი გადასცეთ IV-ბ კლასში-მეთქი. ჩემთვის ამას ძაან დიდი მნიშვნელობა აქვს-მეთქი, დავამატე. ეტყობა მოხუცმა რაღაც კარგი თვალით შემხედა, წერილი გამო-მართვა, ვიღაცა სხვა, უფრო ახალგაზრდა ქალი გამოიხმო მეზობე-ლი ოთახიდან და იმას გაატანა. მერე ერთხანობა მექაქანა აქეთურ-იქითურბე. ვუთხარი, ერთ დროს მეც აქ ვსწავლობდი და ჩემი უფრო-სი ძმაც-მეთქი. ახლა სადა ხარო, მკითხა. პენსიში-მეთქი, ვუთხარი. ძაან გაუსწორდა. შესანიშნავი სკოლაა, ასე გამიგიაო — მითხრა. ძა-ანაც რო მდომებოდა, ახლა მაგას მე ველარ გადავარწმუნებდი. ან ვის ქონდა მაგისი თავი. ან კი რა აზრი ქონდა, რო? ამ ხნის ადამიანს აღარც უნდა აჯახო რამე ახალი, სულაც არ ესიამოვნებათ. მერე და-ვემშვიდობე და გარეთ გამოვედი. მაბალო იყო, ღმერთმანი — ისევე მომადახა კარგად მენახეო, როგორც ბებერმა სპენსერმა — პენსი-დან რო მოვდიოდი. ყოვლად იდიოტური მოძახილია, მე თუ მკით-ხავთ. ნერვისამშლელი.

ახლა მეორე კიბით დავეშვი, მაგრამ რად გინდა — იქაც იგივე წარწერა დამხვდა კედელზე. მაგის წაშლასაც ვეცადე, მაგრამ ეგ უკ-ვე დანით თუ რაღაცით იყო ამოფხაჭნილი. აზრიც არ ქონდა — ათა-სერთი წელიც რო შალო, ყველგან მაინც ვერ ამოშლი, შანსი არაა.

საათს შევხედე — თორმეტს ოცი აკლდა. ჯერ კიდე ოხრად მქონ-და დრო, ვიდრე ფიბის შევხვდებოდი. მაინც წავედი მუზეუმისკენ. აბა სხვა წასასვლელი მაინც არსად მქონდა. ერთი პირობა ვიფიქრე, ტე-ლეფონის ჯიხურში შევალ და ჯეინ გელეხერს დავურეკავ-მეთქი, მაგრამ ისევ გადავიფიქრე. დარწმუნებულებაც არ ვიყავი, ჩამოსული თუ იქნებოდა უკვე. ისევ მუზეუმის შენობას მივადექი და კართან ავე-ყუდე.

ოლონდ დიდხანს ვერ გავჩერდი გარეთ, ციოდა და შიგ შენობაში შევედი, ვესტიბიულში. ამ დროს ვიღაც ორი ბავშვი მომადგა და მე-კითხება, მუმიები სად ვნახოთო. იმ პატარას, ვინც მუმიებზე მკითხა, წინ შარვალი ქონდა გახსნილი და რო ვუთხარი, იქვე შეიკრა, არც

მიბრუნებულა და არც არაფერი. კინალამ დავეცი. „მუმიები სა-
დაა, ძია?“ — ისევ მეკითხება. — „არ იცი?“

მინდოდა ცოტა გავთამაშებოდი და იქით ვკითხე — რა მუმი-
ები-მეთქი.

„რა და მუმიები — მკვდრები რო არიან. მკვდრებს რო ამოტე-
ნიან ხოლმე რალაცებით და ისე რო ასაფლავებენ.“

ამოტენიან ხოლმე. მკვდრებს. მაგარი ვინმე იყო.

„სკოლაში რატო არა ხართ?“ — ვეკითხები.

„დღეს სწავლა არა გვაქ.“ — ის ერთი მპასუხობს. ტყუის, რა
თქმა უნდა, ოღონდ ფიბის მოსვლამდე სხვა რა მეკეთებინა და
გზის საჩვენებლად გავყევი. ზუსტად ვიცოდი, სად იყო. თუმცა
რამდენი წელია, იქ აღარ შევსულვარ.

„მაგრა გაინტერესებთ მუმიები?“ — ვეკითხები.

თავს მიქნევს.

„შენს ძმაკაცს ლაპარაკი არ შეუძლია?“ — ვეკითხები ისევ. „ეგ
ძმაკაცი არაა, ჩემი ძმაა. ნამდვილი.“

„მერე, ენა გადაყლაპა?“ — ვეკითხები. თან იმ მეორეს ვუყუ-
რებ. — „შენ რა, ჯერ ლაპარაკი არ იცი?“

„ვიცი. ოღონდ არ მინდა.“ — მეუბნება.

„ისიც იცი, ეგვიპტელები როგორ მარხავდნენ თავიანთ
მკვდრებს?“ — ვეკითხები.

„არაა.“

„ძან უცნაურად. რალაც საიდუმლო წამლებით გაჟღენთილ
ტილოში ახვევდნენ. ასე ათასწლეულები ძლებდნენ აკლდამებში
და არ იხრწნებოდნენ. კაციშვილმა არ იცის, როგორ ახერხებ-
დნენ. თანამედროვე მეცნიერებიც კი აზრზე არ არიან.“

ბოლო-ბოლო იმ დარბაზს მივადექით, სადაც მუმიები მეგუ-
ლებოდა. ოღონდ შიგ შესასვლელად ერთი ვიწრო და ჩაბნელე-
ბული ტალანი უნდა გავგველო, სწორედ იმ ქვებით გაწყობილი,
ფარაონების აკლდამებიდან რო ამოიღეს თუ რალაც ეგეთი, და

ეს ჩემი თანამგზავრები, ცოტა არ იყოს, დამიფრთხესსავით. ჯერ ერთმანეთს აეტმასნენ და მერე ორივე — მე. ერთი საერთოდ სახელოზე მექაჩებოდა. „მოდით რა, უკან წავიდეთ.“ — მეუბნება. — „უკვე მომწყინდა. უკან დავბრუნდეთ რა...“ — მერე გატრიალდა და დაგაბა. „მაგარი მშიშარა ვინმეა,“ — მეორე მეუბნება. — „რა ვქნა აბა, კარგად იყავით!“ — და ისიც პირველს დაედევნა.

მართლ რა დავრჩი, რაღაც გამისწორდასავით, ხო იცით. იქ ისეთი სიწყნარე იყო, სიმშვიდე... და მერე კი კედელზე, თუ მიხვდებით, რა წარწერა დავჩითე?! ისევ იგივე, ოღონდ ამჯერად ბრჭყვიალა წითელი ფლომასტერით თუ რაღაცით დადღაბნილი.

აი ეგრეა. სრულად წყნარ და მშვიდ ადგილს ჩემ ფეხებს ნახავ სადმე. არ არსებობს. გგონია რო ნახე, და მერე სადმე მაინც იგივე საზიზღრობა ეწერება. ან არადა დაწერს მაინც ვინმე. სცადეთ, თუ არ გჯერათ. დარწმუნებული იყავით, როცა მოვკვდები და მიწაში ჩამდებენ და ქვასაც დამადებენ წარწერით — ჰოლდენ კოლფილდი — ზედ დაბადებისა და გარდაცვალების თარიღს ქვემოთ ვილაცას ხელი წაუცდება და მიაწერს, სქლად: „შეგეცე!“ დარწმუნებული ვარ, ეგრე იქნება. თქვენი დანა და ჩემი კისერი, ნამდვილად. იქიდან რო გამოვალწიე, წამსვე საპირფარეოში გავვარდი. ნაღდად ფალარათი მეწყება-მეთქი, ვიფიქრე. ან რამე ამდაგვარი. მაგრამ ეგ კიდე არაფერი — კაბინიდან რო გამოვდიოდი, თითქოს გონება დამიბნელდა. კიდე კარგი, თავით არ დავენარცხე იმ ქვის იატაკს — რაღაცნაირად გვერდულად დავეშვი. ისე, საკაიფო გრძნობა იყო, თავისებურად. რო ავდექი, იდაყვი მტკიოდა ცოტა, ოღონდ არც თავი მიბრუოდა და არც არაფერი.

უკვე თორმეტს გადაცილებული იქნებოდა, ამიტომაც ისევ კართან დავდექი ფიბის მოლოდინში. იმას ვფიქრობდი, როგორი იქნება-მეთქი გამოთხოვება, როცა იცი რო შეიძლება მეტი ვერც ვერასოდეს ნახო. და ვერც ვერავინ სხვა შენი ახლობლებიდან. ყოველ შემთხვევაში, წლების მანძილზე მაინც. იქნებ დავბრუნებულიყავი

კიდევ, სადღაც ორმოცს მიტანებული, თუკი ვინმე, სასიკვდილო სარეცელზე მყოფი, პირადად ჩემს ნახვას მოინატრებდა — მხოლოდ და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მივატოვებდი ჩემს ქოხს. ისიც კი წარმოვიდგინე, როგორი იქნებოდა ჩემი გამოცხადება — დედო ხო ცრემლებად დაიღვრებოდა და დამიწყებდა ხვეწნას — დარჩი ჩვენთან, იმ ქოხში და ველურ დასავლეთში რა დაგრჩენიაო, ოღონდ მე მაინც ჩემსას გავიტანდი. ჯერ დავამშვიდებდი, მერე სასტუმრო ოთახის კუთხეში კარადიდან იმ ხის ყუთს გამოვიღებდი, სიგარეტს დავაძრობდი და გავაბოლებდი აუღელვებლად, გაყინული სახით. მერე სასხვათაშორისოდ იმასაც ვეტყვოდი ყველას, მესტუმრეთ-მეთქი, ოღონდ ეს ისე, ცალყბად. მარტო ფიბის ვთხოვდი გულწრფელად, ან საზაფხულოდ ან საშობაოდ ან სააღდგომოდ მაინც მინახულე-მეთქი. მერე დიბისაც ვეტყვოდი, ჩამოდი და დაისვენე ბუნების წიაღში, ოღონდ რაღაც საჭოლივუდო სცენარები არ გამაგონო — თუ გინდა, მოთხრობები წერე-მეთქი, ვეტყვოდი. პირობად დავუდებდი ყველას — ჩემსას რო ჩამოხვალთ, რაღაც გოთვერობები და სისულელეები სახლებში დატოვეთ-მეთქი. ამ ფიქრებში ვიყავი და უცებ საათს რო შევხედე, პირველი სრულდებოდა უკვე. დავფეთდი, იმ ბებრუხანამ ხო არ დამასიაფანდა-მეთქი. იქნებ იმ მეორე ქალს უთხრა, მოსპე და გადააგდე ეგ წერილიო ან რამე. გავაფრენდი გეუბნებით, ფიბი რო არ მენახა და ის ფული არ დამებრუნებინა, მართლა.

და სწორედ ამ დროს მოვკარი თვალი — ჩემი მონადირის ქუდი ჩამოეფხატა თავზე, კილომეტრში გამოარჩევდი.

მუზეუმის მისასვლელ კიბეზე დავეშვი შესახვედრად. ერთი რამე ვერაფრით გამეგო — იმ ბონძღ ჩემოდანს რაღას მოათრევდა თან. იმხელა იყო, თვითონაც კარგად ჩაეტეოდა შიგ. მერე ვხედავ — ეს ის ჩემოდანია, რომლითაც თავის დროზე ვუტონს გავემგზავრე. აბრზე ვერ მოვდიოდი, რა ჯანდაბად უნდოდა. „გაუ!“

— მომადახა, ახლოს რო მოვიდა. გული ამოვარდნაზე ქონდა ამ ჯაბახანის თრევიტ.

„მეგონა უკვე აღარც მოხვიდოდი,“ — ვეუბნები. — „ეგ რაღად გინდოდა? არაფერი არ მჭირდება, ასევე მივდივარ, საკვოიაჟებიც კი არ გამომაქვს, აქ ვტოვებ. რეები ჩაგიყრია შიგ?“

ჩემოდანი ძირს დაუშვა. „ჩემი ტანსაცმელია.“ — მეუბნება. — „შენთან ერთად მოვდივარ. ხო წამიყვან?“

„რაა?!“ — ტვინი გადამეკეტა. ახლა ნაღდად გავაფრენ-მეთქი, ვიფიქრე.

„შარლინს რო არ დავენახე, უკანა კარიდან გამოვიპარე. სულაც არაა მძიმე. ორი ვაბა, მოკასინები, რამდენიმე წინდა და კიდე რაღაცეები. სულ ესაა. ერთი ხელი მოკიდე... ჰოლდენ, ხო წამიყვან? გეხვეწები.“

„არაფრის დიდებით. მორჩი ახლა.“

მეთქი ახლა ბნელა მომივა. ჭკუაზე არ ვიყავი, გეუბნებით, „რატო არა? გეხვეწები, ჰოლდი! არაფერში ხელს მე არ შეგიშლი — მარტო წამოგყვები და მორჩა! თუ გინდა, ამ ჩემოდანს სულაც აქ დავტოვებ — მარტო იმას ამოვიღებ, რა ქვია...“ „არაფერსაც არ ამოიღებ. არსადაც არ მოდიხარ. ვერსადაც ვერ წაგიყვან. მორჩა! ხო გაიგე?“

„კარგი რა, ჰოლდენ! წამოგყვები რა! ყველაფერს შენ დაგიჯერებ და ხო იცი...“

„არა-მეთქი! ასე რომ მოკეტე ახლა და მომე ეგ ჩემოდანი აქ.“ — ვეუბნები. ჩემოდანი გამოვართვი. ისე ვიყავი, ახლა ამას სილა არ გავაწნა-მეთქი... ჭკუას გადავედი, ხო გითხარით.

ტირილი დაიწყო.

„მეგონა დღეს პიესაში ითამაშებდი — იმ ბენედიქტ არნოლდს თუ ვილაცას ითამაშებდი და რამე...“ — ვეუბნები. ძაან საზიზღრად კი გამომივიდა. — „რა, აღარ აპირებ? სულ აღარ გინდა?“ ამაზე უფრო უმატა ტირილს. ძალიანაც კარგი-მეთქი, ვიფიქრე. იტიროს. ახია.

„მორჩი ახლა,“ — ვეუბნები. თან კიბებზე ავდივარ. ამ ჩემოდნით ხო ვერ წავა სკოლაში. ვიფიქრე, მუზეუმში მივაბარებ დარაჯს და სკოლის მერე შემოვივლის და წაიღებს-მეთქი. „მომყევი,“ — ვეუბნები. არ წამომყვა. არც უფიქრია. მაინც ავედი და გარდერობში ჩავაბარე ჩემოდანი. ვუთხარი, სამ საათზე შემოვივლიან და წაიღებენ-მეთქი. რო გამოვედი, ისევ იქ იდგა, ოღონდ ზურგი შემაქცია და აღარ მელაპარაკებოდა. ასე იცის ხოლმე. თუ არ უნდა, ხმასაც არ გაგცემს მთელი დღე. „არსადაც აღარ მივდივარ,“ — ვეუბნები. — „გადავიფიქრე. მორჩი ღნავილს.“ ცირკი ის იყო, საერთოდ აღარც ტიროდა. ისე ვუთხარი, ინერციით. „წამო,“ — ვეუბნები. — „სკოლამდე მიგაცილებ.“

არაფერი უთქვამს. ხმა არ გაუღია. ვცადე მხარზე მომეხვია ხელი, არ დამანება.

„ისაუბმე უკვე?“ — ვეკითხები. — „საუბმე მოასწარი?“

პასუხი არ გამცა. ის ჩემი მონადირის ქუდი წაიძრო თავიდან და ლამის სახეში მესროლა. არაფერი ვუთხარი, დავიხარე და ქუდი ავიღე. მერე ქურთუკის ჯიბეში ჩავიტენე.

„წამო ახლა, სკოლაში დავბრუნდეთ.“ — ვეუბნები.

„სკოლაში დაბრუნებას არ ვაპირებ.“

აზრზე ვერ მოვედი, რა მეთქვა. რამდენიმე წუთი შტერივით მივჩერებოდი.

„უნდა დაბრუნდე. პიესაში თამაში არ გინდა? ბენედიქტ არნოლდი არ უნდა ითამაშო?“

„არა.“

„როგორ თუ არა! რეებს ბოდავ. წამო, წავედით.“ — ვეუბნები. — „ხო გითხარი უკვე, აღარსად მე აღარ მივდივარ. სკოლაში მიგაცილებ და მერე სახლში წავალ. ჯერ სადგურზე შევივლი ჩანთებს გამოსატანად და მერე პირდაპირ...“

„გითხარი, სკოლაში აღარ დავბრუნდები-მეთქი. შენ რაც გინდა ის ქენი, მე კიდევ სკოლაში მიმბრუნებელი არა ვარ.“ – მეუბნება. – „ასე რომ, მოკეტე.“

ეგეთი რამე პირველად მითხრა ცხოვრებაში. ამას ჯობდა შევეგი-ნებინე, ღმერთმანი. მერე რამდენჯერ არ ვცადე ხელი მომეხვია, იმდენი არ დამანება.

„მისმინე, წამო ცოტა გავიაროთ,“ – ვეუბნები. – „გინდა ბოლოპარკში შევიდეთ? თუ სკოლაში არ წაგიყვან, მპირდები რომ მორჩები ამ ბუტიაობას?“

პასუხი არ გაუცია. „შენ გეკითხები, თუ დღეს სკოლას გაგაცდენინებ, მორჩები ამ სისულელეს და ხვალ წახვალ წყნარად და წესიერად?“

„არ ვიცი,“ – მეუბნება. – „ან კი ან არა.“ მერე ადგილიდან მოწყდა და ქუჩა ისე გადაირობინა, მარჯვნივ-მარცხნივ არც გაუხედავს. იცის ასე, წამოუვლის ხოლმე.

აღარ გამოვდევნებივარ. ვიცოდი, მაინც ამედევნებოდა და ნელა გაუწყვევი ბოლოპარკისკენ. შანსი არ იყო, მითვალთვალებდა. ასე ვიარეთ – ქუჩის სხვადასხვა მხარეს, სანამ ბოლოპარკს არ მივაღექით. მარტო მაშინ ვნერვოვლობდი, როცა დაბლდეკერი¹⁶ ჩაივლიდა ხოლმე, იმიტომ რომ ამ დროს ველარ ვხედავდი და აზრზე არ ვიყავი, ისევ მომდევდა თუ არა. ბოლოპარკის ჭიშკართან შევეტრიალდი და გავძახე: ფიბი, ბოლოპარკში შევდივართ, მოდი ახლა-მეთქი. პასუხი არც ახლა გამცა, ოღონდ კიბეს რომ ჩავუყევი, ვხედავ, ქუჩაზე გადმოდის. ბევრიც არავინ ხალხი იყო იქ იმ დღეს. მარტო ზღვის ლომებთან იდგა თითო-ოროლა. მე გვერდით ჩავუარე, ოღონდ ფიბი შეჩერდა და უყურებდა, როგორ უგდებდა მთელ-მთელ თევზებს ვილაც ფორმიანი მასტი. რა მექნა, მეც მივბრუნდი. ფიბისთან მივედი და

¹⁶ ორსართულიანი ღიდი ავტობუსი.

ისევ ვცადე მხარზე დამედო მისთვის ხელი, მაგრამ დაიხარა და ხელიც თავისთავად ჩამომიცურდა. დიდი საზიზღარი ვინმეა, როცა უნდა. ბავშვებთან კი ყოველთვის ძაან ფრთხილად უნდა იყო, არაფერი შეგეშალოს.

ზღვის ლომებს რო გავცდით, ჩემ გვერდით სიარულზე უარს იყო, ოღონდ ძაან წინაც არ წასულა. ის ქვაფენილის ერთ მხარეს მიდიოდა, მე — მეორე მხარეს. იმას მაინც ჯობდა, ქუჩის იქითა მხარეს რო მომდევიდა. მერე დათვების ბუნაგს მივადექით რაღაც გორაკის ძირში, ოღონდ იქ ბევრი არაფერი იყო სანახავი. მარტო ერთი დათვი ჩანდა — თეთრი. მეორე კიდე — ის ალბათ მურა იქნებოდა, ან გრიზლი — საერთოდ არ გამოჩენილა. ერთი პატარა ბიჭი იდგა იქვე, კოვბოური ქუდი ყურებამდე ჩამოეფხატა და სულ ერთი და იგივეს ზუზუნებდა: „გამოვიდეს რა, მამი — უთხარი, გამოვიდეს.“ ფიბისკენ გავაპარე თვალი, მაგრამ არ გასცინებია. თუ გაგიბრაზდა რამეზე, ბავშვს ასე იოლად ვეღარ გააცივებ. დათვების მერე ბევრი აღარ გვივლია, ზოოპარკიდან გამოვედით, პატარა ქუჩასავით რაღაც გადავჭვრით, აქოთებული გვირაბი გავიარეთ და კარუსელებისაკენ წავედით. ფიბი ხმას არ მცემდა, ოღონდ ახლა ჩემ გვერდით მოაბიჯებდა და პალტოს ქამარზე ვცადე ხელის ჩავლება. „ხელები დაიმოკლე, თუ შეიძლება.“ — მეუბნება. ჯერ კიდე ნაწყენი იყო ჩემზე. ცოტა გადაუარა მხოლოდ. კარუსელებიდან უკვე მუსიკის ხმაც გვესმოდა. ზუსტად იგივე მუსიკა იყო, რაც იმ დროს, როცა მე პატარა ვიყავი და ჩემ ძმას დავყავდი აქ. მე მგონი, კარუსელებზე მუსიკას საერთოდ არ ცვლიან. ან თუ ცვლიან, საუკუნეში ერთხელ.

ეგრე იქნება, ნამდვილად.

„მეგონა ზამთარში კეტავენ ხოლმე.“ — ფიბი ამბობს. პირველად ამოიღო ხმა თავისით. მგონი დაავიწყდა რო არ მელაპარაკება. „იქნებ შობა-დღეების გამოა,“ — ვეუბნები.

არაფერი არ თქვა. გაახსენდა, განაწყენებული რო იყო.

„კარუსელზე დაჯდები?“ — ვეკითხები. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ძაანაც უნდოდა. როცა დიბი და მე და ელი წავიყვანდით ხოლმე, გიჟდებოდა კარუსელზე. მერე მაგის გადმოსმა იყო ხოლმე ერთი ამბავი. ჩამოსვლა აღარ უნდოდა.

„უკვე გავიზარდე მაგისტოვის.“ — მეუბნება. მე კიდე მეგონა, ისევ არ გამცემდა ხმას.

„არაა. ჯერ არაა. მიდი, აქ დაგელოდები.“ — ვეუბნები. მერე იქვე პატარა სარკმელთან მივედი, ბილეთის ასაღებად. ბილეთი კიდე ფიბის მივეცი. სულ რამდენიმე ბავშვი იყო იქ, მშობლები კიდე შორი-ახლო სკამებზე ჩამომსხდარნი ელოდებოდნენ. „დაიცა,“ — მივაძახე უცბად. — „ეს შენი ნარჩენი ფულიც გამომართვი ბარემ.“ „შეინახე.“ — მეუბნება. — „შეინახე, კარგი?“ და მერე რატომღაც დაამატა: „გეხვეწები.“

გული მომეწურა, ასე რო მითხრა — გეხვეწებიო. ოღონდ ფული კი მართლა ჩავიბრუნე ჯიბეში.

„შენ არ შემოჯდები?“ — მკითხა მერე. ცოტა რაღაც უცნაურად კი მიყურებდა. ვატყობდი, აღარ მიბრაზდებოდა.

„ჯერ შენ შემოგხედავ,“ — ვეუბნები. — „მერე ვნახოთ. ბილეთი არ დაგავიწყდეს.“

„კარგი.“

„მიდი მერე, რას უდგეხარ. მე ეგერ ჩამოვჯდები, სკამზე. თვალს არ გაშორებ, იცოდე.“ ჯერ მთელი წრე დაარტყა გარშემო, მერე ერთი დაფეხვილი ცხენი შეარჩია და იმას შემოაჯდა. მერე კარუსელიც დატრიალდა. სწრაფად, უფრო სწრაფად. სულ ხუთი თუ ექვსი ბავშვი იჯდა, მუსიკა კი უკრავდა და უკრავდა. მგონი „ბოლმა ამიწვა თვალელები..“ თუ რაღაც ამდაგვარს უბერავდნენ, ოღონდ ძაან ჯაბზურად და რამე, რიტმში. ყველა ბავშვი კიდე ცდილობდა ის საპრიზო რგოლი ჩამოეხსნა და გული მისკდებოდა, ემანდ რომელიმე არ გადმომვარდეს-მეთქი. ოღონდ ეგაა მთელი ამბავი — თუ ბავშვს უნდა რო რამეს მისწვდეს, უნდა აცალო. თუ ჩამოვარდა — არა უშავს, თავის

თავს დააბრალოს, ოღონდ თუ შეუძახე — არ ჩამოვარდეთ, წასულია საქმე.

მერე კარუსელმაც შეანელა ბრუნვა და ფიბიც ჩამოხტა ცხენიდან და წინ დაერჭო. „ახლა შენი ჯერია,” — მეუბნება.

„არა. მე მართლ შენ გიყურებ.” — ვეუბნები, თან ხურდას ვუწვდი ბილეთის საყიდლად.

გამომართვა. „ალარ გიბრაზდები.” — მეუბნება.

„ვიცი. დროზე ახლა, მიასწარი.”

უცხად მეცა და გადამკოცნა. მერე ხელისგული გაიშვირა წინ და მეუბნება: „წინწკლავს. წვიმას აპირებს.”

„ვიცი,” — ვეუბნები.

და ამ დროს, იცით რა ქნა? ჯიბიდან ის ჩემი მონადირის ქუდი ამომაცალა და თავზე ჩამომათხატა.

„შენ რა, არ გჭირდება?” — ვეკითხები.

„შენ გქონდეს. ჯერჯერობით.”

„კარგი. ოღონდ ფეხს აუჩქარე, საცაა დაიძრება. მერე იმ შენს ცხენს ველარ მოაჯდები.”

მაინც ჭოჭმანობდა.

„მართალი მითხარი?” — მეკითხება. — „მართლა ალარ მიდიხარ არსად? მართლა დაბრუნდები სახლში?”

„ეგრეა,” — ვეუბნები. — „როდის მომიტყუებიხარ?” მართლა ეგრე ვაპირებდი და ასეც მოვიქეცი, ნამდვილად. — „ახლა მიდი,” — ვეუბნები. — „დატრიალდა კარუსელი.”

გაიქცა და ბილეთი იყიდა და ბეწვზე მიუსწრო. მაინცდამაინც იმავე ცხენზე შეჯდა. მერე ხელი დამიქნია და მეც დაუქნიე. მერე კიდე ცა ფეხად ჩამოვიდა. მთელი ეს დედები და მამები კარუსელის გადასაფარებლის ქვეშ შეიყუჟნენ, ოღონდ მე კი დავრჩი იქვე. მაგრამ დავსველდი, იმ ჩემი მონადირის ქუდის მიუხედავად, მაგრამ სულ ქინძზე მეკიდა — ისეთი ბედნიერი ვიყავი, ფიბი რო წრეებს არტყამდა კარუსელზე, არ ვიცი რატო. უბრალოდ, ძაან-

ძაან ლამაზად გამოიყურებოდა, იმ ლურჯ პალტოში და რამე, თან ტრიალებდა და ტრიალებდა. ერთი გენახათ, რა.

აი, სულ ეგაა რაზეც მინდოდა მელაპარაკა. რამე რო იყოს იმასაც გეტყოდით, შინ დაბრუნების მერე როგორ გავხდი ავად, როგორ გადაწყდა რომელ სკოლაში წავიდოდი შემოდგომაზე, აქედან რო გავეწერებოდი, ოღონდ არავითარი სურვილი არა მაქ, ღმერთმანი. ეხლა ეგ არაა მთავარი.

ძაან ბევრი ვინმე მეკითხება, განსაკუთრებით ეს აქაური ფსიქონალიტიკოსი — სკოლას რო დაუბრუნდები, კარგად სწავლასაც თუ მოინდომებო. ძაან მაბალო შეკითხვაა, ღმერთმანი. საიდან უნდა იცოდე რას გააკეთებ, სანამ არ გააკეთებ? კი მოვინდომებ, ასე მგონია, ოღონდ ნაღდზე საიდან უნდა ვთქვა? რა სულელურ შეკითხვებს არ დაგაყრიან ხოლმე, ღმერთმანი.

ჩემი ძმა დიბი კიდე სხვას ჯობია, მაგრამ მაგასაც უყვარს ბედმეტი შეკითხვების დასმა. წინა შაბათს მინახულა და თან ის გოგო მოიყვანა, მის ახალ ფილმში რო უნდა ითამაშოს. ცოტა პრანჭია კი მეჩვენა, თორე ისე რა უჭირდა რა — მშვენიერი შესახედი იყო. მოკლედ, ერთხელაც გავიდა ის გოგო ტუალეტში, დერეფნის ბოლოს და დიბი მეკითხება — მთელ ამ ამბებზე რას ფიქრობო. აი ამ ყველაფერზე, რაც თქვენ მოგიყევით. აზრზე არ ვიყავი რა მეთქვა. სიმართლე თუ გინდათ, არც ვიცი რა უნდა ვიფიქრო. ხანდახან მგონია, ძაანაც მივქარე-მეთქი ამდენ ხალხს რო მოვუყევი ყველაფერი. თანაც უცნაური რამე შემართება — თითქოს ვისაკლისებ ხოლმე იმ ხალხს, ვისზეც მოგიყევით. თუნდაც სტრადლეიტერსა და ეკლის. მგონი ის ვირიშვილი მორისაც კი მაკლია თვალში. მოკლედ, არავის არავისზე არ უნდა მოუყვე, თორე მერე ყველას მოისაკლისებ. ეგრეა.